



ჩვენს მწერს

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

31 მაისი 2013

№11 (193)

დიალოგი ორჰან ფამუქთან
ინტერვიუ ჯემალ ქირიასთან
დიმიტრი უჩანეიშვილის პიესა
ნელი ბატიაშვილის ბავშვი და ტყე
ვახტანგ ჭელიძის კრიტიკული ნარკვევი
ლია კუხიანიძის „ძახილი ნისლში“
ანდრე მორუას ოთხშაბათის იები
იოსებ იარღანაშვილის ლექსები
და იცხოვრე, როგორც წერ
გმირი ჭაბუკი თელავიდან



შინაარსი

რადამტორის გვერდი	2	მსახიობური გაქვება გიზო თავაძისა
ისტორიის თეთრი ლაქები	3	გიორგი ჯავახიშვილი გმირი ჭაბუკი თელავიდან (დავით აბაშიძე)
მსპრეს-ინტერვიუ	4	ჯემალ ქირია „იყავი ერთგული შენი მოწოდებისა“ (მომამზადა ნატა ვარადაძე)
დრამატურგია	6	დიმიტრი უჩანეიშვილი არჩი და ქეთ
კულტურა	14	მეგი ძამნაშვილი პროფესიული გზის შეჯამება (გიგა ბათიაშვილის „ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“)
პოეზია	15	იოსებ იარლანაშვილი ***დრო მიჰყვებოდა ლოდივის ურემს
პოეზიის ერთი ლექსი	17	ნელი ბატიაშვილი ბავშვი და ტყე
უსხოეთის ცხოვრებაიდან	19	სოციალურად აწიტირებულმა მწერლებმა ლიტერატურა დაატარებლეს ინოვაციური შინაარსისგან (ანჯელ გარა კვანტანას ესაუბრება ორჰან ფამუქი)
შეხვედრა	23	ნინო ქუთათელაძე „როგორც კი უკუნს ცრიატმა სძლია“ (ივან კოტლიარეცკის „ენეადა“ ქართულად)
ღიაღვი	25	„და იცხოვრე, როგორც წერ...“ (ვერიკო ზამთარაძეს ესაუბრება ვაჟა ოთარაშვილი)
პირველი შთაბეჭდილება	31	ემზარ კვიციანიშვილი დროს დიდად გაუსწრო
თქმა მართლისა	32	ვახტანგ ჭელიძე ნუ დავაბნევთ, ნუ დავაფრთხობთ, კატს ნუ მოვუძნევთ...
კრიტიკა	38	ნესტან მესხი „წოტების ოკეანე თუ სიტყვების ცა“... (ვალერიან შიუკაშვილი და არქიმანდრიტი ადამი — მუსიკა და პოეზია)
წუთები და წლები	42	როსტომ ჩხეიძე ისევ ოთხშაბათობით (ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები)
რეპორტაჟი	50	ნინო დეკანოიძე შექახილი — სინათლისათვის (ლია კუხიანიძის კრიტიკულ-ესეისტური კრებული „ძახილი ნისლში“)
ახალგაზრდაგო. ან კი თქვენ	55	ეკა ბუჯიაშვილი ცოტა მეტი ფერი და... ცოტა მეტი თავისუფლება (თამთა სოსელია)
ფიქრები	57	გივი ალხაზიშვილი დღიური
უსხოური ნოველა	64	ანდრე მორუა ოთხშაბათის ივანი
ნაქვესავი	69	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	71	ერთი კაცის გუნებაზა



ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 14 ივნისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისის საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
დაკაზადონება	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანიძე

გარეკანზე: გიზო თავაძე, თორნიკე ტურაბელიძის ფოტო
ანდრე ლოტი, პეიზაჟი

მსახიობური გაელვება გიზო თავაძისა

განა არა — მეგობრებსა და ახლობლებს კარგად მოეხსენებოდათ გიზო თავაძის არტისტული ბუნება, რაც უმთავრესად, ცხადია, სუფრებზე იჩინდა ხოლმე თავს და თამადობასაც ასე ხშირად ამიტომაც სთხოვდნენ.

საჯარო გამოსვლების დროსაც საცნაური გახლდათ მისი ეს თვისება — მგზნებარებით გამჟღავნებული.

მაგრამ ბუნება ბუნებაა და სულაც არ არის აუცილებელი, რომ არტისტულობისაკენ მიდრეკილება მართლაც მსახიობობად გარდაისახოს.

მსახიობობა აკლდა.

პოეტობით დაეწყო და ბელეტრისტიკაშიც წარმატებით მოესინჯა კალამი, დრამატურგობასაც გაემართლებინა და საზოგადო მოღვაწეობაც არა ყოფილა მისთვის უცხო, მთლად იატაკქვეშეთიდან რომ შეზმოდა ქართლის ბედის ძიებას და მისი ოჯახი საიდუმლო თავშეყრის კერადაც ამიტომ გადაქცეულიყო.

და თითქოს ამოეწურა სულიერი მისწრაფებანი, ამ მრავალმხრივ სარბიელზე ტრიალით ისედაც დაეწინა საგულისხმო კვალი ქუთაისის, იმერეთის, დასავლეთის, მთელი საქართველოს კულტურული ცხოვრებისთვისაც. მითუფრო, როდესაც გვერდით ელგუჯა თავბერიძე გეგულედა და მის მიერ გამართული თავყრილობებისა და ოდისეათა თანამდგომი და მონაწილე ხარ.

და, აი, გიორგი სიხარულიძეს მისთვის უნდა შეეთავაზებინა რეზო ჭეიშვილის საიუბილეო საღამოს გაძლოლა ქუთაისის თეატრის სცენაზე.

ეს რომ ჩვეულებრივი სამწერლო თავყრილობა ყოფილიყო, გიზო თავაძე სწორედ მისწრება გახლდათ კონფერანსიეს ამპლუაში, მაგრამ ორიგინალური ჩანაფიქრი — თორნიკე მარჯანიშვილისა და გიორგი სიხარულიძის ერთობლივი პროექტი — გულისხმობდა ნამდვილი მსახიობის გამოსვლას სცენაზე, სხვა მსახიობებს არამცთუ მხარს რომ აუბამდა, არამედ დადგმის სულისკვეთებასა და სტილისტიკასაც განსაზღვრავდა, დიახ, დადგმის, რადგანაც მაყურებელი შესანიშნავი სპექტაკლის მხილველი გახდა იმ დღეს, 2013 წლის 24 აპრილს, დაუფინყარისაც და, ღმერთმა ინებოს, გარდამტეხისაც საიუბილეო თავყრილობათა გამართვის ისტორიაში.

ამ იუბილე-სპექტაკლის შემდეგ კიდევ უფრო უფერული გამოჩნდება ამ ყაიდის საღამოები — მოძველებული ფორმით, ფორმას კიდევ რა უჭირს, დახავსებული სულით განხორციელებული.

და ეს იმიტომაც, რომ მართლაც ღირსეული მწერლის, თავისი მხატვრული მიღწევებით ნობელის პრემიის ერთი უპირველესი პრეტენდენტის, დაბადების თარიღს აღნიშნავდა ქალაქი, საქვეყნო დღესასწაულის იერი თავისთავად რომ მინიჭებოდა, როგორც ოდესღაც რაფიელ ერისთავის იუბილეს გამოეწვია მთელი ქვეყნის აღტაცება, როგორც აკაკი წერეთლის იუბილეს... მერე და მერე არაერთი ადამიანი რომ მოინდომებდა თავისი დაბადების დღის გადაქცევას სახალხო მნიშვნელობის მოვლენად და... მხოლოდ სახელს გაუტეხდნენ იუბილეს, როგორც განსაკუთრებულ ეპიზოდს ეროვნული თვითდადგინების პროცესში. და ვაჟა-ფშაველა რომ წუხდა იუბილეთა გახშირებას და მას მისი რწყილების გამრავლებას ადარებდა, თურმე



მაშინ ჯერ კიდევ რა უშავდა, შემდგომ და შემდგომ სულაც სამასხაროდ რომ გადაიქცეოდა, ბერიკაობის ყოვლად მდარე ნაირსახეობად — ნაკლები დამსახურების პიროვნებას ვილა ჩივის, სრულიად უღირსნიც მიაწყდებოდნენ და აღარა და აღარ მოვლბოდა ბოლო ამ სულიერ ვაკხანალიას.

ამ შეუკავებელ დინებას ასეთი ეპიზოდები თუ აღკვეთენ — რაც ნამდვილია, რაც ბუნებრივია ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა ეწიოს მიზანს და უკვდავებას გამოდევნებული ცრუქაქუნების ნაცვლად თავმოსაწონებელ პიროვნებათა საუფლო შეიქნას.

საუფლო — ამ რანგისა, იმდღევანდელმა ქუთათურმა სპექტაკლმა რომ განსაზღვრა.

და რარიგ მოერგო ამ სპექტაკლს გიზო თავაძე.

როდესაც სცენაზე რეზო ჭეიშვილიც დგას, ყოველთვის მოსალოდნელია იმპროვიზაცია, დადგენილი რელსებიდან გადახვევა, პარადოქსული აბრუნდები... და ასეთ დროს გიზო თავაძე უნდა იყო — ბუნებრივად არტისტი და რეზო ჭეიშვილთანაც წლების განმავლობაში შეთამაშებული — ოდნავადაც რომ ვერაფერმა დაგაბნოს და იმპროვიზაციასაც მარჯვედ აჰყვე, პარადოქსულ აბრუნდებსაც ძალდაუტანებელი სადინარი მისცე და დადგენილი რელსებიდანაც დროდადრო ისე ლაღად გადაუხვიო უფროს თანამოკალმესთან ერთად, მაყურებელმა ვერც ვერაფერი შენიშნოს და ეგონოს, რომ მთელი ცხოვრება სცენაზე გაიტარებია. ასეა, როდესაც ბალის ეპიზოდებშიც ჩინებულად წარმოდგები, მწერლის ოთახისაც, და გაშლილ ტაბლაზე ხომ გაილაღებ და გაილაღებ.

მსახიობობა აკლდაო...
თურმე მართლაც აკლდა, გიზო თავაძის კოლორიტული პორტრეტი რომ დასრულებულიყო — თვითონ მისთვისაც და მისი მკითხველებისთვისაც, იმ დღის შემდეგ კიდევ უფრო რომ გაიზრდება ეს წრე და უფრო ღრმადაც ჩაუკვირდებიან მხატვრულ საბურველში გამოხვეულ მის გამჭვირვალე ქვეტექსტებს — ხან პოეტური მანერით ამეტყველებულს და ხანაც ბელეტრისტიკისა, და პიესებსაც თუ ჩვეული ენერგიით განაგრძობს, ძალიან ნაადგება ჩვენს თეატრს მისი წრფელი და მართალი სიტყვა.

ისე თუკი დაისაჭიროებენ, თვითონაც შეიძლება ათამაშონ თავისივე პიესებში — ვერ მოიხდენს რომელიმე როლს თუ რა!..
თუმც... ხვალემ იკითხოს ხვალისა!..
დღეს კი, რაც ვიხილეთ:
ასე იმ დადგმას სხვა ვერავინ მოერგებოდა, სხვა ვერავინ შეკრავდა და წარმართავდა, სხვა ვერავინ გაალაზათიანებდა.

მსახიობობა აკლდაო...
მართლაც აკლდა თურმე.
და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ადამიანს ყოველთვის შეუძლია იპოვნოს საკუთარ თავში რალაც განსხვავებული, ფარულ სწრაფვას გაუხსნას სადინარი და ისე შეიშოვოს ახალი როლი, თითქოს მთელი ცხოვრება ამ როლის ელოდა, რათა დაემტკიცებინა, ესეც ჩემია, ჩემი ნახნავიაო.

გიზო თავაძის შემთხვევაში როლი პირდაპირი აზრითაც ითქმის და მეტაფორულადაც.
და რჩება ის ქუთათური თეატრალური დადგმა შემობრუნების წერტილად იუბილეთა ნაცრისფერ, უღიმღამო ნაკადში.

გიორგი ჯავახიშვილი

გმირი ჭაბუკი თელავიდან

თელავში, ნადიკვრის უბანში, ერთი მოსახლის ოჯახს „ობლი-
ანთ კარს“ ეძახიან. აქ ცხოვრობდნენ მეფე ერეკლე მეორის მე-
უღლის ანა აბაშიძის ძმის, იოანე კახთ აბაშიძის შთამომავლები.
ამ ოჯახის დიასახლისს, თავად ვახვახიშვილის ასულს, თამარს 11
შვილი ეყოლა, მაგრამ მათგან 9 ყმანვილობისას გარდაიცვალა.
ცოცხალნი დარჩნენ ქალ-ვაჟი გულნარა და დავით აბაშიძეები.

თელავის ლიტერატურული ცხოვრების შესწავლისას, ბუ-
ნებრივია, გამიჩნდა სურვილი გამოემკვლია თელავში პირველი
ნაბეჭდი გაზეთის გამოცემის ისტორია. ძიების პროცესში ტო-
პონიმადქვეული „ობლიანთ კარი“ გადაეჯაჭვა საქართველოს
სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ამავე სახელწოდების
ნახატს, რომელიც დაცულია მხატვრის დისშვილ ქალბატონ
ირინა კალანდაძესთან. მასალების მოსაპოვებლად დამაკვალი-
ანეს თვით დებმა ელენე და მაკო ახვლედიანებმა.

აბაშიძეების ოჯახის დიასახლისი თამარ ვახვახიშვილი მასწავ-
ლებლად მუშაობდა თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში
და აქტიურად იყო ჩაბმული ამ ქალაქის კულტურულ-ლიტერატუ-
რულ ცხოვრებაში. მათი ოჯახის სტუმრები სხვადასხვა დროს ყო-
ფილან: ილია, აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ
რობაქიძე, იოსებ გრიშაშვილი, ცისფერყანწლები და სხვები. გულ-
ნარა და დავით აბაშიძეებს ლექსი მოუძღვნა იოსებ გრიშაშვილმა.

დათუნა აბაშიძემ ბავშვობიდანვე მიიქცია ყურადღება, რო-
გორც ნიჭიერებითა და მამულიშვილური საქმიანობისადმი სიყ-
ვარულით გამსჭვალულმა. მან ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავ-
ლემ 1919 წლის 20 იანვარს გამოსცა თელავში პირველი ნაბეჭდი
გაზეთი „ახალგაზრდა ქართველის“ სახელწოდებით.

„ახალგაზრდა ქართველის“ რედაქციასთან თავი მოიყარეს
თელავის პედაგოგურმა და სხვა მოწინავე ძალებმა, მაგრამ, სამ-
წუხაროდ, სულ 10 ნომერი გამოვიდა და მაინც შესამჩნევი კვალი
დააჩნია თელავის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებას.

დავით აბაშიძისათვის 1919 წელი სხვა მხრივაც იყო ღირსსახსო-
ვარი. ზაფხულის ერთ დღეს მან გაიცნო და დაიმეგობრა თელავში
სტუმრად ჩამოსული მარიამ მაყაშვილი, შემდგომ საქართველოს და-
მოუკიდებლობისათვის თავშენიერი გმირი, რომლის 1919 წლის 10
ივლისის დღიურის ჩანაწერიდან ვიგებთ: „ყველაზე ძალიან აქ მომ-
წონს დათა აბაშიძე. მასთან ლაპარაკი შეიძლება იმ საგნებზე, რომ-
ლებიც საერთოა. ბაასი გვაქვს ყანწლებზე, თვითონაც ყანწელია.
კარგად აჯავრებს გრიშაშვილს. ბევრი ლექსი იცის მისი. ტიტე და პა-
ოლოც მოსწონს. ამისათვის კამათი გვაქვს ხოლმე. მე წინააღმდეგი
ვარ ფუტურისტებისა, ის კი მომხრე. ესლაც ველი, ნეტა მოვიდეს“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, დავით აბაშიძე ქართველ
სიმბოლისტთა თავგანისმცემელი ყოფილა. „თვითონაც ყანწე-
ლია“. სამწუხაროდ, მისმა ცისფერყანწულმა პოეზიამ ჩვენამდე
ვერ მოაღწია, გარდა „ახალგაზრდა ქართველის“ ფურცლებზე
გამოქვეყნებული ერთი ლექსისა და პუბლიცისტური წერილე-
ბისა. თუმცა ჯერ კიდევ 15 წლის ყმანვილობა ყურნალ „ნაკა-
დულში“ პირველი მსოფლიო ომის საშინელებებით შეწუხებულ-
მა იკითხა: „ნეტავ მზეს რა უხარია, რომ დაცურავს მალღა
ცაზე? შეიძლება ვერ გაიგო — ძირს რა ხდება ქვეყანაზე!..“

აი, მისი დიდი განცდით დაწერილი ლექსი „დატანჯული სიყ-
ვარული“:

ამ ჩემს გულში დავიგუბე, სიყვარული მე უსაზღვრო
როგორც სენმა, ისე ტრფობამ დამიმონა და შემიპყრო,
გრძნეულების ჯაჭვით შემკრა, სულს მიხუთავს
მძლავრი ტრფობა,
რა ვქნა, სატრფოვ, შენი თავი შენთვისაც კი არ მეთმობა.

დავიღალე ამ წრფელ გრძნობით, ველარ უძლებს ჩემი გული
ამას ჰქვიან, მხოლოდ ამას, ეგ უზომო სიყვარული,
თვით მზეზეც კი ვეჭვიანობ, ზედ რომ გაფრქვეს
თავის სხივისა
მთვარეც კი მძულს, თვითონ მთვარეც, რომ ის ბედავს
შენს ალერსსა.

და ეს გრძნობაც უსაზღვროა, ისე როგორც ოკეანე
და ისევე ანკარაა ვით მთის წყარო მოკამკამე,
დავიღალე ამ წრფელ გრძნობით, ველარ უძლებს ჩემი გული
ამას ჰქვიან, მხოლოდ ამას, ეგ უზომო სიყვარული.

1919 წლის შემოდგომას ალავერდობაზე დასასწრებად და
თელავში ლიტერატურული საღამოს ჩასატარებლად ენვია ქარ-
თველ მწერალთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: დავით კლდი-
აშვილი, კოტე მაყაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიცინა ტაბიძე, გი-
ორგი ლეონიძე და სხვები. როგორც ნინო მაყაშვილი-ტაბიძისა
თავის მემუარებში წერს: „ალავერდობის შემდეგ პოეზიის საღა-
მო გავმართეთ. ამ საღამოს ორგანიზატორი გახლდათ თელავე-
ლი პოეტი დათუნა აბაშიძე (ტიციანი და მისი მეგობრები, 1985).

როგორც მარო მაყაშვილისა და ნინო მაყაშვილი-ტაბიძისა
ჩანაწერებიდან ჩანს, მაშინვე დავით აბაშიძის მისამართით დამ-
კვიდრდა სიტყვები „თელაველი ცისფერყანწელი“, „თელაველი
პოეტი“ და დაიბადა ამ ორ ახალგაზრდას, მარო მაყაშვილსა და
დავით აბაშიძეს, შორის მეგობრობისა და პატივისცემის წმინდა
გრძნობა, რომელიც 1921 წლის თებერვლის 23-ში მეთერთმეტე
არმიასთან, კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე ოკუპანტებთან შე-
ტაკებისას ორივეს გმირული სიკვდილით დამთავრდა.

1921 წლის 23 თებერვალს ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებუ-
ლი იყო სამშობლოს თავისუფლებისადმი თავშენიერი ექვსი
იუნკრისა და ერთი ქალიშვილის ცხედარი. მათ მკერდზე გადა-
ფენილი ჰქონდათ ქართული სამფეროვანი დროშა. გვერდი-
ვერდ ესვენა ერთსა და იმავე დღეს დაღუპული მარო მაყაშვი-
ლისა და დავით აბაშიძის გვაგები...

25 თებერვალს, 12 საათზე, თბილისში, სამხედრო ტაძრის
ეზოში გაითხარა საძმო საფლავი, სადაც მოწინებით ჩაასვენეს
მაიორი არჯევან ანანიაშვილი, კაპიტანი ირაკლი თოიძე, იუნკ-
რები: ალექსანდრე ახვლედიანი, დავით აბაშიძე, პავლე იაკო-
ბიშვილი, პავლე ბუმკენაძე და იქვე მახლობლად, ცალკე საგანე-
ში მიუჩინეს განსასვენებელი მარო მაყაშვილს...

ასე რომ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუ-
პულ 26 იუნკერთა სიას ამშვენებს დავით აბაშიძის სახელიც.
სამწუხაროდ, დღეს მათი საძმო საფლავის კვალი გამქრალია,
მაგრამ შემორჩენილია ცნობილი ქართველი მხატვრის, პროფე-
სორ ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ შესრულებული საძმო
საფლავის მოწყობის ესკიზი — ფერებში ძეგლის საღმრთე-
ლო მასალების მითითებით: „თეთრი მარმარილო“, „წითელი
მარმარილო“, „ქვა ნაცრის ფერი, ზომა ადგილის მიხედვით“....

დღეს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს,
სამწუხაროდ, ასე დაგვიანებით ვიხსენებთ გმირ ჭაბუკს თელა-
ვიდან, დავით აბაშიძეს, რომელსაც თამამად შეეძლო ეთქვა პო-
ეტის სიტყვები: „ჩვენ ოციოდე გაზაფხული ვიკმარეთ მხოლოდ,
დანარჩენი კი სამშობლოსთვის შეგვინირია“...



ვალერიან სიდამონ-ერისთავი
საძმო საფლავის მოწყობის ესკიზი

ჯემალ ქირია

„იყავი ერთგული შენი მოწოდებისა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ძალიან პატარა ვიყავი. ჩვენი სახლის აივანზე ვიდექი და ხმამაღლა ვტიროდი — „მშია-ა!“ კუჭი მეწვოდა და მოთმინება გამიწყდა. ასე იყო თითქმის ყოველდღე. დედა უთენია პურზე მიდიოდა. დაღლილი, გასავათებული ნაშუადღევს ბრუნდებოდა, ყუამოჭრილ შავ პურს მოიტანდა და მომიტეხდა... თუმცა ეს არ იყო უკიდურესი გაჭირვება! სკოლაში მუდამ ჯღანი მეცვა, ფეხებზე ყველაზე იაფი ტილოს ფეხსაცმელი. ერთხელ ფეხი წყალში ჩამიცურდა და ვიხუმრე, კარგია, რომ ფეხსაცმელი პირდაღებულია, წყალი შევიდა, მაგრამ უკანაც ხომ გამოვიდა-მეთქი. ასე გავიზარდე — შიმშილი, ჩაუცმელობა, უფულობა მუდამ ჩემი თანამდევნი იყო... თუმცა არც ეს ყოფილა უკიდურესი გაჭირვება!.. სიყმანველის წლებში მთელი საბჭოეთი მოვიინანაღე, ჩინეთის საზღვარიც გადავლახე, მერე იყო ციხე, სტოლიპინის ვაგონი, წლების მანძილზე მძიმე, კაპიკიანი შრომა მშენებლობებზე... ესეც არ ყოფილა უკიდურესი გაჭირვება!.. ამაზე ბევრი მაქვს მოყოლილი ჩემს წიგნში — „მე, როსინანტი“... მერე იყო უნივერსიტეტი, სამსახური გამომცემლობაში, მცირე ხელფასი და სამშვილიანი ოჯახი... 70-იანი წლები, როდესაც დიდი ენთუზიაზმით ვწერე ჯერ ერთი, მერე მეორე რომანი და ავტობიოგრაფიული ნაშრომები და გამომცემლობების კარები... აი, მაშინ ვინწინე უკიდურესი გაჭირვება! გასაღები ვერ მოვარგე იმ ბოქლომს, რომელიც მწერლობის ოქროთი მოვარაყებულ კარებზე ეკიდა. ისე გამიჭირდა, სიცოცხლე მეზარებოდა. ამაზე დაწერე კიდევ წიგნი „მკვდარი სახლი“, ამბავი მწერალზე, რომელსაც სუიციდი გადაუწყვეტია და ჰადესში მოგზაურობს...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ოთხი წელი ვიცხოვრე აშშ-ში, არ მშვიდავ, არ მწყუროდა... ოღონდაც იქ სულ ინტერნეტში ვიქეებოდი, რათა სამშობლოს ამბებს არ მოვწყვეტოდი. მუდამ ქართველთა წრეში ვტირალედი, მაგრამ ნოსტალგია მაინც მხრავდა. ბუნება იქაც თვალწარმტაცი იყო, მაგრამ სამშობლო ხომ მარტო მთა-ბარი არ არის. მიხვდი, ქართული ენობრივი სამყაროს მიღმა ვერ გავძლებდი. ყოველი ქვეყნისა და ხალხის ავანჩავანი მაინტერესებს, მაგრამ მიჩვენია გაუსაძლისი ყოფა ჯერაც ვერგაბრწყინებულ საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— მწერლისთვის უმაღლესი ბედნიერება შემოქმედებითი წარმატებაა, ოღონდ ეს წარმავალია, რადგან მწერალი ეჭვით უყურებს საკუთარ ნახელავს და მუდამ ამხნევებს იმედი, რომ დღეს თუ არა ხვალ უკეთეს რამეს შექმნის. სამწუხაროდ, სიბერე მოდის და გული ეთანაღრება იმაზე, რომ შეეძლო უკეთესად ეწერა, მაგრამ არ გამოუვიდა... უმაღლესი ბედნიერება ალბათ სიყვარულია, მაგრამ მისი მწვერვალების დაპყრობა ყველას არ ძალუძს, ადამიანთა უმრავლესობა ვერასოდეს ახერხებს მის წვდომას. უმაღლესი ბედნიერებაა, თუ სამშობლო მართლაც გაბრწყინდება და შენს ირგვლივ იცხოვრებენ სახეგაციკროვებული ადამიანები... სამწუხაროდ, მე ამას ვერ მოვესწრები!

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ლიტერატურული პერსონაჟების მთელი არმია მუდამ თან დამდევს. უნაკლო ადამიანი, ქრისტეს გარდა, ალბათ არავინაა, და პერსონაჟი თუ უნაკლოა, ის ლანდივითაა... ერთფეროვანი და მოსაწყვეტ ნივთს ნივთს მივსება და ჰეკლბერი ფინი უფრო მიყვარდა, ვიდრე მარკ ტვენის ერთი მოთხრობის პერსონაჟი, რომელიც იმდენად უნაკლო და წესიერი იყო, მოკვდა კიდევ... საკუთარი ნივთების პერსონაჟები მივსებენ ჩემი ნათესავების, მე-

გობრების, საყვარელი ადამიანებისა და მტრების რიგებს... ცოცხლები მიდიან, პერსონაჟები კი მუდამ ჩემს გვერდით და ჩემში არსებობენ...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ისტორიულ პერსონაჟებს დიდად ვერ ვასხვავებ ლიტერატურული პერსონაჟებისაგან. ცნობილი სახეების რეალური ხატი მითებითა და ლეგენდებითაა შემოსილი. ცხადია, საქართველოს ისტორია სავსეა სახეებით, რომელთა გაცხენება სულს გვინათებს, მაგრამ ხშირად ეჭვი მიპყრობს, რომ არის თუ არა



ესა თუ ის პერსონაჟი ის, რასაც ტრადიცია გადმოგვცემს. ჩემთვის მაინც გამორჩეულია ის ადამიანები, ვინაც, ვთქვათ, იდეას შეენირა, მაგალითად, ჯორჯიანი ბრუნო, ანდა სამშობლოსათვის თავი ზვარაკად დადო, მაგალითად, დემეტრე თავდაგანებული ან თევდორე მღვდელი. საბედნიეროდ, ყველა ხალხისა და ქვეყნის ისტორია დასახლებულია ადამიანებით, რომელთაც სიცოცხლე არ დაიშურეს მამულისათვის და ზოგადად კაცობრიობისათვის...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, შემდეგ კი ვაშინგტონში დავათვალიერე იმპრესიონისტთა უზარმაზარი კოლექციები. თავს უფლებას ვერ მივცემ პროფესიულად ვიმსჯელო მხატვრობაზე. უამრავი წიგნი ნავიკითხე სახელგანთქმულ მხატვრებზე, უფრო რომანები. შემიძლია გავისხენო პატარა ასაკი, როცა მივიჩინე, რატომ მოსწონდათ ფიროსმანი, მაგრამ ასაკთან ერთად გავაცნობიერე მისი ღვთისმომადლებული ნიჭიერება.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— არანაირი მუსიკალური განათლება არ მიმიღია. საბრალო დედაჩემს ჩვენთვის ოღონდ პური ეშოვა და სხვას არას დაგიდევდათ, თუმცა თვითონ მშვენივრად უკრავდა გიტარაზე და მეგრულ სიმღერებს დამღეროდა... მე ინსტინქტურად მივისწრაფოდი იმ ამაღლებულისაკენ, რასაც კლასიკური მუსიკა გვზიარებს... მეტროპოლიტენ ოპერაში მოცარტის „დონ ჟუანი“ მოვისმინე... ცხადია, უამრავი საყვარელი კომპოზიტორის ჩამოთვლა შემიძლია (ვეროვის, რუსეთის, ამერიკის...), მაგრამ ქართულ მუსიკალურ სამყაროში ჩემთვის გამორჩეულია ზაქარია ფალიაშვილის ოპერები... ჯაზს, მძიმე როკს, ბლუზს ზოგჯერ ვუსმენ, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მათ დიდი ადგილი ნამდვილად არ უჭირავს...

— რომელი თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ღირსების გრძნობას, რაინდობას, უნარს — დაიცვას სუსტი და არ შეეპუოს თავისზე ძლიერ მოძალადეს... სამწუხაროდ, ჩვენთან უფრო თათქარიძობაა დაფასებული, კონფორმიზმი ცხოვრების წესია. ჩვენი მღვდლებით ხშირად გზას ვუხსნით უზნეოსა და ფარისეველს... მაღალი ზნეობა ზოგჯერ მცირე ქმედებაშიც გამოვლინდება. ერთხელ ცხოვრებული პოეტი ალუდა არაბული შემხვდა თავისუფლების მოედანზე. ერთმანეთი მოვიკითხეთ, ის კი უცვლელ მუშაობდა: ხომ იცი, წიგნის ბიზნესი ნამოვიწყე, პატარა ფულიც გამომიჩნდა, შენ თუ დაგჭირდა, აგერა ვარო... მძიმე, გაჭირვებული წლები იდგა!

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნოებას... მინახავს აფროდიტესავით ულამაზესი ქალები. ოღონდაც მათ მზერაში არც სათნოება იკითხებოდა, არც ინტელექტი... ჩემი მოწონებული ქალები არც კინოვარსკვლავები ყოფილან, არც მოედლები, მათ ქალური სათნოება ახასიათებდათ!

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— უნარი გიყვარდეს მოყვასი შენი! პატარაობისას მეზობლად დავრდომილი დედაბერი ცხოვრობდა — ძაკუ. უჭირდა

დამის ქოთნის გადაქცევა. არაერთხელ წამირბენინებია ჩემი-საკენ... ასაკში მყოფს დავრდომილი კიდევ ჩამიბანია და პამპერსიც გამომიცვლია... თურმე შემძლება! ამაზე ვნერ კიდევ ტექსტში „ნიგნი არაფერზე“.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— საინტერესო ნიგნის კითხვა... ამ დროს მე სხვა სამყაროში ვცხოვრობ. საბედნიეროდ, ყველა კარგი ნიგნის წაკითხვას ადამიანი თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრებს, მაგრამ ამის მცდელობა ბედნიერება!

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ნიგნი რომ ძალიან შემეყვარებოდა, მინატრია, ნეტავი ჩემი დანერვილი ყოფილიყო-მეთქი, მაგრამ მე ვარ და არასოდეს მინატრია სხვა ვინმე ყოფილიყავი, თუნდაც მსოფლიო გამორთავმირი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სირბილე... მიმტყვევლობა... აგრესიულიც ვყოფილვარ, მაგრამ წყენას მალევე ვივინყებ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ტოტალური პოლიტიკური ისტერიის დროს მეგობრები ერთმანეთს კარგავენ. ვაფასებ, რომ განსხვავებულ შეხედულებათა გამო მეგობარმა არ უნდა შემიძლოს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მორიდებულობა, სიმორცხვე... ამან ლიტერატურულ კარიერაში დიდი ზიანი მომიტანა... გარკვეული დროით კონფორმიზმიც... არაერთხელ მინანია, რომ იქ დავიხიე, სადაც საჭირო იყო შეტევა!

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლა ადამიანს ბედნიერს ვერ გახდის. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ძალზე მცირეა ბედნიერების წამები... ერთხელ უძღვები შვილი შინ დაგვბრუნდი. გაზაფხული იყო და ქუჩის ბოლოდან გაგვხედე ჩემს სახლს. ლობესთან უზარმაზარი მსხალი გვედგა. რუსეთის ღია ნაცრისფერის შემდეგ ღრმა ლურჯი ცის ფონზე გამოკვეთილმა მისმა სიხასხასემ თვალი მომჭრა. დღესაც ჩემში ცოცხლობს სამშობლოს ის განცდა... მრავალწლიანი წაწმენის შემდეგ უნივერსიტეტში სულ ტაშით ჩავიბრუნდი, რითაც საბრალო დედაჩემს ბედნიერი წუთები ვაჩუქე... მერე იყო შვილების გაჩენა, ერთის, მეორის, მესამის... მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ 1980 წელს ორი რომანი გამოქვეყნდა... მერე იყო ქვეყნის ნგრევა და დროშების ფრიალი. მწერლისთვის საოცნებოა დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ დამალა ოცი წლის განუწყვეტელმა ღრიანცელმა — „ჯოს!.. ჯოს!.. ჯოს!..“

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— იმპერიის უკანალში კვლავაც შეძრომა, რაც, სამწუხაროდ, სულაც არ არის გამოირცხული.

— როგორ გინდობდათ ყოფილიყავით?

— ერთხელ ცხოვრებულმა რევაზ თვარაძემ, რომელმაც „მარადი მხედარის“ რეცენზია დაწერა (ცოტათი ნავიტრებაზე: მან ჩემს ნიგნს „დიდებული“ უწოდა!), მკითხა: პერსონაჟს ჯუმა რომ დაარქვი, შენს სახელთან ხომ არ გააიგივეო. სიცილით ვუპასუხე: მე ცოტათი ჯუმაცა ვარ, ცოტათი კაჭუჭყაც, მაგრამ მზუჭაბუჯ ბედიაც ხომ ვარ-მეთქი. ისე, რაც ვარ, ისა ვარ, ჩემი მცირე ღირსებებითა და უამრავი სისუსტით.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— საქართველოს ლურჯი ცის ფერი და გაზაფხულის ხასხასა მწვანე...

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია-ია და ყველა დანარჩენიც...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შინ ორჯერ მყავდა მიმინოს მართვეები, უბრალოდ გადავარჩინე. ულამაზესები იყვნენ. გაუფუჭი... ბედურა, მერცხალი... რამდენი ჩამოვთვალეო?

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ლეგინი... მოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი... ადრე რუსებსა და ევროამერიკელებს უფრო ვკითხულობდი, მერე

ლათინოამერიკელებმა გამიტაცეს (ორი ნიგნი გამოვეცი მათზე), ახლა ისევ ევროპელები და ამერიკელები მომწონს... ბოლოს დეფი-გოგობედაშვილის „დემნა გედევანიშვილი“ მომეწონა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— აქაც ლეგინია... სულ ბოლოს ზაურ მოლაშხიას შესაბამისი ერთტომეული წავიკითხე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?

— ნესტან-დარეჯანი, ჯულიეტა და ოფელია, ნატაშა რასტოვა... ამათ რა ჩამოთვლის?

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— იმ ნევრასტენიულ ვითარებაში, რასაც დღევანდლობა გვთავაზობს, ძნელია გმირების გამოჩენა. გმირებია ის ჩვენი ბიჭები, რომლებიც ქვეყანას ისე შეენიერნენ, ღირსება ძირს არ დაუდგიათ. იქნებ 50 ან 100 წლის შემდეგ რომელიმე ისტორიკოსმა ამ ქაოსიდან ამოარჩოს ის ადამიანები, ვინც გმირული ცხოვრებით იცხოვრეს. დღეს კი, ამ ცნობადი ადამიანების გადაძვივებს, ავი და კარგი ვერ გავგვიჩვენებ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ჟანა-დ'არკი საფრანგეთში, ქეთევან დედოფალი საქართველოში...

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, მარიამი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუესა და პირმოთნეობას... მამულარობას...

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— შიტლერი, სტალინი, კანიბალი ბოკასა... საქართველოს მოლაპატებების ჩამოთვლა არ მინდა, რადგან მერე ხელი საპნით უნდა დავიბანო...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი!

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— მონობის გაუქმება... ყველა ის რეფორმა, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს მოძალადეთაგან.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— მუსიკალური ნიჭი, რომელსაც არა ვფლობ... ალბათ სპილომ ყურზე დამაბიჯა. თუმცა მგონია, რომ ჩემი ტექსტები გარკვეულ მუსიკალურ რიტმს ემორჩილება...

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ჩემს ასაკში იმის შანსი, რომ მტრის ტანკს ჩაეფუვარდე, მცირეა... არსებობს „ბედნიერი“ სიკვდილი. ბებიჩემი მინცა 96 წლისა კედლისაკენ შებრუნდა, მშვიდად დაიძინა და არც ვალვიძებია. ხანგრძლივი სიცოცხლის დროს ბევრ ახლობელს ვკარგავთ. დაე უფალმა მომცეს იმის უფლება, რომ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს გავასწრო და იქნებ სამშობლოს გამთლიანებას ცალი თვალით მაინც შევხედო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მარტოობის მტკივნეული განცდა.

— ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უცდომელი არავინაა! ვინც მოინანიებს, ის შემწყნარებელი იქნება. ვალს თუ ვერ დამიბრუნებს, ამისთვის ვერავის გავწინრავ.

— თქვენი დევიზი?

— იყავი ერთგული შენი მონობებისა. თუ მწერალი ხარ, კალამს ისე ემსახურე, სიყალბე და ფარისევლობა არ შემოგება. მეფის ნაგში ნუ ჯდებიო, ვინც ამას მოგვიწოდებს, სწორად თვითონ ჯდება იმ ნაგში.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— უფალო, რაზეც ვოცნებობდი, ყველაფერი ვერ განვახორციელებ, მაგრამ მადლობელი ვარ, რომ მომეცია საშუალება, მცირედი მაინც აღმესრულებინა!

დიმიტრი უჩანეიშვილი

არჩი და ქეთ

მოქმედი პირები:

არჩი — ახალგაზრდა მამაკაცი;
ქეთ — მისი მეუღლე;
ჯონ — მათი შვილი;
დეტექტივები.

მოქმედა I

სცენა I

(მდელო. ბალახზე ზის ქეთ. მის პერპენდიკულარულად წევს არჩი. თავი ქეთის კალთაში უდევს)

არჩი: არ მინდა შენგან წასვლა.
ქეთ: არ მინდა, რომ წახვიდე.
არჩი: შენთან მსურს, შენს გვერდით.
ქეთ: ჩემთან იყავი, ჩემს გვერდით.
არჩი: შენთან კარგად ვარ. სხვაგან არ მინდა.
ქეთ: კარგად ვარ შენთან.
არჩი: არ წავალ.
ქეთ: არ წახვიდე. *(პაუზა)*
არჩი: უსამართლოა სამყარო.
ქეთ: უსამართლო.
არჩი: არ შემძლია ვიყო იქ, სადაც მინდა.
ქეთ: იყავი იქ, სადაც გინდა.
არჩი: ძალიან მიყვარხარ.
(პაუზა)
ქეთ: მიყვარხარ ძალიან.
არჩი: მიყვარხარ. *(პაუზა)* სულ.
ქეთ: მუდამ.
არჩი: სხვაგან ცუდია.
ქეთ: სხვაგან არაფერია.
არჩი: შენ არ ხარ იქ.
ქეთ: მე არ ვარ და შენ არ ხარ.
არჩი: არ მინდა სხვაგან.
ქეთ: არსად.
არჩი: შენთან მინდა. მინდა გიყურო, როცა გძინავს და გიდარაჯო, რომ არაფერმა გაგაღვიძოს.
ქეთ: მინდა, რომ მიდარაჯო.
არჩი: მინდა ვხედავდე, როგორ იწევ თმას.
ქეთ: ხშირად ავინეუ თმას, რომ შენ დაინახო.
არჩი: მინდა, რომ მუდამ ასე იყო.
ქეთ: მუდამ ასე იქნება.
არჩი: კარგია ასე.
ქეთ: ძალიან.
არჩი: ძალიან კარგია.
ქეთ: კი.
არჩი: ეს ერთბაშად მოხდა.
ქეთ: უეცრად.
არჩი: როცა იქ დაგინახე, მეჯლისზე.
ქეთ: მეჯლისი იყო.
არჩი: მე შემთხვევით მოვედი. არავის ვიცნობდი.
ქეთ: მარტო იყავი.
არჩი: მერე შენ დაგინახე.
ქეთ: კედელთან იდექი, სივარეტს ეწეოდი.
არჩი: ყველა ცეკვაავდა, შენ მარტო იჯექი.
ქეთ: სკამზე.



არჩი: ზოლებიანი კაბა გეცვა, მუხლამდე.
ქეთ: მამის საჩუქარი.
არჩი: არა, მუხლს ოდნავ ქვემოთ.
ქეთ: მიყვარს ის კაბა.
არჩი: სხვას ვერავის ვხედავდი. არ მინდოდა სხვისი დანახვა.
ქეთ: მე შეგამჩნიე.
არჩი: დიდხანს გიყურებდი.
ქეთ: მე მიყურებდი. მერე ცრემლი წამოგივიდა.
არჩი: სიყვარულისგან.
ქეთ: კარგია სიყვარულის ცრემლი.
არჩი: არ ვიცი, რატომ. მერე ცრემლი შეწყდა.
ქეთ: აღარ ტიროდი.
არჩი: ის კაცი მოგიახლოვდა.
ქეთ: პროფესორი.
არჩი: მოკვლა მომინდა.
ქეთ: შენ ის მოკალი.
არჩი: დანა ჩავარტყი გულში. *(პაუზა)* ძალიან მიყვარდი.
ქეთ: სისხლი ასხამდა ჭრილობიდან.
არჩი: ბევრი სისხლი.
ქეთ: ის მოკვდა.
არჩი: სალამო იყო.
ქეთ: მერე დაღამდა.
არჩი: ჩვენ გამოვიპარეთ.
ქეთ: პოლიცია მოგვდეგდა.
არჩი: ვერ გვიპოვეს.
ქეთ: დავიმალეთ.
არჩი: კარგია, რომ ვერ გვიპოვეს. *(პაუზა)* მე მკვლელი ვარ.
ქეთ: შენ მე გიყვარდი.
არჩი: ძალიან.
ქეთ: ახლაც გიყვარვარ.
არჩი: ერთადერთი. *(პაუზა)* შენ ლამაზი ხარ.
ქეთ: მე შენთან ვარ.
არჩი: ყველაზე ლამაზი.
ქეთ: სულ შენთან ვიქნები.
არჩი: ყველაფერი წაიშალა, რაც მანამდე იყო.
ქეთ: წლები.
არჩი: შენმა სუნთქვამ შეავსო სამყარო.
ქეთ: შენთვის ვარსებობ.
არჩი: არ მინდა, რომ შეგეხო.
ქეთ: ჩემთან იყავი.
არჩი: რომ შეგეხო, ყველაფერი გაფუჭდება.
ქეთ: ნუ შემეხები.
(არჩი ქეთს უმზერს მცირე ხანს)
არჩი: წავიდე. შეიძლება მოგვაგნონ.
ქეთ: წავიდე.
(გაღიან. ისმის ნაწყვეტი სიმღერიდან „Cheek To Cheek“)

სცენა II

(იგივე სცენა. შემოდის ორი დეტექტივი. ორივეს შავი ფერის ტყავის ლაბადა აცვია, პირველს გრძელი, მუხლამდე, მეორეს — ოდნავ უფრო მოკლე, წელამდე)
პირველი დეტექტივი: *(ადგილზე მიანიშნებს)* აქ ისხდნენ. აი, აქ. ბალახია გათელილი.
მეორე დეტექტივი: *(სხვა ადგილზე მიანიშნებს)* იქაც გათელილია.
პირველი დეტექტივი: იქ არ ისხდებოდნენ. ნაკვალევი არ ჩანს.

მეორე დეტექტივი: ბალახი ახალი გათიბულია, დაბალ ბალახს კი ნაკვალევი არ ემჩნევა.

პირველი დეტექტივი: (ისევ იმ ადგილზე მიაინჟნებს) გეუბნები, აქ ისხდნენ-მეთქი!

მეორე დეტექტივი: შესაძლოა, მაგრამ შეიძლება სხვაგანაც.

პირველი დეტექტივი: ურწმუნო ხარ.

მეორე დეტექტივი: ნაკვალევი არც იქ ემჩნევა. (პირველ ადგილზე მიაინჟნებს)

პირველი დეტექტივი: ბალახი ისეა გათელილი, რომ, ცხადია, ვილაც იჯდა.

მეორე დეტექტივი: გეთანხმები, მაგრამ შესაძლოა იჯდა ვილაც სხვა.

პირველი დეტექტივი: სხვა აქ არავინ იქნებოდა.

მეორე დეტექტივი: არავინ იცის.

პირველი დეტექტივი: მე ოქსფორდში ვსწავლობდი იურისპრუდენციას.

მეორე დეტექტივი: ჩრდილოეთ ინგლისის წლის საუკეთესო კრიმინალისტად დამასახელეს.

პირველი დეტექტივი: ეგ არაფერს ნიშნავს.

მეორე დეტექტივი: იმდენივეს, რასაც შენი ოქსფორდი.

პირველი დეტექტივი: კარგი. ამას არ აქვს მნიშვნელობა.

უნდა დავედევნოთ.

მეორე დეტექტივი: მარცხნივ წავიდეთ, ტყის გავლით.

პირველი დეტექტივი: იქით არ წავიდოდნენ, იქ სოფელი არ არის.

მეორე დეტექტივი: სწორედ ამიტომ წავიდოდნენ, კვალის დასამალად.

პირველი დეტექტივი: ამ ადგილებს კარგად ვიცნობ. ორი დღის სავალზე წყალსაც ვერ მიაგნებენ.

მეორე დეტექტივი: მათ ეს არ იციათ.

პირველი დეტექტივი: მარჯვნივ ქალაქია. იქ შეეცდებოდნენ ხალხში გარევას.

მეორე დეტექტივი: ახალგაზრდები არიან, ტყეს შეაფარებდნენ თავს.

პირველი დეტექტივი: ღამით ტყის შეეშინდებოდათ.

მეორე დეტექტივი: ჩვენი უფრო ეშინიათ.

პირველი დეტექტივი: ეგ არაფერს ცვლის.

მეორე დეტექტივი: ძალიან ჯიუტი ხარ.

პირველი დეტექტივი: არანაკლებ შენზე. (პაუზა)

მეორე დეტექტივი: კარგი. მოდი ხურდა ავაგდოთ.

პირველი დეტექტივი: თანახმა ვარ (ჯიბეში იჩხრიკება და მონეტას იღებს).

მეორე დეტექტივი: მე ავაგდებ.

პირველი დეტექტივი: მეც ვიცი აგდება.

მეორე დეტექტივი: მაშინ რიგრიგობით ავაგდოთ.

პირველი დეტექტივი: კარგი. პირი — მარჯვნივ მივდივართ, სიქა — მარცხნივ. (ავადებს) შენი ჯერია. (მონეტას აწვდის)

მეორე დეტექტივი: სიქა. ხელმეორედ ავაგდოთ. (ანვდის მონეტას, პირველი დეტექტივი აავადებს მონეტას და უბრუნებს მეორე დეტექტივს).

მეორე დეტექტივი: (მონეტას ავადებს) ისევ პირი. რა გაენწყობა, მარჯვნივ წავიდეთ. (გადიან)

სცენა III

(ტყე. არჩი და ქეთ ერთმანეთის პირისპირ დგანან)

არჩი: დამავინწყდა, რაც მანამდე იყო.

ქეთ: ბნელოდა შენამდე.

არჩი: მშობლები. (პაუზა)

ქეთ: მშობლები.

არჩი: სკოლა.

ქეთ: პატარა და.

არჩი: მეგობრები.

ქეთ: სამი წლის.

არჩი: ძალი მყავდა.

ქეთ: დედა გარდაიცვალა.

არჩი: შოტლანდიური ნაგაზი.

ქეთ: უჩემოდ არ იძინებდა.

არჩი: ძალიან მიყვარდა.

ქეთ: ასე მეძახდა: "ქეთო!"

არჩი: შვილივით მყავდა.

ქეთ: ხელჩაკიდებული დავდიოდით.

არჩი: ჩემ ფეხებთან იწვა.

ქეთ: მის მეგობრებთან ვთამაშობდი.

არჩი: ერთ საჭმელს ვჭამდით.

ქეთ: ერთ დღეს ათასჯერ ვაკოცე. (პაუზა)

არჩი: ექიმობისთვის ვემზადებოდი.

ქეთ: ენჯი ჰქვია. (პაუზა) მსახიობი უნდა გავმხდარიყავი.

არჩი: თეთრი ხალათი.

ქეთ: მამას არ უნდოდა.

არჩი: მუცლის ღრუს ქირურგია.

ქეთ: ძალიან ვუყვარდი.

არჩი: ასისტენტები.

ქეთ: დავითანხმე.

არჩი: დიდი კაბინეტი.

ქეთ: ჩავირიცხე.

არჩი: საოპერაციო.

ქეთ: მიჭირდა სწავლა და პატარას მოვლა.

არჩი: ლექციები.

ქეთ: წარჩინებით ვსწავლობდი.

არჩი: სტუდენტები.

ქეთ: სამეფო თეატრი.

არჩი: წიგნები და სტატიები.

ქეთ: პირველი როლი.

არჩი: მაღლიერი პაციენტები.

ქეთ: მთავარი როლი.

არჩი: აღიარება.

ქეთ: წინ მივდიოდი.

(პაუზა)

არჩი: ღალატი.

ქეთ: მკვლელობა.

არჩი: ჩემი საცოლე ჩემს მეგობართან.

ქეთ: მამა.

არჩი: შურისძიების სურვილი.

ქეთ: სურვილი სისხლის აღების. (ხანგრძლივი პაუზა)

არჩი: ეს ყველაფერი გაქრა.

ქეთ: ნისლივით გაიფანტა.

არჩი: თითქოს არც ყოფილა.

ქეთ: თითქოს სხვისი იყო. (პაუზა)

არჩი: აღარაფერი მინდა.

ქეთ: არაფერი.

(არჩი და ქეთ ერთმანეთს უმზერენ)

სცენა IV

(დეტექტივები ტყეში)

მეორე დეტექტივი: მცირე ხანს შევისვენოთ.

პირველი დეტექტივი: დრო არ გვაქვს.

მეორე დეტექტივი: დავიღალე ტყე-ტყე სიარულით.

პირველი დეტექტივი: ასეთია ჩვენი საქმე.

მეორე დეტექტივი: ფეხები დამისველდა.

პირველი დეტექტივი: ტყე, მთა, ცა და მიწისქვეშეთიც კი.

მეორე დეტექტივი: სულ სველი ვარ.

პირველი დეტექტივი: კარგი, სულ ხუთი წუთით.

(მეორე დეტექტივი კუნძულზე ჩამოჯდება, ფეხსაცმელს გაიხდის, შემდეგ წინდება გაიძრობს და წურავს)

მეორე დეტექტივი: (სხვათა შორის) ცოტაც გაიხაროს.

პირველი დეტექტივი: ველარ გაიხარებს. ველარასდროს.

მეორე დეტექტივი: შესაძლოა იყოს ბედნიერი.
პირველი დეტექტივი: არა. იცის, რომ მივდევთ.
მეორე დეტექტივი: იმედი მაინც ექნება.
პირველი დეტექტივი: ალბათ, მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდება, რომ აუცილებლად შევიპყრობთ.
მეორე დეტექტივი: გჯერა.
პირველი დეტექტივი: დიდი გამოცდილება მაქვს.
მეორე დეტექტივი: ესე იგი, იცი.
პირველი დეტექტივი: მეტსაც გეტყვი. თვითონ ჩაგვბარდება.
მეორე დეტექტივი: თუ ასეა, შეგვიძლია აღარ ვდიოთ.
პირველი დეტექტივი: რომ არ ვდიოთ, ვერც შევიპყრობთ და არც ჩაგვბარდება.
მეორე დეტექტივი: ამდენი არ მესმის.
პირველი დეტექტივი: დრო მოვა და მიხვდები.
მეორე დეტექტივი: იმედი მაქვს.
პირველი დეტექტივი: აუცილებლად მიხვდები. *(პაუზა)*
 ადექი, ნავიდეთ!
მეორე დეტექტივი: *(დგება)* ნავიდეთ. *(გადიან)*

სცენა V

(ტყე. არჩი და ქეთ ერთმანეთის პირისპირ დგანან)

არჩი: ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი.
ქეთ: ჩვენ გრძნობა გვაქვს.
არჩი: ვიცით.
ქეთ: მაინც გვიყვარს.
არჩი: სხვები არ არიან ასე.
ქეთ: ერთად არიან ცალ-ცალკე.
არჩი: აღარ უყვართ.
ქეთ: ჩვენ ერთი ვართ.
არჩი: ორი გახდა ერთი. *(პაუზა)*
ქეთ: მათ უნდა დავემალოთ.
არჩი: შორს უნდა ნავიდეთ.
ქეთ: გადავიკარგოთ.
არჩი: სადაც არავინ იქნება.
ქეთ: მხოლოდ ჩვენ.
არჩი: მთაში.
ქეთ: მდინარესთან.
არჩი: სახლს ავაშენებ.
ქეთ: მე მოგეხმარები.
არჩი: ხეებს მოვჭრი.
ქეთ: ერთმანეთზე დავანწყობთ.
არჩი: გადავხურავთ, შიგ შევალთ და ვიცხოვრებთ.
ქეთ: ცეცხლს დავანთებ.
არჩი: მე ვინადირებ.
ქეთ: მე სადილს მოვამზადებ.
არჩი: ვითევზავებ.
ქეთ: ყოველდღე.
არჩი: ეს არ მოგვებურდება.
ქეთ: არასდროს.
არჩი: ტყის ყვავილებს მოგიტან.
ქეთ: პატარებს.
არჩი: ფოთლებს მოვაყრი ლოგინს.
ქეთ: სურნელი დადგება.
არჩი: შენს წინ ჩამოვჯდები.
ქეთ: დიდხანს ვისხდებით ასე.
არჩი: მთელი საუკუნე.
ქეთ: ერთმანეთის წინ.
არჩი: ამ დროს კარგად ვიქნებით.
ქეთ: ძალიან. *(პაუზა)*
არჩი: არავის ვესტუმრებით.
ქეთ: არავინ გვესტუმრება.
არჩი: მხოლოდ ჩვენ ვიქნებით.

ქეთ: ჩვენ მხოლოდ.
არჩი: მთაში ცივა.
ქეთ: ჩვენ არ შეგვცვივდება.
არჩი: შეიძლება საკვები არ გვექონდეს.
ქეთ: არ მეშინია.
არჩი: ჩვენ ერთად ვიქნებით.
ქეთ: მუდამ. *(პაუზა)*
არჩი: როგორც დღეს.
ქეთ: როგორც გუშინ.

სცენა VI

(დეტექტივები შემოდიან და საპირისპირო მხარეს გადიან რამდენჯერმე. სცენაზე ბნელა. ფარნები უჭირავთ და მიწაზე ანათებენ, ნაკვალევს ეძებენ)

სცენა VII

(სოფლის სახლი მთაში. ზამთარია. გარეთ თოვს. შემოდის არჩი. ქეთ ცეცხლთან ზის. ქსოვს)
არჩი: *(იღიმება)* ორი დღეა არ მინახიხარ.
ქეთ: ნადირობდი.
არჩი: მომენატრე.
ქეთ: მოდი, ისადილე.
არჩი: მინდა გიყურო.
ქეთ: თევზის წვნიანი მოგიმზადე.
არჩი: შენ მინდა გიყურო.
ქეთ: *(წამოდგება):* გაცივდება.
არჩი: დაჯექი.
ქეთ: არა უშავს, გავაცხელებ.
(ქეთ ჯდება. არჩი მის წინ ჩამოჯდება და უმზერს)
რამდენჯერმე გაცივდება, გავაცხელებ. *(პაუზა)*
არჩი: დღეს სოფელში გამოვიარე.
ქეთ: ნადირობის შემდეგ.
არჩი: ორი შავლაბადიანი უნახავთ.
ქეთ: *(შეცბუნებული)* დეტექტივები.
არჩი: ჩვენ გვეძებენ.
ქეთ: არ გვასვენებენ.
არჩი: არ მოგვასვენებენ.
ქეთ: უნდა გავმაგრდეთ. *(პაუზა)*
არჩი: უნდა ავიბარგოთ.
ქეთ: უკვე მესამედ.
არჩი: არ მინდა აქედან წასვლა.
ქეთ: შევეჩვიე ამ სახლს.
არჩი: კარგი სახლია.
ქეთ: აქ კარგად ვიყავით.
არჩი: არა უშავს, სხვაგანაც მოვენწყობით.
ქეთ: შევძლებთ.
(პაუზა)
არჩი: *(ოთახს მოაქვებს თვალს)* ნავიდეთ. დროა.
ქეთ: მზად ვარ.
(არჩი და ქეთ შეკრულ ფუთებს ზურგზე მოიკიდებენ და გადიან)

სცენა VIII

(სხვა სახლი მთაში. შემოდიან დეტექტივები)
მეორე დეტექტივი: შევცდით. სხვა სახლში ვართ.
პირველი დეტექტივი: ეგ არაფერს ცვლის.
მეორე დეტექტივი: ესენი სხვები არიან.
პირველი დეტექტივი: ესენიც შევიპყროთ.
მეორე დეტექტივი: არაფერი დაუშავებიათ.
პირველი დეტექტივი: ერთად არიან.
მეორე დეტექტივი: ეგ არ არის დანაშაული.
პირველი დეტექტივი: ნახე, როგორ უმზერენ ერთმანეთს.

მეორე დეტექტივი: ალბათ უყვართ.
პირველი დეტექტივი: მეც მაგას ვამბობ.
მეორე დეტექტივი: სიყვარული არ არის დანაშაული.
პირველი დეტექტივი: მაგას არ აქვს მნიშვნელობა.
მეორე დეტექტივი: უნდა ჰქონდეს.
პირველი დეტექტივი: ისინი ერთად არიან.
მეორე დეტექტივი: ეს ადამიანთა ჩვევაა.
პირველი დეტექტივი: სწორედ მაგ დროს სჩადიან დანაშაულს.

მეორე დეტექტივი: ჩვენ არ ვიცით, რა ჩაიდინეს.
პირველი დეტექტივი: თუ არ ჩაუდენიათ, ჩაიდენენ.
მეორე დეტექტივი: ეს მიდგომა არ მომწონს.
პირველი დეტექტივი: ასეთია კანონი. **(პაუზა)**
მეორე დეტექტივი: **(აღფრთოვანებით)** კანონი! ჩვენ კანონს ვემორჩილებით!

პირველი დეტექტივი: ჩვენ აღვასრულებთ კანონს.
მეორე დეტექტივი: ეს განაპირობებს წესრიგს.
პირველი დეტექტივი: წესრიგი უპირველესია.
მეორე დეტექტივი: ესე იგი, არაფერს შევცვლით.
პირველი დეტექტივი: ვერ შევცვლით. თუ ჩვენ არა, სხვა შეიპყრობს.

მეორე დეტექტივი: მათ შეიპყრობენ.
პირველი დეტექტივი: ჩვენებს ვერავინ გაექცევა.
მეორე დეტექტივი: ბედისწერა. **(პაუზა)** არა, გარდუვალაობა.
პირველი დეტექტივი: კარგი, გეყოფა! ჩვენს საქმეს მივხედოთ.

მეორე დეტექტივი: უკან უნდა დავბრუნდეთ.
პირველი დეტექტივი: მეორე გორაკზე.
მეორე დეტექტივი: ან პირველზე. შესაძლოა იქ იყოს.
პირველი დეტექტივი: **(დამაჯერებლად)** სადაც უნდა იყოს, ვიპოვით.

სცენა IX

(სოფლის სახლი მთაში. ზამთარია. გარეთ თოვს. შემოდის არჩი. ქეთ ცეცხლთან ზის. ქსოვს)

არჩი: **(იღიმება)** ორი დღეა არ მინახიხარ.
ქეთ: ნადირობდი.
არჩი: მომენატრე.
ქეთ: მოდი, ისადილე.
არჩი: ჯერ მინდა გიყურო.
ქეთ: ხორცის წვნიანი მოგიმზადე.
არჩი: მინდა გიყურო.
ქეთ: **(ნამოდგება)** გაცივდება.
არჩი: დაჯექი.
ქეთ: არა უშავს, გავაცხელებ.
(ქეთ ჯდება. არჩი მის წინ ჩამოჯდება და უმზერს)
რამდენჯერაც გაცივდება, გავაცხელებ. (პაუზა)
არჩი: დღეს სოფელში გამოვიარე.
ქეთ: ნადირობის შემდეგ.
არჩი: ორი შავლაბადიანი უნახავთ.
ქეთ: **(შეცბუნებული)** დეტექტივები.
არჩი: ჩვენ გვეძებენ.
ქეთ: არ გვასვენებენ.
არჩი: არ მოგვასვენებენ. **(პაუზა)** აქედან უნდა წავიდეთ.
ქეთ: დავილაღე გაქცევით.
(პაუზა)
არჩი: მართალი ხარ. **(პაუზა)** უნდა ჩაებარდე.
ქეთ: არ მინდა.
არჩი: უნდა მოვიშოროთ.
ქეთ: ასე არ მინდა.
არჩი: სხვა გზა არ არის.
ქეთ: ერთხელაც გავიქცეოთ.
არჩი: ვერ დავემალებით.

ქეთ: ველარ გნახავ.
არჩი: დავბრუნდები. **(პაუზა)** გპირდები.
ქეთ: არ ნახვიდე. **(პაუზა)** გთხოვ.
(არჩი ნამოდგება. შემოდის დეტექტივები)
პირველი დეტექტივი: არჩი! შენ დაპატიმრებული ხარ!
(არჩი ხელებს გაუნჯდის. მეორე დეტექტივი ხელბორკილს ადებს და არჩი გაჰყავთ. ქეთ ტირის)
ფარდა

მოქმედება II

სცენა I

(ოთახი ქალაქის ბინაში. არჩი და ქეთ მაგიდასთან სხედან, ერთმანეთის პირისპირ)

არჩი: მელოდებოდი.
ქეთ: შვიდი წელინაღი.
არჩი: ძალიან მიყვარდი იქ.
ქეთ: საკანში.
არჩი: მხოლოდ შენზე ვფიქრობდი.
ქეთ: ეს ძალას გმატებდა.
(პაუზა)
არჩი: ახლა აღარ ვფიქრობ.
ქეთ: რადგან დამინახე.
არჩი: გიყურებ.
ქეთ: ახლოს ზიხარ.
არჩი: გცნობ.
ქეთ: არ გნახულობდი.
არჩი: ასე ჯობდა.
ქეთ: მხოლოდ წარმოსახვით.
არჩი: კედელზე დაგხატე.
ქეთ: სიზმრადაც.
არჩი: ნახატის წინ ვიჯექი.
ქეთ: თითქმის ყოველ ღამე.
არჩი: თითქოს იქ იყავი.
ქეთ: ახლა აქ ხარ.
არჩი: მხოლოდ ვარ.
ქეთ: ჩემთან ხარ.
არჩი: ვერ ვგრძნობ.
ქეთ: დრო გჭირდება. **(პაუზა)**
არჩი: იქ მრავალი მოკვდა.
ქეთ: ნუ მიაქცევ ყურადღებას.
არჩი: ეს გადამწყვეტია. **(პაუზა)**
ქეთ: გზა უნდა მოვძებნოთ.
არჩი: სანამ შეგვიძლია.
ქეთ: ისევ ერთი უნდა გავხდეთ.
არჩი: გულით და გონებით.
ქეთ: ვერ ვფიქრობ.
არჩი: უნდა შევზარდოთ ერთმანეთს.
ქეთ: **(თავისთვის)** სწრაფად უნდა მოვიფიქრო, სწრაფად.
არჩი: ვაზის ტოტებივით.
ქეთ: **(თავისთვის)** სწრაფად, სწრაფად. **(პაუზა)**
არჩი: **(უცერად)** დავქორწინდეთ.
ქეთ: **(თავისთვის)** დრო არ არის.
(არჩი გახედავს და აღტაცებით წამოიძახებს) დავქორწინდეთ.
არჩი: ხეალღვე.
ქეთ: თანახმა ვარ.
არჩი: ცოლ-ქმარი გავხდეთ.
ქეთ: ასე შევძლებთ.
არჩი: ალბათ გამოგვივა.
ქეთ: ხვალისთვის დავგეგმავ.
არჩი: საბუთები გავამზადოთ.
ქეთ: ახლავე დავინწყებ მზადებას.

სცენა II

(დეტექტივები არჩის და ქეთის სახლის წინ გაივლიან რამდენჯერმე, ჯერ ერთმანეთის საპირისპიროდ, შემდეგ — ერთი მიმართულებით. საბოლოოდ კუთხესთან გაჩერდებიან, სივარეტს გააბოლებენ და საუბარს გააბამენ. ხმა არ ისმის)

სცენა III

(ოთახი ქალაქის ბინაში. არჩი და ქეთ მაგიდასთან სხედან, ერთმანეთის პირისპირ)

არჩი: ცოლი და ქმარი ვართ.
 ქეთ: ოდნავ შორს დაჯექი.
 არჩი: ვიცი, ვინ ხარ.
 ქეთ: ისევ ის.
 არჩი: ყველასნაირი. (პაუზა)
 ქეთ: აღარ მოგნონვარ. (პაუზა)
 არჩი: არა, აღარ მიყვარხარ.
 ქეთ: დიდი დრო გავიდა.
 არჩი: შეიდი წელიწადი და სამი თვე. (პაუზა)
 ქეთ: ნაკლები რომ მოესაჯათ
 არჩი: ამას მნიშვნელობა არ აქვს. მაინც ასე მოხდებოდა.
 ქეთ: არ ვიცი. (პაუზა)
 არჩი: შავლაბადიანები არსებობენ.
 ქეთ: შესაძლოა არ დაეპატიმრებინეთ.
 არჩი: ეს არაფერს შეცვლიდა. (პაუზა) ისინი არსებობენ. (პაუზა) ეს საკმარისია. (პაუზა)
 ქეთ: არ მიყვარხარ. (პაუზა) შინიდან არ გავსულვარ.
 არჩი: ახლაც აქ ხარ, მაგრამ სხვა.
 ქეთ: მე არ შევცვლილვარ.
 არჩი: ეს შენი ბრალი არ არის.
 ქეთ: ვიცი. (პაუზა)
 არჩი: მინდა უწინდელივით იყოს.
 ქეთ: ვცადოთ.
 არჩი: არ ვიცი, როგორ უნდა.
 ქეთ: შეიძლება გამოგვივიდეს.
 არჩი: სხვა ქალებიც არსებობენ.
 ქეთ: შენ მე გიყვარდი.
 არჩი: მხოლოდ.
 (პაუზა) ეს ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა.
 ქეთ: ახლა ჩვენ ვცადოთ.
 არჩი: ეს არ გამოგვიდის.
 ქეთ: ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს მაგრად.
 არჩი: ერთმანეთს. უცხოებმა.
 ქეთ: შეხვედრამდეც უცხოები ვიყავით.
 არჩი: ჩვენ არაფერს ვცდილობდით. ეს თავისთავად მოხდა.
 ქეთ: შესაძლოა ის წამი განმეორდეს.
 არჩი: ეს ერთხელ ხდება.
 ქეთ: იმ დღეებზე ვიფიქროთ და ვისაუბროთ.
 არჩი: მხოლოდ გასსენება წარსულის. (პაუზა. ქეთ ფიქრებშია წასული)
 ქეთ: (უეცრად) ბავშვი.
 არჩი: (ოდნავ დაბნეული) ბავშვი ბავშვი კარგია. (პაუზა) ალბათ.
 ქეთ: გავაჩინოთ.
 არჩი: შვილი.
 (ხანგრძლივი პაუზა)
 ქეთ: სიყვარული აღარ არის.
 არჩი: სიყვარული მოკვდა.
 ქეთ: ახლა უკვე შეძლებ შეემეხო.
 არჩი: ახლა შევძლებ.
 (არჩი ხელს ადებს ქეთს ხელზე. შუქი ქრება)

სცენა IV

(სხვა ოთახი ქალაქის ბინაში. ცარიელი. მხოლოდ ორი სკამი დგას. შემოდიან დეტექტივები)

პირველი დეტექტივი: აი, აქ დაჯექი, აქედან კარგად ჩანს. (ფანჯარაზე მიუთითებს)
 მეორე დეტექტივი: (ოთახს ათვალიერებს) მე იმ ფანჯრიდან ვამჯობინებ. (სხვა ფანჯარაზე მიუთითებს)
 პირველი დეტექტივი: კარგი, შენ იმ ფანჯრიდან უთვალთვალე. (პაუზა) მე თორმეტისთვის მოვალ და შეგცვლი.
 მეორე დეტექტივი: მგონი ფუჭად ვაკეთებთ ყველაფერს.
 პირველი დეტექტივი: ჩვენ არაფერს ვაკეთებთ ფუჭად.
 მეორე დეტექტივი: უკვე ორი წელიწადია ვუთვალთვალებთ და ახალი არაფერი ხდება.
 პირველი დეტექტივი: ის ბოროტმოქმედია, ადამიანი მოკლა.
 მეორე დეტექტივი: კანონის წინაშე მართალია.
 პირველი დეტექტივი: ამით არაფერი იცვლება.
 მეორე დეტექტივი: სასჯელი სრულად მოიხადა.
 პირველი დეტექტივი: (დინჯად) სასჯელის მოხდა შეუძლებელია. (პაუზა)
 მეორე დეტექტივი: თუ ასეა, მისი დაპატიმრება აზრს ჰკარგავს.
 პირველი დეტექტივი: შეუძლებელია ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვა.
 მეორე დეტექტივი: ჩვენ ის შევიპყარით.
 პირველი დეტექტივი: ასეც უნდა მოვცქეულებოყავით.
 მეორე დეტექტივი: (თავისთვის) გამოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ შევიპყარით.
 პირველი დეტექტივი: ეს გამოსასყიდად არ კეთდება.
 მეორე დეტექტივი: ვერაფერს ვიგებ.
 პირველი დეტექტივი: მისი მსხვერპლი არ გაცოცხლდება.
 მეორე დეტექტივი: ამას ბავშვიც მიხვდება.
 პირველი დეტექტივი: საქმეც ესაა. გამოსყიდვა რომ შეიძლებოდეს, დანაშაულს ისევ ჩაიდენდა.
 მეორე დეტექტივი: დანაშაული შეიძლება გამოსყიდვის გარეშეც ჩაიდინოს.
 პირველი დეტექტივი: გეთანხმები, მაგრამ გამოსყიდვის პირობით აუცილებლად ჩაიდენს.
 მეორე დეტექტივი: მგონი ვხვდები. ვუთვალთვალე, რათა იცოდეს, რომ სხვა დროსაც დააპატიმრებენ.
 პირველი დეტექტივი: სწორედ ასეა. და სხვამაც იცოდეს ეს.
 მეორე დეტექტივი: მაგრამ მან ეს უკვე იცის. ახლა მაინც დავანებოთ თავი.
 პირველი დეტექტივი: არ დავანებებთ. მხოლოდ ასეა შესაძლებელი დანაშაულის აღკვეთა. (პაუზა) მან უნდა იცოდეს, რომ უთვალთვალე. (პაუზა)
 მეორე დეტექტივი: (დაბნეული) თუ უნდა იცოდეს, გამოდის, რომ უნდა შევატყობინოთ.
 პირველი დეტექტივი: დიას, დროდადრო უნდა დავენახოთ.
 მეორე დეტექტივი: ეს თვალთვალი აღარ არის.
 პირველი დეტექტივი: (ხაზგასმით) ეს არის თვალთვალი.
 მეორე დეტექტივი: შესაძლოა დანაშაული არც ჩაიდინოს.
 პირველი დეტექტივი: მაგას მნიშვნელობა არ აქვს. დარწმუნებულებიც რომ ვიყოთ მის მომავალ უდანაშაულობაში, მაინც უნდა ვუთვალთვალოთ.
 მეორე დეტექტივი: მაშასადამე, დანაშაული ჩადენილი რომ არ ჰქონოდა, მაინც ვუთვალთვალე. (პაუზა)
 პირველი დეტექტივი: სწორედაც. ჩვენ ვუთვალთვალე და მან ეს უნდა იცოდეს. (პაუზა) კარგი, წავედი. თორმეტისთვის მოვალ.
 (პირველი დეტექტივი გადის)

სცენა V


(ოთახი ქალაქის ბინაში. არჩი და ქეთ მაგიდასთან სხედან, ერთმანეთის პირისპირ)

არჩი: ბავშვი გაჩნდა.
ქეთ: ჩვენი შვილი.
არჩი: ჩვენი შვილი ბავშვი.
ქეთ: ახლა უკვე სამნი ვართ.
არჩი: ზრუნვა.
ქეთ: მხოლოდ მასზე.
არჩი: ყოველდღიურობა.
ქეთ: ის ადამიანია.
არჩი: ჩვენ ვქრებით.
ქეთ: მასში ვერთიანდებით.
არჩი: მინაზე აღმოვჩნდი გართხმული.
ქეთ: სხვაგვარად ვერ ადგები.

(პაუზა)
არჩი: მე მიყვარს ის.
ქეთ: მასაც ეყვარები.
არჩი: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისთვის.
ქეთ: ის არის ჩვენი შანსი.

(პაუზა)
არჩი: ეს ხელოვნური გზაა.
ქეთ: მაგას ნუ მიაქცევ ყურადღებას.
არჩი: ყველა საშუალება არ გამოდგება.
ქეთ: მთავარია მოხდეს.
არჩი: ნაძალადევად არ გამოვა.

ქეთ: ჩვენ თავს არ ვახვევთ ერთმანეთს არაფერს.
არჩი: ვიბრძვით ამისთვის.
ქეთ: მხოლოდ ვცდილობთ.
არჩი: სხვისი მეშვეობით.
ქეთ: ეს ღია გამოსავალი.
არჩი: ისე აღარ იქნება, როგორც იყო.
ქეთ: ჩვენ უნდა ვცადოთ.
არჩი: გრძნობა აღარ არის.
ქეთ: შესაძლებელია მისი გაცოცხლება.
არჩი: მხოლოდ პასუხისმგებლობა.
ქეთ: შესაძლოა გრძნობაც.
არჩი: მკვდრები არ ბრუნდებიან.
ქეთ: ყველაფერი შესაძლებელია.
არჩი: დიდი რწმენა გაქვს.
ქეთ: ძალიან მსურს.
არჩი: სურვილი ჩემიც დიდია.
ქეთ: ეს კარგია. (პაუზა)
არჩი: მე რწმენა არ მაქვს.
ქეთ: უნდა დაიჯერო.
არჩი: ეგ არ შემიძლია.
ქეთ: თვალეები დახუჭე და მომენდე.
არჩი: მე ბევრს ვფიქრობდი.
ქეთ: ვიცი. (პაუზა) თუნდაც თავის მოტყუების ფასად.
არჩი: მე ყველაფრისთვის მზად ვარ, მაგრამ
ქეთ: შიში გაქვს.
(პაუზა)
არჩი: ის გაიზრდება.
ქეთ: ნუ იფიქრებ მაგაზე.
არჩი: მაინტერესებს, შემდეგ როგორ იქნება.
ქეთ: კარგად. (პაუზა) კარგად იქნება ყველაფერი.



მხატვარი პაქარ მარგველანი

სცენა VI

(დეტექტივები ოთახში)
მეორე დეტექტივი: არაფერი ხდება.
პირველი დეტექტივი: ხდება, შენ ვერ ამჩნევ.
მეორე დეტექტივი: ისინი მშვიდად ცხოვრობენ.
პირველი დეტექტივი: უკვე სამნი.
მეორე დეტექტივი: თავისთვის არიან, მყუდროდ.
პირველი დეტექტივი: არავინ იცის, როდის რა მოუვა თავში.
მეორე დეტექტივი: (გალიზიანებული) ამას უნდა ველოდოთ.
პირველი დეტექტივი: ეს არის შენი სამსახური.
მეორე დეტექტივი: დავილაღე.
პირველი დეტექტივი: შეგიძლია ნახვიდე. შენს მაგივრად სხვა მოვა. (პაუზა)

მეორე დეტექტივი: არც წასვლა მინდა. არის რაღაც მიმზიდველი ამ საქმეში.

პირველი დეტექტივი: მე გეტყვი. ნათქვამია, თვალთვალის მამაკაცის ბუნებააო.

მეორე დეტექტივი: ეგ არ ვიცოდი.

პირველი დეტექტივი: წარმოიდგინე, შეგიძლია ისეთი გაიგო ადამიანის შესახებ, რაც შენს გარდა არავის ეცოდინება.

მეორე დეტექტივი: (ინტერესით) დავუშვავთ.

პირველი დეტექტივი: ზოგჯერ ისეთი, რასაც ეს ადამიანი საკუთარ თავსაც ვერ უმხელს.

მეორე დეტექტივი: ჰმ, საკუთარ თავს ვერ უმხელს, მე კი მეცოდინება. ეს უკვე საინტერესოა.

პირველი დეტექტივი: ამასთან ერთად ის მსხვერპლია.
მეორე დეტექტივი: ჩვენი მსხვერპლი.

პირველი დეტექტივი: მეტსაც გეტყვი. თვითონაც იცის, რომ მსხვერპლია და ისიც იცის, ვისი მსხვერპლი.

მეორე დეტექტივი: (დაფიქრდება) ეს ძალიან მაგარია.
პირველი დეტექტივი: აი, ნახე. (ფანჯრიდან გაიხედავს. ხმაძალდა) არჩი, გამარჯობა!

მეორე დეტექტივი: ვერ დაგინახა.
პირველი დეტექტივი: არჩი! არჩი!

მეორე დეტექტივი: არ ესმის.
პირველი დეტექტივი: მშვენივრად ესმის. მან იცის, რომ აქ ვართ.

მეორე დეტექტივი: (აღტაცებით) მან უნდა იცოდეს, რომ აქ ვართ.

პირველი დეტექტივი: მუდამ აქ ვიქნებით.
მეორე დეტექტივი: მუდამ მის სიახლოვეს.

სცენა VII

(ოთახი ქალაქის ბინაში. არჩი და ქეთ მაგიდასთან სხედან, ერთმანეთის პირისპირ)

არჩი: გაიზარდა.
ქეთ: ჯერ ისევ პატარაა.
არჩი: მეთექვსმეტე წელიწადშია.
ქეთ: თხუთმეტის არის.
არჩი: მეშინია.
ქეთ: ისევ ბევრს ფიქრობ.
არჩი: სხვაგვარად არ შემიძლია.

სცენა IX

ქეთ: შენ არ ცხოვრობ.
არჩი: ვერ იცხოვრებ, თუ არ იფიქრე.
ქეთ: ნურაფერს მიაქცევ ყურადღებას. **(პაუზა)**
არჩი: ჩვიდმეტი, ოცი, ოცდახუთი
ქეთ: ოჰ, ნუ ამბობ მაგას.
არჩი: შესაძლოა მის მიმართაც იგივე მოხდეს.
ქეთ: **(პირფარის ინერს)** ღმერთმა დაგვიფაროს.
არჩი: ეგ ვერ გვიშველის.
ქეთ: სხვა არაფერი შემოიძლია. **(პაუზა)**
არჩი: მან ვერაფერი შეცვალა.
ქეთ: ეს მეც ვიფიქრე.
არჩი: მხოლოდ ჩადგა ჩვენს შორის.
ქეთ: გასაერთიანებლად. **(პაუზა)** ორივეს ჩაგვიკიდა ხელი.
არჩი: ჩვენ ვეღარ ჩაგვიკიდეთ ხელი ერთმანეთს.
ქეთ: ჩვენ ვცადეთ.
არჩი: ეს გადავაადება.
ქეთ: ჩვენ გვსურდა.
არჩი: ამისთვის უდანაშაულო გამოვიყენეთ.
ქეთ: მე მიყვარს იგი.
არჩი: ჩვენ მას უსამართლოდ მოვექცით.
ქეთ: მე დედა ვარ.
არჩი: ის არაფერ შუაშია.
ქეთ: შენც გიყვარს ის.
არჩი: მიყვარს.
ქეთ: მასაც უყვარხარ.
არჩი: შენსავით არავინ მყვარებია.
ქეთ: საპატრიმროში აღმოჩნდი.
არჩი: უსამართლოდ მოვექცით.
ქეთ: ნუ იდანაშაულებ თავს. **(პაუზა)**
არჩი: გუშინ შავლაბადიანებმა იკითხეს სკოლაში.
ქეთ: **(დამფრთხალი)** მას არაფერი დაუშავებია.
არჩი: ამას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს. ისინი ყველას-

ერთმანეთის პირისპირ)
არჩი: ეს მაინც მოხდებოდა.
ქეთ: არ მეგონა.
არჩი: იგივე მოხდებოდა ნებისმიერთან მიმართებით.
ქეთ: არ მეგონა ასე.
არჩი: იგივე მოხდება ნებისმიერთან მიმართებით.
ქეთ: ახლა უკვე მეც მჯერა.
არჩი: ეს ხდება.
ქეთ: ეს ასე ხდება.
არჩი: არ არის, რაც ყველაზე სასურველია.
ქეთ: გზა არ ყოფილა.
არჩი: მრავალი რამ ვცადეთ.
ქეთ: ერთმანეთი დავკარგეთ.
არჩი: ჩვენს შორის ერთი გაუგებრობაც არ მომხდარა.
ქეთ: ის მაინც შევინარჩუნოთ.
არჩი: ვერ შევძლებთ.
ქეთ: ამახ ვერ გადავიტან.
არჩი: როცა გრძნობა გაქრება, ტკივილიც თან მიჰყვება.
ქეთ: ამის წარმოდგენაც კი მზარავს.
არჩი: მხოლოდ ვალდებულება დაგვრჩება.
ქეთ: მზად ვარ ყველაფერი გადაკეთო.
არჩი: შესაძლოა ვალდებულებაც გაქრეს.
ქეთ: მე დედა ვარ.
არჩი: ჯერ.
ქეთ: არა. მუდამ.
არჩი: ის გაიზარდა.
ქეთ: **(სასონარკვეთით)** ის იზრდება.
არჩი: შავლაბადიანები.
ქეთ: ყველაფერი სასრულია. **(პაუზა)**
არჩი: ახლა აღარ ვიცი.
ქეთ: აღარც მე ვიცი. **(ხანგრძლივი პაუზა)**
არჩი: ჩვევა.
ქეთ: შესაძლოა. **(შუქი ქრება)**

სცენა VIII

(დეტექტივები ოთახში)
მეორე დეტექტივი: თხუთმეტი წელიწადია ვუთვალთვა-

პირველი დეტექტივი: ცოტა მეტი.
მეორე დეტექტივი: ასაკი მოემატათ.
პირველი დეტექტივი: ყველაფერი კანონზომიერად ხდება.
მეორე დეტექტივი: მას აღარ ჩაუდენია დანაშაული.
პირველი დეტექტივი: შენ ვერაფერს მიხვდი.
მეორე დეტექტივი: მე ის ვიცი, რომ თხუთმეტი წელიწადი ამ კაცს შევალიეთ.
პირველი დეტექტივი: ეს იყო ჩვენი მისია. **(პაუზა)**
მეორე დეტექტივი: თუ იყო, გამოდის, რომ მისია შესრუ-

პირველი დეტექტივი: ახლა უკვე ყველაფერი თავისთავად მოხდება. **(პაუზა)**
მეორე დეტექტივი: მიხვდვი. ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ მან იცოდეს.
პირველი დეტექტივი: სწორედაც რომ ასეა. გილოცავ, ამ სიტყვების შემდეგ შენ ჭეშმარიტი დეტექტივი ხარ.
მეორე დეტექტივი: გმადლობ.
პირველი დეტექტივი: არაფრის. **(პაუზა)**
მეორე დეტექტივი: მაშასადამე, აღარ ვუთვალთვალებთ.
პირველი დეტექტივი: ამის აუცილებლობა აღარ არსებობს. მან იცის, რომ მუდამ შორიანხლოს ვიქნებით.
მეორე დეტექტივი: მაშ ნავიდეთ!
პირველი დეტექტივი: ნავიდეთ! ლორდ თოლბოთის ქვრივსა და ვაჟს მივხედოთ.

მოქმედა III

სცენა I

(ოთახი ქალაქის ბინაში. სიღრმეში დგას გაზქურა, შუაზე — მაგიდა. კედელზე საათი ჰკიდია. კედელთან სავარძლები დგას. არჩი სავარძელში ზის. ქეთ — სხვა სავარძელში, მის პირდაპირ)
ქეთ: იშვიათად ვსაუბრობთ.
არჩი: იშვიათად.
ქეთ: თითქმის არ ვსაუბრობთ.
არჩი: ერთხელ ან ორჯერ დღეში.
ქეთ: მხოლოდ აუცილებელზე.
არჩი: უმნიშვნელოზე. **(პაუზა)**
ქეთ: “სადილი მაცივარშია.”
არჩი: “წვიმს.” **(პაუზა)**
ქეთ: ინერციით.
არჩი: დაძრული მატარებელივით.
ქეთ: რომელიც ჩერდება. **(პაუზა)**
არჩი: წარსული გვახსოვს.
ქეთ: ჯერ კიდევ. **(პაუზა)**
არჩი: შესაძლოა ასე სჯობდეს.
ქეთ: უკვე ასე სჯობს.
არჩი: არ ვანუხებთ ერთმანეთს.
ქეთ: ჩვენთვის ვართ.
არჩი: ცალ-ცალკე.
ქეთ: შენ — შენთვის, მე — ჩემთვის.
არჩი: ადრე სხვაგვარად იყო.

ქეთ: ერთმანეთისთვის ვიყავით.
არჩი: ახლა სხვაგვარად არის. *(პაუზა)*
ქეთ: ხანდახან ცვლილება ხდება.
არჩი: თითქოს გამოცდილება გავინწყდება.
ქეთ: ყავას მთავაზობ.
არჩი: უწინდელივით.
ქეთ: უწინ ყოველთვის ვსვამდი.
არჩი: ახლა აღარ სვამ.
ქეთ: არასოდეს მიყვარდა ყავა. *(ხანგრძლივი პაუზა)*
არჩი: მხოლოდ ეს არის განსხვავება.
ქეთ: ყველაფერი შეიცვალა.
არჩი: არაფერი შეცვლილა. *(პაუზა)*
ქეთ: მართალი ხარ. ეს ასე იყო.
(პაუზა) ჩვენ მივედით აქამდე.
არჩი: ადრე ვერ ვხედავდით.
ქეთ: ახლა ვხედავთ.
არჩი: ვიცით. *(პაუზა)*
ქეთ: აპათია.
არჩი: თითქოს ერთხელ უკვე ვიცხოვრეთ. *(პაუზა)*
ქეთ: საფიქრალი ქრება.
არჩი: მსუბუქად ვართ.
ქეთ: როგორც უხორცო სულელები.
არჩი: როგორც უნდა ვიყოთ.

სცენა II

(იგივე ოთახი. არჩი სავარძელში ზის. ქეთ — სხვა სავარძელში, მის პირდაპირ)
ქეთ: აღარ საუბრობ.
არჩი: არ ვიცოდი, რა მეთქვა.
ქეთ: იქ მე ვიყავი.
არჩი: ვერ ვგრძნობდი ამას.
ქეთ: მეგონა ახლა არ მოხდებოდა.
არჩი: მზერა შემეძლო.
ქეთ: მე ავად ვიყავი. მძიმედ. *(პაუზა)*
არჩი: მხოლოდ ვიცოდი ეს.
ქეთ: ყოველდღე მოდიოდი.
არჩი: უკლებლივ.
ქეთ: თხუთმეტი დღე.
არჩი: ვიცოდი, რომ უნდა მოვსულიყავი.
ქეთ: ზუსტად თორმეტ საათზე.
არჩი: ასე უფრო მიაღვივებოდა.
ქეთ: როგორც სამსახურში. *(პაუზა)*
არჩი: უცხო იყავი.
ქეთ: გელოდი.
არჩი: შენ უცხო იყავი.
ქეთ: შენი ცოლი.
არჩი: როგორც სხვისი.
ქეთ: არ მინდოდა ასე.
არჩი: მიჭირდა. *(პაუზა)*
ქეთ: ერთ დღეს ყვავილებით მოხვედი.
არჩი: არ ვიცე, რატომ.
ქეთ: მინდვრის ყვავილები იყო.
არჩი: კუთხესთან ყიდდა ქალი.
ქეთ: რაღაც გამახსენდა.
არჩი: მოხუცი ქალი იყო.
ქეთ: ეს დიდი ხნის წინათ მოხდა.
არჩი: კარგი დღეები გვქონდა.

საქართველოს ებრაელობა – მსოფლიო ებრაული კონგრესის ნაწილი.

ბუდაპეშტში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი მე-14 გენერალური ასამბლეა. ეს კონგრესი 1936 წლიდან არსებობს, როგორც მსოფლიოს ებრაელობის „დიპლომატიური მარჯვენა ხელი“, შუამავალი ებრაელობასა და სახელმწიფოთა მთავრობებს შორის. მისი მთავარი მიზანია ბრძოლა ანტისემიტიზმთან, ბრძოლა ისრაელის უშიშროებისათვის და სხვა. უკვე რამდენიმე წელიწადია კონგრესის პრეზიდენტი გახლავთ მილიარდერი **რონალდ ლაუდერი**.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ რონალდ ლაუდერი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ურბანი**, ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ა. ნემეტი**, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ისრაელთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის გადაეცა ნაჰუმ გოლდმანის მედალი, ისრაელის ინფასტრუქტურის მინისტრი **სილვან შალომი**, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **გვიდო ვესტერფალე** და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, მეცნიერები, პოლიტიკოსები.

მწერალ **გურამ ბათიაშვილის** წარდგინებით, მსოფლიოს ებრაული კონგრესის შემადგენლობაში მიღებული იქნა საქართველო. იგი კონგრესის წევრად მიიღეს ჩენეთთან, საბერძნეთთან, ყირგიზეთსა და ვენესუელასთან ერთად, ხოლო გურამ ბათიაშვილი, სხვა გამორჩეულ ებრაელ მოღვაწეებთან ერთად არჩეული იქნა მსოფლიოს ებრაული კონგრესის აღმასკომის წევრად-ვიცე-პრეზიდენტად. საქართველომ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ამჯერად მსოფლიოს ებრაულ სამყაროში.

ქეთ: მივხვდი, რომ უცხოვთან მოხვედი.
არჩი: უცხო. ეს არ მინდოდა.
ქეთ: ეს მოხდა. *(პაუზა)*
არჩი: ჩემს გამო არ მომხდარა.
ქეთ: არც ჩემი გამოისობით.
არჩი: ვიცე. ეს უბრალოდ ასეა. *(პაუზა)*
ქეთ: თანდათან ვრწმუნდები.
არჩი: ასე არ უნდა ხდებოდეს.
ქეთ: ასე არ არის სწორი.
არჩი: სხვაგვარად შეუძლებელია.
ქეთ: წესი ასეთი ყოფილა.
არჩი: გამონაკლისის გარეშე.
ქეთ: სხვაგვარი ცხოვრებაც არსებობს.
არჩი: მხოლოდ გრძნობა. ნამით.
ქეთ: ო, რა სასურველია ის ნამი.
არჩი: გრძნობა და ინსტინქტი.
ქეთ: დაუნდობელი ხარ.
არჩი: ეს სასაცილოა. მხოლოდ ნამი. *(პაუზა)*
ქეთ: ზღვართან ვართ.
არჩი: ზღვარს იქით. *(ხანგრძლივი პაუზა)*
ქეთ: *(ჩაფიქრებული)* გადავაბიჯეთ.

სცენა III

(იგივე ოთახი. ქეთ მარტოა)
ქეთ: აღარაფერია ხელმოსაკიფი. ყველაფერი განაცრისფრდა, ფოთოლი, ქვა, წყალი, მზე, ყველაფერი, რაც შეუქმნია ბუნებას ან ადამიანს. თვით ადამიანიც. ყველა. ის, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება. ველარ ვხედავ სახეებს, განმასხვავებელ ნიშნებს, მეჭექეს ლოყაზე, მელოტ თავს ან ჩაცვნილ კბილებს. აღარავინ არის სანდომიანი, არც ულამაზო ვინმე. აღარ არის სიახლოვე, სითბო და თანაგრძნობა. არ არსებობენ ნათესავეები, ოჯახის წევრები, მეგობრები, არც თანამემამულენი, არ არიან ნაცნობები და უცნობები. აღარავინ არის. ყველა ადამიანი ერთია, ყველა ადამიანი ასევე. მე ვარ უცხო, ნებისმიერი სხვა ადამიანი და ის უცხო არის ასევე ნებისმიერი ადამიანი და ა.შ. აღარ აქვს მნიშვნელობა, იყო, არის თუ იქნება ვინმე, იყო აქ თუ იყო შორს. აღარ აქვს ფასი სურვილებსა და ოცნებებს, ნამოქმედარსა და დაგეგმილს, რადგან ეს ყველაფერი ერთია და მასთან ერთად ერთია ადამიანიც. არა კაცთმოყვარეობა, არა ეგოიზმი. მხოლოდ ყოფა. ნამით.

სცენა IV

(იგივე ოთახი. არჩი სავარძელში ზის. ქეთ — სხვა სავარძელში, მის პირდაპირ. შემოდის ჯონ)
ჯონ: ნავედი. *(გადის. პაუზა)*
ქეთ: ნავიდა. *(პაუზა)* გვიანობამდე არ მოვა. *(არჩი დგება, მისი გაზეურასთან, ჩაიხიდან წყალს ასხამს ჭიქაში, დგამს ჩაიდანს გაზეურაზე და სავარძელში ბრუნდება)* გვიან მოვა. ალბათ თორმეტზე. *(პაუზა)* ან თორმეტის შემდეგ. *(პაუზა)* ან თორმეტამდე.
არჩი: ეს არ უნდა მომხდარიყო. *(თავს დააქნევს)* ასე აჯობებდა. *(გვერდზე გააქნევს თავს)* არ ვიცე.

პროფესიული გზის შეჯამება

ქეთ: შესაძლოა არ მოვიდეს. (კედლის საათს გახედავს) ცხრის ნახევარია.

არჩი: (სვამს) გაცივდა.

(დგება, მიდის გაზეურასთან, ჩაიდინდან წყალს ასხამს ჭიქაში, დგამს ჩაიდანს გაზეურაზე და სავარძელში ბრუნდება. სვამს)

ესეც გაცივდა. (ხანგრძლივი პაუზა. დგება, მიდის გაზეურასთან, ანთებს ქურას, დგამს ჩაიდანს და ბრუნდება სავარძელში. ყურნალს გადაშლის და ხმამაღლა კითხულობს)

ვეფხვი, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ცოცხლობს ათ-თხუთმეტ წელიწადს, კატა, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ცოცხლობს თორმეტ-ათოთხმეტ წელიწადს, ლომი, ასევე კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ცოცხლობს თექვსმეტ წელიწადს, ცხენი, ცხენისებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი, ცოცხლობს ოცდახუთ-ოცდაათ წელიწადს. (გაისმის ჩაიდინის სტვენა. არჩი დგება, მიდის გაზეურასთან, აქრობს, იღებს ჩაიდანს და წყალს ასხამს ჭიქაში. სავარძელში ბრუნდება. სვამს. აიღებს გადაშლილ ყურნალს და კითხვას განაგრძობს) აფრიკული სპილო ცოცხლობს დაახლოებით სამოც წელიწადს, ამაზონის თუთიყუში კი ოთხმოცამდე, დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ადამიანი. (პაუზა)

ქეთ: (ისევ საათს უშვებს) გაჩერდა. (პაუზა)

არჩი: რამდენსაც ადამიანი.

(ქეთ დგება, მიდის მაგიდასთან, გამოაჩრჩებს სკამს, მიიტანს კედლიდან, ადის სკამზე და საათს ქოქავს. ჩამოდის, დგამს სკამს მაგიდასთან და სავარძელში ბრუნდება)

ქეთ: მუშაობს. (არჩი და ქეთ რამდენიმე წუთს მდუმარედ სხედან)

არჩი: ორმოცდაორი. (პაუზა) უკვე.

ქეთ: წამი. (არჩი დგება, მიდის გაზეურასთან, ჩაიდინდან წყალს ასხამს ჭიქაში, დგამს ჩაიდანს გაზეურაზე და სავარძელში ბრუნდება. სვამს)

არჩი: ისევ გაცივდა. (ხანგრძლივი პაუზა. დგება, მიდის გაზეურასთან, ანთებს ქურას, დგამს ჩაიდანს და ბრუნდება სავარძელში. ზის მდუმარედ. გაისმის სტვენა. ისევ დგება, მიდის გაზეურასთან, აქრობს, იღებს ჩაიდანს და წყალს ასხამს ჭიქაში. სავარძელში ბრუნდება. სვამს)

ორმოცდახუთი, ორმოცდაათი, სამოცი. (პაუზა)

ქეთ: სამოცდაათი, ოთხმოცი. (პაუზა)

არჩი: რამდენსაც ადამიანი.

ქეთ: (საათს უშვებს) წამი. (არჩი და ქეთ რამდენიმე წუთს მდუმარედ სხედან)

არჩი: (ჭიქას უშვებს) ესეც გაცივდება. (პაუზა) მე ვერაფერს შევცვლი. (პაუზა)

ქეთ: (საათს უშვებს) ისევ გაჩერდება. (პაუზა) ვერაფერს შევცვლი.


(ხანგრძლივი პაუზა. არჩი და ქეთ ერთმანეთს უშვებენ)

არჩი: ჩვენ ვერაფერი შევცვალეთ. (პაუზა)

ქეთ: ჩვენ ვერაფერს შევცვლიდით.

სცენა III

(იგივე ოთახი. არჩი ზის სავარძელში. ქეთ — მის საპირისპირო სავარძელში. ორივეს პლედები აფარია მუხლებზე. ერთმანეთის გამჭოლ იმზირებიან რამდენიმე წუთს მდუმარედ. შუქი ქრება)



„ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“ ასე ჰქვია საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის წიგნს, რომელიც მაგთის ინიციატივით გამოიცა. წიგნი ორი წლის წინათ დაწერა ავტორმა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, დღის სინათლეზე ახლახან გამოვიდა. როგორც ავტორმა საზოგადოებას გაუშხილა, რამდენიმე კომპანიას სთხოვა წიგნის დაფინანსება, მაგრამ უმეტესობამ უარი თქვა, ზოგიერთმა კი პასუხიც არ აღირსა. სწორედ ამ დროს მაგთიმ თვითონვე შესთავაზა ავტორს დახმარება. ასე გამოვიდა ეს მშვენიერი გამოცემა. „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ ამ ლოზუნგით მაგთიმ უამრავი კეთილი საქმე სრულყო და მომავალშიც გვპირდებიან, რომ იდგებიან ქართული კულტურის სამსახურში.

მაგთიკლუბში გაიმართა თავყრილობა, სადაც მრავალი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე მიიპატიჟეს. გიგა ბათიაშვილმა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და თავის სიტყვაში გაახმოვანა: „ქართული არქიტექტურა და ზოგადად კულტურა რომ ევროპის ნაწილია, ეს აღმოჩენა არ არის. ჩვენ ვქმნით კულტურულ ღირებულებებს და ვართ ევროპული საქმის თანამონაწილენი“.

არქიტექტურა, როგორც ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები ავტორის სულის ამოძახილი და ანარეკლია. ანარეკლია იმ საზოგადოებრივი აზროვნებისაც, რაც იმხანად არის გამოკვეთილი. არქიტექტურაში ნათლად აისახება ქვეყნის კულტურული განათლების დონე და გემოვნებაც. გარკვეულწილად ის ქვეყნის საფიზიკო ბარათია. დღეს ჩვენ თუ საფრანგეთის ნახვა გვეურს, იმიტომ, რომ ვნახოთ ლუერი, ვერსალი, ეიფელის კოშკი. იტალიაში მოგზაურობაზე თუ ვოცნებობთ, იმიტომ, რომ ვნახოთ კოლიზეუმი, პიზა ან თუნდაც ვენეცია, რენესანსის ეპოქის არქიტექტურით. გვინდა ვნახოთ ჩინეთის დიდი კედელი და ბუკინგემის სასახლე, აია სოფია და თაჯ-მაჰალი, თავისუფლების ქანდაკება და კრემლი. მსოფლიო არქიტექტურის ფერხულში, რა თქმა უნდა, საქართველოც იყო ჩაბმული და წლების განმავლობაში მენდებოდა ევროპული სტილის შენობები. თუმცა ქართველ ოსტატთა მონაწილეობით ისინი მორგებულნი იყვნენ ქართულ გარემოს და მოდერნისტული შენობებშიც კი შენარჩუნებული იყო ქართული სული. ევროპულისა და ქართულის შერწყმით დაიბადა „თბილისური ეზო“. რომელიც დღეს ბევრის ინტერესის საგანი ხდება და დღედაღამის ღირსებაა. სამწუხაროდ, ბოლო ხანს ამენებულ მნიშვნელოვან შენობათა უმეტესობა ძალიანაა აცდენილი ქართულ კულტურას და სულიერებას. ეს ალბათ იმ აკვიატების „დამსახურებაა“, რომ ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა უცხოელი არქიტექტორების მიერაა დაპროექტებული, და ეს მაშინ, როდესაც ჩვენში უამრავი კარგი არქიტექტორი დაუსაქმებელია.

სწორედ ასეთი უძრაობის ხანაში, მაშინ, როდესაც ნაკლებად დაკავებული იყო არქიტექტორული პროექტებით, გიგა ბათიაშვილმა დაწერა წიგნი და, ისევე როგორც მთელი ცხოვრება, მიუძღვნა თბილისურ არქიტექტურას. გიგა ბათიაშვილი არის მონაწილე დღედაღამის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია — რეკონსტრუქცია. ამ პროგრამით 100-ზე მეტი საავტორო პროექტი განახორციელა. მისი ხელმძღვანელობით განაშენიანდა სიონის სახაპირო, განახლდა შარდენისა და დიუმას ქუჩები. მისი დაპროექტებულია მრავალი მნიშვნელოვანი შენობა, მათ შორის პრეზიდენტის სასახლე. თუმცა ოფიციალურ საიტებზე მის არქიტექტორში მიქეელ დე ლუკია მითითებული. წიგნი მთელი თავი ეთმობა თუ როგორ გაჩნდა იდეა პრეზიდენტის სასახლის და როგორ დაიწყო მისი მშენებლობა.

მთელი ერთუზიანობით შეუდგა საქმეს ჩვენი ღვანლმოსილი არქიტექტორი, მაგრამ ერთ დღესაც მშენებლობაზე აღარ შეუშვეს. მისი პროექტის განხორციელება კი იტალიელ მიქეელ დე ლუკის მიანდეს... შენობის დიდი ნაწილი გიგა ბათიაშვილის ავტორობითაა. ხოლო მიქეელ დე ლუკიმ იგი მოაპირკეთა. შეიძლება ვთქვათ, რომ იგი პრეზიდენტის სასახლის დიზაინერია. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გიგა ბათიაშვილს საავტორო უფლებები დაცული აქვს და სათანადო მტკიცებულებებიც მოეპოვება.

ავტორი საინტერესოდ გვიყვება საკუთარ პროექტებზე, მიღწევებსა და ურთიერთობებზე. იგი გასაგებად საუბრობს, ის ყველა ყვალასთვის. ამ წიგნის საშუალებით შეიძლება უცხოელებს გარკვეული მხედველებები შეექმნათ ქართულ არქიტექტურაზე. პრეზენტაციას ესწრებოდა არქიტექტორი ვახტანგ დავითაია. მან კოლეგას უწოდა დღევანდელი არქიტექტურის ლიდერი, რომელიც უამრავი ნიჭით არის დაჯილდოებული.

სიტყვით გამოვიდა წიგნის რედაქტორი, გიორგი ანთოვა. მან აღნიშნა, რომ ასეთი წიგნი ქართული არქიტექტურისთვის ნამდვილად დიდი მონაწილეა. ასევე ისაუბრა ბოლო დროს არქიტექტურაში არსებულ პრობლემებზე. „ამ ბოლო ხანს საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენეს იმ უგანო შენობების აშენებით, რაც თბილისსა და მთლიანად საქართველოში ნაშოჭიმეს. გამოცა დამოკიდებულებამ, რაც ძველ თბილისში გამოიჩინეს. დადგეს შენობები, რაც არ შეეფერებოდა ქალაქის იერს. მე ვიტყვი, საუკუნეთა განმავლობაში აშენებული ქალაქი შეურაცხველია. სწორედ ამ სიტუაციის გამო წუხდა გიგა და დაწერა ეს შესანიშნავი წიგნი, რომელიც ათვალსაჩინოებს თბილისურ არქიტექტურულ მოვლენებს“.

წიგნი მიიჩნევა არქიტექტორის პროფესიული გზის შეჯამებად, სადაც ბოლო ათი წლის ხუროთმოძღვრებაა შეფასებული. ეს არის წიგნი, რომელიც ბევრს დააფიქრებს ბოლოდროინდელ არქიტექტურაზე.

მეგი ქაჩაშვილი



იოსებ იარლანაშვილის ლექსები ცხოვრებიდან იღებს საფუძვლს, პირადი გამოცდილება განსაზღვრავს მის პოეტურ ცნობიერებას. ამიტომაც იტაცებს მორალურ-ეთიკური თემები, ადამიანური ყოფიერების ნარეული მოტივები: სიკეთე და ბოროტება, რწმენა და უსასოობა, სიყვარული და სიძულვილი, ერთგულება და მოვალეობა, ანგარება და სულგრძელობა, მორჩილება და ამბოხი. თუმცა მთავარი მაინც ფიქრია — ეს მოუხელთებელი არსი, ყველაფრის საწყისი, სამყაროს თავი და ბოლო, ღირსებისა და პიროვნულობის მტერიც და მოყვარეც.

პოეტური თვითგამოხატვის საშუალებად მეტაფორას იყენებს. მეტაფორას ეპითეტი იწყებს, როგორც შესავალი, მსაზღვრელი, რაღაც განუსაზღვრელისთვის; აქვეა რიტორიკული შეკითხვა, ნაგულისხმევი პასუხი, გახსნილი ფრჩხილები და ბოლოს, მკითხველისათვის მინდობილი სათქმელ-საფიქრალი: მრავალწერტილი. იოსებ იარლანაშვილს თავის პროზაულ კრებულში ასეთი რამ უნერია: „როცა ვწერ, ვცდილობ სათქმელი ისე გადმოვცე, მკითხველის წარმოსახვას საშოვარზე წასვლა არსად დასჭირდეს. დანაკლისს მხოლოდ იმდენს ვუტოვებ, რამდენიც მკითხველს წაკითხულის რეალურ ცხოვრებაში ან უკვე წანახსა და განცდილთან შედარება-გაიგივებასა და საკუთარი შტრიხების დასმისთვისაა აუცილებელი... მე მიყვარს სამწერტილი... იგი მემარება უშუალოდ მკითხველის წარმოსახვას მივმართო... სამწერტილი ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, ერთგვარი აღვირიცაა, მკითხველი არ გადავალალო და თავი არ მოვაბეზრო...“

პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე. ეს ცოტას არ ნიშნავს. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.

იოსებ იარლანაშვილი

* * *

დღე მიჰყვებოდა ლოდინის ურემს
ეტმასნებოდნენ ფიქრებს ღრუბლები.
გააფთრებულმა ეჭვის მსტოვრებმა
გააცამტვერეს სულის ზღურბლები.

ლამე მპირდება უძილო სიზმრებს,
თვალს ვერ მოვხუჭავ დილამდე, ალბათ...
გარეთ კი წვიმა – სველი ყორანი
სიმშრალეს კენკავს თუნუქზე ხარბად...

* * *

მეუღლეს

როცა მიდხარ და მტოვებ მარტო,
კედელზე რჩება სიტყვის მშვილდები.
ფიქრის ტუსალი ვბოლთავ ოთახში —
ამბოხებული ველარ ვმშვიდდები.

ახლა მე მტკივა ყოველი სიტყვა —
რაც ავი მითქვამს, ვიმორიელე...
თუ იცი როგორ სულს ანაფოტებს
ეს უშენობა — სიცარიელე!

სათქმელი მხოლოდ ერთილა მრჩება
(უნდა ალერსით სიტყვა შევფერო) —
რომ მომეფერო არ მინდა ისე,
ის უფრო მინდა — მე მოგეფერო!...

* * *

დიდხანს ველოდი ჩამოწვიმებას
დატყვევებული ხორშაკებს ვყავდი.
გარიდებული მდუმარე ხმაურს
თევზს — უდაბნოში დაგდებულს ვგავდი.

თითქოს გაუძლო ტკივილს იმედმა —
ცხელი ქვიშების დაფუსხლტი შანთებს.
სულიდან ხორცი ჩამოვიფერთხე
და შევეხიზნე ღრუბელთა ლანდებს.

ვერ გადავურჩი ამაოებას,
შინაარსი ვარ ან უკვე წარღვნის —
ფანჯრის მინაზე რადგან წვიმა ჩემს
იეროგლიფურ ტკივილებს თარგმნის.

* * *

საბას

შენამდე თურმე ცხოვრება ჩემი
ყოფილა ლუკმა, უფრო კი — ხემსი.
გაურითმავი ყოფნა-არყოფნა,
ღარიბი, როგორც ეს ვითომ ლექსი.
დღეს შენით არის ყოველი დილა —
თითო ღიმილით რომ მასაუზმებს,
გამოღვიძება უდრის სასწაულს —
გუშინდელ ტკივილს მინაზღაურებს.
ატიტინდები, მომიხმობ მამას,
მინდა ამ ხმასთან ერთად ვიასწლო.
ვინ დამიძახოს უფრო ლამაზად,
რომ დაძახებას მისვლა მივასწრო.
პატარა ხელი ჩაბლუჯავს ჩემს თითს,
ციდა ნაბიჯებს მივყვები თრთოლვით.
ნეტამც ვიდოდეთ და ვიყოთ ერთად
დღითა და ღამით, მზითა და თოვლით!
ყველა იმედი კვირტდება შენით,
ყოველი ფიქრი ძგერს კითხვით — ანი?!
ღმერთს ვევედრები, ცხოვრებამ შენგან
რომ გამოძერწოს მართალი კაცი!
მეტი რა გითხრა, ჩემო პანია,
ჩემს არსებობას ასე რომ შევნი?!
შენა ხარ ჩემი გულის ზარდახმა,
გასაღები კი სულია შენი!..

* * *

რამდენი უნდა ითმინო კაცმა,
რამდენჯერ კბილი კბილს დააჭირო?!
ისე მოგხვდება ზურგზე მათრახი,
თითქოს უთუოდ იყო საჭირო.
რამდენი ავი გაგწუნავს სიტყვა,
რამდენ დაცინვას დაუხრი დუმილს?!
„რისთვის?“ — ერთხელაც იკითხავ რიდით,
მაგრამ არავინ აიღებს ყურმილს.
სადღაც სიმდიდრე და ფული ზნეობს,...
ვიღაც დიდების მათხოვარია...
ადამიანის სული კი ვისთვის
კაცთა სიავის საძოვარია...
ამ ყიამათში სულ გავინყდება
საით მიდხარ და სად მოხვდები...
წუთისოფელი ფეხმძიმობაა...
დაიბადები... როცა მოკვდები!..

დუმილის საათი

სად გინდა იყო, როცა და როდის...
მოკლდება მხრებზე დროის მანტია.
კედლის საათი,.. საათი ქვიშის...
საათი მაინც ხომ საათია?!

იოლად ვფლანგავ სხვისი ფულივით...
ისარი მირბის, ისარი ცოცავს...
საათი თითქოს კითხულობს „როდის?!“,
მე კი პასუხი მაქვს მხოლოდ „როცა?!“.

ყველა ეს „როცა“, ყველა ეს „როდის“
ჩაივლის ციმციმ, დადგება უქმე.
საბრძოლისველო ჩემს ციფერბლატზე
ნაღმივით მელის ნიშნული „უკვე!“...

...ოდესმე ეს დრო დადგება მაინც,
წერტილს დაუსვამს უთვალავ წუხილს...
და შეერწყმება ჩემი სიჩუმეც
საუკუნეთა ნაგროვებ დუმილს...

* * *

დღეებს ტკივილის ვანყობ მორებად
შემას ვაპობ და ახალ ხეს არ ვრგავ.
ასე ცხოვრებას აბა რა ჰქვია?! —
ვალეებს ვაგროვებ,.. მეგობრებს ვკარგავ!..

ბევრი გროვდება ოხერტიალი —
ვალი კაცობის! მშობელის! შვილის!...
თქვენ რომ გგონიათ თითქოს არ მახსოვს,...
რომ მახსოვს, მიტომ თავს ვუხრი ტკივილს!

რამდენჯერ ვნებები ცრემლის საფლავში,
მზერას მაყრიან ბელტებად მწარეს...
ისე შევცქერი საკუთარ ყოფას,
თოვლიან ღამით მგელი რომ მთვარეს...

ჩემი ცხოვრების ხეზე ფოთოლი
შემოდგომაზე ჩურჩულებს უკვე
ამოსუნთქვაზე უფრო ხანმოკლე
ფოთლის სიმწვანე ყოფილა თურმე...

ბოლოს დადგება ჭალარა ზამთრის —
ტოტებს დაანვენს დიდი წაღობა...
და მერე თქვენი სულის ბუხარში
ვენთები, როგორც დიდი მადლობა!..

* * *

არაფერს იმდენს არ ხარჯავს კაცი
რამდენსაც სიტყვას ნაფიქრს და ნათქვამს.
ნახარჯი მხოლოდ ჯამდება მაშინ,
როცა ყველაფერს დუმილი შთანთქავს.

არ გვეწუთხება სიტყვა არამი
პირზე ყალბ ღიმილს რომ გვადებს ხუნდად
ან კიდევ, ხშირად გამოწვდილ გრძნობას
ღვარძლიან სიტყვას რომ ვუგდებთ ხურდად.

და ასე დაღამ-გათენებაში
სული მძიმდება ავის დაღეკით...
ბოლოს ძალიან გვიან ვხვდებით, რომ
უნდა გვეცხოვრა კარგით — რაც ვერ ვთქვით!...

ისე კი ჩემიცი სიტყვა თუ სხვისას
დაჯაბნის შხამით სულშიფათურა —
ვეზედმეტები ამ წუთისოფელს
ვით ანთებული დღისით ნათურა...

* * *

ლილეს

შენა ხარ ნერგი, თოთო ყვავილი
ჩემს არსებობას სხივად რომ ერთვის.
ხრიოკ მინაზე წვიმად დაგწვები
წყალში ვიქნები ხმელეთი შენთვის!

შენა ხარ ფიქრი — სუფთა, სპეტაკი,
რომ ასაზრდოვებ იმედის ფთილას!
მე კი ვიქნები ის ღამისთევა,
სულს რომ ჩაბერავს ცისმარე დილას!

შენა ხარ ლექსი, ხოტბა, მუსიკა —
მსგავსი ვერ მითხრას ლეგენდამ, მითმა...
მე კი მახარებს თუნდაც რომ ვიყო
დანუნებული ათასი რითმა!

შენ ხარ დროება და საუკუნე,
მარადისობა, დღეებს რომ მითვლი.
მე კი უმცროსი მონა-ისარი
წრე-ციფერბლატზე ვიგუთნებ, ვივლი!
შენა ხარ ნერგი, თოთო ყვავილი
ჩემს არსებობას სხივად რომ ერთვის.
მე კი ვიქნები საზრდო ყამირი
და მივეკვრები ბარისპირს შენთვის...

* * *

თენდება, დაიწყო მამლები ოპერა,
ძალღებმაც ჩვეული სიმღერა იმღერეს...
ფხიზლდება სოფელში ნაწოლი ღამე —
მიდის და მიათრევს დაჭმუჭნულ სიბნელეს.

ნათდება ნელ-ნელა და ჩნდება სოფელი,
შიშველი ხე მოჰგავს სიჩუმის მცველს.
დღე მოდის, ედება ფერები ხალასი
ცარიელ ეზოებს და სახლებს ძველს...

* * *

ღამე მოვიდა ჩუმად,
შეუმჩნევლად —
როგორც გადაღლილი კაცი...
ძველი თეთრი ქუდი
ცაზე მიაკიდა —
ბავშვებს რომ ეგონათ... ცარცი...

იქნებ ჩამამდე ნათქვამი

დაუნდობელი მტერი ყველაზე
ფიქრია ჩემი —
უბინძურესში გადავუგდივარ
ბევრჯერ ნაგავში...
რამდენიცაა ოქრო და ვერცხლი
ამქვეყნად ყველას
გადავიხდიდი დაუნანებლად
ფიქრის ლაგამში!...



პოეტის ერთი ლექსი. ერთი შეხედვით, ცოტაა, მიუსაფარია, როგორც ბავშვი ტყეში, მაგრამ, ამავე დროს, სრულია, ბევრის დამტყვია, როგორც ყველა ერთი, როგორც საერთოდ ერთი.

ერთმა ლექსმა უნდა თქვას ყველაფერი ან არაფერი. ერთი უნდა იყოს ყველას შემცველი, ყველას მეტაფორა, დამტყვი, გამაიგივებელი. სხვანაირად რა აზრი აქვს ერთი ლექსის გამოტანას, ნაკითხვას, შეგრძნებას, გაცნობიერებას.

ნელი ბატიაშვილი, როგორც პოეტი, როგორც შემოქმედი, როგორც თავისი თავის მცნობელი მწერალი, ამ ლექსში ჩანს. „ბავშვი და ტყე“ — ეს არის ჭეშმარიტი შთაგონებით დაწერილი პოეტური ავტობიოგრაფიკული, რომლის თითოეული დეტალი, თითოეული შტრიხი, თითოეული ხაზი ნათელი იშვიათი უნარის მეშვეობით არის შექმნილი.

ბუნების გასულიერება ჩვენთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ არის ამ ცდაში რაღაც საგულისხმო, რაღაც ისეთი, ოსტატობის გარდა, გამოცდილება, გემოვნება და მახვილი თვალი რომ ესაჭიროება. სხვაგვარად შეუძლებელია ბავშვის შეურყვანელი ინსტინქტით აღმოაჩინო და გააცოცხლო გარემომცველი სამყარო, იდეა საგნად აქციო და არსებობის აზრი შთაბერო ხილვებს, რომლებიც შენ მიერ მიგნებული სიტყვებისგან შედგება.

სინამდვილე წვეთია ჭეშმარიტებისა და ამიტომ აქვს ძალა ურყევი, შთამბეჭდავი, დამარწმუნებელი. ნამდვილობის თვისებაა გაგახსენოს, დაგაფიქროს, დაგისაბუთოს ის, რაც იცი, რაც იცოდი, რაც გნამდა, რომ სრული რეალობა იყო იქ, იმ დროს, როდესაც იყავი ბავშვი — მარადიულობის მეუფე, ნამდვილობის შვილი.

ნელი ბატიაშვილი

ბავშვი და ტყე

შერწყმული ხმების
ეს იყო ჟღერა,
საცხოვრებელი, —
საერთო კერა,
ვხედავდი, როგორ მოძრაობდა
ფეხების გრაგნილთა წყება,
თავდაღწეული მიწის მაგიას,
ჭიანჭველათა უწყვეტობის შეუპოვრობა
ჯიუტად მოარღვევდა წყვიდადს.
უძველესი სამალავის შესახებ მიყვებოდა,
სადაც ნამდვილად ინახებოდა
ჩვენი გვარ-ტომის სანათესაო გენეალოგია.
ხოლო ტყის ნატიფი რხევა,
გრაფიკულ შტრიხებად
კვალს რომ ტოვებდა
სიმაღლეთა სიუცხოეში,
ერწყმოდა ჩემი სურვილების
ნაზ ფურცელთა შეფრთიანებას...
ჩანოლილი ნემომპალის ჭიათა ომში,
ობის სუნი რომ ასდიოდა,
ვუთვალთვალედი ხავსს,
რომელიც
ხის მერქანზე აცოცებული
მწვანე ხავერდს აფოფინებდა.
მე ისე ახლოს ვიყავი წყალთან,
ღელეში რომ მიწკმუტუნებდა,
როგორ ფრთხილობდა,
თითქოს პირველ ნაბიჯებს დგამდა
თითქოს პირველი კვალი გაჰყავდა
უცხო ლოდების სიელვარეში.
ჩამირბენია
და როგორც ბალახს,
მდუმარეს, უთქმელს,
მაგრამ ჩემსავით
მწყურვალს,
მოთენთილს,
ჩამიყრია მასში მკლავები.
— სიფრთხილე გმართებს,
მთლად შეგინოვს ხახამშრალი მიწა, იცოდე...
— განა მართო ვარ,
უკან, ნახე, რამდენი მომდევს...
ბუზანკალები...
რეჩიტატივის მათი წრიალი

აგრძელებს მოთქმას, —
— ჭრიჭინობელა გამოიჭირეს
მონამორჩილის სახლიკაცებმა,
ჭიანჭველებმა.
— ჭრიჭინობელა?
— ნაათრიეს მოუსავლეთში,
გული მიკვდება.
— უნდა გენახა, როგორ იბრძოდა...
ისიც მოხდა,
მანანნალა მურას თვალებმა შემომანათა.
რატომღაც მაყვლის ბუჩქებს უყვებდა,
არც გაიძვერა ჭინჭარი უყვარდა.
— არ გაეკაროო, — მკაცრად მაფრთხილებდა.
მან კი, ვერაგმა,
ჩასაფრება ისეთი იცოდა,
მაინც მსუსხავდა...
მინდვრებსაც ვიცნობდი,
ჩაფშენტილებს ტყეთა სიღრმეში,
ქარს ეხვეწებოდნენ, —
მოგვაშორეო ნისლთა ფთილები,
დაანახეო მოსულ სტუმარს
მშვენიება ჩვენი.
ქარიც, რა თქმა უნდა, არ დააყოვნებდა,
ურჩებს შერეკავდა ტყეში.
ელავდა ბალახი,
ასხმული ნამით,
ხოლო ორნამენტი,
ყვავილით ნაძერწი,
მრავალი ფერის ერთადყოფნის
სასმელით მთვრალი,
შემომციცინებდა თვალეში.
მინდვრის გადაღმა
თვლემა ერეოდა ბუჩქნარს, მოთენთილს,
ძირებში
ობობას ქსელი უელავდა
ნაქსოვი ვერცხლით.
მე, ძაღლით მკერდში,
ტკიპებისათვის ვიცლი,
იცინ მიყრა ყურისძირებთან
მსმელებმა სისხლის...
მაგრამ ქარი, რისი ქარია,
მაღევე ჩადგეს
მინდვრის თხოვნას
არაფრად აგდებს,
ბუჩქნარს ისე აუფრიალებს
მშვენიერ სიზმრებს,
აცეკვებული ბოშა ქალების

კაბებს ამგვანებს.
 შეჭრილი ტყეში,
 ალიაქოთს ასტეხს,
 მტვრის კორიანტელში ახვევს
 მინდვრის სიხასხასეს,
 ორნამენტს აგლეჯს
 ფერთა სიმრავლეს,
 ობობას ქსელს კი ვერაფერს აკლებს.
 ნაცრისფერი ერევა შემოგარენს.
 — იქნება თავსხმა, ნავიდეო მალე, —
 წრიალებს მურა და მასთან ერთად
 ბინდში ჩაკარგული არე.
 წვიმასთან ერთად
 შემოდის ღამე,
 ფერდაკარგული, ნაზი საცეცებით მაჩერებს,
 ჩორთით ეშვება მურა დაღმართზე,
 უკან-უკან იყურება,
 თვალს მადევნებს,
 არ მიმატოვებს.
 წვიმა კი უმტვრევს ღამეს საცეცებს,
 უგლეჯს ძაძებს,
 აელვებს თვალებს,
 დავლურს აცეკვებს,
 რასაც ნაანყდება, ყველაფერს.
 ჭიაღუები ყველაზე მეტად მედარდება,
 წყალი ამოუვსებს საცხოვრებელს...
 მოდიდებული ღელე,
 აჩქარებული,
 აქაფებული,
 ამღვრული,
 გაბრაზებული,
 — სად მოაგროვე ამდენი შლამი...
 — გაიარე, — სიტყვა აქვს ავი.
 ღამეს კი უჭირს ჩემთან დამორება,
 საუბარი ენატრება.
 — ნუ აჩერებ, — ისევ ყეფს მურა, —
 დაირტყამს ათასგვარ ანთებას,
 წვიმაში ყველა ეტანება თავშესაფარს...
 მურამ იცის,
 კიბის ქვეშ უნდა შეძვრეს,
 მე ვიცი, ამიჭრელებენ ფერდებს...
 — ამდენ ბავშვებში ერთი მაინც ვერ გაიცანი?
 გამომეკითხა შენი ამბავი...
 მე კი მხოლოდ ღამე მალეღვებს,
 ვერ უმკლავდება ნიაღვართა
 და ელვათა
 აღვირახსნილ ტანდემს,
 გალახული
 და მაინც გრძნეული
 იფშენეტს ატკიებულ თვალებს,
 ჩემს კიბეზე, ხელისცეცებით,
 ცდილობს ჩამოჯდეს
 და მოაჯირს ჩააფრინდეს
 სველი ხელებით...
 — შენი ტოლები სექტემბერში სკოლაში წავლენ,
 წერა-კითხვა ისწავლეს ადრე,
 ვის დაემსგავსე...
 მე კი მესმის,
 როგორ იკლო წვიმამ,
 ფანჯარა გავლო მინდა,
 გაეხედო ღამეს...
 — მგელი გამოგიჭერს სადმე

ველურს სკოლაში ვინ გააჩერებს,
 ნამდვილად გამოგადგებენ...
 გამთენიისაც,
 როცა დედას ეძინა ჯერაც,
 კალთას ვიმარჯვებ
 და შიგ ვყრი ყველაფერს,
 ჭამა ძალსაც ხომ სჭირდება...
 ინრიტება გრძნეულება ღამის,
 ძონძებად ფრიალებს ქარში,
 დღის მოლოდინში
 მიწულ-მოწეულან მთები,
 არ ექცეს მხარი, —
 შუქს დაანახონ კვალი.
 ჩიტყვით ფრთხილებს ბალახი,
 ბარტყით სულსწრაფმა
 ყვავილმა წამოყო თავი,
 ნემომპალა დაბურცულა ალაგ-ალაგ,
 სოკოს უპოვია სახლი.
 დამძიმებულმა წვიმით
 ფოთოლმა დაიბერტყა ტანი,
 ღელეში წყალმა გააყოლა
 თავისი ელამი თვალი,
 ხვნეშით და ბრაზით,
 კალაპოტს, ირიბს,
 ალმაცერად უელავს
 მოდიდებული,
 ამღვრული ტანი,
 ფრინველმა ნაიჭივყივა
 და მაშინვე დადუმდა,
 თითქოს ვერ შეარჩია წამი,
 კოდალა აკაკუნდა,
 როგორც მოწოდება,
 გაცილებისთვის ღამის...
 მუხამ შეარხია თავისი ბანი,
 შორიდან ხმას უწყობს
 წიფელა ნაზი,
 ტირიფთა სიმრავლეს ახალისებს
 მოდიდებული წყალი,
 ინყეს ჭარტალი...
 და აი, ისიც,
 სხივი განთიადის...
 ქარს გადაუყრია
 ღრუბელი შავი,
 მისთვის რომ დაენახვებინა
 მიზანი.
 მთებმა ღონივრად
 უბიძგეს მხარში,
 ისიც დაცვა ღიმილით, წყნარით,
 ააციმციმა წამი...
 მერე ქედს იქიდან
 გამოჩნდა დედოფალი,
 სხივით ნაქარგი კალთით,
 მოაბიჯებდა და თან მოჰქონდა
 მთელი სამყარო ღამის...
 და ტანი ჩემი სიცხადით გრძნობდა,
 თითქოს ჩამსახლებოდა გრძნეული,
 მიუღწეველი არაფერი არსებობდა,
 არაფერი არსებობდა ზღვარდადებული...



ორჰან ფამუქი დაიბადა 1952 წელს სტამბოლში. დაამთავრა რობერტის კოლეჯი, სადაც პრივილეგიებული ელიტის წარმომადგენელთა შვილები საერო, დასავლური ტიპის განათლებას იღებდნენ. ადრეულ ასაკში ვიზუალური ხელოვნებით იყო დაინტერესებული, მაგრამ არქიტექტურულ კოლეჯში ჩაბარების შემდეგ გადაწყვიტა წერა დაეწყო. დღეს ყველაზე პოპულარული მწერალია თურქეთში.

მისი პირველი რომანი, *ჯედეტ ბეი და მისი ვაჟიშვილები*, 1982 წელს გამოქვეყნდა. 2003 წელს ფამუქმა მიიღო დუბლინის ლიტერატურული პრემია რომანისთვის *მე მქვია ნითელი*. ეს არის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის ისტორია, რომელიც XVI საუკუნის სტამბოლში ხდება. რომანში ვითარდება ავტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემები: იდენტობის ძიება ქვეყანაში, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არჩევანს ვერ აკეთებს, და-ძმის მეტოქეობა, ინტრიგები, სილამაზისა და ორიგინალურობის მნიშვნელობა, კულტურული გავლენის შიში. ამას მოჰყვება რომანი *თოვლი*, რომელშიც ჩანს ავტორის წინააღმდეგობა რელიგიური და პოლიტიკური რადიკალიზმის, თანამედროვე თურქეთში არსებული პოლიტიკური ექსტრემიზმისადმი. მისი მომდევნო ნიგნი — *სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი* — კი არის ავტორის ბავშვობის, ახალგაზრდობისა და დაბადების ადგილის ერთგვარი პორტრეტი.

სოციალურად აქტიურებულმა მწერლებმა ლიტერატურა დააცარიელეს ინოვაციური შინაარსისაგან

(ანჯალ ბარა კვანტანას ესაუბრაბა ორჰან ფამუქი)

— ინტერვიუებისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ხანდახან ვნერვიულობ, რადგანაც ზოგიერთ უაზრო შეკითხვას სულელურად ვპასუხობ, თურქეთში კი რომანებზე მეტად ჩემი ინტერვიუების გამო მკიცხავენ. პოლიტიკური პოლემისტები და მესვეტეები რომანებს არ კითხულობენ.

— ევროპასა და აშშ-ში თქვენი ნიგნები დადებითად მიიღეს, თურქეთში რა არის კრიტიკის მიზეზი?

— კარგმა წლებმა ჩაიარა. იმ დროისთვის, როდესაც პირველ რომანებს ვაქვეყნებდი, წინა თაობის ავტორები უკვე კარგად იყვნენ პოპულარობას, ამიტომაც დადებითად მიმიღეს, როგორც ახალი ავტორი.

— წინა თაობის ავტორებში ვის გულისხმობთ?

— ავტორებს, რომელთაც სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდათ. ავტორებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ლიტერატურა მორალსა და პოლიტიკას ემსახურება. ისინი რეალისტები იყვნენ და თავიანთი ტალანტი იმის მცდელობაში გალიეს, ერისთვის ემსახურათ. მე არ მინდოდა მათნაირი ვყოფილიყავი. ახალგაზრდობიდანვე მომწონდა ფოლკნერი, ვირჯინია ვულფი, პრუსტი — სტიანბეკისა და გორკის სოციალურ-რეალისტური მოდელი არასდროს დაგინტერესებულვარ. 60-70-იანი წლების ლიტერატურა ხიზლს კარგავდა, ამიტომაც მიმიღეს დადებითად, როგორც ახალი თაობის ავტორი.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩემი ნიგნები უკვე ისეთი რაოდენობით იყიდებოდა, ვერცერთი თურქი ავტორი რომ ვერ იოცნებებდა, კარგი ურთიერთობანი თურქულ პრესასა და ინტელექტუალებთან წარსულს ჩაბარდა. უარყოფითი რეცენზიები უფრო დიდ ტირაჟებსა და გაყიდვებზე რეაქცია უფრო იყო, ვიდრე ჩემი რომანების შინაარსზე. დღეს კი, სამწუხაროდ, თურქეთში ცნობილი ვარ ჩემი პოლიტიკური კომენტარებით, რომელსაც თურქი ჟურნალისტები ძირითადად უცხოური ინტერვიუებიდან იღებენ და უსირცხვილოდ მანიპულირებენ, შედეგად კი უფრო რადიკალი და პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ვჩანვარ, ვიდრე სინამდვილეში ვარ. თუმცა ამაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, რადგან შეიძლება ნათლად ვერ აღვწერდე მთლიან სურათს.

— სად წერთ?

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადგილი, სადაც ცხოვრობ და სადაც წერ, ერთმანეთისაგან განცალკევებული უნდა იყოს. სახლის რუტინა და დეტალები წარმოსახვის უნარს ჰკლავს. ამიტომაც წლების მანძილზე ყოველთვის მქონდა ოფისი ან ადგილი — სადაც ვწერ. დღეს ათ საათს ვმუშაობ. ხალხი ფიქრობს, რომ ამბიციური ვარ. შეიძლება ასეც არის, მაგრამ მე მიყვარს ჩემი საქმე, სანერ მაგიდასთან ისე ვზივარ, როგორც ბავშვი თავის სათამაშოებთან. მართალია ეს სამუშაოა, მაგრამ ჩემთვის ვარკვეულწილად გართობაცაა, თამაში.

— რომანში *თოვლი* მთხრობელი საკუთარ თავს ადარებს კლერკს, რომელიც ყოველდღე ერთსა და იმავე დროს იწყებს წერას. შენც იგივე ჩვევა გაქვს?

— საქმე ისაა, რომ მინდოდა რომანისტი კლერიკალური ბუნება დამეპირისპირებინა პოეტის ბუნებასთან. თურქეთში პოეტი ძალიან პატივსაცემი და პოპულარული პიროვნებაა. ოტომან სულთანთა უმეტესობა პოეტი იყო, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც დღეს გვესმის სიტყვა პოეტი. საუკუნეების განმავლობაში ეს გახლდათ თავის დამკვიდრების საშუალება, ინტელექტუალიზმის მაჩვენებელი. მაშინდელი ხელნაწერები ეგრეთნოდებულ დივანზე სრულდებოდა, ამიტომაც ოტომანთა სამეფო კარის პოეზიას *დივანის* პოეზია ეწოდება. *დივანზე* წერას უამრავი ნესი და რიტუალი ჰქონდა, დიდ გამოცდილებასა და განათლებას მოითხოვდა. მას მერე, რაც თურქეთში დასავლური იდეები გავრცელდა, ეს ტრადიცია შეერწყა თანამედროვე და რომანტიკულ გაგებას პოეტისა, როგორც პიროვნების, რომელიც სიმართლისთვის იწვის. ამან პოეტის პრესტიჟულ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტი წონა შესძინა. მეორე მხრივ, რომანისტი ჭიანჭველასავით მომთმენი და ნელია. ის გვხიზლავს არა თავისი დემონური და რომანტიკული ხედვით, არამედ მოთმინებით.

— პოეზიაში გიცდია ბედი?

— ამას ხშირად მეკითხებიან. თვრამეტი წლისა რომ ვიყავი, ვწერდი და ვაქვეყნებდი კიდევ ლექსებს თურქეთში, მაგრამ მერე ამ საქმიანობას თავი დავანებე. ამას იმით ვხსნი, რომ გავაცნობიერე: პოეტი არის ადამიანი, ვისი საშუალებითაც ღმერთი გველაპარაკება. პოეზიით შეპყრობილი უნდა იყო, ლექსები რომ წერო. მეც ვცადე ბედი, მაგრამ გარკვეული დროის მერე მივხვდი, ღმერთი არ მელაპარაკებოდა. გული დამწყდა ამის გააზრების შემდეგ, ამიტომაც ვცადე წარმომედგინა, რას მეტყოდა ღმერთი, ჩემთან ლაპარაკი რომ მოესურვებინა. პასუხის ძიებაში ძალიან ნელა, დეტალურად წერა დავიწყე. პროზა, მხატვრული ლიტერატურა ასე იქმნება. კლერკივით ვმუშაობდი. ზოგ მწერალს ეს შეურაცხმყოფელად ეჩვენება, მაგრამ ჩემთვის ეს სავესებო მისაღებია.

— შეგიძლია თქვა, რომ დროთა განმავლობაში წერა გაიადვილდა?



— სამწუხაროდ, არა. ხანდახან ვგრძნობ, რა უნდა დავწერო, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა დავწერო. შეიძლება უფრო თავდაჯერებული გავხდო, მაგრამ ეს ხანდახან უარესია, ექსპერიმენტებს აღარ ატარებ, პირდაპირ წერ, რაც თავში მოგდის. უკვე ოცდაათი წელია ვწერ და უნდა ვიფიქრო, რომ ცოტათი მაინც დავიხვეწე. ამის მიუხედავად, ხანდახან მაინც ერთ ადგილზე ვიჭედები, მაშინაც კი, როცა სულ არ მოველი.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია წიგნის დაყოფა თავებად. ხშირ შემთხვევაში წინასწარ ვიცი, როგორ უნდა განვითარდეს თხრობის ხაზი, ეს საშუალებას მაძლევს თითოეული თავის შინაარსსა და დეტალებზე მეტი ვიფიქრო. მაინცდამაინც პირველი თავიდან არ ვინწყებ და თანმიმდევრობას არ ვიცავ. თუკი სადმე გავიჭედე, შემიძლია გადავხტე და სხვა თავის წერა დავიწყო.

— გინდა თქვა, რომ წერის დანწყებამდე წიგნის გეგმა შედგენილი გაქვს?

— ყოველთვის. მაგალითად, რომანში *მე მქვია ნითელი* უამრავი პერსონაჟია, ამიტომაც თითოეულისათვის წინასწარ მქონდა განსაზღვრული თავების რაოდენობა. წერის პროცესში ხანდახან მინდოდა იმავე პერსონაჟზე გამეგრძელებინა მუშაობა. ამიტომაც, როცა შექუჩრეს თავს მოვრჩი, მგონი მეშვიდე თავი იყო, გადავხტი მეთერთმეტეზე, რომელიც ისევ შექუჩრეა. მომწონდა, შექუჩრე რომ ვიყავი. ერთი პერსონაჟიდან მეორეზე გადახტომა ხანდახან ძალიან რთულია.

ერთი რამ მუდამ უცვლელია, ბოლო თავს ყოველთვის ბოლოს ვწერ. მუშაობის დამთავრებამდე ყველა თავს ვუბრუნდები და ვამუშავებ, მაგრამ დასასრულს არასოდეს ვცვლი.

— ახალგაზრდობისას გინდოდა მხატვარი ყოფილიყავი. მხატვრობის სიყვარული წერის სიყვარულმა როდის შეცვალა?

— ოცდაორი წლისა რომ ვიყავი. მხატვრობა შვიდი წლიდან მინდოდა და ჩემი ოჯახიც არ ყოფილა წინააღმდეგი, ყველა ფიქრობდა, რომ ცნობილი მხატვარი ვიქნებოდი. მაგრამ მერე რაღაც შეიცვალა, ხატვას თავი დავანებე და მაშინვე ჩემი პირველი რომანის წერა დავიწყე. ზუსტად ვერ ვიტყვი, რა იყო ამის მიზეზი. ახლახან ჩემი რომანი *სტამბოლი* გამოქვეყნდა. რომანი ნახევრად ჩემი ავტობიოგრაფიაა ზუსტად ამ მომენტამდე, ნახევრად კი მოგონებანი სტამბოლზე, უფრო სწორად, ბავშვის თვალთ დანახული სტამბოლი. ეს არის ერთი მხრივ ქალაქის ხედებისა და პეიზაჟების, მეორე მხრივ კი ამ ქალაქის ბავშვისეული ხედვისა და მისი ავტობიოგრაფიის კომბინაცია. რომანი მთავრდება წინადადებით: *მე არ მინდა ვიყო მხატვარი, მე ვიქნები მწერალი*, მიზეზი კი ახსნილი არ არის, თუმცა გარკვეული ახსნა შეიძლება თვითონ რომანში იყოს.

— ხატვას თავი რომ დანებე, უკვე იცოდი, რა გინდოდა დაგენერა? ეს იყო მიზეზი?

— რამდენადაც მახსოვს, მანამდე მინდოდა მწერალი ვყოფილიყავი, სანამ მეცოდინებოდა რისი დანერა მინდოდა. წერა რომ დავიწყე, პირველი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. იმდროინდელ ჩანაწერებს ახლაც ვინახავ. მაგრამ დაახლოებით ექვსი თვის მერე საბოლოოდ დავიწყე რომანის პროექტზე მუშაობა, ეს იყო *ჯევედუ ბეი და მისი ვაჟიშვილები*. ეს ოჯახის ისტორიაა, როგორც *ფორსაიტების* საგა ან თომას მანის *ბუდენბროკები*. წერას რომ მოვრჩი, ვინახე, რომ ასეთი მოდიდა გადასული, XIX საუკუნის სტილის რომანი დავწერე. ამას იმიტომ ვნაწილებდი, რომ 25-26 წლისას მინდოდა თანამედროვე ავტორი ვყოფილიყავი. მაგრამ იმდროისთვის, როდესაც რომანი გამოქვეყნდა (მაშინ უკვე ოცდაათი წლისა ვიყავი), ჩემი რომანები უფრო ექსპერიმენტული გახდა.

— როდესაც ფიქრობდი, რომ გინდოდა თანამედროვე, ექსპერიმენტული მწერალი ყოფილიყავი, რა მოდელზე ფიქრობდი?

— ამ დროისთვის ჩემთვის ტოლსტოი, დოსტოევსკი, სტენდალი ან თომას მანი აღარ იყვნენ დიდი მწერლები. ისინი ვირჯინია ვულფმა და ფოლკნერმა შეცვალა. ახლა კი ამ ჩამონათვალს პრუსტსა და ნაბოკოვსაც დავამატებდი.

— შენი რომანი ახალი ცხოვრება ამ წინადადებით იწყება: ერთ დღესაც წიგნი წავიკითხე და ჩემი ცხოვრება შეიცვალა. შენზე რომელიმე წიგნმა მოახდინა ასეთი გავლენა?

— როდესაც 21-22 წლისა ვიყავი, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო *ხმაური და მძინვარება*. ამ წიგნმა ჩემზე, ჩემს სტილზე დიდი გავლენა მოახდინა. მალევე დავიწყე პირველ პირობი წერა. მომწონს, როდესაც ვილაცას განვასახიერებ, როცა სხვისი პირობი ვწერ. ეს ბევრად მირჩევნია მესამე პირობი წერას.

— შენ თქვი, რომ შენი პირველი რომანის გამოქვეყნებას წლები დასჭირდა.

— წერა რომ დავიწყე, ლიტერატურულ წრეებში მეგობრები არ მყავდა. სტამბოლში არცერთი ლიტერატურული ჯგუფის წევრი არ ვიყავი. წიგნის გამოქვეყნების ერთადერთი საშუალება იყო ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა. ასეც მოვიქციე და გავიმარჯვე. ერთ-ერთ დიდ გამომცემლობას უნდა გამოეცა ჩემი რომანი, მაგრამ იმ დროს თურქეთში ეკონომიკური კრიზისი იყო, ამიტომაც, კონტრაქტის მიუხედავად, გამომცემლობამ წიგნის გამომცემზე უარი თქვა.

— მეორე რომანი უფრო სწრაფად და ადვილად გამოაქვეყნე?

— მეორე რომანი პოლიტიკური იყო. წერა მაშინ დავიწყე, როდესაც პირველი რომანის გამოქვეყნებას ველოდებოდი. ამ რომანს ორწელიწადნახევარი ვწერდი. უცებ, ერთ ღამეს თურქეთში სამხედრო გადატრიალება მოხდა, 1980 წელს. მეორე დღესვე პირველი რომანის, *ჯევედუ ბეი და მისი ვაჟიშვილები*, გამომცემელმა დამირეკა და მითხრა, რომ წიგნს ველარ გამოსცემდა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი გვექონდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს პოლიტიკური რომანი რომც დამემთავრებინა, რამდენიმე წელი მაინც არავინ გამოსცემდა სამხედრო რეჟიმის გამო. 22 წლისამ გადავწყვიტე, რომ მწერალი ვყოფილიყავი და შვიდი წლის განმავლობაში იმ იმედით ვწერდი, რომ რამეს გამომიქვეყნებდნენ, მაგრამ უკვე თითქმის ოცდაათის ვხდებოდი და არაფერი მქონდა დაბეჭდილი. ჩემი მეორე დაუსრულებელი წიგნის 250 გვერდი ახლაც უჯრაში მიდევს.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ მესამე წიგნს წერას, *მდუმარე სახლი*, შევეუდექი. ამ რომანზე ვამუშაობდი, როდესაც 1982 წელს ჩემი პირველი რომანი გამოიცა. *ჯევედუ ბეი* კარგად მიიღეს, ამიტომ იმედი გამიჩნდა, რომ ამ წიგნის გამოცემასაც შევძლებდი.

— რა იყო შენს რომანში ასეთი მიუღებელი სამხედრო რეჟიმისათვის?

— პერსონაჟები ახალგაზრდა, ზედა კლასის წარმომადგენელი მარქსისტები იყვნენ, მდიდარი მშობლებით, მდიდრული სახლებითა და საზაფხულო კურორტებით. ისინი სულ ჩხუბობენ, მუდამ ერთმანეთზე ეჭვიანობენ და პრემიერ-მინისტრის მოკვლას გეგმავენ. მდიდარი კლასის წარმომადგენელთა ჩვევები აქვთ, მაგრამ ცდილობენ ულტრა-რადიკალები იყვნენ. მათი განსჯა არც მიცდია, პირიქით, გარკვეულწილად ეს ჩემი ახალგაზრდობის რომანტიკული გახსენებაც იყო, მაგრამ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მოკვლის იდეა იქნებოდა საკმარისი წიგნის ასაკრძალად. ამიტომაც აღარც დამისრულებია. წერის პროცესში თვითონაც იცვლები. იმავე პერსონაჟს ველარ შექმნი, ისე ველარ გააგრძელებს წერას. ყოველი წიგნი ავტორის განვითარების გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს. რომანი შეიძლება ავტორის სულიერი გარდატეხის მაჩვენებელი იყოს, ამიტომაც შეუძლებელია ძველს დაუბრუნდე.

— რომანის ფორმას როგორ ირჩევ?

— ამისთვის ზოგადი ფორმულა არ გამაჩნია, ყოველთვის ვცდილობ ყველაფერი შევცვალო. ხშირად მკითხველები მეუბნებიან, რომ ძალიან მოეწონათ ესა თუ ის რომანი და გული სწყდებათ, რომ ასეთი სხვა არაფერი დამიწერია, ან რომ ამა თუ იმ წიგნის ნაკითხვამდე არცერთი ჩემი რომანი არ მოსწონებიათ, ყველაზე ხშირად ამას *შეწიგნე* მეუბნებიან. ეს არც ისე სასიამოვნო მოსასმენია. ჩემთვის ძალიან სახალისოა და ერთგვარი გამონევა-

ცა ფორმასა და სტილზე, ენასა და განწყობაზე, პერსონაჟებზე ექსპერიმენტირება, თითოეულ რომანზე განსხვავებულად ფიქრობ.

რომანის სიუჟეტის წყარო სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს. წიგნით *მე მქვია ნითელი* მინდოდა გამომეხატა ჩემი ამბიციაც — გავმდღარიყავი მხატვარი. მცდარი დასაწყისი ავირჩიე, მინდოდა დამენერა რომანი ერთ მხატვარზე, მაგრამ მერე ერთი მხატვარი რამდენიმე ჩაანაცვლა, შეხედულებანი იცვლებოდა, რადგანაც ერთის მაგივრად რამდენიმე მხატვარი საუბრობდა. თავიდან მინდოდა თანამედროვე მხატვარზე დამენერა, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ასეთი თურქი მხატვარი ხელოვნურად შექმნილი, დასავლეთის გავლენის ქვეშ მყოფი იქნებოდა, ამიტომაც დროში უკან გადავინიე და მინიატურისტიკა ავირჩიე. ასე ვიპოვე წიგნის სიუჟეტი.

გარკვეულ საკითხებზე წლობით ვფიქრობ. თუკი იდეა გამიჩნდა, აუცილებლად ვუყვები მეგობრებს, ვინიშნავ ყველაფერს, რაც შეიძლება რომანისათვის გამომადგეს. ხანდახან ისეთ რამეს ნაწინაყვები, რაც თავიდან არ ამომდის, ამიტომაც ერთი რომანის დამთავრებისთანავე ამ იდეაზე ვინწყებ მუშაობას.

— კრიტიკოსები შენს რომანებს პოსტმოდერნიზმს მიაკუთვნებენ, მე კი მგონია, რომ ბევრს სესხულობ ტრადიციული წყაროებიდან. ციტატებს იღებ, მაგალითად, ათას ერთი ლამიდან და სხვა კლასიკური აღმოსავლური ტექსტებიდან.

— ეს ტრადიცია შავი წიგნით დაიწყო, თუმცა ბორხესი და კალვინო ბევრად ადრე მქონდა ნაკითხული. 1985 წელს მეუღლესთან ერთად შეერთებულ შტატებში ვიყავი. პირველად მაშინ აღმოვაჩინე ამერიკული კულტურის მნიშვნელობა და სიმდიდრე. როგორც ახლო აღმოსავლეთიდან წამოსულმა თურქმა, რომელიც მგრად თავის დამკვიდრებას ცდილობდა, შიში ვიგრძენი. რეგრესი განვიცადე, „ფევებს“ დაფუბრუნდი. მივხვდი, რომ ჩემს თაობას თანამედროვე ეროვნული ლიტერატურა უნდა შეექმნა.

ბორხესმა და კალვინომ გამათავისუფლეს. ტრადიციული ისლამური ლიტერატურის კონოტაცია ისეთი რეაქციონერული და პოლიტიკური იყო, ისე ძველმოდურად და სულელურად იყენებდნენ კონსერვატორები, რომ ვერც წარმოვიდგენდი, ამ მასალაზე მუშაობას თუ შევძლებდი. მაგრამ შტატებში მივხვდი, რომ შეიძლება ამ მასალას მივბრუნებოდი და კალვინოსეულად ან ბორხესისეულად დამემუშავებინა. დასაწყისისთვის ისლამური ლიტერატურის რელიგიური და ლიტერატურული კონოტაციები უნდა გამემიჯნა ერთმანეთისაგან, რათა შემძლებოდა გამომეყენებინა მთელი მისი სიმდიდრე. საქმე ისაა, რომ სოციალურად აუტირებულმა მწერლებმა ლიტერატურა დააცარიელეს ინოვაციური შინაარსისაგან.

არსებობს მრავალი ალევორია, რომელიც მეორდება სხვადასხვა — ჩინეთის, ინდოეთისა თუ სპარსეთის — ზეპირი თხრობის ტრადიციაში. გადავწყვიტე გამომეყენებინა ეს ალევორიები და თანამედროვე თურქეთში ვამომეტანა. ეს ერთგვარი ექსპერიმენტია — ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი, როგორც დადასტურ კოლაჟში. ეს ყველაფერი *შავი წიგნშია*. ეს წიგნი განაპირობა ამერიკული კულტურის ძლიერმა გავლენამ და ჩემმა სურვილმა, ვყოფილიყავი ექსპერიმენტული მწერალი. თურქეთის სოციალურ პრობლემებზე კომენტარებს ვერ დავწერდი, თუმცა მანუხებდა ეს საკითხი, ამიტომაც სხვა გზა უნდა ამერჩია.

— ისევე შავი წიგნის წინა ხანას დავუბრუნდეთ. თეთრი ციხისმაგვრის დანერა რამ განაპირობა? ეს იყო პირველი რომანი, რომელშიც გამოიყენე განპიროვნების ხერხი. როგორ გგონია, „სხვად გახდომის“ ეს იდეა ასე ხშირად რატომ იჩენს თავს შენს რომანებში?

— ეს ძალიან პირადულია. ჩემი ძმა, რომელიც მხოლოდ 18 თვითაა ჩემზე უფროსი, ყოველთვის ჩემი მთავარი მეტოქე გახლდათ. გარკვეულწილად მამასავით მყავდა — მამის ფროიდისეული გაგებით. ის იყო ჩემი ალტერ ეგო, ავტორიტეტის განსახიერება — მეტოქეც და მეგობარიც. რთული ურთიერთობა გვექონდა. ამაზე *სტამბოლში* საკმაოდ ვრცლად ვწერ. მე ტიპური თურქი ბიჭი ვიყავი, ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი და ყვე-

ლანარი თამაშისა და შეჯიბრებისადმი ენთუზიზმით ვიყავი განწყობილი. ის კი წარმატებული მოსწავლე გახლდათ, ჩემზე უკეთესი. მე მისი მშურდა, მას კი ჩემი. იგი გონიერი და პასუხისმგებლობით სავსე იყო, უფროსები ყოველთვის ენდობოდნენ. როცა მე თამაშებით ვიყავი გართული, ის წესებზე ფიქრობდა. სულ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ხანდახან წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ძმა ვარ. ის ჩემთვის მაგალითი იყო. შური, ეჭვიანობა — ჩემთვის მტკივნეული თემებია. სულ ვფიქრობ, რა გავლენა შეიძლება მოახდინა ჩემზე ძმის წარმატებამ. ეს ჩემი სულის ნაწილია. ამას ნათლად ვაცნობიერებ, ამიტომაც ვცდილობ საკუთარ თავის დისტანცირება მოვხდინო ამ შეგრძნებებისგან. ვიცი, რომ ეს რალაც ცუდია, ამიტომ ვცდილობ ვებრძოლო ამ შეგრძნებას, როგორც ცივილიზებული ადამიანი. არ ვამბობ, რომ ეჭვიანობის მსხვერპლი ვარ, მაგრამ მუდამ ნერვულ აშლილობას ვებრძვი, რაც, ბუნებრივია, ჩემს რომანებშიც იჩენს თავს. *თეთრ ციხისმაგვრეში*, მაგალითად, ორ მთავარ პერსონაჟს შორის არსებული, თითქმის სადომოზოხისტური დამოკიდებულება ჩემი და ჩემი ძმის ურთიერთობის გამოძახილია.

მეორე მხრივ, განპიროვნების ეს ხერხი გამონეუულია იმ სისუსტით, რასაც თურქი გრძობს დასავლურ კულტურასთან მიმართებით. *თეთრ ციხისმაგვრეზე* მუშაობის მერე მივხვდი, რომ ეჭვიანობის ეს გრძნობა, სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნით გამონეუული მოუსვენრობა, ასახავს თურქეთის დამოკიდებულებას დასავლეთის მიმართ — მონოდებული, გახდეს ვესტერნიზებული, მაგრამ მუდამ გაკრიტიკებული იმის გამო, რომ არც ისე კარგად გამოსდის ეს. მცდელობა — შეიძინო დასავლური სული და შემდეგ დანაშაულის შეგრძნება მიმბაძველობის გამო. ეს განწყობა მართლაც ჰგავს მეტოქე ძმების ურთიერთობას.

— გჯერა, რომ თურქეთი შეძლებს მშვიდობიანი გზით გადაჭრას აღმოსავლურ და დასავლურ მიდრეკილებებს შორის ეს მუდმივი კონფრონტაცია?

— მე ოპტიმისტი ვარ. თურქეთი არ უნდა ნუხდეს იმის გამო, რომ ორი სული აქვს, რომ სხვადასხვა კულტურას ეკუთვნის. შიზოფრენია ინტელიგენტად გვყავალიბებს. შეიძლება რეალობის შეგრძნება დაკარგო — მე მწერალი ვარ და ეს ჩემთვის სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა — მაგრამ შიზოფრენიისა არ უნდა გეშინოდეს. ადამიანის სულის ნაწილები ყოველთვის ებრძვის ერთმანეთს, მაგრამ ერთ ნაწილს საშუალება არ უნდა მისცე, მეორე დაჯახოს. მხოლოდ ერთი სულის ანაბარა დარჩენა ავადმყოფობაზე უარესია. ამაში მდგომარეობს ჩემი თეორია. მინდოდა ეს შეხედულება თურქ პოლიტიკოსებსაც გაეზიარებინათ, მათ, ვინც მიიჩნევს, რომ თურქეთმა აუცილებლად ერთი მიმართულება უნდა აირჩიოს — ან აღმოსავლეთი ან დასავლეთი — ანდა ნაციონალური იყოს. მე ასეთი ხედვის წინააღმდეგი ვარ.

— და მაინც, სტამბოლის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ერთგვარად მისტირი ოსმალეთის იმპერიას.

— ასე არ არის. მე ვესტერნიზაციის მომხრე ვარ. ბედნიერი ვარ, რომ ეს პროცესი დაიწყო. მე მხოლოდ მმართველი ელიტის ვინრო ხედვას ვაკრიტიკებ. მათ თავდაჯერებულობა არ ეყოთ, შეექმნათ ნაციონალური კულტურა, მდიდარი საკუთარი სიმბოლოებითა და რიტუალებით. არც კი უცდიათ შეექმნათ სტამბოლის კულტურა — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორგანული შერწყმა. რა თქმა უნდა ოტომანთა კულტურა ძალიან ძლიერი გახლდათ, მაგრამ თანდათან ქრებოდა. მათ უნდა შეექმნათ, და როგორც ჩანს საკმარისად არ მოინდომეს, ძლიერი ადგილობრივი კულტურა, რომელიც იქნებოდა აღმოსავლური წარსულისა და დასავლური აწმყოს კომბინაცია და არა იმიტაცია. ჩემ წიგნებში წნორედ ამ მიზნის მიღწევას ვცდილობ. იმედი მაქვს მომავალი თაობა შეძლებს ამის აღსრულებას და ევროკავშირში შესვლა თურქულ იდენტობას კი არ გააქრობს, არამედ უფრო გააძლიერებს, თავისუფლებასა და თავდაჯერებულობას შეგვამატებს, რათა შევქმნათ ახალი თურქული კულტურა. ძველისგანაც და ახლისგანაც რალაც ახალი უნდა წარმოიშვას. აუცილებელი არ არის მხოლოდ ერთ-ერთის არჩევა.

— რომანი სპეციფიკურად დასავლური ფორმაა. აღმო-
სავლურ ტრადიციაში რა ადგილი უჭირავს?

— თანამედროვე რომანი, ეპიკური ფორმისაგან დაცლი-
ლი, ნამდვილად არაა დასავლური ფენომენი. მაგრამ მწერა-
ლი არ ეუთვნის თემს, არ იზიარებს თემის ძირეულ ინსტინქ-
ტებს, ფიქრობს და აზროვნებს თემისაგან განსხვავებული
კრიტიკით. მისი ცნობიერება განსხვავდება იმ თემის
ცნობიერებისაგან, რომელსაც ეუთვნის. მისი ტექსტის სიმ-
დიდრეც ასეთი ხედვის შედეგია. როდესაც ამ ჩვევას გამოიმუ-
შავებ და ამ მანერით წერ, სურვილი გიჩნდება გამოეყო თემს.
ზუსტად ამ მოდელზე ვფიქრობდი *თოვლზე* მუშაობისას.

— *თოვლი შენს რომანებს შორის ყველაზე პოლიტიკუ-
რია. რამ განაპირობა ამ ნიგნზე მუშაობა?*

— როდესაც თურქეთში ცნობადი სახე ვხდებოდი, 1990
წლების შუა რიცხვებში, ქურთების პარტიზანული ომის პირო-
ბებში, მემარცხენე ავტორები და ახალი ლიბერალები დახმარე-
ბას მთხოვდნენ, პეტიციების ხელმოწერას, მოკლედ, პოლიტი-
კურ აქტიურობას. მაგრამ ჩემი აქტიურობა არც ისე სწორად შე-
აფასეს, ამიტომაც გადაწყვიტე დამენერა ნიგნი, რომელშიც
უკეთ გამოვხატავდი ჩემს დილემას — იყო მაღალი წრის წარმო-
მადგენელი და პასუხისმგებლობას გრძნობდე იმათ გამო, ვისაც
არ გააჩნია პოლიტიკური წარმომადგენლობა. მე მჯეროდა რო-
მანის შესაძლებლობების. ასე რომ, საბოლოოდ გადაწყვიტე
პოლიტიკური რომანი დამენერა. მუშაობას მაშინვე შევუდექი,
როგორც კი მე შევია ნითელი დავასრულე. ნიგნს ძალიან უარ-
ყოფითი რეაქცია მოჰყვა, არც აუკრძალავთ და არ მე დამმუქრე-
ბა დასაფრთხე, მაგრამ ყველა შედეგობრივი გახლდათ: კონსერ-
ვატორები — პოლიტიკური ისლამისტები და სეკულარისტებიც.
ნიგნი მაინც მიიღეს, ეს კი ლიბერალური ძვრების მაჩვენებელია.

— *რომანი ძალიან ცივი და პესიმისტურია. ერთადერთ
პერსონაჟს, კას, რომელიც ყველას უსმენს, ბოლოს ყველა
შეიძულეს.*

— შეიძლება ამით საკუთარი მდგომარეობის დრამატიზე-
ბას ვახდენ, როგორც მწერალი თურქეთში. მიუხედავად იმისა,
რომ იცის, როგორ სძულს ყველას, ეს პერსონაჟი მაინც ახერ-
ხებს ყველასთან ურთიერთობას. თანაც გადარჩენის ძალიან
ძლიერი ინსტინქტი აქვს. კას ვერ იტანენ იმიტომ, რომ დასაე-
ლეთის ჯაშუში ჰგონიათ, არაერთხელ უთქვამთ იგივე ჩემზეც.

რომანი ნამდვილად ცივია, მაგრამ იუმორით სავსე. ყო-
ველ შემთხვევაში ასე მქონდა ჩაფიქრებული.

— *ვისთვის წერ?*

— რაც დრო გადის უფრო და უფრო ხშირად ვეკითხები
ამას საკუთარ თავს. შეიძლება რომანი დავწერე, მინდა კიდევ შეი-
ნდ დაწერო. მაგრამ ცხოვრება ისეთი ხანმოკლეა. როდისღა
უნდა დატკბე ცხოვრებით? ხანდახან მართლა მჭირდება თავის
იძულება. რატომ ვაკეთებ ამას? რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?
ერთი მხრივ ეს ერთგვარი ინსტინქტია, ოთახში მარტო უნდა
ვიჯდე და ვწერო. მეორე მხრივ პატარა ბიჭის ჟინი მაქვს —
კარგი ნიგნი დავწერო. სულ უფრო და უფრო ნაკლებ მჯერა
მწერლის უკვდავების. ორასი წლის წინათ დაწერილ ნიგნებს
სულ უფრო და უფრო იშვიათად ვეკითხულობთ. ყველაფერი ისე
სწრაფად იცვლება, რომ დღეს დაწერილი ნიგნი ასი წლის მერე
ალბათ აღარავის ემახსოვრება. ორასი წლის იცოცხლებს. შემიძლია ვი-
ფიქრო, რომ ერთ-ერთს ვწერ? მაგრამ საერთოდ არის კი ეს წე-
რის მთავარი მიზანი? რატომ უნდა ვფიქრობდე იმაზე, წაი-
კითხავენ თუ არა ჩემს ნიგნს ორასი წლის მერე. მჭირდება ნუ-
გემი, რომ მომავალში ჩემ ნიგნებს წაიკითხავენ? ვფიქრობ ამ
ყველაფერზე და წერას ვაგრძელებ. არ ვიცი რატომ, მაგრამ
არასოდეს ვნებდები. იმაზე ფიქრი, რომ მომავალში შენს ნიგნს
რაიმე მნიშვნელობა ექნება, ერთადერთი ნუგეზია, რომელიც
სიამოვნებას განიჭებს ამ ცხოვრებაში.

— *თურქეთში შენი ნიგნები ბესტსელერად იქცა, კიდევ
უფრო კარგად კი თურქეთის საზღვრებს გარეთ იყიდება და*

*40 ენაზეა ნათარგმნი. წერისას ამაზე ფიქრობ? სხვადასხვა
აუდიტორიისათვის ხომ არ წერ?*

— ვიცი, რომ ჩემი მკითხველები მხოლოდ ჩემი ეროვნების
წარმომადგენლები არ არიან. მაგრამ შეიძლება თავიდანვე
უფრო ფართო აუდიტორიისთვის ვწერდი. მაშინვე თავის მე-
გობარ თურქ მწერლებზე ზურგს უკან იტყოდა ხოლმე, მარ-
ტო თურქი აუდიტორიისთვის წერენო.

მიუხედავად იმისა, ვიცი ჩემს ბოლო ორ ნიგნს მსოფლიო-
ში ნახევარ მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს, არასდროს მიგ-
რძენია, რომ მათ მოხიბვლას ვცდილობდე. მგონია, რომ ჩემი
მკითხველი იგრძნობდა, ასე რომ იყოს. ამიტომაც სულ ვცდი-
ლობ არ ვიფიქრო იმაზე, მკითხველი რას მოელის ჩემგან. ჩე-
მი წინადადების წყობაც ამაზე მეტყველებს — მკითხველს
რალაციისთვის ვამზადებ და მერე განცვიფრებულს ვტოვებ.
ალბათ ამიტომაც მიყვარს გრძელი წინადადებები.

— *არათურქი მკითხველისთვის შენი რომანების ორი-
გინალურობა თურქულ გარემოს უკავშირდება. როგორ შე-
აფასებდი შენი რომანების თურქულ კონტექსტს?*

— არსებობს ერთი დიდი პრობლემა, რომელსაც ჰაროლდ
ბლუმი „გავლენის შიშს“ უწოდებდა. სხვა მწერლების მსგავ-
სად, მეც იგივე პრობლემა მქონდა ახალგაზრდობისას. დაახ-
ლოებით 30 წლისა საშინლად განვიცდიდი, რომ შეიძლებოდა
ტოლსტოის ან თომას მანის გავლენის ქვეშ ვყოფილიყავი —
პირველი რომანის წერისას მართლაც მქონდა ასეთი არისტოკ-
რატიული პროზის შექმნის მცდელობა. მერე მივხვდი, თვითონ
ის ფაქტი, რომ ვმოქმედებდი დედამინის ამ ნაწილში, ასე შორს
ევროპისაგან, ის ფაქტი, რომ ვცდილობდი მიმეპყრო განსხვავ-
ებული მკითხველის ყურადღება ასეთ განსხვავებულ კულ-
ტურულ გარემოში, თავისთავად გამხდოდა ორიგინალურს,
თუმა ეს ადვილად მიღწეული ორიგინალობა იქნებოდა.

ორიგინალურობის ფორმულა ძალიან მარტივია — გააერთი-
ანე ორი ისეთი რამ, რაც მანამდე არავის გაუერთიანებია. მაგა-
ლითად *სტამბოლი*, ესეი ქალაქსა და იმაზე, თუ როგორ ხედავდ-
ნენ მას სხვადასხვა უცხოელი მწერლები — ფლობერი, ნერვალი,
კოტიე — და რა გავლენა მოახდინეს თურქ მწერალთა გარკვეულ
კატეგორიაზე. მეორე მხრივ სტამბოლის ეს რომანტიკული სუ-
რათი შერწყმულია ავტობიოგრაფიასთან. აქამდე ასეთი რამ
არავის გაუკეთებია. თუკი გარისკავ, ყოველთვის ნააწყდები რა-
ლაც ახალს. *სტამბოლი* იყო მცდელობა — შემექმნა რალაც ორი-
გინალური. არ ვიცი, შევძელი თუ არა ეს. *შვი ნიგნიც* რალაც
მსგავსი გახდა — პრუსტის ნოსტალგიური სამყაროს შერწყმა
ისლამისტურ ალეგორიებთან, ამბებსა და ხრიკებთან, ეს ყველა-
ფერი კი გადატანილია სტამბოლში და შედეგიც აშკარაა.

— *სტამბოლში ჩანს, რომ ყოველთვის მარტოსული იყა-
ვი. როგორც მწერალი, თანამედროვე თურქეთში ნამდვი-
ლად მარტოსული ხარ. როგორც ჩანს, ყოველთვის განდ-
გომილი იყავი.*

— თუმც დიდ ოჯახში დავიბადე და ყოველთვის მასწავლიდ-
ნენ საზოგადოების პატივისცემას, მაინც განმივითარდა განდ-
გომისაკენ მიდრეკილება. ჩემში არის ერთგვარი თვითგანად-
გურების ინსტინქტი, მრისხანებისა და სიბრაზისას ყოველთვის
ისეთ რამეს ვაკეთებ, რაც მაშორებს სასიამოვნო საზოგადოე-
ბას. ადრეულ ასაკში გავაცნობიერე, რომ საზოგადოებაში ყოფ-
ნა წარმოსახვის უნარს ჰკლავს. ჩემთვის აუცილებელია მარტო-
ობის ტკივილის განცდა, რათა წარმოსახვის უნარი ამუშავდეს.
მარტო ასეთ დროს ვარ ბედნიერი, მაგრამ დროდადრო მაინც
მჭირდება საზოგადოებასთან კონტაქტი. *სტამბოლმა* დედას-
თან ურთიერთობა გამიფუჭა, ერთმანეთს საერთოდ აღარ ვნა-
ხულობთ. რა თქმა უნდა ძმასაც ძალიან იშვიათად ვეკონტაქტე-
ბი. ჩემი ბოლოდროინდელი კომენტარების გამო თურქ პუბლი-
კასთანაც საკმაოდ რთული ურთიერთობა მაქვს.

— *თავს თურქად გრძნობ?*

— პირველ რიგში უნდა ვთქვა, რომ დავიბადე, როგორც
თურქი. ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ცნობილი ვარ, როგორც

თურქი ავტორი. მკითხველი უფრო აღმიქვამს თურქად, ვიდრე მე აღვიქვამ საკუთარ თავს. როდესაც პრუსტი წერს სიყვარულზე, მიიჩნევენ, რომ ის ზოგადად სიყვარულზე საუბრობს. როდესაც მე ვწერ სიყვარულზე, მკითხველი მიიჩნევს, რომ თურქულ სიყვარულზე ვწერ. თურქები ამაყობდნენ, ჩემი რომანები რომ ითარგმნებოდა. მათ თავიანთ მწერლად მივაჩინდი. როდესაც საყოველთაოდ ცნობილი ხდები, შენი წარმომავლობა მეტ მნიშვნელობას იძენს. ეროვნული იდენტობა მანიპულაციის საშუალება ხდება. ჩემს წიგნებზე მნიშვნელოვანი ყოველთვის ის იყო, მათი საშუალებით თურქეთის სახე-

ექმნათ. ეს ჩემ ქვეყანაში უფრო და უფრო მეტ პრობლემას მიქმნის. ხანდახან პრესაში დაწერილი სტატიები შემოფოტების საგანი ხდება ადამინებისთვის, რომლებიც ჩემს წიგნებს არ კითხულობენ და არ იციან, რა იმიჯს ვუქმნი თურქეთს გარესამყაროში. ლიტერატურა შედგება კარგისა და ცუდისაგან, ბოროტისა და კეთილისაგან, დროთა განმავლობაში ჩემს რომანებში მხოლოდ ბოროტით ინტერესდებიან.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ზუპაშვილი

ნინო ქუთათელაძე

„როგორც კი უკუნს ცრიატმა სკლია“


(ივან კოტლიარევსკის
„ენეადა“ ქართულად)

ივან კოტლიარევსკის „ენეადას“ თარგმანი ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში ისევე, როგორც XVII საუკუნის უკრაინულ ლიტერატურაში გახლდათ. ამ პოემამ დასაბამი დაუდო თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურულ ენას და ვერგილიუსის „ენეიდას“ სრულიად ახლებურ ხედვას.

შეამჩნიეთ ალბათ განსხვავება სათაურში: ვერგილიუსის პოემას „ენეიდა“ ჰქვია, ხოლო კოტლიარევსკისას — „ენეადა“. მთარგმნელმაც, რა თქმა უნდა, სიზუსტე არჩია.

კოტლიარევსკის პოემა-შედევი ბურლესკურ-ტრავესტული ნაწარმოებია.

[ლიტერატორთათვის ეს ტერმინი კარგადაა ცნობილი, მაგრამ მკითხველთა ფართო წრეებისათვის მაინც განვმარტავ: burlesque — პაროდია, კარიკატურა (ინგლ), ფარსი (ამერ); travesty — პაროდია, დამახინჯება (ინგლ)]. ის, პრაქტიკულად, ვერგილიუსის „ენეიდას“ პაროდიაა. მასში ტროელი, ლათინი, ბერძენი და თუნდაც ოლიმპოელი ღმერთები ზაპოროჟიელ კაზაკებზე არიან წარმოდგენილი. გარეგნულადაც სწორედ კაზაკებს მოგვაგონებენ: განიერი შარვლები, შემოსალტული წელი, ნაქარგი პერანგები, მოზრდილი გადაგრეხილი უღვაშები და რა თქმა უნდა, ჩუპრინა. თვით ზევსაც კი ჩუპრინა ამშვენებს — ღირსების ეს ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი. ნაწარმოების გმირები ხასიათითაც და წეს-ჩვეულებითაც კაზაკები არიან: უყვართ მამაპაპური ქეიფი, ბლომად ლუდსა და ორნახად არაყსაც მიირთმევენ; აქ შეხვდებით უკრაინული ეროვნული კერძების ისეთ მრავალფეროვნებას, ჩამოთვლაც კი გაჭირდება. კაზაკები თავგანწირული, კეთილი და სამართლიანი ადამიანები არიან, ღირსებას არავის შელახვინებენ, იბრძვიან თავგამოდებით, ერთმანეთს ბრძოლის ველზე არ ტოვებენ, ძმურად იყოფენ ჭირსა და ლხინს. მოკლედ, ყოველივე ამით, რაც ჩამოვთვალე, ძალიან ჰგავან ქართველებს. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, რომ ამირან ასანიძემ ამ ვებერთელა პოემის თარგმანს მოჰკიდა ხელი.



(ჰო, კიდევ ერთი პატარა გადახვევა... რატომღაც ჩვენი პოლიტიკური ელიტა „კაზაკის“ ნაცვლად „კოზაკს“ ხმა-რობს, რომ ამერიკელებს კაზაკი ყაზახში არ აერიოთ. ეს არ გახლავთ სწორი, რადგან კოზაკი ქართულად აქლემის ნაშიერს ნიშნავს. და ამიტომ მოდით, ჩვენ ჩვენს ენას მივხედოთ და ამერიკელებმა — თავის საქმეს).

ამირანი „ენეადას“ ოცი წლის განმავლობაში თარგმნიდა და, სამწუხაროდ, მის წიგნად დასტამბვას ვერ მოეხსრო. ეს გახლდათ მძიმე შრომა. ყოველ ფრაზას რამდენჯერმე უბრუნდებოდა, უკრაინულის ზუსტ შესატყვისებს ეძებდა, რუსულ თარგმანს ადარებდა და უსაზღვროდ უხაროდა, როცა მისი თარგმანი უფრო ახლოს იყო ორიგინალთან. სადაც უნდა წასულიყო, ერთი-ორი სტროფი, თავისივე გაკეთებული პნკარედით, თან მიჰქონდა, რომ საყვარელი საქმის გარეშე წუთითაც არ დარჩენილიყო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერგილიუსის „ენეიდას“ ორიგინალში არ გავცნობივარ, სამაგიეროდ, შეძლებისდაგვარად ვიცნობ კოტლიარევსკის პოემას და თამამად შემიძლია განვაცხადო, თარგმანის სიზუსტე თითქმის ფანტასტიკურია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი მთარგმნელი საკუთარი პოეზიის ძარცვის ხარჯზე ქმნის მსგავს თარგმანებს. და როგორც ბატონი რევაზ ხვედელიძე წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ამირან ასანიძემ „ქართულ ენაზე შექმნა ორიგინალის კონგენიალური შესატყვისი“.

მინდა შევეხო თარგმანის ფორმას. ვერგილიუსის „ენეიდა“ დაქტილური ჰევზამეტრით არის განწყობილი. კოტლიარევსკი კი უკრაინულ ხალხურ მეტყველებას ეყრდნობოდა და აქ გამოყენებული ექვსტერფიანი ქორე ორგანულად ერწყმის სათქმელსა და ენის ბუნებას. იდენტური ფორმა შემოგვთავაზა მთარგმნელმაც. და თუ ჩვენ, ქართველები ვამბობთ, რომ რუსთველმა „ვეფხისტყაოსანში“ იმიტომ გამოიყენა მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა, მკითხველი არ დადლილიყო, არ მოეწყინაო, ანალოგიურის თქმა შეგვიძლია დიდი უკრაინელი პოეტის ამ შედევრზეც. თარგმანის ნაკითხვისას მიხვდებით, რომ ექვსტერფიანი ქორე თავისი მრავალგვარი ვარიაციით მოწყენის საშუალებას არავის მისცემს, მეტიც, არის შემთხვევები, როცა სიცილს ვერ იკავებ. აბა, ბურლესკი რისი ბურლესკია! აქვე მოვიყვან ერთ მაგალითს:

- შიშველ-ტიტველი რაზმის ამარამ, **a**
- ხელად გაჩალხა ნავები ზღვასთან, **b**
- შიგ ჩასხდნენ — ის და მისი ამაღა **a**
- სამშობლო მიწის ნაპირებს გასცდა. **b**
- მაგრამ მზაკვრულად დამხერდა მაღლით **c**
- ფლოტს იუნონა, ის შობელძაღლი, **c**

ხალხი რომ ნახა ზღვაში გასული d
გაუცხოველდა გულის წუხილი — g
კრიახს და ქოთქოთს მოჰყვა კრუხივით — g
ცოცხალიაო ჯერაც ავსული! d

მიხვდით ალბათ, ლათინური ასოებით აღნიშნულია რით-მები. თავდაპირველად გამოყენებულია ჯვარედინი რითმა, შემდეგ — მოსაზღვრე, ხოლო ბოლო ოთხი სტრიქონი რგოლური რითმითაა განწყობილი და თითქმის მთელ პოემაში ასე გრძელდება. არის იშვიათი გამონაკლისიც, როცა ბოლო ოთხ სტრიქონში კვლავ ჯვარედინი რითმა გვხვდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი აზრს არასოდეს წირავს რითმას და ეს უდავოდ დიდი მიღწევაა.

ბევრი რამის თქმა შეიძლება ასანიძისეულ რითმათა განსაკუთრებულობაზე, რადგან ამხელა პოემაში არცერთი რითმა არ მეორდება. ერთი-ორჯერ იყო ისეთი შემთხვევა, რომ რითმები დაემთხვა, მაგრამ იგი დაუბრუნდა და დიდი ხნის ნათარგმნი შეცვალა. ეს ამირანისთვის პრინციპული რამ გახლდათ.

კიდევ ერთი ფრაგმენტი მიიწინა მოვიყვანო ბატონი რევაზ ხვედელიძის წერილიდან: „ენეადას“ თარგმანის სირთულეს სწორედ ბურლესკურ-ტრაგედულ თხრობა და ავტორის უმდიდრესი პოეტური ენა ქმნის. პოემაში ხშირად გაისმის გინება, ქუჩური გამოთქმები, ჟარგონი, უნმანური სიტყვები, რაც საერთოდ ნიშანდობლივია ამ სტილისთვის. ყოველივე ეს თარგმანისას დიდი ზომიერების დაცვას მოითხოვს. მთარგმნელმა კარგად გაართვა თავი ამ სირთულეს...”

ამის დასტურად კიდევ ერთ სტროფს მოვიხმობ თარგმან-იდან:

იმ ცრუპენტლებს აიძულდნენ
ენით ელოკათ ტაფები ცხელი,
ადნობდნენ ვერცხლს და მდიდრებს, კრიჟანგებს
პირში ასხამდნენ ნაცადი ხელით;
უცოლოები — მიწყვი დრანჯები,
თავს რომ იქცევდნენ კახპა-ხარჭებით,
სარზე ეკიდნენ იმ ნაწილებით,
რითაც იცხრობდნენ ვნების სტიქიონს,
რომლითაც ურცხვად სცოდავდნენ ხოლმე,
თანაც ეკიდათ ზედ საიქიო.

დიახ, უნმანურია, ქუჩური! — თუმცა შეუკავებელ სიცილს იწვევს და ამასთან — მისაღებია მსგავსი ხასიათის ნაწარმოებში. ამას მაშინ ამბობს ივანე კოტლიარეცკი, როცა მამის — ანქიზეს — სანახავად ენესასი ჯოჯოხეთში გამგზავრებას აღწერს და თან იმასაც ურთავს, „რა გამეგება მე ჯოჯოხეთისო.“

მთარგმნელი, რა თქმა უნდა, ვერ ასცდა მხოლოდ უკრაინული ყოფისთვის დამახასიათებელ ატრიბუტთა ორიგინალის ენაზე გადმოცემას; ასეთებია: ჩუპრინა, სვიტა, კარაბლიკი, რუშნიკი და ა.შ.; ცეკვები: „ჰარლიცია“, „სანჟარიკა“, „მეტელიცა“ და სხვა. აქვე ვხვდებით იმ გეოგრაფიულ სახელებს, რომლებსაც დღეს უკვე აღარ იყენებენ. ივანე კოტლიარეცკის „ენეადა“ თითქოს დროშია განფენილი და მხოლოდ კონკრეტულ ამბავს არ ეხება. მაგალითისთვის მოვიყვანოთ „კოშევი“, რაც უკრაინულად მეთაურს ნიშნავს. ეს თანამდებობა ძირითადად XIV საუკუნიდან გვხვდება უკრაინაში, ასევე შეგვიძლია დავასახელოთ „ნეჩესა თავადი“ — ეკატერინე მეორისდროინდელი მოღვაწე, საგაიდანნი და ვინ მოთვლის კიდევ ვინ, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეში ცხოვრობდნენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ივანე კოტლიარეცკის დამოკიდებულება ვერგილიუსისადმი, რომელიც ისეთივე გროტესკულია, როგორც მთელი ნაწარმოები. მთარგმნელიც რა თქმა უნდა ზუსტად მიჰყვება ავტორის მიერ დასახულ მიზანს და ეხმაურება დიდ წინმორბედს:

ღმერთმა აცხონოს ვერგილიუსი,
ჭკვიანი კაცი იყო ძალიან,
მაგრამ სხვაგვარად ნუ გაგვიგებს და
გარდაიცვალა კაი ხანია —
ჯოჯოხეთს ეშხით აღწერს სულმნათი,
მაგრამ დღეს სხვაა მისი სურათი
და ვინძლო ველარ იცნო სრულებით;
ზოგი რამ თვითონ შევაფარადე,
ვაკელ, ვამატე და ჰა, თქვენამდე
მომაქვს ნათქვამი ხანდაზმულების.

აქვე შეიძლება მრავალი რამ გვეთქვას ნაწარმოების ცალკეულ პერსონაჟზე, მაგრამ მცირე წერილში ამის ჩატევა შეუძლებელია. მთავარი გმირი კი ზაპოროჟიელი კაზაკის დარად კარგი მეომარი, ქალთა გულთამბილავი, ჭამა-სმის მოყვარული, ძმათა ერთგული და ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებით აღსავსე ადამიანია. მისთვის არ არის უცხო არც შიში, არც სასონარკვეთა, არც სიბრალული. მას ეცოდება არკადიელი უფლისწულის მკვლეელი ტურნუსი, თუმცა, როცა მის წელზე მოკლავს სარტყელს შენიშნავს, ცოფდება; ებრალება საყვარელი ქალი, დიდონა, რომელიც ღმერთთა ბრძანებით მიატოვა.

და ყველაფერი ეს ისე ქართულად არის გადმოცემული, ზოგიერთი სახელი და ტერმინი რომ არა, ორიგინალური ნაწარმოები გეგონებოდათ.

შეუძლებელია არ შევეხოთ ტროელთა და ლათინთა ომს. სიტყვათა მონაცვლეობა, დინამიკა, რიტმი — მკითხველს მართლაც ბრძოლის ველზე წარმოადგენინებს თავს:

იფშუტებიან ფაკლი ღანვები,
ქრიან კბილები მჯილდანაცემი,
ტკაცუნი გააქვთ ძვლებსა და ნეკნებს,
ჩეხვა და გაყრა მიდის ართქმული;
ვინ დაოთხილა, ვინ ყირაზეა
და ვინ მიძვრება, მინას გართხმული.

მიუხედავად იმისა, რომ პოემა ვერგილიუსის „ენეადას“ პაროდიაა, განუზომელია მისი მხატვრული ღირებულება უკრაინულ ლიტერატურაში. მთარგმნელი კი თხრობის თავისებური სტილის გარდა, ბევრ ისეთ მეტაფორას, შედარებასა თუ ჰიპერბოლას მიმართავს, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს ამა თუ იმ გმირის ხასიათსა და ქმედების განსაკუთრებულობას. მაგალითისთვის ორ მცირე მონაკვეთს მოვიხმობ:

ფებოსის ტაძრის ვარ ფოფოღია,
ვილა არ მიცნობს კუმელ სიბილას,
ქვეყნად ჩემი ხნის ქვაც აღარ გღია,
დრომ თმაზე თეთრად გადაამირბინა...

ანდა:

როგორც კი უკუნს ცრიატმა სძლია
დღისა და ღამის უკვდავ მიჯნაზე,
ნავლი დაედო მთიების იერს
და შეეპარა ზეცას რიჟრაჟი...

როგორც მახსოვს, სწორედ ეს მონაკვეთი წამიკითხა ზეპირად თარგმანით აღფრთოვანებულმა გრიგოლ აბაშიძემ და მეც მაშინ მივხვდი, რომ ჩემს თვალწინ მშვენიერება იქმნებოდა.

ორიგინალის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პასაჟს უნდა შევეხო, ესენია: მეტყველების ენ. „მაკარონული სტილი“ და „ქაჯური ენა“. ამას კოტლიარეცკი რამდენიმე ეპიზოდში მიმართავს. პირველ შემთხვევაში, როცა მისწობის უკეთ გადმოსაცემად სიბილას ამეტყველებს „ქაჯური ენით“, რომელსაც სე-

მინარიელები და ქურდები იყენებდნენ თავიანთი ნათქვამის სხვათაგან დასაფარად; ხოლო მეტყველების „მაკარონული სტილი“ დიდად გავრცელებული იყო იმდროინდელ უკრაინა-სა და პოლონეთში. ეს ე.წ. „მაღალი სტილი“ გულისხმობდა ეროვნულ ენაში ლათინური სიტყვების ჩართვას. ასეთი ენობრივი აღრევა ბაროკოსდროინდელ ლიტერატურაში მეტად პოპულარული გახლდათ, — აღნიშნავს მთარგმნელი კომენტარებში. მაგრამ რა რთული უნდა ყოფილიყო მსგავსი ეპიზოდების გადმოქართულება, ნაწარმოების კითხვისას ალბათ არც დაფიქრდებით. არადა, იგი განიცდიდა, წერდა და ხე-

და, ხშირად ურეკავდა ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს, ეკითხებოდა, როგორ გაეგო ესა თუ ის ლათინური გამოთქმა, რჩევას სთხოვდა. ბატონი ბაჩანაც მოთმინებით პასუხობდა, ურჩევდა, აგულიანებდა და ამისთვის დიდი მადლობა მას.

რა გითხრათ, ამ პატარა წერილში მეტის ჩატევა ვერ მოვახერხე და ეს არც ყოფილა ჩემი მიზანი. მე მხოლოდ მსურდა ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის შემეხსენებინა ამირან ასანიძის სახელი და ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ ხელოვნებას შეწირული ადამიანები და სულ მგონია, რომ მათში წვეთ-წვეთად გადმოდის ფიროსმანის სული.

„და იცხოვრა, როგორც წერ...“

(ვერიკო ზამთარაძის
ქსაუბრება
ვაჟა მთარაშვილი)

— საქართველო პოეზიის ქვეყანაა, ანუ — მაღალი პოეტური კულტურისა. 21-ე საუკუნის დასაწყისში პოეტური კულტურა რამდენად ინარჩუნებს თავის სიმაღლეს?

— ამას დრო გვიჩვენებს. დროის გადასახედი ყველაზე უტყუარი საზომია ლიტერატურული ნაწარმოებისათვის — „ქმნილება“ თუ „მასკულატურა“, რადგანაც მწერლის პოეტური ხელოვნება აქცევს ნაწარმოებს ქმნილებად. 21-ე საუკუნეში რომ ახალი „ვეფხისტყაოსანი“, ან თუნდაც მე-20 ს. ბოლო მეოთხედის „დათა თუთაშხიას“ დონის ნაწარმოები არ შექმნილა, ისედაც ჩანს, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალით.

— „თითქო ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“ — ლექსად წერს გალაკტიონი შილერის მოსაზრებას, აკაკისთვის პოეზია ლექსის საიდუმლოებაა მის კანონებთან ერთად. თქვენ როგორ განმარტავდით, რა არის პოეზია და რა შია მისი საიდუმლო?

— პოეზია ადამიანის სულის — სიტყვის სამყაროში ნატვრებად, დარდებად, ტკივილებად, ოცნებებად, სევდანარევი სიყვარულის პოეტურ ორნამენტებად განფენაა ჟამთასვლის მდინარის შესაჩერებლად (ვითომ), შესაგუბებლად, კალაპოტის შესაცვლელად. ვინ პატარა კენჭს ისვრის ამ მდინარეში, ვინ დიდს, ვინ მთად ჩადგასა და გარშემო განიტოტება. მისი მოელვარე მწვერვალი სხვაგვარ მიიზიდავს აღუდგეს ჟამთასვლის მდინარეს. თავიდან ყველას მთა და მწვერვალი ჰგონია თავი. მერე... ზოგს კენჭიც არ რჩება ხელში მდინარესთან.

ისე საინტერესოა რაშია პოეზიის ის საიდუმლოება, რომელიც ერს თუ ბერს, ნიჭიერს თუ უნიჭოს ანდამატური ძალით იზიდავს? განსაკუთრებით მაოცებს სასულიერო პირთა ლტოლვა პოეზიისაკენ, იმ ხალხისა, რომელთაც ახალი აღთქმის მეშვიდე საიდუმლო „მღვდლობა“ მიიღეს და ბასილი დიდის თუ იოანე ოქროპირის ღვთიურ სიბრძნეთა შეცნობის ნაცვლად გალაკტიონს თუ ტერენტი გრანელს უფრო ელაციციბიან, წმინდა მამების ქადაგებათა ნაცვლად „პოეზიას განგვიმარტავენ“. თუმცა უნდა ითქვას, რომ დიდი წინასწარმეტყველნი, ქურუმნი — პოეტებიც იყვნენ და ადრეულ ხანაში პოეტი — ბრძენს და მოძღვარსაც ნიშნავდა ანუ სინონიმური ტერმინები იყო.

— ქართული პოეზია ძალიან მდიდარია სალექსო ფორმებით, მოყოლებული რუსთველურიდან გალაკტიონის სტროფამდე, თუმცა მას შემდეგ განვითარების კვალი აღარ ჩანს. მე-20 ს. მეორე ნახევრიდან მძაფრად იკიდებს ფეხს ალტერნატიული პოეზია — ვერლიბრი, ე.წ. თეთრი ლექსი. ეს პოეზიის განვითარებაა თუ პირიქით, პირველსაწყისთან დაბრუნე-

ბას მიგვანიშნებს, რადგან სინკრეტულ ხელოვნებას გამოცალკევებული ლექსი რიტმული (შედარებით თავისუფალი), მაგრამ ურითმოა.

— ასე მგონია, ქართული პოეზია ქართველი კაცის დაბადებისთანავე დაიწყო. და მთავარი: პოეზიას განზომილება არ აქვს! ლექსი პოეტურ ხილვათა (სიტყვებით გადმოცემული) იდუმალი სამყაროა, ამიტომ ლექსის ფორმათა სამყარო უსასრულოა.

უპირველესად, პოეზიას რაც შეეხება, ლექსსა და პროზას შორის განმასხვავებელი რიტმია, კიდევ — მელოდიურობა, მუსიკალურობა, ეფფონია, ბგერათა განმეორებანი... ჩემი აზრით, რითმიანი ლექსი უფრო ცოცხალია ამირანის ეპოსივით, „ვეფხვის და მოყმის ბალადასავით“, ლექსისთვის რითმა გულის გულია, მთავარი არტერი. თუმცა დღეს ხელოვნური გულიც გამოიგონეს, რომელიც ისე ვერ აჩქარდება სატრფოს ხილვისას, როგორც ბუნებრივი შეყვარებულის გული...

მითხარით ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსნის“ — ამ პოეტური ლექსისმეტყველების — ან „ლურჯა ცხენების“ ან „ყივჩაღის პემაანის“ სადარი თეთრი ლექსი თუ ვერლიბრი...

რითმიანი ლექსი ქართული სჯულის იდუმალ არითმოლოგიურ რეზონანსშიცაა, რასაც ყველა ვერ გრძნობს...

ნახეთ ატენის სიონის მრავალჭირნახულ, მაგრამ უკვდავ კედლებზე აღმოჩენილ წარწერებში, რომელსაც მე-9 საუკუნით ათარიღებენ, როგორი ქართული რითმიანი ლექსია ამოტივფრული: „იხილეთ ესე ჟამი, წავა, ვითარცა წამი“.

უბრწყინვალესია და მაშინვე გამიელვებს პარალელი ქართულ ხალხურ ლექსთან: „წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წუთობით იწყება“... ანდა — „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“... ეს სტრიქონები ქართველი კაცის უკვდავი სულის გადაძახილია უკიდევან სამყაროში — ყველა ქართველის გასაგონად, ყველას გასაგონადაც...

ამჟამად ივერიელთა ენის სიტყვიერი მრავალფეროვნება და ლექსიკური სიმდიდრის წყაროებია: ხალხური მეტყველება, ფოლკლორი, დიალექტიზმი, და უმთავრესი ჩვენი ბრძენი წინაპრების დანატოვარი სულიერი სიმდიდრე (იაკობ ცურტაველი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, შოთა რუსთაველი, იოსებ ტყეშელაი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, გოგლა, ტიციანი, პაოლო, ლადო, მირზა).

დღეს-დღეისობით კი თეთრი ლექსი თუ ვერლიბრი უნიჭო ლექს-მწერების თავშესაფარ ქონად იქცა, სადაც ხშირ შემთხვევა-



ში ერთუროს ბუნდოვანი შეფასებების დროს ისმის მამებლური გამონათქვამები: „განსაცვიფრებელი“, „შესანიშნავი“, „გენიალური“, „განსაკუთრებული“, „აღსაფრთოვანებელი“, „ორიგინალური“ და ა.შ. ამ პროცესის დასახასიათებლად გამოდგება ალბერტ აინშტაინისეული შეფასებათა კრიტიკიუმები: „ბევრი ლაპარაკი და ცოტა საქმე“. პირველსაწყისთან დაბრუნებას რაც შეეხება, სათავეებთან მიახლება ეს უდიდესი მისტერიაა. თუმცა ვერლიბრს არ ვგულისხმობ. სულმნათი პავლე ინგოროყვას აზრით, ბასილი საბანმინდელი პირველი ქართველი პოეტი, თუმცა ცხადზე ცხადია, რომ ივერიაში ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელებამდეც არსებობდა მნიგნობრული პოეზია, ისევე, როგორც მხედრული ანბანი, არაფერს ვამბობ ქრისტიანულ და ადრექრისტიანულ ფოლკლორზე. და ისევე ყურში ჩამესმის ატენის სიონის კედელზე ამოტიფერული: „იხილეთ ესე ჟამი, ნავა, ვითარცა ნამი“.

სამყარო ჰარმონიულია, მელოდიურია, რითმიანია. მხოლოდ გარეგნულად ჩანს ქაოსური. კოსმიურ ენერჯიათა ადეკვატურ რითმებად და რიტმებად, პოეტურ ხილვებად გამოძერწვა მოთმოდა ჭეშმარიტ და დიდ შემოქმედთა ხვედრია.

მწერლობა, და პოეზია საერთოდ, ქართველობის სულიერი და გონებრივი ცხოვრების, ერის სჯულის უმაღლესი გამოვლინებაა. ქართულ კლასიკურ ლექსს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. მსოფლიო პოეზიის ისტორიის თვალსაზრისით შოთა რუსთაველის სტროფი სრულიად უნიკალური მოვლენაა. რითმა უმთავრესად სტრიქონების დაბოლოებათა ბგერითი მოწესრიგებაა. რითმა რიტმის სიგნალიაო, ბრძანებდა აკაკი განერელია. აკაკი ხინთიბიძის განმარტებითაც, ქართულში რითმა ეწოდება ერთი და იმავე ან მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა განმეორებას, უმთავრესად სტრიქონთა ბოლოს. რითმის ხარისხი მის სემანტიკაზეა დამოკიდებული, ასევე რითმის ღირსებაა მისი მოულოდნელობა, ბგერათა ჰარმონია. უნდა აღინიშნოს, რომ რითმა სალექსო სტრუქტურის შედარებით უფრო გვიანდელი ელემენტია. თავდაპირველად პოეზია ურითმო იყო (ანტიკური პოეზია), ურითმო იყო ადრინდელი ხალხური პოეზიაც (მაგრამ არა ურითმო), ხოლო ევროპულ პოეზიაში რითმა აღმოსავლეთიდან შევიდა. აღმოსავლეთია რითმის სამშობლო. რითმიან ლექსს წინ უსწრებდა ე.წ. ალტერნატიული ლექსი, რაც გულისხმობდა მოსაზრებულ სტრიქონთა სანყისი სიტყვების ბგერით თანხმობას. ე.ი. გარკვეულ კანონზომიერებას ჰქონდა ადგილი და არა ნებისმიერ მდგომარეობას. ჟამთაგულის განმავლობაში ამ თანხმობამ სტრიქონთა თავიდან ბოლოსკენ გადაინაცვლა და მივიღეთ რითმა. ესაა, შეიძლება ითქვას, რითმის მოკლე ისტორია.

რაც შეეხება ვერლიბრს, ყველამ ვიცით, რომ თავისუფალ ლექსს ნიშნავს. ამ სახელწოდებითაა ცნობილი მეტრულ წესრიგს დაუმორჩილებელი ფორმა ლექსისა. ვერლიბრს არ გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. თავისუფალ ლექსს მსოფლიოში რამდენიმე გამოჩენილი შემოქმედი ჰყავს: უოლტ უიტმენი, ტომას ელიოტი, პოლ კლოდელი... თუმცა მათი პოეზია ედგარ პოდმე არ ამალეებულა, ელიოტი პოლ ვალერის ყველაზე დიდ პოეტად მიიჩნევდა. მე-20 საუკუნის ბრწყინვალე ვერლიბრისტი იყო — რუსი რეპრესირებული პოეტი ოსიპ მანდელშტამი, რომელმაც, სამწუხაროდ, 47 წელი იცოცხლა. სხვათა შორის, მანდელშტამმა შესანიშნავად თარგმნა ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიცინა ტაბიძის, ნიკოლო მინიშვილის შემოქმედება. გოგლა ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის ნაწარმოებები.

ვერლიბრის ისტორიაში არსებობს ერთი განსაკუთრებული შემთხვევაც, კერძოდ, გამორჩეული ფრანგი შემოქმედის და ნობელიანტის რომენ როლანის აზრით, არც ერთ კომპოზიტორს ან პოეტს არ მოუქცევია რეასტრიქონიან თავისუფალ და რითმიან ლექსში სამყარო და მარადისობა ისე გასაოცრად და საკვირველად, როგორც ეს შესძლო იოჰან ვოლფგანგ გოეთემ „მგზავრის ღამეულ სიმღერაში“. აღნიშნული ლექსი ვერლიბრის ფორმისაა, მაგრამ ამ ფორმის ერთ-ერთი ნიშანი სინტაქსური პარალელიზმი არ გააჩნია, როგორც აკაკი განერელია ბრძანებს. აქედან დასკვნა: პოეტური ქმნილების სხიდა-

დეს ავტორის ნიჭიერების მასშტაბი უზრუნველყოფს და არა ამ ქმნილების სტრუქტურული თავისებურება ან სიახლე.

ამდენად, ვერლიბრისთვის ლექსწყობის წეს-კანონების სრული იგნორირება შეუძლებელია და ის რითმისა და მეტრის სანაცვლოდ შინაგან სიძლიერეს, შიდა რიტმს მოითხოვს, თუმცა ჩვეულებრივ ლექსთან შედარებით ვერლიბრის რიტმი თავისუფალია. ვერლიბრისთვის ნიშანდობლივია არაორდინარული, მოულოდნელობებით აღსავსე სახეები და განწყობილებანი. თუმცა თავისუფალი ლექსის ინტონაცია სასაუბროსას უახლოვდება. ამიტომ ვფიქრობ, ჭეშმარიტი ვერლიბრის წერა მაღალ პოეტურ ტექნიკას მოითხოვს და არა სიტყვათა ურითმო რახარუხს. მაინც მგონია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დონის შედგენი ვერლიბრით ვერ დაინერებოდა. ვფიქრობ, არც მომავალში შეიცვლება რამე.

— პოეტები საუკუნეები იბრძოდნენ ლექსის ფორმის დასახვენად, ფაქტობრივად, ვაგნერის მუსიკის შერწყმამ ფრანგ სიმპოლისტა შემოქმედებაში ერთარსად აქცია პოეზიის ფორმაცა და შინაარსიც, რაც შესაძლოა სრულყოფილ კიდევ ჩვენში გალაკტიონმა თუ ცისფერყანწლებმა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ამოწურა ქართულმა პოეზიამ შესაძლებლობები?

— ლექსის ფორმის დახვენა უპირველესად პოეტურ მეტყველებას უნდა დაეტყოს და არა ლექსის გარეგან, გნებავთ, გეომეტრიულ სტრუქტურას, უნდა ამალეებს სიტყვის ფუნქციური დანიშნულება, რადგან სიტყვის პოეტური სახისმეტყველება სხვა და ჩვეულებრივი მეტყველება — სხვა. სამწუხაროდ, ამას ვერ არჩევნ ზოგიერთი დღევანდელი ლექს-მწერები. ეპითეტების, მეტაფორების, შედარებების როლის ამალეება ფერთამეტყველების დონეზე სალექსო რეფორმის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია. ლექსის მეტრის რეკონსტრუქცია, რითმა და ბგერწერა დღეს შედარებით ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება, ვიდრე გასული საუკუნის ოციან წლებში. თუმცა მაშინ ჯერ გალაკტიონმა 1915 წლიდან, შემდეგ „ცისფერყანწლებმა“ ქართული ლექსის ჭეშმარიტი რეფორმა განახორციელეს, როცა დაინახეს, რომ აკაკისებური ლექსწყობა შტამადა გადააქცია ყველა დროში „მოღვაწე“ ლექს-მწერთა არმიამ. ვფიქრობ, დღეს ლიტერატურული კრიტიკის არაობიექტურობა თუ არარსებობაც ხელს უშლის თანამედროვე ქართული პოეზიის შესაძლებლობებზე მსჯელობას. მეგონა, „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემას მოჰყვებოდა სალი ლიტერატურულ-სამწერლო პოლემიკა და არა დაბოღმულ ოპონენტთა თუ მათ დაქირავებული მჯღაბნელთა ცვედრური ქილიკი.

— დღეს დინოზავრის ნაფხურებითაა გადაშენდა გარკვეული სალექსო ფორმები, რაც მე-20 ს.-ის მიღწევადაც კი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ პოეზიაში (ტერცინა, ტრიოლეტი, ოქტავა, კანცონა და სხვ.). ხოლო გარკვეული ნაწილი სალექსო ფორმებისა — სონეტი, მუხამბაზი, მაჯამა — თითქოს პოპულარულიც კია, მაგრამ დამახინჯებული სახით. არადა, თუ გადავხედავთ ლიტერატურის ისტორიას, ჩვენს დიდ პოეტებს სერიოზული პოლემიკა ჰქონდათ ამ ფორმების შემოტანისა და დამკვიდრების თაობაზე, რადგანაც ყოველ მათგანს მკაცრად განსაზღვრული წეს-კანონები აქვს. რა არის მიზეზი სალექსო ფორმების არასრულფასოვნებისა ან საერთოდ უგულებელყოფის?

— პირდაპირ გიპასუხებთ: უნიგნურობა, უნიჭობა. ის, რომ დღეს ძალიან ადვილია ერი თუ ბერი პოეტად „მოინათლოს“, რომ პოეზიაზე და საერთოდ, მწერლობის არსზე ვითომ „ღრმად დასუბარი“ ტელე თუ რადიო ეთერით ადვილი გახდა, აღარაფერს ვამბობ ერთმანეთის საცობარ-მლიქვნელურ, ლათინოამერიკული სერიალების მსგავს ეროფეროვან „ლიტერატურულ ღონისძიებებზე“ და მამებლურ პუბლიცისტურ წერილებზე. წეს-კანონებს კი არა, ზოგიერთი ტელეჟურნალისტი აკაკის და ყაზბეგს ვერ არჩევს ერთმანეთისაგან და დავით გურამიშვილი საბურთალოზე მცხოვრები ჰგონია. რაც შეეხება სალექსო ფორმებს, ეროვნული ფორმების გარდა, კერძოდ რუსთველური თექვსმეტმაცვლიანი ლექსი, ხალხური შაირი (დაბალი და მაღალი), ჩახრუხაული, ფისტიკური, მთიბლური,

შერეული, გალაკტიონის სტროფი და სხვ., ასევე ქართულ პოეზიაში დამკვიდრებული უცხოური სალექსო ფორმები მაჯამა, მუხამბაზი, ტერცინა, ოქტავა, ტრიოლეტი, სონეტი, კანცონა, პალინდრომი (მაგ. აირევი ივერია) დღევანდელ თანამედროვე ქართულ პოეზიაში იშვიათად გვხვდება. დღეს ძირითადად რვა-ათ მარცვლიანი ჯგერედინი ან მონაცვლე რითმიანი ლექსებია ანდა ვერლიბრი ან თეთრი, თავისუფალი ლექსი. ჩემი აზრით, გალაკტიონისა და „ცისფერყანწლები“ შემდეგ ქართული ლექსის მნიშვნელოვანი სალექსო რეფორმა არ მომხდარა.

— განსაზღვრავს თუ არა ლექსის ხასიათი, მის მუსიკალურობას ენა? როგორც ვიცით, სხვა ენებში მახვილს დიდატივროთვა აქვს, რაც განაპირობებს მის ტონურობას, თუ სილაბურ-ტონურობას რა დატივროთვა აქვს ქართულ ენას ქართულ პოეზიაში?

— ენას უდიდესი დატივროთვა აქვს პოეზიაში, როგორც ფერებს მხატვრობაში, და ბუნებრივია, ქართული ენა ქართული პოეზიის სული სულთაგანია. როგორც ცნობილია, მახვილი ანუ აქცენტი სიტყვის ბგერითი და აზრობრივი ფოკუსია და მოუღდის იმ მარცვალს, რომელიც სიტყვის დანარჩენ მარცვლებთან შედარებით ფილტვებიდან ჰაერის ძალუმად ამოშვებით (ექსპირაციით) გამოითქმის. ქართულ ენაში, როგორც ინგლისურში, გერმანულსა ან რუსულში, მახვილი დინამიკური ანუ ექსპირატორულია, მაგრამ რუსულივით მკვეთრი და თავისუფალი — არა. ამასთან ქართულში მახვილს სიტყვათა მნიშვნელობის სადიფერენციაციო დანიშნულება არა აქვს, ხშირ შემთხვევაში ხმოვანის გაგრძელება ქართულში მახვილის ბუნებრივ ადგილს ემთხვევა, ე.ი. ქართული აქცენტი პოტენციურად ითავსებს ამ ელემენტს. ცნობილია, რომ ლექსწყობის სისტემებიდან ქართული ლექსი ყველაზე მეტ სიახლოვეს სილაბურ სისტემასთან პოულობს, თუმცა ქართულ ლექსს ვერლიბრის მომძლავრების გამო ემჩნევა გადახრა სილაბურ-ტონურობისკენაც. ხოლო ქართული ლექსის ენა ბრწყინვალე სასიმღერო ენაცაა, ამაზე მეტყველებს ჩვენი უკვდავი ეროვნული სიმღერები: „მრავალჟამიერი“ „ჩაკრულო“, „ურმული“, „წინწყარო“, „იავნანა“...

— გამომდინარე წინა კითხვიდან, მინდა განვავრცოთ მოსაზრება, რომ ლიტერატურულ ნორმებს ადგენს მწერალი. სამეტყველო ენას განსაზღვრავს სამწერლო-ლიტერატურული ენა. დღეს ე.წ. „მწერლობაში“ დამკვიდრდა არა კოლორიტის შექმნა, არამედ პირდაპირ გადალება სლენგის, ჟარგონის, ბილნსიტყვაობის. რამდენად გამართლებულია ეს სტილი?

— ივერიელთა ლიტერატურული ენის ლექსიკა უაღრესად მდიდარია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 20000-ზე მეტი სიტყვაა. ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე საშუალებას იძლევა ბუნების ყველა მოვლენა, ყოველგვარი აზრი, შერგონებათა უმნიშვნელო ნიუანსებზე კი გამოვთქვათ შესაფერისი სიტყვებით. ერის სულიერ წიაღში აღმოცენებულ და ჟამთაისვლის ქარცეცხლში შექმნილ ენას ამდიდრებენ და განვითარების მსოფლიო გეზს აძლევენ უწინარესად მწერლები. ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, მწერალში ნამდვილ მწერალს ვგულისხმობ და არა ყველას, ვისაც რაიმე დაუფლავს თუ გამოუცია (ბოლო დროს მწერლად „მონათვლა“ გაადვილდა. ფულიანი უნიჭოები ქირობენ ნიჭიერ მწერლებს აწერიან და ა.შ. ამაზრზენია!). ამ პრობლემას ეძღვნება, სხვათა შორის, ჩემი ახალი ლექსიც „ტრიოლეტი“: „შენ პოეტი ხარ... ყიდი სტრიქონებს, რომ საკუთარი შვილი არჩინო... „მწერლად“ შეთხზული აღარც გიგონებს... შენ ხარ პოეტი, ყიდი სტრიქონებს... უფლისთვის ყველა არის საჩინო... შენ ხარ პოეტი, ყიდი სტრიქონებს... რომ საკუთარი შვილი არჩინო...“

ლიტერატურულ ნორმებს მწერალი ადგენს იმიტომ, რომ იგი ერის სულიერების ყველაზე სრულყოფილი და თავისუფალი ფენომენის გამომხატველია. ქართული მწერლობა კი ივერიელთა გაუტყებლობის, შეუპოვრობისა და შინაგანი თავისუფლების სადიდებელია. ამიტომაც იყო (და, სამწუხაროდ, არის!), რომ ჩვენი მტრები (ახლომყოფი თუ შორეული) ქართულ მწერლობას, ქართულ ენას, ქართულ წიგნს ისე მუხანათურად და

გამგელებით ებრძოდნენ, როგორც ჩვენს ეკლესია-მონასტრებს თუ ციხე-კოშკებს.

სამეტყველო ენას არამარტო განსაზღვრავს სამწერლო-ლიტერატურული ენა, არამედ განვითარების გეზსაც აძლევს, ხვეწს და ერთგული მეციხოვნესავით მუდამ იცავს უცხოთა (ხშირად ურჯულთა) შემოსევებისაგან. რაც შეეხება ლიტერატურულ კოლორიტს, იგი სლენგით, ჟარგონით, ბილნსიტყვაობით ვერ შეიქმნება, რამეთუ ეს ჩვენი მტრების მიერ, პირობითად ვუნდოთ თუნდაც, ქართული ციხის შიგნიდან გასატყუხად მოგონილი ერთ-ერთი მზაკვრული ხერხია და ნამდვილ მწერლობასთან მას არაფერი ესაქმება. ნახეთ ჩვენი მართლაც ცოცხალი კლასიკოსის ჭაბუა ამირჯიბის „დათა თუთაშია“ ან „გიორგი ბრწყინვალე“, როგორი მაღალი ოსტატობით ხატავს, როგორ ძერწავს თუნდაც საჩითირო ინტიმურ პასაჟებს, როგორ ენით ასაუბრებს მტერ-მოყვარეს, რანდს თუ ავაზაკს... ან თუნდაც ჩვენი ან გარდაცვლილი თანამედროვე მწერლის, დიდი ძმის გოდერძი ჩოხელის მოთხრობები თუ რომანები — როგორი სუფთა ქართული ენითაა ნაშენები მისი ხასიათის სიმკაცრე-გრატესკის და სინაზე-სინმინდის უცნაური ქონგურები... ნახათ მათთან ბილნსიტყვაობას ან ე.წ. „სლენგს“ ანდა ბატონ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებები „გაფილტრეთ“ თუნდაც, ქართული ენის ბაჯალლო ოქრო შეგრჩებათ მხოლოდ, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, გოგლა ლეონიძის „ნატურის ხე“, ოთარ ჩხეიძის „პაგანიის თითები“, ჯემალ ქარჩხაძის „იგი“, გურამ რჩეულიშვილის „უსახელო უფლისციხელო“, ოტია იოსელიანის „მენინავე“, გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფელი“, რეზო ინანიშვილის „ერეკლე მეფე და ანანურელი უღამაზოები“ — თანამედროვე ქართული პროზის კლასიკად ქცეული საგანძურია — ანკარა ქართულით გაბრწყინებული...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ჟარგონი, ბილნსიტყვაობა, სლენგის უნიჭო მწერ-ჭია-ღუბის სტილია. ასე იყო ბოლომდე, რომლებშიც ისინი ვითომ „კულაკებს“ და „ქვეყნის მტრებს“ ავინებდნენ... გამახსენდა ჩემივე ლექსის სტრიქონები: „დაილექება დასალექი ოქრო და რკინა“... დანარჩენს კი ჟამთა ქარი წაიღებს...

ისე იბერიელთა ენა უძველესი საკაცობრიო ენაა. გავისხენოთ უცნობი ჰიმნოგრაფის სტრიქონები: „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შიგან დამარხულ არს“... ზოგს ეს სატელევიზიო ზღაპრით ჰგონია. არადა, ქართული ენა ფილოსოფიური აღნაგობისაა, როგორც შალვა ნუცუბიძე იტყობს. სმენა აქ უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, „მისმინე“, „ისმინე“ — არამარტო მოსმენას, არამედ შესმენასაც ნიშნავს, რაც იონან პეტრინს უკვე XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე აქვს აღნიშნული. სხვათა შორის, შემდგომში პირველად ნიკო მარმა მიაქცია ყურადღება თვალისა და ყურის ფუნქციების დამთხვევას ქართულ მეტყველებაში, კერძოდ, „მიყურე“ ნიშნავს, როგორც ყურის გდებას, ისე შეხედვასაც. ამიტომაც ძლიერი ორატორული ხელოვნება — თვალსაც ატყვევებს და ყურსაც... იბერიული ენა ლეთიური სემანტიკის ენაა. დააკვირდით, როგორ იწერება და რა აზრს შეიცავს თუნდაც ერთი უმთავრესი სიტყვა — „ღმ-ერთი!“ რომ ლეთიური — მაღალი ერთი! მეტს აღარ გავაგრძელებ.

— არცთუ ისე შორეულ წარსულში ცენზურა ხელოვანთათვის საბედისწერო იყო, ხოლო დღეს უცენზურობით თვითმარქვია ხელოვანთა (მწერალთა) შემაშფოთებელი სტატისტიკაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ე.წ. „ტიტრით მწერლები“ თვითვე ინიჭებენ მწერლის სტატუსს. ამბობენ, დრო ყველაზე უტყუარი შემფასებელიაო. რეალურად, რა არის ხელოვნების განმსაზღვრელი. როგორ ხდება მწერლად აღიარება?

— ცენზურა პოლიტიკური ნიშნით დაუშვებელია, მაგრამ უნდა არსებობდეს მაღალი სარედაქციო-ლიტერატურული პოლიტიკა — კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ-

თი შემადგენელი ნაწილი, პირობითად ლიტერატურული ცენზურა, რომელიც უცენზურო ნაწარმოებებს არ დაბეჭდავს, გნებავთ „თვითმარქვია“ და გნებავთ „სახელგანთქმულ“ შემოქმედთა (მწერალთა), რამეთუ ზოგიერთმა საშუალო დონის მწერალმაც სცადა ბედი უხამსობის დამკვიდრებაში.

„ტიტრით მწერლობა“ ჩვენში ტელეარსებმა შემოიღეს, რაც ანტიქართული ტელეპოლიტიკის შედეგია. „ტიტრით მწერლობა“ პირდაპირი მანიშნებელია უნიგნურობისა. ჭეშმარიტი მწერალი სიტყვის მსახურია. „სიტყვა იგი იყო ღმერთთანა“... სიტყვისქვეშეთის ღვთიურ იდუმალებათა ამომცნობი კი ცოტაა, ნიგნის გამოცემული ბევრი... მაგრამ ჭეშმარიტ შემოქმედსა და შემოქმედებას „ღმერთი არ გასწირავს“. ათეული წლების, საუკუნეთა მერეც გამოამზეურებს თუნდაც მიკარგულს, თითქოს ყველასაგან დავინყებულ შემოქმედს... გავიხსენოთ, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი შემოქმედება, მისა ხელაშვილის „ლექსო, ამოგათქომ, ოხერო“, ნიკო სამადაშვილის პოეზია, ანდა ვასილ ცერცვაძის „თეთრი რაში არ დაიღვამს უნაგირს“, არ დაუკარგა ჩვენს ერს ღმერთმა. ჭეშმარიტი მწერლის ნაწარმოებს ღვთიური მადლი სცხია, სხვანაირად ანათებს... მწერლად აღიარებისთვის არც გამოცემულ ნიგნთა სიმრავლეა შეფასების კრიტერიუმი და არც ტელეეთერში ხშირად ჯდომა, რამეთუ „გაივლის დრო და თაობები შეიცვლებიან“ და ჟამი მადლცხებულს დატოვებს...

— ლიტერატურული პერიოდიკა უნდა ასახავდეს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს, მაგრამ რა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს დასაბეჭდი მასალა? თუ გადავხედავთ, არცთუ მდიდარ ჩვენს სახელოვნებო ჟურნალ-გაზეთებს, არასახარბიელო სურათს მივიღებთ, ხელოვნებას დაკარგული აქვს ესთეტიკური ღირებულება, თანაც ის არა ბაძვის საგანი, არამედ რეალობის მხოლოდლა ამსახველის როლში გვევლინება. რა არის მიზეზი მდარე სალიტერატურო პროდუქტისა? ხომ არ ნიშნავს სარედაქციო სისტემის სისუსტეს (რბილად რომ ვთქვათ)?

— რა თქმა უნდა, ლიტერატურული პერიოდიკა უნდა ასახავდეს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს, თუმცა ეს სრულად შეუძლებელია, რადგან ჩვენთან ლიტერატურული პერიოდიკა ისევეა ლიტერატურულ-სამწერლო კლანთვად დაყოფილი, სამწუხაროდ, როგორც დღევანდელი საქართველო დიდ თუ მცირე პოლიტიკური გავლენის სფეროებად და ასეთ პატარ-პატარა ლიტსაფეოდალოებში არიან თვითმარქვია მეფეები, დედოფლები, რაინდები, დესპანები და ა.შ. პოლიტიზირების, კოსმოპოლიტიზმისა და გლობალიზაციის ეპოქაში ნამდვილი ხელოვნება ესთეტიკურ ღირებულებას კი არ კარგავს, არამედ მას ჩქმალავენ, „დუმლით კლავენ“ ჭეშმარიტ შემოქმედებას. სარედაქციო სისტემას გათვლა აქვს არა „ჭეშმარიტად ღირებულ“ ლიტერატურაზე, არამედ ბიზნესის კუთხით მომგებიან, სარფიან პროდუქტებზე, ე.ი. ლიტპროდუქციის ფული უფრო ტკბელია, ვიდრე „სული“... მე გე მონი, რბილად ვთქვი.

— ბილწსიტყვაობა, ეროტიკულობა, სალიტერატურო ნორმების რღვევა დღეს მწერლობაში საკმაოდ მოდური ტენდენციაა. ამ ყველაფრის მიღმა უბრალოდ უფიცობაა თუ ეს ქმედება კარგად გამიზნული თვითდამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა? არ ფიქრობთ, რომ თანამედროვე ლიტერატურამ, ზოგადად ხელოვნებამ დაკარგა ღირებულება? იქნებ საზოგადოების დეგრადირებით არის განპირობებული, რომ ასე პოპულარულია დღეს მასკულტურა?

— მეეჭვება ლიტერატურული პროდუქციის თვითპიარმა ჭია-ლუა-მწერ(ლ)ებს თვითდამკვიდრებაში შეუწყოს ხელი, რამეთუ, როგორც პლასტიკური ქირურგიით გაკერილ საქალწულე აპკს არ შეუძლია ცოდვის შეცდომის გამოსწორება, ისე დარჩებათ ბილწსიტყვაობისა და კალმით ეროტიკულობის მოყვარულთ ოხრად თავიანთი „შედევრები“.

კიდევ ვიმეორებ: ეს საზოგადოების უნიგნურობის ბრალია, რასაც ივერიის შიდა და გარე მტრებმა მიაღწიეს გასულ წლებში ჩვენთან ანტიქართული პოლიტიკის შედეგად. ეს აღარ უნდა განმეორდეს.

— მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში იშვიათობაა მეტყველების კულტურა. იქნებ სამწერლო ხელოვნების რღვევაა მიზეზი?

— შეგნებული ანტიქართული ტელეპოლიტიკაა ამის შედეგი, საზოგადოების ლიტერატურული სამეტყველო ენის დაბინძურების ტელეზომბირების მეთოდების გამოყენებით. სხვათა შორის, ამის შესახებ გასული საუკუნის 80-იან წლებში წერდნენ უცხოელი მეცნიერები: ჯორჯ ქამსტოკი, სტივენ ჩაფი, ნათან კაცმანი, დონალდ რობერტსი და სხვ. თუ როგორ მოქმედებს ადამიანის ქცევაზე, მეტყველების კულტურაზე ტელევიზორი. ტელეეთერმა ხომ ფაქტობრივად წელიწადის ოთხ დროს დაუმატა მეხუთე ხელოვნური დრო — „ჯადოსნური ეკრანისა“...

— ადამიანს პოლიტიკურ ცხოველად ახასიათებს არისტოტელე, არის თუ არა ხელოვანი პოლიტიკური ცხოველი?

— ადამიანის პოლიტიკური ცხოველობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი და იგივე „ტელეცხოველებს“, „ტელემწერლებს“, „ტელეხელოვანებს“ რომ ვხედავ, ეს მაკვირვებს. ყველა პოლიტიკურ ბანაკს თუ სიტუაციას როგორ „ეყვარყვარებთან“ ეს შეჩვენებულები.

— მუზა შემოქმედებითი შთაგონება, განწყობის ფსიქოლოგია თუ მიზეზ-შედეგობრიობა ხელოვნებაში? როგორ ახსნით, რა არის მუზის ფენომენი?

— ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება სულის შესახებ, პირველად არისტოტელემ ჩამოაყალიბა. ჩემი აზრით, პოეზია ადამიანთა სულის ზეცაა, ხოლო მუზის ფენომენი — ამ ზეცაში ფრენის საშუალება. ამ ზეცაში ზოგი სიზის მიხედვით ძალზედ მაღლა მიფრინავს, ზოგი საშუალო სიმაღლეზე, ზოგიც დაბლა დაფორთხავს ან ბობლავს და ჰგონია, ფრენს. ზოგი ზეცაში მარადიულად კიაფობს ვარსკვლავით, ზოგიც სეტყვასავით ანადგურებს არემარეს. ადამიანის სულს განზომილება არა აქვს და, ბუნებრივია, არც პოეზიას გააჩნია განზომილება, რადგან იგი ღვთიური ფენომენია და ჭეშმარიტი პოეზია სამყაროს დასასრულამდე იარსებებს...

— რა არის ნაწარმოების მარადიულობის თილისმა?

— მისი ღვთიურობა, უფლის მადლცხებულება.

— როგორ შეიძლება გავიგოთ მორალის სიტყვები ოდისესის ფსიქონალიზისას, გმირის ქმედებების გაგებისათვის — უმთავრესია არა ის, რას გვეუბნება ავტორი, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი.

— „აღქმა“ ფსიქოლოგიური კატეგორიაა და დიმიტრი უზნაძე განიხილავს, როგორც განწყობის ფაქტორს. კერძოდ, „აღქმა“ უნდა გვესმოდეს, ერთი მხრივ, როგორც მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს განწყობის აქტს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც განცდა, რომელიც თან სდევს მას. თუ ასე მივიდგებით ოდისესის ფსიქონალიზს, უმთავრესია — რას გვეუბნება ავტორი, რადგან თანამედვე განცდათა საკმაო სიმრავლის დროსაც კი ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, რომელსაც სწორი აღქმა უნდა და არა ილუზიური.

— აქედან გამომდინარე იბადება კითხვა, სამყარო არის ისეთი, როგორც ჩვენ აღვიქვამთ, თუ ისეთი, როგორც არის?

— გიპასუხებთ: მირზა გელოვანი ჯარიდან გიორგი შატერაშვილისადმი 1939 წელს მიწერილ ბარათში წერს: „თურმე საჭიროა მახვილის წვერებზე შიშველი ფეხისაგულებით სიარული, რათა შენი სიკვდილის შემდეგ გააღმერთონ შენი დაიარაგებული სხეულიდან გამოსული ნათელი“... მერე დასძენს: „ასე ყოფილა მუდამ, ასე იქნება ანიც. მხოლოდ განსხვავება შეგნების სიახლეში გამოისახება“... ვფიქრობ, შეგნების სიახლეში, აღქმის სიახლეში მივიწვევთ სამყაროს ჭეშმარიტებისაკენ. ასე რომ არ იყოს, კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა, პროგრესი არ იქნებოდა.

— ხელოვნებაში არსებითია არა თემა, შინაარსი, არამედ გამოსახვის საშუალებები. მე-20 ს-ის დასაწყისი მდიდარია ნოვაციებით, რეფორმებით. თუ პარალელს გავავლებთ თანამედროვეობასთან, ისმის კითხვა, რას გვთავაზობს 21-ე საუკუნე ახალს?

— 21-ე საუკუნე გვთავაზობს პოეტურ გლობალიზაციას, ლექსის ე.წ. სიშიშვლისკენ მიდრეკილებას. ისე, დავიცადოთ ჯერ მხოლოდ 12 წელია გასული. 21-ე საუკუნეში დაასრულეს სიცოცხლე დიდმა სამოციანელებმა: ანა კალანდაძემ, მურმან ლებანიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ოთარ ჭილაძემ, ფრიდონ ხალვაშმა, შოთა ნიშნიანიძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, ზურაბ გორგილაძემ. მე-20 საუკუნიდან გადმოტანილი მათი ექვსი ჯერაც ძალუმად ისმის, საბედნიეროდ. დანარჩენი მომავალი გვიჩვენებს, თუნდაც ბანალურად მოგეჩვენოთ ეს ნათქვამი, რადგან პროგრესი ხორციელდება წინააღმდეგობასა და ბრძოლაში: ყოველი დროის ყოველი ძველი იდეის გვერდით იზრდება ახალი და არავის არ ძალუძს ამისთვის ხელის შეშლა ანუ „ჟამი მოვალის, კარ გაიღების თავადა“... ყველაფერს დრო ჭირდება — 21-ე საუკუნის ყველაზე ძვირი და დეფიციტური ფენომენი.

— რამდენად მაღალია დღეს მწერლობაში ეროვნულობის თვითშეგნება და ხომ არ იქცა პატრიოტიზმი დრომოჭმულ, ტრაფარეტულ ლოზუნგად?

— მე ასე არ ვთვლი. გასული საუკუნის 30-50-იანი წლები გავიხსენოთ. მაშინდელ ბოლშევიკურად გულანთებულ „პროლეტმწერლებსაც“ დრომოჭმულად და „კულაკურ გადმონაშთად“ მიაჩნდათ პატრიოტიზმი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლადო ასათიანის პირველი წიგნის „წინაპრები“ დაჭრა-დაკუნვა, ანდა ანა კალანდაძის პირველი — ეროვნულობით გაჟღერებული — ლექსების შვიდი წელი დაპატიმრება. დღესაც გულისგულამდე მძრავს რაფიელ ერისთავის მე-19 საუკუნეში მამულის უსაზღვრო სიყვარულით შექმნილი სახარებისულ მცნებასავით სტრიქონები: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“... დადეთ სასწორის პინაზე თუნდაც ეს ორი სტრიქონი და იქით „საბას“ პრემიის სავესტის ქისებით ნასუქი ზოგიერთი მწერლის ნაღვანი და ნახავთ...

ეროვნული თვითშეგნების გარეშე ქართული მწერლობა (ლაპარაკია ჭეშმარიტ ქართულ მწერლობაზე) წარმოუდგენელია. დავით გურამიშვილს თუ გრიგოლ რობაქიძეს, რომელთაც ათეულობით წლები მოუწიათ უცხოეთში ცხოვრება — ეროვნული თვითშეგნება არ დაუკარგავთ, სამშობლოზე გულაცრულად არ დასტყობათ მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარი, მაგრამ რთული ემიგრანტული ყოფისა.

— როგორ ფიქრობ, 21-ე საუკუნეში გამძვინვარებულმა მასკულტურამ ხომ არ დააკარგვინა ხელოვნებას შემეცნებითი ხასიათი?

— ზოგადად სიტყვა „შემეცნება“ — ცოდნის შექმნას, ობიექტური სამყაროს კანონზომიერებათა, ბუნების კანონთა წვდომას ნიშნავს. ვფიქრობ, სიტყვით აგებულ ტაძართა შეცნობა-გამოკვლევა უფრო რთულია, ვიდრე ქვით ნაგებისა. 21-ე საუკუნეში ჯერ არ მომხდარა ისეთი, მე ვიტყვით, „კვანტური გადამტრიალება“, როგორც მე-19 საუკუნეში ალფრედ ნობელის მიერ დინამიტის გამოგონებას, ანდა ვილჰელმ რენტგენის მიერ ე. წ. „X-სხივების“ მიგნებას, ან მე-20 საუკუნეში მაქს პლანკის და ალბერტ აინშტაინის უდიდეს აღმოჩენებს მოჰყვა. საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და მიღების სისწრაფე არ ნიშნავს ხელოვნების დონის ამაღლებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სიჩქარეს, ჩემი აზრით, ჯერ ვერ დანევი 21-ე საუკუნის ხელოვნება. 21-ე საუკუნის ქართული კულტურა მოლოდინშია ახალი ბექა ოპიზარისა, ახალი რუსთაველისა, ახალი ილია ჭავჭავაძისა, ვაჟა-ფშაველასი, აკაკი წერეთლისა, ექვთიმე თაყაიშვილისა, გალაკტიონ ტაბიძისა...

სამუნჯაროა, რომ 21-ე საუკუნეში მასკულტურამ პიარტექნოლოგიების და რეკლამების „ყალბი ბრწყინვალეობით“ გადათელა ნამდვილი და ღირებული. ახლიდან აღმოსაჩენია დაფარული, ჭეშმარიტი სულიერი ტაძრები.

— ლექსის სინტაქსურ-ენობრივი რღვევა ნიშნავს თუ არა ლექსმცოდნეობის არასწორ გაგებას, თუ ეს მხოლოდ თაობის (წარსულის ჩრდილში ყოფნის) პროტესტია?

— როგორც ფონეტიკური ერთეული ანუ ბგერათა გარკვეული ჯგუფი — სიტყვა, ეს ღვთიურ-მაგიური ფენომენი,

წარმოადგენს ენობრივ მასალას, რომელიც ლექსში მეტრისა და რიტმის ზეგავლენას ექვემდებარება. აღსანიშნავია, რომ სიტყვა ცოცხალი ანუ ადამიანური მეტყველების ძირითადი ელემენტია, ვიდრე ლექსის ტანში პოეტურ ფერთამეტყველებას (სახისმეტყველებას) შეიძენს, შეიძლება ითქვას, ვიდრე შედგება ეს მაგიურ-მისტერიული რიტუალი (რასაც სიტყვების ლექსადქცევა ჰქვია). ყველა სიტყვა ლექსად ვერ იქცევა, ისევე, როგორც ყველა ლექსი — არ არის მაღალი პოეზია და ყველა ლექს-მწერი-მწერალი. ზემოთქმულიდან გამომდინარე ლექსის სინტაქსურ-ენობრივი რღვევა თუ ჩვეულებრივ სიტყვების პოეტურ ფერთამეტყველებად გარდაქმნას უშლის ხელს, თავის წარმოჩენის უსუსური მცდელობაა, და რომელი თაობაც უნდა სჩადიოდეს აღნიშნულს — მიუღებელია, ასეთი რამ უცოდინრობის შედეგია და არა ნოვაციური პროტესტი.

— ტრადიციების წგრევით აქვს ახალაშენებულ ხელოვნებას სიმტიციის გარანტია?

— „ძველ ჭურჭელში ახალი ღვინო ვერ ჩაისხმება“ — ეს გამოთქმა მწერლობისთვის სხვანაირად აღიქმება, რადგან ნებისმიერ ეპოქაში ნამდვილ მწერალს წერის დროს, გნებავთ ქვეცნობიერადაც, ყოველთვის მხედველობაში ჰყავს მკითხველი და ცდილობს აზრი ნათლად და მკაფიოდ გამოხატოს შესაბამისი სალიტერატურო-ენობრივი ფორმებით, ნაწარმოების ენა ექსპრესიული უნდა იყოს, რომ მკითხველზე ზეგავლენა მოახდინოს. აქ შესტიკულაცია, ინტონაცია თუ მიმიკა, აგრეთვე, სხვა გარეგანი საშუალებანი გამორიცხულია, ამიტომ მწერალი ვალდებულია სასაუბრო ენის თანმხლები ხარვეზები შეავსოს — მისი უდიდებულესობა სიტყვებით, სიტყვათა წყობით, წინადადებათა ტიპების შეცვლით და ა.შ. ამ დროს კარგი მწერალი ძველ, ნაცად, ტრადიციულ სიტყვათსაძირკვლებს კი არ ანგრევს და ანადგურებს, არამედ მყარ და ღირებულ ფუნდამენტზე დაყრდნობით ახალი ნაწარმოების (თუნდაც სტილით ახალი) კედლებს აშენებს მტიციად.

— ადამიანი ღმერთის სახეა, ადამიანი სახედ თვისა ქმნის ხელოვნებას. ეთანხმებით, რომ შემოქმედი ორბუნებოვანი ზეკაცის იდეალია?

— მოდით, თავიდან დავიწყოთ: ღმერთმა პირველად შექმნა უხილავი ქვეყანა — ანგელოსები. ანგელოსები არიან „სულიერი უსხეულონი, გონიერნი და თავისუფალნი“. სიტყვა ანგელოსი — მოამბეს, ღვთის ნების მანუწყებელს ნიშნავს, რომლებიც განიყოფიან ცხრა გუნდად და იწოდებიან (ყველა მორწმუნე ქრისტიანისთვის ცნობილია) სერაფიმებად და ქერუბიმებად. უხილავი ქვეყნის შემდგომ ღმერთმა „შექმნა არარისაგან“ ხილული ქვეყანა, რომელიც თავდაპირველად, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქაოსური იყო. მეექვსე დღის ბოლოს ღმერთმა შექმნა კაცი. კაცის შექმნის წინ კი ბრძანა: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“... და შექმნა ღმერთმა კაცი, მინისაგან (თინისაგან) გააკეთა სხეული, „შთაბერა პირსა მისს სული უკვდავი, გონიერი და თავისუფალი და იქმნა კაცი სულად ცხოველად“. დააკვირდით ბიბლიის სიტყვებს: „კაცი ხატად მსგავსად ჩვენდა“ სალოცავ ხატს კი არ გულისხმობს, ჩემი აზრით, და ღმერთთან იგივეობას, არამედ გარეგნულ ღვთიურ სინმინდებთან მსგავსებას, ღვთიურისკენ, ამაღლებულისკენ სწრაფვას, ლტოლვას უფლისაკენ... მაგრამ ადამის ცოდვამ ადამიანის ამაღლებულისკენ, ღვთიურისკენ სწრაფვა დაამძიმა, უფალმა ბოლომდე არ გასწარა კაცობრიობა და ღმერთთან, ღვთიურ სინმინდებთან კავშირისათვის დაუტოვა სიტყვა — „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთთანა“... სიტყვის ძაფებითაა ადამის მოდგმა მიბმული უფალს. სიტყვის ძაფები — პირველად იყო ის ლოცვა-ვედრებანი, რომელთაც წმინდა მამები უფლის გამოცხადების შემდეგ აღაუფლენდნენ...

პირველი სიტყვის შემოქმედნი ღვთიური ქურუმები იყვნენ — ღვთივ განბრძნობილი მამანი. მაგრამ ეშმაკსაც არ ეძინა... ასე იქმნებოდა, ერთი მხრივ, უფლის მაღლცხებული შემოქმედება (სასულიეროც და საეროც) და მაღლგამოცლილი ანუ „სატანური ხელოვნება“. ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ნაწარმოებით ლოცვას აღუვლენს უფალსა და სამშობლოს.

- პოეტი არის ადრესატი საკუთარი შემოქმედების?
- პოეტი პირველი ადრესატი თავისი შემოქმედების.
- როგორ ხდება ადამიანის პერსონიფიცირება 21-ე საუკუნის პოეზიაში?

— ნიგნის ანუ ცოდნის პოლიტიკა დღეს ტელეპოლიტიკამ შეცვალა, რომელიც ხშირად ფუჭადმეტყველების საარაკო ნიმუშიცაა. ამასთან, დღევანდელ საზოგადოებას უფრო განკითხვა შეუძლია, ვიდრე დახმარება.

ამდენად, 21-ე საუკუნის პოეზიაში მადღგამოცლილი ხალხი თითქოს მომრავლდა...

— ხელოვნებას არ უყვარს დოგმატიზმი. რამდენად უთავსდება კონკრეტულ შემთხვევაში ლექსი და რელიგია?

— ქართული მწერლობა უმორესი საუკუნეებიდან დაწყებული თავისი არსით იყო და არის ქრისტიანული, რადგან ერის სჯულის გენეტიკური კოდი ქვეცნობიერად გადადის ყველა თანამედროვე ნამდვილ ქართველ შემოქმედში, მათ შორის უმთავრესი ქრისტიანული დოგმების დაცვით. თუმცა თავისთავად პოეზია ცოდვადაც აღიქმება... დოგმატიზმი პოეზიაში დაუშვებელია...

— რამდენად მისაღებია იდეოლოგია პოეზიაში?

— ჭეშმარიტი პოეზია თვითონ იდეოლოგიაა. განა იდეოლოგიური მოძღვრება არ არის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ან „ვეფხვისა და მოყმის ბალადა“ ან „სტუმარ-მასპინძელი“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ან „განთიადი“?..

— ყველა ადამიანს დედამიწაზე მოვლინებით რაღაც მისია ეკისრება. თქვენ რა მისია გაკისრიათ, როგორც მწერალს?

— ჩემი, როგორც მწერლის მისიაზე სხვები ისაუბრებენ მომავალში. ისე ყველაფერი უფლის ნებაა. იყოს ჩემი მწერლური მისია უფლის ნება. მადლობა უფალს, რომ მწერლად გამაჩინა.

— პოეზიის გაგება ლიტერატურაში ადამიანის ქვეცნობიერი სამყაროს ნვდომია. არის ლექსი ფსიქოლოგიის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება?

— ბრწყინვალე კითხვაა, რომელიც პასუხსაც მოიცავს. რა თქმა უნდა, არის, თანაც — მთავარი საშუალება.

— თანამედროვე კვლევარები ლექსის სტრუქტურული განხილვისას კოლმეგობროვის მიერ დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდს აქტიურად იყენებენ. თქვენ, როგორც კიბერნეტიკოსი, რას ფიქრობთ ამ ტიპის კვლევათა შესახებ? რა საერთო აქვს მათემატიკასა და პოეზიას და დაგეხმარათ თუ არა თქვენი პროფესია, როგორც პოეტს?

— მას შემდეგ, რაც ამერიკაში 1948 წელს გამოვიდა მასაჩუსეტსის შტატის ტექნოლოგიების ინსტიტუტის პროფესორის ნორბერტ ვინერის ცნობილი ნიგნი „კიბერნეტიკა“, მსოფლიო კაცობრიობის ცხოვრებაში მათემატიკური მეთოდებით საკვლევი ობიექტთა სიმრავლე გაიზარდა. ადამიანის თავის ტვინის ნეირონული მუშაობის თვითგანსწავლადმა კიბერნეტიკულმა სისტემებმა თუ კომპიუტერულმა ტექნიკამ, ზოგადად ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების

შემოტანა რუსულ ლექსმცოდნეობაში აკადემიკოს კოლმოგოროვის სახელთანაა დაკავშირებული, იგი ლექსის მათემატიკურ მოდელს აგებდა ლექსის ფორმისეულ კომპონენტთა რაოდენობრივი მახასიათებლების სტატისტიკური დამუშავებით, მთავარ სტატისტიკურ პარამეტრთა განსაზღვრით ცდილობდა ლექსის ელემენტთა თვისობრივი ხასიათის დადგენას, ინფორმაციის თეორიის კუთხით ასეთ საკითხებზე მუშაობდა პროფესორი ალფრედ რენეი, რომელმაც „პოეტურ პარადოქსთა მეთოდი“ დაამუშავა ალბათობის თეორიის გამოყენებით. ლექსთანყოებაში თვითგანსწავლადი და თვითგანწყობადი იგახნენკოს მეთოდის და სისტემური მოდელირების გამოყენებით გაფართოვდა ე.წ კომპიუტერული პოეზიის (მსგავსად კომპიუტერული მხატვრობისა) არეალი თავის „პუშკინის სტილით“, „შექსპირის სტილით“ და ა.შ. მაგრამ ეს ლექსები უსულოა, მხოლოდ გარეგნულად, თუნდაც რითმების მხრივაც ლექსი, ეს არ არის შემოქმედებითი განცდებით, ტკივილებით და განუწყვეტელი პოეტური მტანჯველი ხილვებით აღვსილი ღვთიურ-კოსმიური ჟღერადობა ანუ როგორც მოცარტი იტყვოდა: შემოქმედის „წმინდა მსხვერპლშენივან“.

თუმცა მათემატიკა და კიბერნეტიკა ძალიან მეხმარება რითმათა ვარიანტების გათვლა-მოძებნაში, ხატსახეთა მრავალგანზომილებიან ანალიზში, მოვლენათა და ბერათა კორელაციური მუსიკალობის დადგენაში. ნათელში იყოს დედაჩემი ნინო — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის ხაზგასმით მეუბნებოდა: პოეტობა ღვთიური ნიჭია, მაგრამ ძველმა ბერძენმა დიდმა პოეტებმა ბრწყინვალედ იცოდნენ მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა... მართალი იყო დედაჩემი და მეც ვისწავლე...

— დიდ ადამიანებს პატარა ამბიციები აქვთ. თქვენ წერთ: „უბრალო ლექსიც ფიქრში შედევრად რომ მოჩანს, ყველა პოეტმა იცის“. რამდენად პატარაა შემოქმედისათვის შედევრთა შემქმნელის ამბიცია?

— წელან მოცარტი ვახსენე, განსაკუთრებით საგულისხმოა მისი დაცინვა საკუთარი გენიალური მუსიკის მიმართ უდიდესი შემოქმედების დაძაბულობის მომენტებშიც კი. ცნობილია, რომ მანჰეიმიდან მამას სწერდა: „მე, ასე ვთქვათ, მთელი დღე მუსიკაში ვაგდივარ!“.. ჭეშმარიტ შემოქმედთა სულიერი ქარბზლების ხილვა და, მითუმეტეს, აღქმა, ადვილი არ არის. ამასთან, შემოქმედად ყოფნა უკვე ამბიციაა...

— გენიალურობა სიმარტივეშიაო. მეც თქვენივე ლექსის მარტივად თქმული სტრიქონებით დავასრულებდი: „წერე ისე, როგორც ფიქრობ და იცხოვრე, როგორც წერ“... რამდენად ამარტებს ამ კრედოს ავტორი?

— უმჯობესია ეს ლექსი თავიდან ბოლომდე მოვიტანოთ. მაშინ უფრო ნათლად გამოჩნდება ჩემი კრედო:

„ქარი სანთელს ხატთან გიქრობს, მაგრამ ანთებ რწმენას — მნეს... წერე ისე, როგორც ფიქრობ და იცხოვრე, როგორც წერ...“

3 აპრილს, საბავშვო ნიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სარკეებიან დარბაზში გაიმართა **ბიბას ნიგნების (ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის)** დიდი პრეზენტაცია. პროექტის ორგანიზატორები გახლდნენ გამომცემლობა „საუნჯე“ და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბიბლიოთეკა.

„ბიბას ნიგნები“ პირველი მასშტაბური პროექტია ქართულ საგამომცემლო სივრცეში. პროექტში, რომელსაც „საუნჯე“ და გამომცემელი ვაჟა ნოწოლაური ახორციელებს, თავმოყრილია სხვადასხვა თაობის თანამედროვე ქართველ ავტორთა ნაწარმოებები. იდეის ავტორი და ხელმძღვანელია მწერალი **მარიამ ნიკლაური**, რედაქტორი — **გივი ჩიღვინაძე**, დიზაინერები — **თეა აკობია**, **ნიკა ხვედელიძე** და **დავით დაუშვილი**.

პროექტის ფარგლებში გამოცემული 14 ნიგნი, ხოლო გამოსაცემად მზადდება 20-ზე მეტი ქართველი საბავშვო მწერლის კრებული. ავტორთა და ილუსტრატორთაგან ზოგი პირველად წარდგება

მკითხველის წინაშე, ზოგი კი უკვე ცნობილი მწერალია. პროექტში შემავალ ყველა ნიგნზე მითითებული ასაკობრივი ნიშნული, რაც მშობლებს უადვილებს ნიგნის შერჩევას ბავშვის ასაკის მიხედვით.

სტუმართა შორის გახლდნენ საბავშვო მწერლები: **ქეთევან ჭილაშვილი**, **ირაკლი ლომოური**, **დოდო ხიმშიაშვილი**, **ლადო ასლამაზიშვილი**, **ლია რუსიაშვილი**, **ვაჟა ხორნაული**, **მზია ჩხეტიანი**, **თეა ლომაძე**, **ნატო დავითაშვილი**, **მანანა ჯოხარიძე**, **ირმა მაღაციცი**. საღამოს უძღვებოდა მარიამ ნიკლაური.

პრეზენტაციაში ასევე მონაწილეობდნენ საერო სკოლა „**ლაშარისა**“ და საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული სკოლის მოსწავლეები, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა ნაიკითხეს თავიანთი თარგმანი აზერბაიჯანულ ენაზე **„ლადო პაპას ზღაპრები“**. მოსწავლეებმა ნაიკითხეს პოეტების — **ვაჟა ხორნაული** და **მარიამ ნიკლაურის** — ლექსები. **„პასტი-ბუბუს“** სტუდიის ბავშვებმა თავიანთი შემოქმედებით გაალამაზეს საღამო.

დროს დიდად გაუსწრო

რამდენიმე წლის წინათ „საქართველომ მაცნემ“ დაიწყო ჩვენი სახელოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ჭელიძის ცხრატომეულის გამოცემა. პირველ ტომს, რომელშიც შევიდა მისი საუკეთესო ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, მე, როგორც მთლიანი გამოცემის რედაქტორმა, დავურთე მოზრდილი ნარკვევი „მოძღვარი“ („ვახტანგ ჭელიძის სამუშაოები და დღენი“). რამდენადაც შევძელი, საფუძვლიანად მიმოვიხილე ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ სათქმელი კიდევ ბევრი დამრჩა, განსაკუთრებით, მის უაღრესად მნიშვნელოვან, მხატვრული ოსტატობით გამორჩეულ დოკუმენტურ პროზაზე.

საგულდაგულოდ შევისწავლე და დავახარისხე განსვენებულის მდიდარი არქივი (სხვადასხვა მოცულობისა და ხასიათის ჩანაწერები, მოგონებათა დაუმთავრებელი, წიგნისათვის განკუთვნილი ფრაგმენტები). ნაწილი ამ მასალებსა ცნობილ სერიოზულ გამოცემებში „ინტელექტმა“ („ტკბილ-მწარე აბზეი“), მაგრამ გამოსაქვეყნებელი კვლავაც მრავალადაა დარჩენილი.

ბატონი ვახტანგის ვაჟმა, შესანიშნავმა, განათლებულმა ჟურნალისტმა დავით ჭელიძემ, ვინც სამაგალითოდ მეურვეობს საამაყო მაშის მემკვიდრეობას, ახლახან ქალაქებში იპოვა მისი ხელნაწერი — პოლემიკური სიტყვა, რომელიც მიმართულია იმ ყოვლად უსამართლო, ცილისმწამებლური განხილვის წინააღმდეგ, მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე დაჩქარებულიად რომ შესდგა და ახალდაარსებული „ცისკრის“ პირველსავე ნომერს შეეხებოდა (მომხსენებელი ბესარიონ ჟღენტი). კარგადაა ცნობილი ის ხანგრძლივი ვნებათაღელვა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მითქმა-მოთქმა, რაც იმხანად რეაქციული ძალების მიერ ჟურნალ „ცისკრის“ მიმართ იყო ატეხილი და რასაც საჯარო შედეგი მოჰყვა (ხუთი წლის შემდეგ ახალგაზრდული ჟურნალის პირველი, ყველა ღირსების მქონე რედაქტორი ხელისუფლებამ თანამდებობიდან გაათავისუფლა).

ვახტანგ ჭელიძის სიტყვას თითქოს ფრაგმენტულობის იერი დაჰკრავს (ზოგ რამეს იგი, ეტყობა, ზეპირად წარმოსთქვამდა), მაგრამ ამჟამად იგრძნობა ძირითადი პათოსი, ყურადღება გამახვილებულია დამწყებ ავტორებთან უფროსი თაობის მწერლების დამოკიდებულებაზე, მათი მხრიდან ნაკლებ მზრუნველობაზე და სწორედ ეს მთავარი, სამართლიანი საყვედურის გამოხატველი სათქმელია, წინამდებარე მასალას ერთ მთლიანობად რომ ჰკრავს.

არავისთვის არ გახლავთ საიდუმლო, რომ ქართული კრიტიკის მაშინდელი თავკაცი ბესარიონ ჟღენტი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი ნიჭიერი, სიახლეთა მაძიებელი ახალგაზრდა მწერლებისადმი (სამოციანელთა უბრწყინვალესი თაობის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელს გაჰკრა კლანჭი) და თავის სამიზნედ „ცისკარი“ და იქ დაბეჭდილი ავტორები გაიხადა.

ბესარიონ ჟღენტი ამჟამად ვერ ამბობდა, თუმცა ბევრმა ჩვენგანმა იცოდა ნოდარ დუმბაძის (ჯვებე დუმბავა) მეტად მახვილგონივრულმა, დაუნდობლად გამამასხარავებელმა ფელეტონმა „ფართოდ დავწერგოთ ტექნიკა ლიტერატურაში“, სადაც გამოყვანილია კარიკატურული „მანქანა-კრიტიკოსი“ (მისი სიმაღლეც კი არის მითითებული), „კიდურებიანი ყუთი, რომელსაც ზემოდან თივით ან ჭინჭით გატყენილი თავის მაგვარი ბურთი ადგას“. ამ უცანურ რობოტს აქვს ჭრილი; მასში ჰობნორად განსაზღვრული თანხა უნდა ჩააგდო, მერე ლილაკს თითი დააჭირო და გამოვარდება გაშანშანებული, თავიდან ბოლომდე ტრაფარეტული და უსულგულო რეცენზია, რომლის უბადრუკი ნიმუშიც იქვეა მოტანილი.

ბატონი ვახტანგი, გასაგები მიზეზის გამო, შეგნებულად არსად არ ასახელებს ამ ფელეტონს, მაგრამ შეუვალი ლოგიკის მეოხებით ნაცარტულად აქცევს ბესარიონ ჟღენტის შეითხილ, პროვოკაციულ ბრალდებებს ლევან გოთუას, ედიშერ ყიფიანის,

ჩვენი განსაცვიფრებელი ნიჭის, ოცდაექვსი წლის ასაკში დაღუპული გურამ რჩეულიშვილის მიმართ და ცხადყოფს, რომ ნაფიც კრიტიკოსს მის მიერ გაბიბრებული და ყოველმხრივ უარყოფითად შეფასებული ნაწარმოებები ნაკითხული არა აქვს.

ცნობილია, თუ როგორ თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ვახტანგ ჭელიძე ქართული ენის სინმინდეს და საჭირობოტო საკითხს, უმეტესად, თარგმანებს უკავშირებდა. არაერთხელ გამოუთქვამს უტყუარი თეორიული მოსაზრებები და კონკრეტული მასალებიც განუხილავს. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანმა სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს გულმოდგინე დაკვირვებებზე დამყარებული მისი მნიშვნელოვანი, ფასეული თვალსაზრისი: „ლექსიკური შერყვნა ენისა ისეთი საშიში არ არის, როგორც სინტაქსის დამახინჯება და იდიომების პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით თარგმნა. ეს კი ყველაზე მეტად თარგმნის დროს ხდება, როცა გამოუცდელი ან ქართული ენის არმცოდნე პირი ეჭიდება კლასიკურ ნაწარმოებს, რომელიც დატვირთულია უამრავი იდიომებითა და გრძელი პერიოდებით. ცუდი თარგმანები იმიტომ არის ასე საშიში, რომ როგორც მატლი ხეს, ისე შეუმწეველად ღრღნის იგი ენის გულს, მთავარ ძარღვს“.

ვახტანგ ჭელიძე მუდამ ცდილობდა ერთმანეთთან დაეახლოვებინა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა შემოქმედნი (მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, რეჟისორები...) და მისი ეს ბრძნული მიდგომა ამ სიტყვაშიც გამოვლინდა. ასეთი თავშეყრისა და შეხვედრების ყველაზე მოსახერხებელი ადგილი, ცხადია, „ცისკრის“ რედაქცია იყო, რომლის არსებობაც ეკლად ესობოდათ ზოგიერთებს.

გაკვირვებას იწვევს, არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენს ბესარიონ ჟღენტის ყოვლად გაუმართლებელი თავდასხმა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა გურამ ასათიანის ერთ-ერთ პირველ და შეიძლება ითქვას, საეტაპო წერილზე „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“. გურამ ასათიანი საკმაო სიფრთხილეს იჩენს, რამდენიმე მართებულ შეხედულებას ვარაუდის სახით გამოთქვამს, მაგრამ მრისხანე ოპონენტის რისხვისაგან ამ წინდახედულობამაც ვერ იხსნა. ვახტანგ ჭელიძე, ტაქტიკური მოსაზრებით, თითქოს აღიარებს ხსენებული წერილის ცალკეულ ღირსებებს, მაგრამ შეუძლებელია, იგი ბესარიონ ჟღენტის პოზიციაზე მდგარიყო. დღევანდელი გადასახედიდან თუ დააკვირდებით, ამჟამად გამოჩნდება - გურამ ასათიანი არაფერში არ სცოდავდა და მისი ის წერილი მთელი პირველი ნომრის მშვენება იყო. აქვე მინდა ზოგადად ვთქვა — ხელისუფლების ზოგიერთი, თანამდებობის მქონე ფუნქციონერი „ცისკარს“ მტრულად უყურებდა, მაგრამ ამის თაობაზე სხვა დროს დავსწერ.

დღევანდელი ახალგაზრდობა მიახლოებითაც ვერ წარმოიდგენს, როგორ აუტანელ მდგომარეობაში, რანაირი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა ქართული (და არამარტო ქართული) მწერლობა, მაგრამ ამჟამად მეორე უკიდურესობა სუფევს, როცა ყველა და ყველაფერი იბეჭდება; სიბინძურემ, მაკულატურამ წალეკა წიგნის ბაზარი. გრძელდება ქართული კრიტიკის უნიათობა და უმოქმედობა, რის გამოც ზარებს არისებება უკეთურთაგან სულმწუხნებული ვახტანგ ჭელიძე. იგი არაერთგზის საყვედურობს დიქტატორული საბჭოთა რეჟიმის სადარაჯოზე ცერბერით მდგარ ბესარიონ ჟღენტს, რომ ახალგაზრდებს გულისხმიერი მოპყრობა, მისაბაძი მაგალითის მიცემა ესაჭიროებათ და არა კეტის მოქნევა. რამდენადმე ხატონად რომ ვთქვათ, ბოროტად მოქნეული კეტი თავზე გადაამტვრია მის მომღერებელს და ცხადყო — დემაგოგია, ავკაცობა საბოლოოდ არავის შერჩება.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობაში“ გამოქვეყნებული, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი სიტყვა თვალნათლივ დაგვანახებს თუ რამდენად გაუსწრო ვახტანგ ჭელიძემ დროს, იმ ჩახუთულ, ჭეშმარიტი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის უკიდურესად შეუფერებელ გარემოს, სადაც მას მონამებრივი ცხოვრება და უმნიკლო, თავდაუზოგავი მოღვაწეობა უხდებოდა.

ვახტანგ ჭელიძე

ნუ დავაბნავთ, ნუ დავაფრთხოვთ, კატს ნუ მოვუქნავთ...

შეიძლება ითქვას, რომ სავესტით ჩაშლილია ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის საქმე და, როგორც ეტყობა, არც აპირებენ ამ მხრივ რაიმე ნაბიჯის გადადგმას. რამდენიმე წლის წინათ უფრო გაცხოველებული და ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა ახალგაზრდა მწერლებს შორის. ტარდებოდა სემინარები, გასაუბრებები, ნაწარმოებების გარჩევები, თუ არ ვცდები ზოგჯერ დისკუსიებიც. ახლა კი სულ არაფერი კეთდება, საქმე თვითდინებას მიეცა. ახლა იმით კმაყოფილდებიან, რომ შემოსულ მასალას გადასცემენ რომელიმე მწერალს, რომელიც ზოგჯერ არცთუ მთელი პასუხისმგებლობით და ობიექტურობით მოიწონებს აშკარად უფარვის ნაწარმოებს და გულმოცემული დამწყები მწერალიც, რომლის სახითაც ზოგჯერ 50-ოდე წლის დიასახლისიც გვევლინება ხოლმე, დაიწყებს იერიშებს რედაქციებზე. რედაქციებს უკვე უჭირთ ასეთი „დიპლომით“ აღჭურვილი მწერალ-დიასახლისების მოშორება. მაგრამ ეს ნაკლები უბედურებაა. არც საშინაოა. დიდი-დიდი, ამას მოჰყვება რედაქციის რომელიმე მუშაკის გამოათხზვა — რომ მას არაფერი ესმის, რომ უფრო დიდი მწერალი სულ სხვა, დადებითი აზრისაა მის ნაწარმოებზე და სხვა. ვიმეორებ, ეს არ არის დიდი უბედურება. უფრო სავალალო ის არის, რომ ნიჭიერ მწერლებს, რომლებსაც გზის გაკვლევა და სწორი მიმართულების მიცემა სჭირდებათ, აკლიათ უფროსი კოლეგების სისტემატური დახმარება და მზრუნველობა. ასე რომ არ იყოს, ბევრი ახალგაზრდის ლექსი თუ მოთხრობა, რომლებიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და, კერძოდ, „ცისკარში“ იბეჭდება, უფრო გამართული და იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი იქნებოდა.

ჩვენ ხშირად ვივინყებთ, რომ სულ სხვაგვარი მიდგომა უნდა დამოყვებოდა მწერლების ნაწარმოებებს. შეღავათებს კი არ მოვიტოვებ ახალგაზრდა მწერლებისათვის, იმას კი არ ვაძებო, რომ რაკი ახალგაზრდაა, ზოგიერთი შეცდომა თუ იდეურ-მხატვრული ჩავარდნა ვაპატიოთ-მეთქი. არა, პირიქით, უფრო მეტი შენიშვნა უნდა მივცეთ, უფრო კონკრეტული, თუ გნებავთ, უფრო მკაცრიც კი, ოღონდ სამართლიანი და ისეთი, რაც არ დააბნევს ახალგაზრდას. ის, რაც მინიშნებითაც გასაგებია გამოცდილი მწერლისათვის, დამწყებ მწერალს დანვრილებით უნდა განემარტოს და დაუსაბუთდეს. ახალგაზრდა მწერალი (და საერთოდ მსცოვან მწერლებსაც არ აწყენთ ეს) უნდა გრძნობდეს, რომ კრიტიკა მეგობრულია, საქმის სიყვარულით არის ნაკარნახევი. ეს ყველაფერი მაშინ მოხდება, თუ უფრო მჭიდრო კავშირში ვიქნებით ახალგაზრდებთან, უფრო ხშირად მოვანყობთ სემინარებს, ზოგჯერ თეორიული ხასიათის დისკუსიებსაც გავუმართავთ, უფრო ხშირად მოვანყობთ მათი ნაწარმოებების განხილვას, და არამარტო უკვე დაბეჭდილი ნაწარმოებისას, არამედ უპირველეს ყოვლისა დაუბეჭდავისას. ასეთ ღონისძიებებს უსათუოდ კარგი შედეგი მოჰყვება. რადგან ამას ალბათ ყველა ამჩნევს, რომ სულ ახალი დამწყები მწერლების სახით ძალიან ნიჭიერი და საიმედო ძალა მოდის. ამით აღზრდა უნდა, პატრონობა უნდა და მე ვფიქრობ, ეს უნდა გახდეს მწერალთა კავშირის პრეზიდენტი მსჯელობის საგანი.

რამდენიმე ხნის წინათ მოეწყო ჟურნალ „ცისკრის“ განხილვა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტი გაფარ-

თობულ სხდომაზე, რომელსაც მრავლად ესწრებოდნენ ახალგაზრდა მწერლები. უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად მოხსენების აშკარა ტენდენციურობისა, კამათში გამოსულმა მწერლებმა ბევრი საგულისხმო და საქმიანი რჩევა მისცეს დამწყებ მწერლებს. მართალია, მომხსენებლის მიერ შექმნილმა მეტად მუქმა ატმოსფერომ ერთგვარი გავლენა იქონია კამათში გამოსული ამხანაგების მკაცრ ტონზედაც, მაგრამ რაკი მათი გამოსვლები ნამდვილად საქმიანი და კონკრეტული იყო, ამასთან გულწრფელი, და ეს იგრძნობოდა ყოველ მათ სიტყვაში, შედეგიც კარგი გამოიღო. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუფსვა სერგი ჭიალაის, სიმონ ჩიქოვანის და ლავროსი კალანდაძის გამოსვლებს, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქოს მეტად მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს ახალგაზრდებს, მკაცრად გააკრიტიკეს მათი ლექსები თუ მოთხრობები, მაგრამ, ვიმეორებ, შედეგი მაინც მეტად სასურველი იყო. მთელი რიგი დებულებები, რომლებიც თავიანთ სიტყვებში გონებამახვილურად წამოაყენა ამ სამმა მწერალმა, ახალგაზრდა მწერლებმაც და ჩვენც, რედაქციამაც გავითვალისწინეთ ჩვენს მუშაობაში. მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, სხვა ვითარებაში მომხდარიყო ეს გარჩევა, უფრო ნაკლები ოფიციალურობის პირობებში, უფრო მეტ მეგობრულ ატმოსფეროში. საჭიროა უფრო მეტად იგრძნობოდეს ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურული ცხოვრება, ლიტერატურული სუნთქვა. ახალგაზრდა მწერალთა შორის მომუშავე კომისიამ უნდა გარდაქმნას მუშაობა.

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და რაკი დღეს აქ ლიტერატურული წრეების გარდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებია შეკრებილი, დავაყენო მეტად საჭირობო ოტო საკითხი, რომელსაც, ვფიქრობ, გარკვეული როლის შესრულება შეუძლია ჩვენი საერთო კულტურის განვითარების საქმეში. ეს არის საკითხი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მომუშავე ახალგაზრდა შემოქმედთა თანამეგობრობის შესახებ. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი თანამედროვე მოღვაწეების უფროს თაობას უფრო მჭიდრო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს არ იგრძნობა ახალგაზრდობაში. ზოგი ჭირი მარგებელიაო, მათ ამაში ხელს უწყობდა სხვადასხვა მიმართულებები და იზმები. შეიძლება აქ ერთმანეთს მეგობრობდნენ კიდევ ზოგიერთი სხვადასხვა დარგში მომუშავე ახალგაზრდა ან საშუალო სკოლაში ერთად სწავლის გამო, ან სხვა რამ შემთხვევის გამო, მაგრამ ეს მეგობრობა არ არის შემოქმედებითი და ამიტომ, თავისთავად ცხადია, საინტერესოც ვერ იქნება. ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდა მწერალმა ხშირად არ იცის რაზე მუშაობს მისი ტოლი ახალგაზრდა მხატვარი. ხოლო უნდა ითქვას, ისეთივე ნიჭიერი და საიმედო ძალა ჰყავს მხატვრობას, როგორსაც მწერლების შესახებ მოგახსენებდით. საჭიროა ახალგაზრდა მწერალთა შორის მომუშავე კომისიამ და მსგავსმა კომისიებმა ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ერთობლივი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგან, რათა ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედები ზოგჯერ მაინც სვდებოდნენ ერთმანეთს, ეცნობოდნენ ერთმანეთის მიზნებს, გეგმებს, ნამუშევრებს. ეს, დამერწმუნეთ, ძალიან სასურველ შედეგს გამოიღებს. დროა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა მწერალი მოქანდაკის ნამუშევარს გაზეთში დამახინჯებულად დაბეჭდილი რეპროდუქციის მიხედვით ეცნობა, ხოლო მსახიობის ახალ როლს უგემურად დაწერილი რეცენზიის მიხედვით. დროა შემოქმედებითი თანამეგობრობა იმ ხალხისა, რომელიც ერთ საქმეს, საერთო ქართული საბჭოთა კულტურის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების საქმეს ემსახურება, უფრო განმტკიცდეს. თუმცა განმტკიცებაზე ლაბარაკი ზედმეტი, როცა ჯერ ჩასახულიც არ არის ეს. ურიგო არ იქნებოდა ამ საქმის ინიციატივა კომკავშირის ცეკასაც ეკისრა.

კრიტიკა ბოლო წლებში განსაკუთრებით ჩამორჩა — ჩამორჩა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის რიგებს თანდათანობით, ჩვენს თვალწინ ჩამოშორდნენ შესანიშნავი კრიტიკოსები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი ობიექტურობით, პირდაპირობით, სამართლიანობით და რაც მთავარია გულწრფელობით, რასაც მე ვფიქრობ პირველხარისხოვანი როლი ენიჭება; თითქმის ჩამოშორდა, მაგალითად, ჩვენი შესანიშნავი კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი (თუმცა ამ შემთხვევაში ძნელია თქმა, სამწუხარო უფროა ეს მოვლენა თუ სასიხარულო, რადგან ამხანაგი ნატროშვილი ამჟამად ენერჯიულად და ნაყოფიერად მუშაობს პროზაში, მან უკვე გამოაქვეყნა მრავალი შესანიშნავი მოთხრობა და ახლა, რამდენადაც ვიცი, დიდ ტილოზე მუშაობს); უფრო ადრე ჩამოშორდა დიმიტრი ბენაშვილი; ისეთი ინტენსიურობით აღარ მუშაობს ერემო ქარელიშვილი, რომელმაც ლიტერატურიდან ჯერ თეატრალურ კრიტიკაში გადაინაცვლა, ხოლო ახლა აღარც იქ აქტიურობს — თუმცა ნატროშვილისა არ იყოს, ისიც კარგ საქმეს აკეთებს სხვა დარგში — უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია ჩვენს ძველ მოღვაწეებზე და ინტენსიურად განაგრძობს ამ საქმეს; სერგი ჭიაია აგრეთვე უფრო მეტის ინტენსივობით ლიტერატურის ისტორიაში მუშაობს, და თუ თანამედროვე მწერლობას შეეხო, კონკრეტულ წიგნებსა და ნაწარმოებებზე მეტად, მაინც თეორიულ საკითხებს ამუშავებს.

ამიტომაც ხდება, რომ ჩვენი ყურნალ-გაზეთები ივსება წყალ-წყალა, ერთფეროვან, არაფრისმთქმელ და არაფრისმეტყველ რეცენზიებით, რომლის დაწერაშიაც ხშირად ავტორის ხელიც ურევია. ამგვარი რეცენზიების ლექსიკა მეტად ღარიბია, თუმცა მაღალფარდოვანი:

მაგალითად თუ თარგმანს შეეხება ეს რეცენზია, მაშინ ნაწარმოების საერთო დახასიათების შემდეგ აღნიშნულია, რომ თარგმანი ორიგინალივით ჟღერს და შესრულებულია ნამდვილი ქართული ძარღვიანი ენით. ეს — თითქმის ყველა თარგმანზე (თუ რომელიმე თარგმანი ვინმემ განსაკუთრებით არ ამოიღო ნიშანში), მაშინ, როდესაც ჩვენში ხშირად თარგმანები ორმაგად აფუჭებენ საქმეს — ჯერ ერთი, ამახინჯებენ ნაწარმოებს, ორიგინალს, და მეორეც, შეუბრალებლად ამახინჯებენ ჩვენს დედა-ენას, რომელიც თვალისწინივით მოვლილი გადმოგვცა ჩვენმა დიდმა ილიამ, ჩვენმა დიდმა აკაკიმ, ვაჟამ, მაჩაბელმა და სხვა დიდმა მოღვაწეებმა. ამიტომ კატეგორიულად და მთელის შეუპოვრობით უნდა დაისვას ყველაზე ელემენტარული საკითხი.

რუსულიდან ან უცხო ენიდან ქართულად გადმოღებული წიგნი უნდა იყოს თარგმნილი ქართულით და არა ჩიქორთულით. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევადართო წიგნი დედანს, ორიგინალთან სიზუსტის გასარკვევად. ეს არ არის ისე პატარა საკითხი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ლექსიკური შერყვნა ენისა ისეთი საშიში არ არის, როგორც სინტაქსის დამახინჯება და იდიომების პირდაპირი, სიტყვა-სიტყვით თარგმნა. ეს კი ყველაზე მეტად თარგმნის დროს ხდება, როცა გამოუცდელი ან ქართული ენის არმცოდნე პირი ეჭიდება კლასიკურ ნაწარმოებს, რომელიც დატვირთულია უამრავი იდიომებითა და გრძელი პერიოდებით. ცუდი თარგმანები იმიტომ არის ასე საშიში, რომ როგორც მატლი ხეს, ისე შემწვრელად ღრღნის იგი ენის გულს, მთავარ ძარღვს.



ვახტანგ ქელიძე

ერთ მაგალითს მოგახსენებთ, თუმცა ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება:

თითქმის ყველა ჩვენგანი, გამოუკლებლოვ ლაპარაკში ხმარობს სრულიად არაქართულ გამოთქმას „ეს მე არ მანყობს“, „თქვენ რომელ საათზე განყობთ“ და სხვა, იმის ნაცვლად, რომ ვთქვათ, „ხელს არ მაძლევს“, „თქვენ რომელ საათზე შეგიძლიათ ან გნებავთ“ და სხვა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ იგი ავტო სულ ჩვენს თვალწინ, თხუთმეტი თუ ოცი წლის განმავლობაში შემოიჭრა ენაში.

მე მოგახსენეთ ჩონჩხი თარგმნილი წიგნის რეცენზიისა. ცოტა უფრო რთულია ორიგინალური წიგნის რეცენზიის ქარგა. აქ საჭიროა პატარა შესავალი ან საერთო ლიტერატურული ატმოსფეროს აღნიშვნით, ან არა და იმ გარემოს აღწერით, რომელშიაც გმირებს უხდებათ მოქმედება. მერე სასურველია ავტორის საერთო დამსახურების ჩამოთვლა. მერე სარეცენზიო წიგნის ქება — ისევე ღარიბი ლექსიკით, მაგრამ მაღალფარდოვანად — დაბოლოს, რამდენიმე შენიშვნა მეტად მორიდებულად. მაგალითად ასე: „კარგი იქნებოდა ავტორს ესა და ეს მოქმედი პირები წისქვილში კი არ შეეხვედრებია ერთმანეთისათვის, არამედ ფერმაში, ან თეატრში“ და სხვა. და იქვე ძველებური მაღალფარდოვნებით: „მიუხედავად ამ მცირე შენიშვნებისა, წიგნი მაინც შესანიშნავია და მნიშვნელოვანი ჩვენს ლიტერატურაში“.

ორივე რეცენზიისა — თარგმანისასაც და ორიგინალისასაც — ერთი საერთო დასკვნა აქვს — „ეს წიგნი კარგი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისათვის“.

მე ახალს არაფერს ვამბობ, არც ეს რეცენზიებია ახალი, და ალბათ არც ასეთი რეცენზიების გაკიცხვა. მაგრამ ეს საკითხი კიდევ ერთხელ უნდა დაისვას მთელი შეუპოვრობითა და სიმწვავით. მაინც რატომ ბეჭდავენ ჟურნალები ასეთ რეცენზიებს? ნუთუ რედაქცია ვეღარ არჩევს ავს კარგისაგან? ან ნუთუ არაფრად ენაღვლება მას თავისი ჟურნალის პრესტიჟი? „ცისკარი“ რომ დაარსდა, პირველივე სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე დავსვით ეს საკითხი: საერთოდ არ მიგვეცა ბიბლიოგრაფიის განყოფილება, რადგან რამდენიმე კარგი რეცენზიის დაბეჭდვით ჩვენ გზას გაუუსხნიდით ზღვას ისეთი რეცენზიებისას, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე ნომერში თავი შეგვეკავებინა საერთოდ რეცენზიების ბეჭდვისაგან, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდით ეს ნაკლად ჩაეთვლებოდა ჟურნალს.

სამაგიეროდ ჩვენ გადავწყვიტეთ უფრო მეტი მიგვეცა კონკრეტული ხასიათის კრიტიკული წერილები ცალკეულ წიგნებზე, ცალკეულ ნაწარმოებზე, მწერლის შემოქმედებაზე საერთოდ. რა მოხდა? მთელი ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ ვერ მოვახერხეთ ვერცერთი კრიტიკული წერილის მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა კრიტიკოსს — მსცოვანსა თუ ახალგაზრდას — ბარე 6-6-ჯერ, თუ მეტი არა, მე ვთხოვე და რედაქციის სხვა მუშაკების თხოვნა კიდევ სხვა არის. თვით კრიტიკის სექციის ხელმძღვანელს ამხანაგ ბესარიონ ჟღენტს მოსვენებას არ ვაძლევდით არც მე, არც რედაქციის მდივანი, არც სხვა თანამშრომლები, და მიუხედავად მრავალგზის დაბეჯითებითი შეპირებისა, მისი წერილი, ისევე როგორც არც ბევრი სხვისა, ჯერაც არა გვაქვს ხელთ. შემდეგ, პირველივე ნომერი რომ გამოვიდა, თავიც ცნობილ გამოსვლაში მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტის

გაფართოებულ სხდომაზე, ბესარიონ ჟღენტიმ სრულიად სამართლიანად და მოურიდებლად იმისთვისაც გაგვიცხა, რომ ჩვენ პირველივე ნომერში არ გვექნოდა კონკრეტული ხასიათის კრიტიკული წერილი. ვიმეორებ, ეს გაკიცხვა სავსებით სამართლიანი იყო და, რა თქმა უნდა, მივიღეთ კიდევ იმავე სხდომის შემდეგ, ქუჩაში რომ გამოვედით, კვლავ შევახსენე ბესარიონ ჟღენტს თავისი დაპირება, და ვთხოვე, რომ ახლა მაინც, ამ გაკრიტიკების შემდეგ, მოეცა ის შეპირებული მასალა. კვლავ შემპირდა ბესარიონ ჟღენტი და ის პირობა დღესაც პირობად რჩება.

მაგრამ კრიტიკული წერილიცაა და კრიტიკული წერილიც. სამწუხაროდ, ჩვენ მეტისმეტი თავმდაბლები გავხდით და თუკი (თუმცა ეს ძალიან იშვიათად ხდება) ასე თუ ისე ობიექტურად, სამართლიანად, პირდაპირობით და პრინციპულად დანერგულ კრიტიკულ წერილს მოვკარით თვალი, გვიხარია, თუ რედაქციის მუშაკები ვართ, მაშინვე ხელს ჩავავლებთ და დაგებეჭადვთ და წერილის ავტორთან ერთად ჩვენც საკმაოდ ქედმაღლურად გვიჭირავს თავი. არავინ დაგიდევს იმას, თუ როგორ არის დანერგილი ეს კრიტიკული წერილი. ბოლოსდაბოლოს, ეგეც ხომ ლიტერატურული ნაწარმოებია, ამასაც ხომ მკითხველი კითხულობს, ამანაც ხომ რაღაც ესთეტიკური სიამოვნება უნდა განგვაცდევინოს?! მაშ თუ თავის თავს არ უყენებენ კრიტიკოსები ამ მოთხოვნას, ჩვენ მაინც რატომ არ ვუყენებთ? რატომ არის, რომ უფრო ხშირად არაკრიტიკოსი მწერლის მიერ დანერგილი კრიტიკული წერილი უფრო, და ზოგჯერ გაცილებით უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე გამოჩენილი კრიტიკოსისა (აქაც ვჭქარობ დავსძინო, რომ ეს არ შეეხება ყველა კრიტიკოსს)? რატომ ერთხელ მაინც არ განითვლება, ან არ დაფიქრდება მაინც ზოგიერთი კრიტიკოსი, თუნდაც კრიტიკოსის სექციის ხელმძღვანელი, როცა ვთქვათ, სიმონ ჩიქოვანი-სა და დემნა შენგელიას მშვენივრად დანერგილ სტატიას წაიკითხავს, რომელიც არანაკლებ სიამოვნებასა და ესთეტიკურ დაკმაყოფილებას გვანიჭებს, ვიდრე მათივე ლექსები და მოთხრობები. აბა რა კრიტიკული სტატიაა ასეთი სტატია — მიხეილ ჯავახიშვილი არის მწერალი. მან დანერგა...

დაიხ, ჩვენში თანდათანობით გადაგვარდა კრიტიკული, პუბლიცისტური სტატიების წერის ის მაღალი კულტურა, რომელიც ჩვენმა სასიქადულო ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა. ილია ვახსენე და ვიცო, რომ ზოგიერთი მიპასუხებს — ილია ხომ მწერალი იყო, სიტყვის ოსტატი და არა პროფესიონალი კრიტიკოსი! ბელინსკიზე რაღას იტყვი, რომლის პრინციპულობითა და შეუპოვრობით გაჟღენთილი სტატიები რომანივით იკითხება? ვიცო, რასაც მიპასუხებენ — ის ბელინსკი იყო და ჩვენ ჩვენ ვართ! მაშინ მე მოვავიწყებ კრიტიკოსის სექციის ხელმძღვანელს მისივე გამოსვლას იმავე პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაზე — იგი იქ აკრიტიკებდა ახალგაზრდა მწერლების ლექსებს და დასძენდა — ილიას „მესმის, მესმის“, ბარათაშვილის „მერანი“ ეპოქების შემქმნელია. რატომ „ცისკარმა“ პირველივე ნომერში არ დაბეჭდა ასეთი ნაწარმოებები. ნამდვილად ეპოქების შემქმნელია, ნამდვილად უნდა მიბაძონ მათ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა, რათა ნაწარმოებს დიდი მოქალაქეობრივი პათოსი მიეცეს. მაგრამ ასევე უნდა მიბაძონ ჩვენმა კრიტიკოსებმა იმავე ილია ჭავჭავაძესა და ბელინსკის სტატიის მაღალ მხატვრობაში, ემოციური გავლენის ძალაში, იმ მაღლიან საიდუმლოებაში, რითაც ამ სასიქადულო მწერლების სტატიები ჩვენ იდეურადაც გვამაღლებენ და განუსაზღვრელ ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებენ.

დაიხ, პოეტებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს — ერთნაირად უნდა მოეთხოვოთ როგორც მაღალი იდეურობა, ასევე მაღალი მხატვრობა და სიტყვის ოსტატობა. კრიტიკული სტატიები დირექტივებს არ უნდა ჰგავდეს, ზოგი ჩვენი კრი-

ტიკოსის სტატია კი არაფრით არ განსხვავდება დირექტივისა და ზოგჯერ კიდევ უარესიც — საბრალდებო დასკვნისგან. კრიტიკოსმა უნდა დაარწმუნოს და დაასაბუთოს, კი არ უნდა უბრძანოს, ხელი უნდა შეაშველოს, კი არ უნდა უბიძგოს. უნდა იმსჯელო, ეპაექრო, ეკამათო — დემაგოგიურად არ უნდა მიუდგე.

ვიმეორებ, ასეთ გაკიცხვას ყველა კრიტიკოსი არ იმსახურებს, მაგრამ სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტა გამოჩენილ კრიტიკოსს ავიწყდება ეს თითქოს ელემენტარული საკითხი.

რა თქმა უნდა ძიების საბაზით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაიბეჭდოს ყველაფერი, რაც ავტორს მოესურვება. არ შეიძლება დაიბეჭდოს ის, რაც ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება, არ შეიძლება დაიბეჭდოს ის, რაც ჩვენი ცხოვრების საერთო მაჯისცემიდან ამოვარდნილია, რაც მანკიერია იდეურად და მხატვრულად. მაგრამ შეიძლება და უნდა დაიბეჭდოს ის, რაც ცოტათი მაინც განსხვავდება იმისაგან, რაც ყოველდღიურად იბეჭდება. უნდა დაიბეჭდოს იმიტომ, რომ ძიება არის საწინდარი განვითარებისა და გამარჯვებისა. ჩვენ გვაქვს მაღალი იდეები, ჩვენ გვაქვს წმინდა მისწრაფებანი, სპეტაკი იდეალები და თუკი ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს მართლაც ასეა, რომ ავტორს მართლაც აქვს ეს სპეტაკი იდეალი და წმინდა მისწრაფებანი, ჩვენ მას ნება უნდა მივცეთ მხატვრული ფორმის ძიებისა. თუკი ოდნავ შევნიშნავთ, რომ ეს ძიება საშიშროების გზაზე ითრევს ავტორს, მაშინვე უნდა შევაშველოთ ხელი, კი არ უნდა ვუბიძგოთ, ხელი უნდა შევაშველოთ და სწორ გზაზე გადავიყვანოთ. ფრთხილად უნდა შევაშველოთ ხელი, რომ არ დაფრთხეს, არ დაიბნეს. მე ეს ბოლო წინადადებები ლავროსი კალანდაძის გასაგონად არ მითქვამს, რადგან ჯერ ერთი, რომ იგი, როგორც მოგახსენეთ, ძალიან სწორ გზაზე დგას და, მეორეც, ასე ადვილად არ დაიბნევა, ვერც ვერაფერი გადაითრევს ასე იოლად.

არა, მე ეს ვთქვი სულ სხვა რამის გამო. და მანამ ვიტყვოდე, რაზე ან ვისზე ვთქვი ეს, მინდა ცოტა უკან დავიხიო. მინდა გავიხსენო ის, რითაც კრიტიკაზე ლაპარაკი დავიწყე. მე მოგახსენებდით, რომ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას მრავალი სერიოზული ნაკლი გააჩნია, იგი დიდად ჩამორჩება არამარტო ჩვენს ცხოვრებას, არამედ ჩვენს მწერლობასაც, რაც თავის მხრივ ცხოვრებას არის ჩამორჩენილი. ხოლო კრიტიკის ეს სერიოზული ნაკლოვანებანი ხელს უშლიან, მნიშვნელოვნად უშლიან ხელს ლიტერატურის განვითარებას. ერთი დიდი ნაკლი ჩვენი კრიტიკისა ის არის, რომ, როგორც მოგახსენეთ, მას შემოეცალა ძალები — ნაკლები ხალხისთი წერენ თანამედროვე მწერლობაზე; პირად საუბარში, ზოგჯერ ტრიბუნადაც ისინი აცხადებენ ხოლმე, რომ ჩვენში ძნელია კრიტიკოსობა, არავის უყვარს კრიტიკა; ეს მართალია და, უნდა გამოგიტყდეთ, არც გასაკვირი. იშვიათად მეგულება კაცი, რომ კრიტიკა უყვარდეს. მაგრამ, დამერწმუნეთ, ვერცერთი ვერ აღიმაღლებს აშკარად ხმას კრიტიკის წინააღმდეგ, თუ ის არა გრძნობს ამ კრიტიკის არაობიექტურობას. თუნდაც აღიმაღლოს, მას ყველა გაჰკიცხავს, და იგი მაშინვე დამარცხდება. მაგრამ ჩვენ არცთუ ისე იშვიათად მოწმენი ვართ არაობიექტური, არასამართლიანი, და რაც მთავარია არაგულწრფელი კრიტიკისა, მოწმენი ვართ ხელის ბიძგებისა, დაფრთხობისა, დაბნევისა. დაიხ, ზოგიერთი კრიტიკოსი ნებსით და უნებლიეთ აბნევს და დაფრთხობს მწერალს; განსაკუთრებით, ახალგაზრდა მწერალს. მე მხედველობაში მაქვს ბესარიონ ჟღენტის გამოსვლა მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომაზე „ცისკრის“ პირველი ნომრის გარჩევის გამო. მხედველობაში მაქვს მისი გამოსვლა და არა იმდენად გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, რომელშიაც, ალბათ გაზეთის რედაქციის გავლენით, ბევრი რამ რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც კრიტიკოსმა თავის ზეპირ გამოსვლაში ილაპარაკა.

ეს რომ პირადად ჩემს წიგნს შეეხებოდეს, მე რომ შემეხებოდეს პირადად, ალბათ ვერ გავბედავდი აქ გამოსვლას და თქვენი ყურადღების დაღვას. ვერ გავბედავდი გამოსვლას და თავის დაცვას. მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს მე არ შემეხება, ეს შეეხება ჩვენი ლიტერატურის ძირეულ საკითხებს, ეს ეხება ჩვენი მწერლების ახალგაზრდა თაობის აღზრდას, და მეორეც, ეს არათუ ჩემი, საერთოდ, არავისი დაცვა არ არის. პირიქით, მე ზემოთაც აღვნიშნე მთელი რიგი ნაკლოვანებები, რაც ამ მწერლებს გააჩნიათ, ახლაც ამასვე ვიმეორებ. მაგრამ აქ საქმე ეხება იმას, რომ კრიტიკის სექციის ხელმძღვანელი თავისი არაობიექტური გამოსვლებით ზოგჯერ ახალგაზრდობას **აზნევს, აფრთხობს, ხალისს უკარგავს**.

არ მინდა ეს განცხადება ლიტონ სიტყვებად იქცეს და ამიტომ ნება მიბოძეთ ფაქტებს მივმართო.

აღნიშნული გამოსვლა ამხანაგმა ჟღერტმა დაიწყო იმით, რომ საერთოდ ჩვენს ცხოვრებაში დიდი მოვლენა ახალი ჟურნალის გახსნა. შემდეგ მან ქებით მოიხსენია გიორგი ნატროშვილის მოთხრობა, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა, სიმონ ჩიქოვანის და გიორგი ლეონიძის ლექსები. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ თანამედროვეობას ეხმაურება ჟურნალში დაბეჭდილი მხოლოდ 2 ლექსი, — ა. სალუქვაძის „ლენინი“ და მ. ლებანიძის „ახალგაზრდობა“, რომელსაც იქვე ისეთი სერიოზული ბრალდება წაუყენა, რაც ყოველგვარ მის შეფასებას აბათილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სერიოზული ბრალდება აქ დავასახელო. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ ჟურნალში მოთავსებული სხვა მასალები იდეურად **მანკიერია**, მხატვრულად **უსუსური**, — რომ საერთოდ ჟურნალს აქვს რაღაც **უცხო პოზიცია**, რაღაც **მავნე** მიმართულება და ხაზი გადაუსვა თითქმის ყველაფერს, რაც ჟურნალში მოთავსებულია. როგორც მოგახსენეთ, ჟურნალში ბევრი რამ მართლაც გამოსასწორებელია, ბევრი ლექსი და მოთხრობა მართლაც ვერ დგას სათანადო მხატვრულ სიმაღლეზე; ამას არავინ უარყოფს, მაგრამ გრძნობს თუ არა პატივცემული კრიტიკოსი, როცა იგი დაჟინებით აცხადებს (მან რამდენჯერმე გაიმეორა ეს), რომ ჟურნალი **უცხო პოზიციაზე** დგას, იგი იდეურად **მანკიერია**. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველას ერთი პოზიცია გვაქვს, ერთ საქმეს ვემსახურებით, ჩვენ ყველა მტკიცედ ვიცავთ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. არის ხოლმე მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნაწარმოები, არის ძალიან სუსტი ნაწარმოებიც, რომელიც ზოგჯერ იბეჭდება ხოლმე. სხვაგვარად არ შეიძლება, ამხანაგ ჟღერტს ავიწყდება, რომ ყოველ მწერალს ყოველდღე არ შეიძლება მოსთხოვო „მერანი“ და „მესმის, მესმის“, თუნდაც „კაპიტანი ბუხაიძე“. ასეთი მოთხოვნა ფუჭი იქნება. ჩვენ ვცდილობთ, რომ ხშირად იბეჭდებოდეს ასეთი ნაწარმოებები, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ხშირად იბეჭდება სუსტებიც. და ეს არ არის მხოლოდ „ცისკრის“ უბედურება. ასე რომ იყოს, განკურნება მაშინ იოლი იქნებოდა და საქმეს ადვილად ვუშველიდით. მაგრამ სხვა არის სუსტი ნაწარმოები და სხვა არის **იდეურად მავნე მიმართულება, უცხო პოზიცია**; დღეს ჩვენში აღარ შეიძლება ასეთი ლაპარაკი, ასე დაუსაბუთებელი ლაპარაკი. იქნებ ამხ. ჟღერტს ისე მკაცრად არ ესმის ეს სიტყვები, იქნებ ვერა გრძნობს ამ ბრალდების მთელ სიმწვავეს? რადგან მას ბევრი **მიმართულებები** გამოუვლია, მაგრამ ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება ახალგაზრდა მწერლისათვის (მე ვგულისხმობ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ახალგაზრდა მწერლებს), თუ თქვენ ამავე დროს ვერ დაუმტკიცებთ მას ამ ბრალდებას, აი სწორედ ეს არის **უცხო პოზიცია**. დიან, როგორც მოგახსენებდით, ამხ. ჟღერტმა თავისი ორნახევარსაათიანი მოხსენების განმავლობაში ასე უპასუხისმგებოდ იმეორა ეს ბრალდება, ხოლო დამტკიცება ვერ შესძლო, და არც უცდია, რადგან თვითონვე მშვენივრად იყო დარწმუნებული, რომ ასეთი **პოზიცია** არ

შეიძლება ჟურნალს ჰქონდეს, არ შეიძლება იმ უმარტივესი კანონის ძალით, რომ ასეთი **პოზიცია**, ასეთი **მანკიერი მიმართულება** არა აქვს არცერთ შიგ მოთავსებულ ნაწარმოებს. სულ სხვაა სუსტი (თუნდაც უსუსური) ნაწარმოები, არა-აქტუალური ნაწარმოები, ან რომელიმე წერილში ნაშოკენებული **მცდარი** დებულება. ნაცვლად იმისა, რომ ცდილიყო მაინც თავისი ბრალდების დასაბუთებას, ამხ. ჟღერტი განაგრძობს განქიქებას ცალკეული ნაწარმოებისას. იგი აცხადებს, რომ ისტორიულ თემებზე წერა კარგია, უნდა დავბეჭდოთ კიდევ, მაგრამ ასეთ ისტორიულ ნაწარმოებში ხალხი უნდა იყოს ნაჩვენები და არა მეფეები, ამიტომ გაუმართლებელი შეცდომაა გათუას „გრემული ქარვასლიონის“ დაბეჭდვა. ჩვენ კი, რედაქციამ, სწორედ იმიტომ დავბეჭდეთ აღნიშნული ნაწარმოები, რომ შიგ ხალხია გამოყვანილი, მშრომელი ხალხი, გლეხობა.

მე ცოტა მეგულება სხვა ქართული ისტორიული ნაწარმოები, სადაც ასე მასობრივად და ასე დამაჯერებლად იყოს გამოყვანილი ხალხი, რომელიც ამ მოთხრობაში თავისი ბერიკათი ამარცხებს უცხოელ დამპყრობლებს. ამხანაგმა ჟღერტმა სასტიკად გაგვიცხა ამ მოთხრობის დაბეჭდვისათვის, მაგრამ მას რომ ნაკითხული ჰქონოდა მოთხრობა, თუ არ შეაქებდა, გვერდს მაინც აუვლიდა.

აკი რამდენიმე ხნის შემდეგ აუარა კიდევ გვერდი და აღარაფერი თქვა თავის წერილში.

შემდეგ მან ასევე უყოყმანოდ განაცხადა, რომ ისეთი ნაწარმოებები (ამ დროს იგი ფურცლავდა ჟურნალს), როგორც არის ვლ. თორდუას „ცხოვრების ერთი ფურცელი“ და ირ. აბაშიძის „ინდოეთის გზებზე“ ამინდს ვერ შექმნიან ლიტერატურაში (სიტყვა-სიტყვით ასე განაცხადა). ვიკითხოთ, რატომ? ირაკლი აბაშიძის საინტერესოდ დაწერილი ნაწარმოები „ინდოეთის გზებზე“, უნდა მოგახსენოთ, იმისგან დამოუკიდებლად, რომ იგი „ცისკარშია“ დაბეჭდილი (ბოლოსდაბოლოს ხომ შეეძლო სხვაგან დაებეჭდა), მაღალმხატვრული პროზის სიმაღლემდე ადის. შესანიშნავი თხრობით, მსუბუქი იუმორით, რაც ასე სწევია ირაკლი აბაშიძეს, გადმოცემულია ის მეგობრული განწყობილება, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება აზიის ხალხებს შორის, უღმობელი სარკაზმით არის გამათრახებული იმპერიალიზმის ბნელი ძალები, კოლონიალიზმი, ნაჩვენებია, როგორ აღწევს თავს აზიის ჩაგრული ქვეყნები კოლონიალიზმის უღელს.

ან თუნდაც რატომ გახდა ასე ასათვალწუნებელი ვლ. თორდუას მშვენიერი ნარკვევი, სადაც ცოცხლად არის ნაჩვენები ჩვენი ახალგაზრდობის, კომკავშირული ახალგაზრდობის შრომითი ცხოვრება, მისი პირადი განცდები, დიდი სიყვარული და დიდი მეგობრობა.

ეს ნაწარმოებები რომ წაეკითხა ბესარიონ ჟღერტს, მანამ მოხსენებას გააკეთებდა, აღარ აითვალწუნებდა და აკი აღარც აუთვალწუნებია მას შემდეგ, რაც ნაკითხა. თავის წერილში ირაკლი აბაშიძის ნაწარმოებს მან ქება უძღვნა, ხოლო ვლ. თორდუას... გამოტოვა, გვერდი აუარა.

(სხვათა შორის ანალოგიური წინააღმდეგობებია მ. ლებანიძის ლექსის შეფასებაშიც — წერილში უკვე მხატვრულად აკრიტიკებს, პირიქით, აქ „იდეურ-თემატიკური სიღრმეც“ მიეცა ამ ლექსს).

კიდევ რა დარჩა მხატვრულ ნაწარმოებთაგან ჟურნალში? ლექსები თამაზ ჭილაძისა, რომელსაც, ყველას უკლებლივ, თანამედროვე ცხოვრებიდან მოწყვეტა დასწამა ცილად. ეს მთლად ასე არ გახლავთ. ლექსების უმრავლესობა ეხმაურება თანამედროვეობას, შეიძლება ითქვას — ყველაც, რადგან სიყვარულისა და ბუნების აღქმის გრძნობა რით არ არის თანამედროვე! მაგრამ აქ სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე და ეს შესანიშნავად შენიშნეს თავის გამოსვლაში სერგი ჭილაძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ლ. კალანდაძემ. აქ საქმე ისაა,

რომ, სიმონ ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორს ყველა ლექსი ვერ აჰყავს დიდ მოქალაქეობრივ პათოსამდე, რითაც ასე გვხიბლავს ჩვენი დიდი წინაპრების ილიასა და ვაჟას პოეზია. დიახ, ეს არის ერთი საგულისხმო ნაკლი, და არამართო თამაზ ჭილაძისა, არამედ სხვა ზოგი ჩვენი ახალგაზრდა თუ არაახალგაზრდა პოეტისა. მაგრამ ამას მიგნება უნდოდა, ამას მითითება უნდოდა. ამისი დრო კი მომხსენებელს, ეტყობა, არა ჰქონდა. ხოლო ცუდად დასმული დიაგნოზი ზოგჯერ არასასურველად მოქმედებს ავადმყოფზე. რა შუაშია აქ **რა-ლაც პოზიცია**, რაღაც მავნე და **მანკიერი მიმართულება**?

მაგრამ ვნახოთ, იქნებ სხვა ნაწარმოებებს მიუდგეს. ამის შემდეგ აქ მოდის არჩილ სულაკაურის კარგი ლექსები, რომელთაც ამხ. ჟღერს თავის გამოსვლაშიც აუარა გვერდი და წერილშიაც. დროს აღარ დაგაკარგვინებთ და ჩვენც ავუაროთ გვერდი.

მთელი რისხვა ამხ. ჟღერს დაატეხა განყოფილება „ჭაშნიკს“, რომელსაც ყველაზე სათუთი და ფრთხილი გარჩევა ესაჭიროება. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ განყოფილებაში წარმოდგენილია დამწყები მწერლები, ახალბედები, რომლებიც ახლა იდგამენ ფეხს მწერლობაში, პირველად იბეჭდებიან. ეს სახელწოდება იმიტომ კი არ მოუგონა რედაქციამ ამ განყოფილებას, რომ თავი დაეზღვია და შიგ ყოველგვარი ხლამი ჩაეყარა თავისი რაღაც **უხილავი „პოზიციის“** გასაგრძელებლად, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ყველას და პირველ რიგში კრიტიკოსებს მიექციათ მათთვის ყურადღება და მიეცათ დროული, სამართლიანი და ობიექტური შენიშვნები. შენიშვნები და არა ხელის კვრა. კრიტიკა და არა უფსკრულისაკენ ბიძგება. ბესარიონ ჟღერს კი ხელის ბიძგება გადანყვიტა, დაფრთხობა და დაბნევა გადანყვიტა. მაშ რით უნდა აიხსნას ის საშინელი განქიქება, რაც მან ამ განყოფილებას დაატეხა! პირველი იერიში მიტანილ იქნა რჩეულიშვილის მოთხრობებზე. განსაკუთრებით „ბაბუა კოტეს შემოდგომაზე“, რომლის შინაარსი მეტად აგდებულად უამბო მან საზოგადოებას.

(აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხდომაზე დამსწრე საზოგადოების შეოთხედსაც კი, მათ შორის პრეზიდენტის წევრების დიდ უმრავლესობას, წაკითხულიც კი არა ჰქონია ჟურნალი, რადგან სულ რამდენიმე დღის გამოსული იყო. ესეც ნიშანდობლივია: ჩვენზე მთელი 15 დღით ადრე გამოსული ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუპა“ დღესაც არ განხილულა პრეზიდენტზე. აქ კი ბესარიონ ჟღერს თავისი ინიციატივით მეტად დააჩქარა „საქმე“).

კამათში გამოსულმა ამხანაგმა ჩიქოვანმა არ გაიზიარა მომხსენებლის აზრი და დაამტკიცა, რომ მოთხრობა მხატვრულადაც საკმაოდ გამართულია და აქტუალურაც.

სამაგიეროდ, ბესარიონ ჟღერს თავისი აზრით, რომ ჩიქოვანის აზრი და წერილი გვერდი აუარა ამ მოთხრობას.

სხვა მოთხრობების გარჩევას აქ არ შეეუდგები. არც მათ დაცვას ვაპირებ; ეს კი უნდა ვთქვა, რომ მოთხრობების შინაარსი წერილშიაც ვერ არის ობიექტურად გადმოცემული და, რაც მთავარია, აქაც არ არის პირდაპირი და სამართლიანი შენიშვნები მიცემული, ე.ი. არ არის მიცემული შენიშვნები, რომ უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გაერკვეს, რა აქვს კარგი (ნუთუ არაფერი აქვს კარგი?) და რაში სჭირდება დახმარება. აქ ახლა ძნელია ამ საქმის გარკვევა. ისე კი საერთოდ საჭიროა. მაგრამ სად არის აქ **მავნე მიმართულება**, და უცხო **პოზიცია**. რატომ ვაფრთხობთ, რატომ ვკრავთ ხელს ახალგაზრდობას?

რა საჭიროა მათი განქიქება? განქიქება კი მართლაც ძლიერი იყო, რადგან ამხ. ჟღერს ამის შემდეგ („ჭაშნიკის“ შემდეგ) უკვე ამკარა მუქარაზე გადავიდა. „ჩვენ ვაგისხენით თქვენ ჟურნალი“, მიმართავდა იგი ახალგაზრდებს, „ნუ მიიყვანთ საქმეს იქამდე რომ ჩვენვე დაგისუროთ“. „ხომ ხედავთ რა ხდება რუსულ ჟურნალებში?“ და სხვა.

საბედნიეროდ, ჩვენში არ გამოქვეყნებულა ისეთი მართლაც მანკიერი ნაწარმოებები, როგორცაა დუდინცევის, იაშინის და სხვათა ნაწარმოებები, რა სავალდებულოა ჩვენს მწერლებსაც იგივე ბრალდება ნაუყენოთ. აქ მთავარი ის კი არ არის, თითქოს ვინმეს გაკიცხვისა ეშინოდეს, არამედ ის, რომ არასწორად დასმული დიაგნოზი კარგ შედეგს არ მოგვცემს.

ამხ. ასათიანის წერილის მიმართ ბესარიონ ჟღერს შენიშვნები სამართლიანი იყო. მართლაც ამ წერილში ბევრი რამ არის სადავო, ბევრი დებულება მცდარია და დაზუსტებას მოითხოვს. მაგრამ ბესარიონ ჟღერს მოხსენებაში დავინყვია, რომ წერილი განხილვის წესით იბეჭდებოდა, სამაგიეროდ ეს მოაგონა გაზეთის რედაქციამ და წერილში უკვე არის ეს შენიშვნა. მაგრამ ჯერ ერთი ასე კატეგორიულად არ სვამს ამხ. ასათიანი საკითხს.

მაგრამ ხომ მართალია, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ დაუდგენელია? ისიც ხომ მართალია, რომ უნდა დადგინდეს ეს საკითხი? მაგრამ როგორღა უნდა დადგინდეს, თუ არ აზრთა გაცვლა-გამოცვლის, მსჯელობის, ლიტერატურული დავის (ლიტერატურული დავის და არა კეტის ქნევის) გზით?!

მე დავეთანხმე ამხ. ჟღერს შენიშვნებს ასათიანის მიმართ, მაგრამ ვერ დავეთანხმები მის მეტად მკაცრ და არასამართლიან კრიტიკას ჭაჭაჭაძის მიმართ.

აქ დასმულია სავსებით კონკრეტული, პრაქტიკული, მეტად აქტუალური საკითხები, და რამდენიც არ უნდა ეცადოთ, ვერსად დაინახავთ იმას, რის დანახვასაც ამხ. ჟღერს ცდილა.

მეტი არაფერი ყოფილა | ნომერში. თუმცა იყო კიდევ ერთი პატარა, ერთის შეხედვით თითქოს უწყინარი მასალა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

გაზეთში ამხ. ჟღერს უკვე მოგვცა მეორე ნომრის გარჩევა. ვიმეორებ, რომ გაზეთში უკვე აღარ არის ის ტონი, ის რაღაც უცხო პოზიციისა და მავნე, მანკიერი მიმართულების ბრალდება, მაგრამ კეტის მოქნევის შემთხვევები აქაც არის, თუმცა ძალიან შეფარვით.

მეორე ნომრიდან კონკრეტულად მხოლოდ ო. ჯინორიას წერილია გაკრიტიკებული. სხვა არაფერი. მაგრამ ავტორი მაინც აცხადებს, რომ მიუხედავად მწერალთა საზოგადოებრიობის სასტიკი კრიტიკისა (იგულისხმება მისი გამოსვლა | ნომრის შესახებ პრეზიდენტზე), სათანადო დასკვნები მაინც ვერ გაუკეთებიათ. მაგრამ პირველ ნომერში აკი უამრავი მანკიერი, იდეურად მავნე შეცდომები იყო! აქ კი მხოლოდ ჯინორიას წერილში უნახავს ამხ. ჟღერს შეცდომა და ისიც, უნდა მოგახსენოთ, სადავო; ყოველ შემთხვევაში არა ისეთი, რომ **უცხო პოზიცია** დასწამო.

ეს არის და ეს. მაგრამ არა. მე შემეშალა, აქაც არის მითითებული შეცდომები, და მე იმიტომ მოვტყუედი, იმიტომ არ მომეჩვენა მითითებული შეცდომა ამ წერილს გარდა, რომ ამხ. ჟღერს ამას შეფარვით აკეთებს. იგი თითქოს იწონებს, თუმცა ძუნხად, ცალკეულ მოთხრობებს, და არ მოსწონს ყველა ერთად. ამბობს, რომ ყიფიანის მოთხრობა საყურადღებოა. ყიფიანის მოთხრობას კი უჭირავს ნომერში 2 1/2 ფორმა, ე.ი. მთელი პროზის თითქმის 3/4 მოცულობით. ამ მოთხრობის გარდა აქ მოთავსებულია ბეჟანიშვილის 3-გვერდიანი მოთხრობა, კარგი მოთხრობა, ამას ამხ. ჟღერს ალნიშნავს, ამხ. დავითიშვილის მოთხრობა, რომელსაც გვერდს უვლის ამხ. ჟღერს, და შალვა დადიანის მეტად საინტერესო და კოლორიტული მემუარები, რომელზედაც წერილის ავტორი აგრეთვე ამბობს — საყურადღებოაო. ე.ი. იგი როცა ცალკეულ აფასებს ნაწარმოებებს, იგი ყურადღების ღირსად ხდის (საყურადღებოაო, ამბობს) ყიფიანის 2 1/2-ფორმიანი მოთხრობას და დადიანის მემუარებს. ბოლოსდაბოლოს, ეგეც ხომ პროზაა. მაგრამ როცა საბოლოოდ აჯამებს მოსაზრებებს და დასკვნას აკეთებს, აცხადებს:

„მხატვრული პროზის ნაწარმოებთა შორის (?) აქაც მხოლოდ ერთი მცირე მოცულობის მოთხრობა (რ. ბუჟანიშვილის „ზამთრის საღამო“) შეეხება თანამედროვე პროზის ცხოვრებას“. ეს არის ბუჟანიშვილის სამგვერდიანი მოთხრობა. დანარჩენი? ყიფიანის დიდი მოთხრობა, გამოდის, არ ეხმაურება თანამედროვეობას. იქ დახატულია შესანიშნავი სურათი საბჭოთა მასწავლებლისა, გამოდის, რომ მასწავლებლის პროზა არ ყოფილა გამართლებული თანამედროვე ცხოვრებაში. იქ სხვათაშორის მოქმედ პირთა მოქმედების ფონად, მაგრამ თუ შეიძლება ასე ითქვას არა პასიურ ფონად, მოცემულია კოლმეურნეობის სისხლსავსე ცხოვრება, პროზა, იქ მოცემულია რუსი და ქართველი ახალგაზრდების მეგობრობა და წმინდა სიყვარული. ამხ. ჟღენტიისთვის არც ეგ ყოფილა მნიშვნელოვანი, რადგან იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „თანამედროვე ცხოვრებას შეეხება მხოლოდ ერთი პატარა 3-გვერდიანი მოთხრობა, ხოლო მთელი ცხოვრება საბჭოთა ადამიანებისა, რაც მთელ 2 1/2 ფორმაზეა აღწერილი, ფუჭი ყოფილა და უსარგებლო. იქნებ მხოლოდ იდეურად არის „საყურადღებო“ ამხ. ყიფიანის ნაწარმოები და მხატვრულად კი უსუსურია?! მაგრამ ასე რომ არ არის? ამ ნაწარმოებმა პრემია მიიღო. მას მაღალი შეფასება მისცეს ჩვენმა მწერლებმა. მე შემიძლია ახლავე წაგიკითხოთ ერთი პატარა შეფასება.

აი ისიც, მეტად ლაკონიურად არის დაწერილი სულ სამ სტრიქონში და წაგიკითხავთ:

„კარგი ნაწარმოებია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა ჩვენს კონკურსში და, საერთოდ, იგი თვალსაჩინო შენაძენი იქნება ქართული ლიტერატურისათვის. ნაწარმოები რამდენიმე დამოუკიდებელი ნოველისაგან შესდგება. ისინი გაერთიანებულია ერთი ჩანაფიქრით. ყოველ მათგანში ცოცხლად, საინტერესოდ არის მოთხრობილი ისეთი ამბები, რომლებიც გარკვეულ საღმრთლო აზრსაც შეიცავენ და ხალხისადაც იკითხებიან.

ნაწარმოები ცხოველი ინტერესით იკითხება, დაწერილია კარგი ენით, ნათელი და დახვეწილი სტილით.

ეს ნაწარმოები პრემიის ღირსია“. იქნებ რომელიმე გამოუცდელმა მწერალმა მისცა ასეთი დასკვნა ყიფიანის ნაწარმოებს? არა. ამ რეცენზიას ხელს აწერს ბესარიონ ჟღენტი. მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რომ ამ რეცენზიას ბესარიონ ჟღენტი მისში წერდა, ხოლო გაზეთში მოთავსებული რეცენზია იმავე ბესარიონ ჟღენტმა სექტემბერში დასწერა.

ამავე სექტემბრის გავლენით ბესარიონ ჟღენტმა „ვერ შენიშნა“ მეორე ნომრის პირველივე გვერდზე დაბეჭდილი „წითელი ბალადა“ შოთა ნიშნიანიძისა, და მისივე არცთუ ისე უინტერესო და არცთუ ისე უიდეო ლექსი „ყველა და ყველაფერი“. ნიშნიანიძე, მოგეხსენებათ, ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალია, და მე ვფიქრობ მის ლექსებში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ახალ ნაწარმოებს „წითელ ბალადას“, რომელიც მღელვარებით გვაცნობს სამოქალაქო ომის გამირის ჩაპაევის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, საერთოდ გამირულ სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ ჩვენი დიდი წინაპრები და რომელთა საქმე მუდამ სამაგალითო და აღმაფრთოვანებელი იქნება ჩვენი ახალ-

გაზრდობისათვის. ამ ორ ლექსს უჭირავს 220 სტრიქონი — მათ შორის „წითელ ბალადას“ — 120. ამაზე ცოტა ნაკლები უჭირავს ყველა დანარჩენ ლექსებს ე.ი. სამი ავტორის — მაყვალა მრეკლიშვილის, ნაზი კილასონიას და ანდრო თევზაძის ლექსებს.

ამხ. ჟღენტი პოეზიის განყოფილებაზე ასე წერს: „ამ ნომერშიაც მთელი რიგი ლექსები მოკლებულია საზოგადოებრივ აზრსა და მნიშვნელობას, იდეურ მიზანდასახულობას“. ასეა განა? განა არა სჯობდა პირდაპირ გვეთქვა — რომ ეს ლექსები — ნიშნიანიძის ლექსები მაღალიდეურია, ეხმაურება ჩვენს შესანიშნავ რევოლუციურ წარსულს. და იმ პოეტების ლექსებიც განა ასე მოკლებულია იდეურ დასახულობას?!

აქ ყველაფერი იმ მიზეზში უნდა ვეძებოთ, რომ წერილი სექტემბერშია დაწერილი.

დიდხანს დავლაღე თქვენი ყურადღება, მაგრამ ეს ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს, კრიტიკის ობიექტურობის, სამართლიანობის, გულწრფელობის საკითხს. ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ლიტერატურის წინსვლა. ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის წინსვლა და განვითარება, კერძოდ „ცისკარის“ ნომრებში დაბეჭდილი ახალგაზრდა მწერლების წინსვლა და განვითარება, რომელთაც სინამდვილეში მართლაც ბევრი ნაკლი აქვთ, რომლებიც სინამდვილეში მართლაც ვერ ახერხებენ ჩვენი დიდი და მრავალფეროვანი ცხოვრების ასახვას, რომლებსაც ძალიან ბევრი მუშაობა და მითითება სჭირდებათ მწერლური დაოსტატებისათვის, მაგრამ მთელი რიგი ნაკლოვანებების მათი განვითარება და გამარჯვება ლიტერატურაში მაინც უზრუნველყოფილია, რადგან მათ გააჩნიათ მაღალი იდეალები, სპეტაკი მისწრაფებანი და დიდი მზრუნველობა ხალხისა და მშობლიური პარტიისა. დაე საქმიანი და დროული დახმარება გაუწიოს მას ჩვენმა კრიტიკამაც. ნუ დავაბნევთ, ნუ დავაფრთხოთ, კეტს ნუ მოუქნევთ!

მაგთიკომმა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით უკვე მე-11 ალბომი გამოსცა, რომელიც ცნობილი ხელოვანის, მოქანდაკე **ელგუჯა ამაშუკელის** შემოქმედებას მიეძღვნა. შესაბამისად, 18 აპრილის საღამოს, ტრადიციული გულითადი მასპინძლობით, ამ ალბომის წარდგინება **მაგთიკლუბში** გაიმართა. ასე რომ, კულტურისა და ხელოვნების მრავალი თვალსაჩინო მოღვაწისათვის სასიამოვნო გარემოში თავმჯდომარის საბაბიც სასიამოვნო გახლდათ.




და რომ მაგთის რჩეული სლოგანი „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“, მხოლოდ ფრთიანი გამონათქვამი არაა, ამას ათვალსაჩინოებს უამრავი საქველმოქმედო ღონისძიება, აგრეთვე სხვადასხვა შინაარსის დიდებული გამოცემები, ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის საგანძურს რომ შეემატა მაგთის ხელდასხმით. ამათ შორისაა ეს ჩინებული ალბომიც ელგუჯა ამაშუკელისა, დიდი გულმოდგინებითა და უაღრესი პროფესიონალიზმით შედგენილი. რასაკვირველია, დაბეჭდილი სანაქებოდაც, გამომცემლობა „**სეზანის**“ მიერ.

იმდღევანდელ ღონისძიებას უძღვებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თათული ღვინიაშვილი**.

ელგუჯა ამაშუკელი სიყვარულით გაიხსენეს და მისი შემოქმედების შესახებ საინტერესოდ ისაუბრეს ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა: **თემო გოცაძემ, დავით ანდრიანემ, თამთა-თამარ შავგულიძემ, ვახტანგ დავითაიამ, როინ მეტრეველმა, ვალერი ასათიანმა, დიმიტრი ერისთავმა.** სამადლობელი სიტყვისას **ლია სტურუამ** ფაქტობრივად შეაჯამა და გამოკვეთა უმთავრესი, რომ: ქვეყანა სულიერებამ უნდა გადაარჩინოს; მატერიალური სიმდიდრე და სულიერი ფასეულობანი ავსებს რა ერთმანეთს, აძლიერებს ერს, საზოგადოებას... სიტყვით გამომსვლელებმა მაღლიერება გამოხატეს მაგთის მესვეურთა, კერძოდ **გია ჯოხთაბერიძის** მისამართით, რომ სწორედ რჩეულთა ხვედრია კეთილი საქმეების დაუწყვედრებელი აღსრულება. აღუნიშნავი არ უნდა დარჩეს ისიც, რომ ამ სამახსოვრო საღამოს ხიბლი შემატა ჯაზტრიოს — **ოთარ მაღრაძე, ოთარ საგანელიძე, ვალერი ფაილოძე** — საშემსრულებლო ოსტატობამ.



ვალერიან შიუკაშვილი



არქიმანდრიტი ადამი

ამას წინათ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსი „უსასრულობა“. მისი ინიციატორი გახლდათ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მუსიკოსი ვალერიან შიუკაშვილი. ვფიქრობთ, მუსიკის, პოეზიისა და სასცენო მოქმედების იმგვარი ორიგინალური შერწყმა, „უსასრულობაში“ რომ შედგა, თავისთავად მეტად საინტერესო და ახლებური სიტყვაა, რომელიც რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა მოისმინოს და ნახოს...

„ჩვენი პერფორმანსი შედგა. მისი ინიციატორი გახლდათ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მუსიკოსი ვალერიან შიუკაშვილი, — ამბობს ამ მოვლენის კიდევ ერთი მონაწილე მამა ადამ ახალაძე, — ვაკოსთან შემოქმედებითი თანამშრომლობა უაღრესად საინტერესო და მოულოდნელი იყო ჩემთვის. ჩვენი დიალოგი პერფორმანსულ დროსა და სივრცეში ყალიბდებოდა დიდი შრომით, განცდებით, რუდუნებით, თანდათან... ამისათვის აუცილებელი იყო თითოეულ ჩვენგანს ჰქონოდა გაუნელებელი სურვილი, ჩასწვდომოდა პარტიიორის შემოქმედების ყველაზე ღრმა პლასტებს... ვალერიანი ყველა-

საგან განსხვავებულად ქმნის მუსიკას, აქვე, სცენაზე, შენს თვალწინ. მას მოაქვს მსმენელამდე ის, რაც უზენაესთან ურთიერთობის შედეგად მოიპოვა (მიეცა). ეს მისტიკურობა, პროეცირებული მუსიკაში, მუდამ თან ახლავს ვალერიან შიუკაშვილის შესრულებას. ვფიქრობ, მუსიკის, პოეზიისა და სასცენო მოქმედების იმგვარი ორიგინალური შერწყმა, „უსასრულობაში“ რომ წარმოვადგინეთ, მეტად საინტერესო სიტყვაა, რომელიც რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა მოისმინოს... პერფორმანსში შეიქმნა ერთგვარი დუალისტური ვიზუალური განზომილება: სინათლისა და სიბნელის, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის, პიანისტისა და ლექსთა მკითხველის სივრცე. რაც შეეხება აუდიოგანზომილებას, ის უფრო რთულია. ამ ტრინიტარისტული სივრცის ერთ ფენას ქმნის მუსიკა; მეორე ფენას — პოეტური ტექსტები, ხოლო მესამე ფენა სიჩუმეა, რომელიც უსასრულობიდან ჩამოწვება ხოლმე ჩვენს პერფორმანსულ სივრცეში.

პირველ ცხრა წუთს ჟღერს ბახის „მათეს ვნებანი“. მეორე ფენაში გაყურებულია ორი ლექსი. ამ ფენათა ზედდება მკაცრად განსაზღვრული დროში. ისინი ავსებენ ერთმანეთს შინაარსითაც, ფერებითაც, დრამატულობითაც... ბახის ეს გენიალური მუსიკა ჟღერს პერფორმანსის ფინალშიც, სადაც პოეტური ტექსტი სხვადასხვა ლექსებიდან ამონარიდებს წარმოადგენს... ტექსტის კითხვა მთავრდება. მუსიკა კი ჟღერს და მხოლოდ მცირე დროის შემდეგ წყდება. შუქი ქრება, გარინდული დარბაზი და სცენა უერთდება საოცარ სიჩუმეს, რომელიც ბევრისმეტყველია და აკვირვებებს ჩვენს „უსასრულობას“... რა თქმა უნდა, აღწერით ყველაფრის გადმოცემა ძნელია. უმჯობესია, ეს იხილო და მოისმინო“...

ნესტან მესხი

„ნოტების ოკეანე თუ სიტყვების ცა“...

იმ საღამოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილ დარბაზში მართლაც საოცარი გარემო სუფევდა. აქ მუსიკისა და პოეზიის იშვიათი შეზავება ადამიანის უმთავრეს სათქმელს გამოხატავდა, ერთმანეთის გვერდით ასახავდა მშვენიერებას და სულიერ კონფლიქტს, ბადებდა კითხვებს, აზრებს, ფილოსოფიურ განსჯას, ჰიმნს უმღეროდა შემოქმედის ძალმოსილებას. მუსიკისა და პოეზიის შერწყმა ხომ მხოლოდ აღრმავებს ფიქრსა და განცდას.

ამ საღამოს (სახელწოდებით „უსასრულობა“) სულისჩამდგმელები და მონაწილენი გახლდნენ პოეტი და მუსიკოსი არქიმანდრიტი ადამ ახალაძე და პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი.

„სიტყვის შთაბერვის გარეშე არაფერი არ ინახება“... — წერს თომას მანი, ხოლო ანა ახმატოვა იმავე აზრს ასეთი ძალით გამოხატავს:

**Ржавеет золото и истлевает сталь,
Крошится мрамор – к смерти все готово.
Всего прочнее на земле печаль
И долговечней – царственное слово!**

ახლა კი ვნახობთ ამ აზრს როგორი, ჩვენთვის მოულოდნელი, ხედვითა და ცოცხალი ხატოვანებით გამოთქვამს პოეტი-ღვთისმსახური:

ბგერები
სიტყვის წიაღის სურნელებიანი
ცის აკვნის ჩვილები,
ფრენა და ნანავი
ზესკნელის მკვიდრების,
შორეული, მიმქრქალი,
უფერო ექო
იდუმალ,
სანუკვარ ხმობის და ხმის,
რომელი
„ხმაი იყო ზეცით!“
მანამდე,
ამ ხმამდე კი
ნაწვიმარ, ნანარღვნარ ცის თაღზე
ცრემლებით გადმოჰყარა დამბადებელმა
ახალშობილები
მკერდასვზე ბგერები
ცისარტყლის ფერები
და სულში ჩავვიძვრინა
მხატველი შვილები
თავისი წიაღის სურნელებიანი
ცის აკვნის ჩვილები...
და განა შეიძლება გეგონოს,
რომ ეს საოცრება
მხოლოდ ნოტების ოკეანეა
ან სიტყვების ცა?

ცხადია, არა!
ამ უძლიერეს გრეხილ ასოებს, ამდენად სიტყვებს და ნოტებსაც, შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანის გრძნობათა ქარიშხალი, შეაცვლევიონ ცხოვრება, და ახლა, როცა თითქოს ყველაფერი დანერილია, წარმოიდგინეთ, როგორ რთულ გრძნობებს ეთამაშები, რომ მიაღწიო სხვის გულამდე, ამოატრიალო მისი შინაგანი მდგომარება, იმოქმედო მის მსოფლალქმასა თუ ცხოვრების წესზე.

შემთხვევითაც არ იყო, რომ თავიდან დარბაზში განწყობილებას ქმნიდა ბახის ყოველისმომცველი გენიალური ქმნილება „მათეს ვნებანი“ და ამ თითქოს მარადიულ ფონზე გაისმა პოეტის ხმა...

ეს არ იყო ჩვეულებრივი პოეზიის სადამო (თუმცა ავტორი კითხულობდა პოეტურ ტექსტებს), არც მუსიკალური კონცერტი (თუმცა ვირტუოზი პიანისტი ჩვენთვის აჟღერებდა გენიალურ მუსიკას)... როგორღაც უცნაური, სხვაგვარი შთაგონება ეუფლებოდა აუდიტორიას.

არავინ დავობს, რომ ჩვენი სამშობლო მაღალი პოეზიის ქვეყანაა, სადაც მეფეც კი პოეტი ყოფილა, პოეტებს კი აღმერთებდნენ... მაგრამ თურმე ღვთისმსახურსაც შეუძლია იშვიათი პოეტურობით, ასე რომანტიკულად, აუნერელი სილამაზით გამოთქვას გულისნადები:



საქართველოში პოეტებიც შენი ხვედრია და სანთლის შუქით განწმენდილნი მელნის პნკარნი მუხლმოდრეკით გვედრებიან... მზეო მარია!

ამოგიკრიფავ კესანეს სურნელს და შენდამი სიყვარულის ვარდთა გრილ კონებს, რასაც რადიკალური გამოუთქმელად აფარებდნენ პოეტები დარდთა სტრიქონებს!

(...აღბათ ასევე მუსიკოსები და მხატვრები ნოტთა და ფერთა სტრიქონებს).

ეს სიტყვათა ასხმული სამკაულად კი არა, პირველ რიგში სიმართლედ და მგრძობარე სულის აღმოთქმად უნდა ჩაითვალოს და რაკი პოეტი ამბობს, რომ „ბგერები“... ყურით კი არა, მხოლოდ იშვიათი სულით ისმინება, სწორედ იმ დღეს იმ დარბაზში მოხდა იმ იშვიათი სულის გამოხმობა, ჩვეულებრიობიდან რომ გადაგახვევინებს ამალღებულისაკენ.

ვალერიან შიუკაშვილი თავისი თვითმყოფადობით თვალსაჩინო ფიგურაა ჩვენს მუსიკალურ სარბიელზე. მან შესანიშნავი სკოლა გაიარა ჩვენი დროის დიდ მანქანოსთან ნოდარ გაბუნიასთან. მე გახლდით გამოსაშვებ სახელმწიფო გამოცდაზე, როცა ვ. შიუკაშვილმა თავი დაგვამახსოვრა ბახის ურთულესი გენიალური სუიტით, რომელიც ისეთი შთაგონებით, ოსტატობით და ამალღებული სტილით შეასრულა, რომ დღემდე ჩვენს სინამდვილეში დარჩა ეტალონად...

ამის შემდეგ პიანისტს ბევრჯერ მიუღია საერთაშორისო აღიარება პრესტიჟულ კონკურსებზე: მარია იუდინას სახელობისა — სანკტ-პეტერბურგში, გრან-პრი ბადენ-ბადენში, პორტუგალიაში, მინსკში, ისრაელში...

ვაკომ გამოიჩინა შესაშური ორგანიზატორული უნარი და თავისი მასწავლებლის ნოდარ გაბუნიას სახელის უკვდავსაყოფად დააარსა პიანისტთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც წელს უკვე უნდა გახდეს საერთაშორისო.

იმ საღამოს კი ვაკომ უზადო სტილით შეასრულა სკარლატის უნატიფესი სონატა მოლლ, ბეთჰოვენის ვნებათაღელვით და ფილოსოფიური კითხვებით სავსე პათეტური სონატა, შოპენის თითქმის ირეალური, სევდიანი ვალსი და მისივე საზეიმო პოლონეზი, რევაზ ლალიძის „რონდო-ტოკატა, რომელსაც ვაკოს ვირტუოზული შესრულება თავისებური ინტონირებით და აქცენტებით ყოველთვის ახლებურ იერს, ბრწყინვალეობას და მასშტაბს სძენს.

სულ სხვა ხარისხში წარმოგვიდგა პიანისტი „მეგრული ნანას“, ვია ყანჩელის ცნობილი სიმღერის „სევდიანი მოლოდინის“ და ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ თემების საფორტეპიანო ტრანსკრიფციებით. აქ მან თავისი ნიჭის ახალი ნახნავი წარმოაჩინა — არაჩვეულებრივად ეფექტური არანჟირებანი.

ვალერიან შიუკაშვილი შესანიშნავად ფლობს საფორტეპიანო პალიტრას, მუსიკალურ დროსა და სივრცეს; დიდი ვირტუოზული გაქანებით, ტემპერამენტით და არტისტიზმით ქმნის სულ ახალ მასშტაბებს.

ვაკომ შეიძლება გადაუხვიოს აკადემიურ, სტანდარტულ ჩარჩოებს, მაგრამ მისი შესრულება ყოველთვის მთლიანად გიპყრობთ საორკესტრო ფერებით, დრამატურების მთლიანობით, ორიგინალური ნაკითხვით.

მუსიკა არამარტო განწყობის ფონს უქმნიდა და სრულად ესადაგებოდა იმ თემებს, იმ მოტივებს რომელსაც თავის პოეზიაში დიდი შთაგონებით აჟღერებდა პოეტი-ღვთისმსახური; ეს გახლდათ ორი შემოქმედის დიალოგი ორიგინალური ნიუანსებით, სულთა არაორდინარული შეხშიანებებით, ერთურთის შემოქმედებით სამყაროში ნვდომის მოულოდნელი გამოვლინებებით...

მამა ადამი არქიმანდრიტი „ღვთისმშობლის ხატის წინ ნალევნით სანთლით განწმენდილი, უფლის სიყვარულის, სასოების რწმენით განფენილი“, ღვთისა და ერის მსახურებაში დამაშვრალი, სიყვარულით და ნდობით გამორჩეული პიროვნება, გამორჩეული აზროვნებითა და მრავალმხრივ ინტერესთა სიფართოვით... ეს მისი წიგნებიდანაც ჩანს.

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება და უთუოდ ოჯახური ზნეობრივი გარემოს გავლენით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. მამა ადამის ლექსებში განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებანი და მოვლენები — დანახული ესოდენ ჰუმანური მსოფლხედველობრივი პოზიციიდან.

იმ საღამოს შემდეგ მამა ადამის ლექსების წიგნიც ჩავიგდე ხელში და ამას არ ჰქვია წავიკითხე... ჩავიძირე! სცენიდან მიღებული შთაბეჭდილებამ მთლიანად გადამანაცვლა მის გულწრფელ, ემოციურად ძლიერ გამომსახველ, „ნადული ტკივილებით“, განზოგადებული ფიქრით გამსჭვალულ სამყაროში...

საკვირველია, რამხელა ზღუდეები უნდა შეექმნა თავის-თავისთვის ზეკაცს, რომ გონისა და გულის ასე უკიდევანო ვნებათაღელვა მოექცია ღვთისმსახური ბერის ცხოვრების წესში. აღბათ ამიტომ გადაიზარდა მისი ინტელექტი და ეგზომ ძლიერი ენერგეტიკა ასეთ მრავალმხრივ მოღვაწეობაში.

მოგახსენებთ, რომ პროფესიით ექიმი გახლავთ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პრევენციული მედიცინისა და ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი.

მამა ადამის მეცნიერული კვლევის სფეროებია: საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორია, ფილოსოფია და ისტორია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება, ბიოეთიკა, სოციალური ეთიკა, ანთროპოლოგია, სოციალური და პრევენციული მედიცინა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, მედიცინის სამართალი, სამედიცინო და სოციალური ფსიქოლოგია, სამედიცინო განათლების პედაგოგია.

და მაინც, ასეთი საპატიო ტიტულებით გაჯერებული შთამბეჭდავი სურათი შეიძლება უცებ დაგავინყდეთ, როცა გადაშლით მის პოეტურ კრებულს „მარადისობის მონაბრუნვა შეზინდებისას“. დარწმუნდებით, რომ თქვენ წინაშე იხსნება პოეტის სული, უკიდურესად ფაქიზი, ამავე დროს უმძაფრესი გრძობებით, მარადიული კითხვებით, სანუთროზე ფიქრიანი განსჯით, მხურვალე პატრიოტული სულისკვეთებით... და არსად არაფერი ყალბი — მხოლოდ სიმართლე, რომლისაც გჯერა!

როგორც უნდა წერდეს მამა ადამი ლექსს, იქნება ეს რითმინი, ძალზე ოსტატური ვერსიფიკაციით განწყობილი, თუ ვერლიბრი თავისუფალი ლექსი, იგი ყოველთვის რჩება ჭეშმარიტ პოეტად, რადგან თვითონვე, თავისი გზებით ჩანვდა

„შმაგ პოეტა გონის ოდენ გოლიათის ღონის“, „ძნელად სა-
თარგმანებ გრძნობათ“, „სულის შემძვრელ რღვევებს, გულში
გალვივებულ ვნებებს“ და ეს ყველაფერი იქცა თავისი ლექსი-
სა და ცხოვრების მთავარ კრედიტად: რწმენა, სამშობლო, სიკე-
თე. მას შეეფერება კიდეც თამამად თქვას:

**მე ვეფერები წიგნებს უძველესს, ჩემს ასომთავრულს,
დასდებულთ ვისმენ, ხმამაღლა ვლოცავ ჩემს
ენას ზღაპრულს,
შენს პოეზიას და ნანინანატრ იადგარს აზრსრულს,
მე იოანე ოდენ ვლოცულობ, დიდება არ მსურს!**

იქნებ მართლაც არ სურს დიდება, მაგრამ გაეცნობით მის პო-
ეზიას და მთელი არსებით შეიგრძნობ შენ კუთვნილ დიდებას ვა-
ზის ქვეყნის სიძველეს, რომელიც ატარებს მის ფესვში ჩაბუდე-
ბულ ენის სურნელს, ქართულ ფერსავე სიტყვებს, ტევადს, ახ-
ლებურად მჟღერს, მის ახალ ელფერებს, სიტყვებს — დღეს და-
ვინყებულს, ასე თვითმყოფად რომ ქმნის პოეტის მეტყველებას.

ნახეთ, რა მოკლედია ნათქვამი, მაგრამ რამდენ საუკუნეს და
იმედს ითვლის თუნდაც ეს ერთი ფრაზა: „სისხლის გამაგიჟებს,
რა უღმრთოდ აშრეს და რა ძალი ღვარეს და რა სვეთი არ ჩაქრა!“

ნამიერად გულს შეგიძრავთ მრავალნატიანჯი, გმირული
სულით შენარჩუნებული ქვეყანა, ყველა ჭეშმარიტ ქართველს
რომ ავალდებულეს, გრძნობდეს მისას, იღვწოდეს:

**შემოვიმტკიცებ მამულებს ჟინით დიდგორ-შამქორის...
მე — უფლისწული, რომელი ვარ დავითის გორის!**

მართლაც რა აღმატებული, მეფური ღირსების მონოდებაა!
მაგრამ მამა ადამის პოეზია დღეს გაჯერებულია სწორედ
სამშობლოსთან დაკავშირებული გულისტკივილით:

**ცრემლით ნამბულის
სვისა ჩემის აფრები ქროლვენ!
ოდენ ქართულის
სულის ჩემის ფლასები გლოვენ...**

ან რა მწარე, გულიდან ამოგლეჯილი სიტყვები აღმოხდე-
ბა პოეტს:

**დროში გადამკარგა
დაჭრილ მემორების ყიჟინამ ჩახშობილმა,
თვალთ დამიბრმავა
სოფლის უდაბნომ და ვაზმა დამხობილმა.**

მისი მოუშუშებელი ჭრილობაა სამშობლოს გახლეჩა („მარ-
ტობელი — ჩემი აფხაზეთი“), ადამიანური დაუნდობლობა, ვერ
ეგუება გაუცხოვებულ სამყაროს, „სუსხს, ძალადობას, უხამსო-
ბას, გვემას და ტკივილს, აბუჩად აგდებისა და ადამიანად ყოფ-
ნის არარაობის უჩუმარ კივილს“, დროს — იანუსს, როცა

**სიძვით გამაძლარი ცოდვილი ქალი პატრონობდა
შანდალს...
სპეტაკი სამოსით მოსილნი... არავინ არ ჰგავდა მართალს.**

რა ღია, დაუნდობელი გაცხადებაა ადამიანის „სულიერი
დალტონიზმისა!“ („იასამნისფერ პლანეტაზე“).
ან:

**წარყმედას ჩვენსას შენ დაუდე, ღმერთო, საზღვარი!
(„შენ, სასოების ნიბლია ჩიტო“).**

გმობს ადამიანის ბუნების მანკიერ სათავეს სიხარბეს,
მუდმივ უკმარისობას და თითქოს ყოველივე ამის საპირისპი-
როდ წარმოთქვამს აფორისტულ ფრაზას:

**ბედნიერებას შეიგრძნობს მკვდარიც,
თუ მას საფლავს სამშობლოში უჭრიან ძმანი!
(„სოფლის დასტური“).**

მაგრამ სიცოცხლე სავსეა სიკეთითაც:

**ერთი რამ გვახსოვდა:
ცხოვრება სავსეა სიკეთით,
ხოლო იმ ადამიანებით უფრო მეტად,
ვინც კნინ სიკეთესაც თმენით ელოდება!**

მათთვის მამა ადამი ნუგეშად წარმოთქვამს: „საბნად
ლოცვას მივათბუნებ“... და რა მშვენიერია, რომ ეს მარტო
სიტყვებად არ რჩება: მისი ლოცვა ხომ მართლა აღევიწინება
ფრესკათა და სანთელთა შორის საყრდულ სულის ჩურჩულსა
და სასოებაში... მას ხომ თავიდანვე შთაუწერგეს: „კაცთა თა-
ნადგომის ღირსება — ეს არისო დამბადებლისა ჩვენის დიდე-
ბა“.

სიკეთის საოცარი გაკვეთილებია „ოთარანთ ქვრივივით
დედაკაცი“, „სიკვირიდან“...

აქვე მინდა აღვნიშნო დედაშვილობის თემა, მისი ღვთაებ-
რივად გაუთიშავი ერთიანობა. დარწმუნებული ვარ ეს ფურც-
ლები, რომლებზედაც საოცარი გრძნობით, სიფაქიზით და
განზოგადებულობითაა გადმოცემული „ვარინკა ხიმშიაშვი-
ლის ობლების ამბავი“, გულგრილს ვერ დატოვებს მკითხ-
ველს.

თუ შეიძლება ერთ ლექსში ერთბაშად ამოიკითხო ადამია-
ნის მრწამსი და „სულის რხევანი“, ეს გახლავთ „ლოცვიდან
ლოცვამდე“ საკვირველად სრულყოფილი პოეტის შინაგანი
პორტრეტი.

გაგაოცებთ რამდენნაირი ნიუანსებით და ფიქრთა ძაფე-
ბით ელოლიავება და ფრთხილად უახლოვდება პოეტი ამქვეყ-
ნიურიდან განშორების საკრალურ სილამაზეს და მისი დაისის
გარდაუვალობას.

„გულს დაავინყდა ფეთქვა, სულს გაახსენდა ფრენა“ —
მხოლოდ ღვთივკურთხეულ პოეტს შეუძლია.

*ო ჩამთვლიმა, დამებნა საფირის თვლები,
მიქრიან, მტოვებენ ამ სოფლის წლები („ზამთრისპირი“).*

აქ ტრაგედია კი არა, სევდაა ნათელი და მხოლოდ რწმენა
შვების მომტანი:

ორიოდ სიტყვით, ასეთი სილამაზით გამოთქმა, სიკვდილ-
საც რომ გაუადვილებს ადამიანს...

**გავხედე, ჟამი ჩემი ბინდ-მწუხრით დაისობდა;
აღვხედე: სასოება ცის ზემოთ აისობდა .**

რომ იცოდეთ, რამხელა ცდუნებაა ამ ლექსის („წუთისო-
ფელი“) სილამაზის ციტირება!!! სჯობს თვითონ ნაიკითხოთ,
ჩანვდეთ და დატკბეთ.

წუთისოფლის ალეგორიული ვერსიაა ხატოვანი თავისუ-
ფალი ლექსი „ბებერი თივის ზვინების გახსენება“, რომელშიც
სინორჩე და სიბერე მხატვრულ-ფილოსოფიურ სახეებში წარ-
მოგვიდგება:

**მწვანე ბალახზე წამოწოლილი თივის ზვინები,
სწანდნენ ბებრებად ბალთა შორის და დარცხვინები
გასცქეროდნენ მოლისფერ ანმყოს.**

ეს დამალონებელი სურათი მახსენებს ტიუტჩევს:

**Ущерб, изнеможенье — и на всем
Та кроткая улыбка увяданья,
Что в существе разумном мы зовем
Божественной стыдливостью страданья.**

და ვინ იცის, კიდევ რამდენი საერთო აქვს პოეტების ხედვას... პოეტმა კარგად იცის, თუ რა უძნელესია სიცოცხლე ხელოვანისა, ვინც მთელი ცხოვრება უნდა აქანდაკოს კაცის „წყალ თუ კლდესავით მიუვალი სული“, ვისაც „არსებობაში მოჰყავს ის, რაც მანამდე არ არსებობდა კაცთა თვალათვის“. იგი საესეა გადმოსაღვრელით და არანაირ გონის ანკესს არ შეუძლია თვითნებურად იქ ჩაღწევა; მაშინ იგი იარაღი ხდება უფრო დიდი ოსტატის შემოქმედის ღმერთის ხელში. განა ამ ცეცხლით არ ინვოდნენ მიქელანჯელო, ბეთჰოვენი, დანტი, ელ გრეკო, ბარათაშვილი თუ გალაკტიონი, ან ასე არ მოხდა მის შემთხვევაშიც?

**სცენაზე გამოჩნდა
ჭაბუკი პოეტი.
უცნაურ ბგერებით,
მზით მთვრალი ქვევრებით,
რითმების არნახულ ფერებით
და ახალნერგებით
გვახარა ზეენით,
რომ ძლიერ უყვარდა სწორედ იისფერი,
არა იასამნის, არამედ იის ფერი,
და ოდენ იისფერი თოვლის
ფანტელები...
და უცებ ზეცამ და აპრილმა
იისფრად დათოვეს...
და მთელი სამეფო დაიპყრეს
თვალთა ფანტელთა...
იასამნისფერ პლანეტაზე, სადაც
მწვანე ბუნება გადასახლდა ნითელ წიგნში
უმისამართოდ...
...ხოლო იისფერი თოვლის პოეზია ნონსენსია...
დარჩნენ ოდენ იასამნისფერსითხიანი
უფერული ჰომუნკულუსები.**

ზოგადად ეს არის ბედი ღვთით გამორჩეული ხელოვანისა ყველა დროის ჰომუნკულუსებს შორის. და მაინც იისფრად დათოვლილ კოსმოსში დარჩება პოეტის უკვდავი ლოგოსი. როგორ ზუსტად ჩამოსხმული პოეტური ფრაზაა! გალაკტიონის გენიალობის დამადასტურებელი ბეჭედი და განა უკეთ შეიძლება გამოითქვას? პოეტი ჟანრული სცენების და ბუნების ფეროიულ პეიზაჟთა აღწერის ხელოვანიცაა. განსაკუთრებულ სინაზეს აღვივებს ზღაპრულ-აჟურული ლექსი „ტყის სიზმარს ხედავს იება ბიჭი“, რომლის სიფაქიზემ ბავშვობისდროინდელი უოლტ დისნეის სამყარო დამიბრუნა. აქ გრძნობ ტყის რომანტიკას, ლანდშაფტს, თავბრუდამხვევ არომატებსაც კი:

**თვალს იფშენიტავს ნაძილისზმრალი
იება ბიჭი,
ყელმოქარგული ყრუნ ფრთას შეახებს
თვისნება ჩიტი...**

არ ვიცი, ყრუნი ფერია თუ თრთოლვა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცოცხლად მფეთქავი შეგრძნების შემქმნელია. საპირისპირო სურათს ხატავს „ქარის თეატრი“, სუნთქვა-აულებელი დინამიკით რომ მიქრის და მიაქვს ყველაფერი ამ ქარის მშფოთვარე ალგელოს:

**ზემთ გაეკიდა ღრუბელს,
დემონს წამოუგდებს ვრუბელს,
ცხენი გაუქცია საბელს,
ბედი აურია სამგლეს.
კვამლი მომადფუტა ბუხრის,
ლოცვა ამირია მწუხრის,**

**ნებით მივეახლე მახეს,
ბაგე შევაგებე თავხედს,
ყელზე ჩამომგლიჯა ვერცხლი,
გიჟი ფრენით გავყე მერცხლის.**

უსწრაფესად მიიწვევენ წინ და შენც მიყვები ლექსის რიტმებს, როგორც სხვაგან თავად ამბობს: „ქვევრში დაღვინების დულილის გამის რიტმებს“...

მაგრამ ნახეთ, ამის თანადროულად სიმშვიდის როგორი მოღულაციის შექმნა ძალუძს პოეტს:

**ფიჭვთა და ნაძვთა სიმწვანეა გაუსაძლისი
და სურნელი მარადისობის თუ დროებათა
შენელებულა მდინარება?
ნუ დამპირდები!..
მონასტრულ დღეთა სიჩუმეთა, მყუდროებათა
და კრთომათა ნიაღში სუნთქვა მსურს გარინდებით.
შენ, სასოების ნიბლია ჩიტო, ნუ გაფრინდები!**

გადამდებია ეს სურვილი, ჩვენც გვაოცნებებს, გვაფიქრებს, განვერიდოთ უაზროს, ცრუს, ამაოს, შევალნიოთ ამქვეყნიური ედემის ნიაღში და განვიწმინდოთ.

სურათს გვიხატავს პოემა სახარებისეულ თემაზე „ზაქეს ფიქრები მიმწუხრისას იმ დღეს, უფალი რომ ეწვია სტუმრად“.

ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი მაგისტრალური თემა მამა ადამის შემეცნებაში კათარზისია: „ხსნისაკენ გზაი ხომ სოფელზე უგრძესია“ და ის უთუოდ სინანულზე გადის... ყველა დაეთანხმება ამ სენტენციას, თუ გულში ჩაიხედავს, როცა წაიკითხავს „საფლავებზე ამოკანრულ წარწერებს სინანულისას“.

ასეთია, უფრო სწორად, ამოუწურავია ძირითადი თემები...

ნიგნს კი ვხურავთ ღრმა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო პოეტური „მედიტაციით“ — ადამიანთა უმანკოების, უაგკაცობის, უმნიკვლოების, ედემისეული ნეტარების უსასრულობისა და მარადისობის მონატრების ოცნებით (ლოცვით!?)...

მამა ადამის პოეზიას ენობრივად უხდება სწორედ ის სტილი, რომლითაც შორეულად, რემინისცენციებით ენათესავება ბარათაშვილს, გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, ანას... და ამავე დროს ერწყმის ხალხურ კილოს, ასე გულწრფელს, ორგანულს რომ ქმნის მის ამონათქვამს.

მეცნიერისათვის, ხელოვანისათვის ნიჭთან, ინტელექტსა და გულმხურვალეობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ყველაზე სუბიექტური რამ — წარმოსახვა. ყველაფერი, რაც შექმნილია ამქვეყნად, ჯერ ადამიანის წარმოსახვაში ჩასახულია. მამა ადამის პოეზია ამ მხრივაც გვაოცებს მისი სიმდიდრის და გადამდები ზემოქმედების თვალსაზრისით.

სიცოცხლის ყველაზე ძლიერი ღერძი რწმენაა, რადგან ახლა „ისეთ რამეებს სწვდები მზერით და ისეთი თვალუნვდენელი სივრცეები გეხსნება ზეცით, რომ ყველაფერი მატერია და წარმავალი კარგავს შენთვის მნიშვნელობას, აზრსაც და ფასსაც“ ... („ნუგეშად გოლგოთამდე“).

მამა ადამი თავისი მოღვაწეობითაც და პოეზიითაც გრუქნით სივრცეს, რომელიც გაძლევს ნეტარების არნახულ განცდას. ამდენად, სიმბოლურად ჟღერს ეს სტრიქონებიც:

**ბოლოშუქმარ წვიმის მერე იგარიყრაჟებს,
ბოლოშუქმარ ცრემლთა წვიმა მიაქვს მირაჟებს...**

მირაჟებს...

მაგრამ მირაჟი ხომ რეალობა არაა. კაცობრიობა იყო და მუდამ დარჩება ტრაგედიების, ადამიანური განცდების არენად და ამ უსასრულობაში ნამდვილი ხელოვანები ყოველთვის გვაჩუქებენ „დარდთა სტრიქონებს“, რომლებიც მართლაც იტყვენ „ნოტების ოკეანეს და სიტყვების ცას“...

როსტომ ჩხეიძე

ისევ ოთხშაბათობით

ერთ დაუთარილებელ წერილში ოტია პაჭკორია არჩილ სულაკაურს ამცნობდა: ოთარ ჩხეიძის საქმე ასეაო.

იმჟამად არჩილი ჟურნალ „მნათობს“ რედაქტორობდა, ოტია კი მისი მოადგილე გახლდა და, როგორც ჩანს, რედაქტორი შვებულებაში უნდა იმყოფებოდეს და მოადგილე კი ახალი ნომრის დაბეჭდვის ვითარებას ამცნობდეს, თუ როგორ იზრუნა, რომ მეგობრისათვის მოსალოდნელი უსიამოვნებანი აერიდებინა.

ოთარ ჩხეიძის საქმე მაინც როგორ იყო?
როგორ და:

— ეს ნაწილი უფრო მომწონს, ოღონდ რაღაც-რაღაცეებს ვიღებ, ნახავ რასაც. რაღაცეებს ჟინვალ-ჰესზე, კიდევ აღწერილი აქვს საიუბილეო პურობა, იქ კი ირაკლის და ელგუჯას ხატავს. ყველაფერი რაც პორტრეტულად ჰგავდა, მოვსებ უკვალოდ; კიდევ კახეთში გაზრდილი იმერელიო, ბოხინაო და ა.შ. საერთოდ ამოღება არ ხერხდება — ძალიან კარგად არის დანერილი და ძალიან ვრცელია. ვფიქრობ, ახლა პორტრეტული მსგავსება გაქრა, იმდენად მაინც, რომ საკუთარი თავის ამოცნობა არავის ხელს არ მისცემს, უკვე ზოგადია და თითქმის უმისამართო.

„მთაგრეხილი“ უნდა იგულისხმებოდეს, ციკლის „მატიანე ქართლისა“ კიდევ ერთი რომანი, რომელიც 1983 წელს დაინერგება და მწვავედ გამოეხმაურებოდა კავკასიონის ქედის გახვრეტისა და ახალ ჰესთა მშენებლობის პრობლემას, რის ირგვლივაც ორიოდ წელიწადში დიდი ხმაური ატყდებოდა პერიოდიკაში — უპირველესად სამწერლო გაზეთის ფურცლებზე — და ცხარე შეხლა-შემოხლა მძაფრ პოლიტიკურ შინაარსს შეიძენდა. და ვიდრე პუბლიცისტიკა ამხელდა სასიკეთო ნიღბის ქვეშ შენიღბულ რუსულ-იმპერიალისტურ ზრახვებს და მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფას, რომანი დაასწრებდა და გააშიშვლებდა კრემლის ფარულ მიზნებსაც და იმ უმძიმეს შედეგსაც, რაც საქართველოს დაატყდებოდა თავს კავკასიონში კიდევ ერთი გვირაბის გაყვანით. ჯერ როკის გვირაბს რა დღე დაეყარა ჩვენთვის და ეს ახალი გვირაბი სულ მოგვითავებდა ხელს.

„მთაგრეხილი“ გაგრძელებებით გამოქვეყნდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე, 1984 წლის მე-8-10 ნომრებში, რაც რედაქციის უდავო გაბედულებად ითქმოდა, თუმცა აგერ ჟინვალ-ჰესთან დაკავშირებით რაღაცებს მაინც უნდა შეელოდა რომანი (რომანი და არა ავტორი, რაკილა თავს ნებას მისცემდნენ, უიმისოდ ჩარეულიყვნენ ტექსტში), ბოლოსდაბოლოს იმის იმედად, რომ საჟურნალო პუბლიცისტიკის შემდეგ წიგნად გამოცემისას ცენზურა ისეთი გაფაცვიცებით აღარ მიადევნებდა თვალს და შესაძლოა გადაშლილი ადგილების აღდგენა მოხერხებულიყო.

და, აი, ასეთ დროს რედაქტორის მოადგილე და ცნობილი კრიტიკოსი გადამეტებულად ფრთხილობს, რათა პირწმინდად ამოიშალოს მინიშნებანი... ირაკლი აბაშიძესა და ელგუჯა მალრაძეზე.

პოლიტიკური პროტესტის გამოხატვას თვალს არიდებ და... იმავდროულად კი ორ მწერალზე მხატვრულად გააზრებულ სახეებს ერიდები?

მხატვრულად გააზრებულს, აბა, რომანი პუბლიცისტური სტატია ხომ არ არის?

არადა, ოტია პაჭკორიას რარიგ ესახელება: ყველაფერი, რაც პორტრეტულად ჰგავდა, მოვსებ უკვალოდო, უკვე ზოგადი და უმისამართო გაეხადეო. რა ჰქნას, მწარედ შეახსენებს ხოლმე თავს ნაკატორალაი წარსული და ერიდება ყოველგვარ უსიამოვნებას. ამჯერად მაინც გარდაუვალს.

საკუთარი თავის ამოცნობა არავის ხელს არ მისცემსო...
კარლო კალაძე გარდაცვლილიყო და ამიტომაც არ შეაწუხებდა მისი პორტრეტული მსგავსება იმ პურობის მონაწილე პერსონაჟთან, არც დევი სტურუას გამო გამოიდებდა თავს, ისიც არანაკლებ სატირულად რომ ჩახატულიყო, მაგრამ, აი, ირაკლი აბაშიძე და მასთან ერთად ელგუჯა მალრაძე... ოოო, ამდენს ოტია პაჭკორია ვეღარ გაბედავდა, მითუმეტეს, რომ რედაქტორიც არ უსაყვედურებდა, რატომ ჩაერიეო... რა საყვედური, პირიქით, ეგებ კიდევ დაემადლებინა სიფხიზლე, რაკილა ჟურნალის მკითხველთაგან არაერთი მოიძებნებოდა ისეთი, ვინც ამ პასაჟებს ჩახაზავდა და მიურბენინებდა ერთსაც და მეორესაც. მარტო შეტყობინება არა კმაროდა, იმხელა ეფექტს ვერ მოახდენდა და ისერიგად ვერ გააგულისებდა ადრესატებს, როგორც სტრიქონთა ქვემოთ მსუყვედ გავლებული ხაზები. გაგულისებას კი შურისძიება მოჰყვებოდა — და, ცხადია, არამარტო ავტორის მიმართ, არამედ რედაქციისაც.

და უფრთხობდა გარდუვალ შურისძიებას ოტია პაჭკორია და ჟურნალის მე-10 ნომერს დასაბეჭდად გაგზავნიდა თუ არა სტამბაში 10 აგვისტოს, ბარათსაც სასწრაფოდ აფრენდა არჩილ სულაკაურთან — ასეა და ასეო, შენ უნებურად გამოგეპარა და მე გიხსენიო. და ეს ბარათი სწორედ ამ დეტალების მიხედვით შეიძლება დათარიღდეს.

საიუბილეო პურობა ირაკლი აბაშიძისა გახლდათ, ვისაც „იქაც რო კარგად გაედგა ფეხი, აქაც გაეჯეჯილებინა. მოესწრო. მოესწრო. გაეჯეჯილებინა“.

იქაც კარგადო...

აქაც გაეჯეჯილებინაო...

იქაც — ვასილ მუჟანანაძის ხანაა.

აქაც — ედუარდ შევარდნაძისა.

გაეჯეჯილება როგორ მოეხერხებინა?

— დაჩაგრულად მოჰქონდა თავი, იმ წინებზედა რაღა თქმა უნდა. თავი მოჰქონდა, ასე მოჰქონდა. რა წამებული, რომელი წამებული, ასე ვერავინ გამოიდებდა თავსა. ვერა, ვერა, სამი იუბილე რო უკვე გადაეხადა, ყველა ხარისხი რო მიენიჭებინა, რო აღვსილიყო ნიჭითა, — მართლა ნიჭი რო არ გეგონოთ, ზედნოდებანიც ჰო ნიჭად ითქმის: მიენიჭაო, — დიას, ნიჭითა ყოველივეთი. აღვსილიყო თუ რო აღვესოთ, გამოიყურებოდა მაინც დაჩაგრულად, რო ძლივს ეღირსა, ვითომ, ვითომ, რო ამოესუნთქა, რო აეხილა თვალი. გამოიყურებოდა ისე, ირწმუნებოდა ისე. ამოისუნთქებდა ისე, ამოისუნთქებდა ისე, თქმაც აღარ უნდოდა, ამოვისუნთქეო.

გარს შემოხვეოდნენ ქვეშევრდომნი თუ მონაფენი („იმ წინებზეცა და ამ მოსწრებაზეცა“), შემოხვეოდნენ და:

— სწავლობდნენ სუნთქვასა, იმგვარსა, იმდარსა, სიტყვაც რო აღარ დასჭირებოდა, ისე გაგვგოთ თუ როგორ იბრძოდნენ და თუ როგორ იჩაგრებოდნენ, და მაინც თუ როგორ არ ეუუებოდნენ არავისა და არაფერსა, არა, არავითარ შემთხვევაში, თემცა განიცდიდნენ დევნასა ისეთსა, რო არ მოჰკლებიათ რბილი სავარძლები, აღმატებითა და აღმატებითა, არც რო წოდებანი არ მოჰკლებოდათ, არც რო ჯილდოები არ მოჰკლებოდათ, ღიპებიც ასხდათ კაი გვარიანი, ლოყებიც ისე ჩაბუჭებულად, უკრიალებდათ თუ უსხიოდათ ღანვის თავები ისე, ისე, იმგვარადა, რო ვერ მოიშორებდნენ იერსა თვითკმაყოფილებისა, როგორც არ უნდა შეეკრათ კოპები, ვერა, ვერა, ვერ მოიცილებდნენ, ვერ დაჰფარავდა ღრუბლები შუბლსა, ვერ დაჰფარავდა.

* დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9, 10

გარეგნულად თავს ჩაჰკიდებდნენ? სიამის ალმური მინც ასდიოდათ, ღანვთა სხივილი აშუქებდა ამ ალმურს.

და თავის ჩაკიდება იმისთვისაც სჭირდებოდათ, რომ გამოეთვალათ, თვითონ როდის მოუწევდათ იუბილეები და იგივე ხალხი როდის მოიყრიდა თავს იმავე დარბაზებში:

— იმავე გრიალითა, იმავე როხროხითა, მხოლოდ თვითონ რო იჯდებოდა თავში, იქ არა, არა, ახლა სადაც იჯდა, იქა — თავშია, სადაც რო ის დაბრძანებულიყო, ისა, იგი, ხელოვანი სწორუპოვარი, რომლის თუნდაც რო ერთი ამოსუნთქვა, ამოოხვრაც არა, ამოსუნთქვა თვისებური, ერთი, ერთი ამოსუნთქვა, ყველაზედ ტრაგიკულ მონოლოგს რო უდრიდა, უდრიდა მინცა, თუ არა სჭარბობდა, თუმცა რო კმარა უდრიდაცა. კმარა.

ამასობაში თამადას უნდა ჩაეგუგუნებინა მიკროფონისათვის („ჩაჰგუგუნა და ჩაეხეოდა ალაგალაგა გუგუნა ხმაი, ანთუ უფრო ბუხუნა ხმაი, ჩაეხეოდა და ჩაეფხრინებოდა“):

— მე ვადლეგრძელე სახელოვან იუბილარსაო, კაცსა, ხელოვანსა, ხელოვანთა ხელოვანსა, მებრძოლთა მებრძოლსა, მხოლოდ ზრუნვაში რო დასთენებია, ზრუნვასა და ბრძოლაში რო დასთენებია, და რო ასევე დაჰლამებია ყოველი დღეო.

„დედა, დედა, დედა, დედა...“ — უნდა შეაჟრიალოს ხმელხმელა პოეტს, ვისი ვინაობაც არ არის ძნელი ამოსაცნობი, რაკილა ჭლექს ჩამოეხმო და ისედაც პოეტის გასუქება ცოდვასთან გათანაბრებულიყო მის თვალში (ლექსში „შეგონებანი“, ჩამოთვლისას, თუ რა არ არის ღამაზი, საგანგებოდ ასხენებდა პოეტის გასუქებასაც, თან, მეტი სიმძაფრისათვის, ამა-საც დასძენდა: ღმერთო, დაგვიფარეო), ხოლო ირაკლი აბაშიძე რომ სძულდა და ყველაზე მეტად ისა სძულდა, არავისთვის არა ყოფილა დაფარული.

უახლოვდება კაცი იგი როდესაც ოთხმოცსო...

ხოლო თამადა:

— ზღაპრული ნიჭი და საარაკო ძალღონე მხოლოდ ხალხის სამსახურისათვის რო გადაუდვია და თავის თავი არასოდეს გაჰხსენებიაო.

„დედა, დედა, დედა, დედა...“ — უნდა მიადევნოს ხმელხმელა პოეტმა, მაგრამ იხმობოდეს მისი ხმა, მიკროფონი რომ გადავიდოდა ზედა, ის ბუხუნი თუ ჩახეული თუ ჩაფხრენილი:

— გადაულახავს დაბრკოლება უამრავიო, წინააღმდეგობა აურაცხელიო, გამოუვლია ტანჯვა-ნამება ერთი უთქმელიო, მაგრამ წარბიც არ შეუხრია, არ დაუთმია ერთი წუთითაცა უმაღლესი ადგილებიო.

„დედა, დედა, დედა, დედა...“ — უნდა აჰყოლოდა უფრო ანუ უფრო და მიკროფონსაც უნდა ეგუგუნა უფრო და უფრო:

— და მე ვამაყობ, რო ჩვენ ერთად ვიყავით იმ დიდ ბრძოლებშია, დევნა ჩვენ ერთად გადაგვიტანიაო. ვამაყობო.

„აჰაუ!“ — ხმისათვის უნდა აენია ხმელხმელა პოეტს, თითქოს მიკროფონსაც რომ ჩააჩუმებდა.

ეს „აჰაუ!“ უშუალო გადაძახილია მურმან ლებანიძის იმ უსათაურო ლექსთან, პოეტი ყალბი, ფარისევლური სამყაროსაგან მოგვრილ მწარე, გაუნელებელ ტკივილს გულში რომ იბრუნებდა, მაგრამ ვეღარ უძლებდა გული ნამეტანი გადამეტება-გადამლაშებების ხილვას:

**როდესაც გრიალებს „ბრავო!“
ხეც ლამის სირცხვილით გახმეს;
მურმანი ჰკითხულობს: „რაო,
რაშია, თუ ძმა ხარ, საქმე?“**

**ხოლო როდესაც „ბრავოს“
„ბისიც“ და „ვაშაც“ უერთდებოდა,
მურმანი იკმარებს „აუჰ!“-ს
და ბოლმით თმები უთერთდება.**

„ბრავო“, გრიალებდა იმ დღეს ის დარბაზიც. და „ბრავოს“ „ბისიც“ და „ვაშაც“ შეერთებოდა. და ხეც ლამის სირცხვილით გამხმარიყო. და გრძნობდა პოეტი, როგორ თვალდათვალ ემატებოდა თმაში ჭალარა.

და შესტიროდა და შეჰკვნესოდა ირგვლივ ყველასა და ყველაფერს, გამოსავალს რომ ვერა ხედავდა:

- როდემდის, ცოლო და შვილო?!
- როდემდის, დაო და ძმაო?!
- როდემდის, სამშობლოც ტკბილო და
- შენც, ჩემო ბებერო თავო?!

მართლაც — როდემდის?!

ლექსში სულს მაინც მოითქვამდა.

აქ კი, გადაჩრდილებულსა და „ბრავოთი“, „ბისითა“ და „ვაშათი“ გადავსებულ დარბაზში, ბურთა პოეტს უნდა ეგრავინა ანუ კარლო კალაძეს, ზენამოჭრილიყო ანთუ ამხტარიყო და ყველა აეყოლიებინა, ამხტარიყვენ თუ აჭრილიყვენ და დაეცხოთ ტაში და დაეგუგუნებინათ მრავალჟამიერი, საესტრადო სიმღერები კი ბიჭებსა და გოგონებს შეესრულებინათ ტაშის გრიალში და მეფანდურეც და მესტვირეც (უამკოლორიტოდ სწორუპოვარი ხელოვანის იუბილე?) შემომატებოდნენ მხიარულებას.

ტაშს უნდა ჩამოექცია ჭერი.

იატაკიც ამოებრუნებინა ტაშს.

ბურთა პოეტს კი სიტყვა უნდა მოეთხოვა და განეცხადებინა, ვამაყობ, რომ იუბილარი ჩემი პირველი მეგობარია, სხვა ტყუილად დაიტრახებოდა:

— ერთად ვიბრძოდით იმთავიდან აქამომდეო, ვგმობდით სიავესა, სიკეთესა ვთესდით, მსხვერპლად გადაგვედო ჩვენი თავიო.

„დედა, დედა, დედა, დედა...“ — აქ კვლავ უნდა გახმინებულყო ჟრუანტელიანად და მთელ დარბაზს მოსდებოდა, მაგრამ დაეფარა ბურთა პოეტს ვაშას ღრიალით, ბუქნითა და კიჟინით, და კინტაურის ილეთები ხომ ილეთებად, ლექსზე გაცილებით უკეთ რომ ემარჯვებოდა.

მიკროფონთან კი ამასობაში რიგი გამართულიყო და ზოგი ურიგოდაც მიინევდა სხვების დასასწრებად და იუბილარის საქებრად, და რაც მთავარია, იმის სამტკიცებლად: ჩვენ ერთად ვიბრძოდითო.

იუბილარი?

არავის ედავებოდა.

— ყველას თავს უქნევდა, ჰკოცნიდა ყველასა, ანთუ დაიხრებოდა, მაღალი რო გახლდა, აიყალყებოდნენ ესენიცა, რო არ ითქმოდა, დაბლები არიანო, მაგრამ მაინც რო ვერა სწვდებოდნენ იმასა, ვერა სწვდებოდნენ და დაიხრებოდა, აიყალყებოდნენ ესენიცა და ჰკოცნიდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთსა, ზოგი რო რიგითა, ზოგი ურიგითა, ვისაც რო სული ესწრაფებოდა, თამადა რიგისაკენ მოუწოდებდა.

პურობა უნდა გაგრძელებულიყო ზღაპრული მხნეობითა და სულისკვეთებით.

ქება-დიდებას დასასრული არ გამოსჩენოდა.

მაგრამ აღარ მოისმოდა ხმელხმელა პოეტისეული რეფრენი, ხალისი მიუწყებოდა თუ გაბეზრდებოდა, ეგაა, ფხზხე აღარ დგებოდა, სხვები რომ წამოიჭრებოდნენ, მერე დანაჩანგლისათვის უნდა დაეელო ხელი და ჯერ გულმოდგინედ ეელსა და მერე ერტყა ერთიმეორეზე.

— ეს მოენონა და ურტყამდა და ურტყამდა, როცა ლაპარაკობდნენ, მაშინაც ურტყამდა ერთიმეორესა, ხან ბოთლებს ურტყამდა, რიტმს ეძებდა თუ მელოდიას ეძებდა შესაფერისსა ორატორისა, ეძებდა და ჰპოებდა, აადევნებდა, ააყოლებდა და ერთობოდა, ახლა ამითლა ერთობოდა.

ეძიებდა და ჰპოებდაო...

„ჰპოვებდა“ იმას გულისხმობს, ის სატირული ლექსი რომ ამოიზრდებოდა ამ განწყობილებიდან, რიტმისა და მელოდიის ძიება ბოლოსდაბოლოს იმ სტრიქონებამდე მიიყვანდა, შეუღამაზებელი პორტრეტი რომ ჩაიხატებოდა იმ გველამჟა მოხუცისა, წუთისოფელი ვისაც ეთალა და ეთალა და... ტრაგიკულ მონოლოგებთან გათანაბრებული სუნთქვა რა სათქმელია, პირველპოეტისა თუ ეროვნული მოღვაწის სახელთა დაჩემებას ვინლა ჩიოდა, სულაც წამებულის გვირგვინს ეპოტინებოდა და მგონი... მგონი იზომავდა კიდეც. რატომაც არა, კაცმა რომ თქვას!.. ეჭვის ნაგლეჯი განა ისე რას შეაშფოთებდა, ბედნიერება მთელი არსებით რომ არ განეცადა.

თუმც... ერთი ნკიპურტი და.. ხუხულასავით რომ ენგრეოდა ბედნიერების სასახლე?!

...უკვალოდ მოვსპეო, — ესახელებოდა ოტია პაჭკორიას, თავისი ნაკატორალლი წარსულის გადამკიდეს, და თან გული უსკდებოდა, ემანდ რაიმე ხომ არ გამეპარა, ვისა აქვს ირაკლის თავიო.

უახლოვდებოდა კაცი იგი როდესაც ოთხმოცს...

1986 წლის 2 იანვარს კიდეც ერთხელ უნდა ამოტივტივებულიყო ირაკლი აბაშიძის სახელი ამ ავტობიოგრაფიული რომანის „დროდადრო“ ფურცლებზე, ეს მაშინ, დაყრილ ხმებს რომ ახსენებდა ოთარ ჩხეიძე: ეს ღვინჯილია ვილა არისო, თითქოს ჯუმბერ პატიაშვილს ეთქვას, საიდან მოხვდა „ცისკრის“ რედაქტორად, რასა წერს, რა მოხელეაო; აააა, ის ხომ არ არის, ირაკლიზე რომ დანერა რალაცაო...

— როგორც იტყვიან, ირაკლი აბაშიძის ხელწერა თავიდან ბოლომდისა. ხელმძღვანელობა შეიცვალა, ცვლიან და ცვლიან ხალხსა, გუმინ რო კლიმატი გამოასწორეს, ვითომ რო გამოასწორეს რალა თქმა უნდა, თურმე ეშმაკის მოციქულები ყოფილან, — ცხადია, ცხადია რალა თქმა უნდა, მაგრამ თვითონვე რო აღიარებენ, იმას ვიმეორებ. ეს რო ჩვეულებრივა, ეს უნდა ირაკლი აბაშიძისა, დრო უნდა იხელთოს, შური უნდა იძიოს, — დროა, სწორად რო დროა... ირაკლი აბაშიძეა თავიდან ბოლომდისა, ისეა ნაკერი, ისეა ჩახლართული. ხელიდან არ გაუშვებს ხელსაყრელ დროსა.

არ აპატიებდა ამ მწვავე გამომხაურებას.

არ აპატიებდა „საინტერესო პოეტის“ იარლიყს.

— კაცს ეპოქის მესიტყვე ჰგონია თავი, ჰგონია და ასედაც მოაქვს თავი, არ აპატიებს რალა თქმა უნდა. ამყოლიცა ჰყავს, ქვეყნის ჭორიკანანი: პოეტ-ჭორიკანანი, აკადემიკოს-ჭორიკანანი, ადვილად მიიტანენ ხმასა, სადაც რო ჯერ არს. რამდენ ხანს იტვირინა და სად დატრიალდა!..

აბაშიძურა თავიდან ბოლომდისა, — კიდეც ერთხელ გაიმეორებდა, — თუ გაუჭრა ამჯერადაცაო.

შურისძიებაში დაოსტატებულიყო, დიდად, დიდად დაოსტატებულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ შური და ღვარძლი არ უნდა ყოფილიყო.

— მიზანიცა აქვს: უდიდეს პოეტად უნდა რო გამოაცხადებინოს თავი, უდიდესადა, უპირველესადა, მთელი საუკუნე უნდა რო წამოიკვას, მთანმინდა ჩამოჰყაროს და თვითონ ავიდეს



ლელა კობეშაიძე, ნინო ჩხიკვიშვილი და ლელა ბერია

ერთი, ერთადერთი, — მიზანიცა აქვს... ვნება ამხელა აქვს, ეშმაკობა არანაკლები, მხოლოდ ესაა რო ლექსი აქვს ბლაგვი, ესაა, ესა, მეტი არაფერი, ეს უშლის ხელსა, მეტი არაფერი.

ჯანსუღ ღვინჯილიას მოხსნას თუ მაინც მიაღწევდა რედაქტორობიდან?

ვითომ რას არგებდა ამ შემზარავ სიხარბეს? ვერც ვერას არგებდა, მაგრამ ჯავრი ხომ ამოუყრელი არ დარჩებოდა.

ჯერ მაინც ეს განწყობილება ტრიალებდა:

— ხმა დაუყრიათ და იბერება, იბერება, ბებრება...

შორიდანაც რომ დაენახა ოთარ ჩხეიძე, მაშინვე უნდა გაქანებულიყო მისკენ, გულშიც ჩაეკრა და გულიანადაც მოეკითხა და აღარც შეხუმრება თუ საყვედური დაეხანებინა: რატომ არ მეპატიჟები შენთან, აქაც სიამოვნებით გესტუმრები და ყელქცეულიც ძალიან მომენატრა, ჰოი, როდის დაველიოთ იქ, რამდენი ხანი გასულა, შენითაც კი უნდა მოგეფიქრებინა, თორემ მე რომ გთხოვ, ამ თხოვნას კი ძირს აღარ დაუშვებ, თანაც რამდენი რამ მაქვს შენთან სალაპარაკოო.

ერთხელ... მეორედ... მესამედ... რალაც თვალები მიჭრელდებაო, — დაიჩვილებდა შინ ოთარ ჩხეიძე, — ექიმს უნდა ვეჩვენო აუცილებლად, როგორ არ მიყვარს ექიმებში სიარული, მეგონა, არც არასდროს მომიწევდა, მაგრამ ამჯერად სხვა გზა არ არის, ირაკლი აბაშიძეს რომ ვხვდები, ასე მგონია, ქვემოდან შემომყურებს. ტანად მაინც არის მაღალი, წესით ზემოდან უნდა დამცქეროდეს და... ჩემი თვალების ბრალი უნდა იყოს, ქვემოდან მომზირალი რომ მეჩვენება, სხვებთან თითქოს ასე არ მიჭრელდება მზერა და მასთან რა მემართება, ვერ გამოვივა, ალბათ ექიმი თუ ამიხსნის და კიდეც მიშველისო.

მე და ნატო ღიმილით გადავხედავდით ხოლმე ერთიმეორეს. მამას არ აკლდა იუმორი, არც ირონია, არც სარკაზმი, თუმც ამჯერად გულწრფელად წუხდა, მართლა საკუთარ თვალებს აბრალებდა იმ უცნაურობას, ის ახმახი კაცი რატომღაც ძალიან რომ პატარავდებოდა და ჩიავდებოდა მის წინაშე, მავედრებელივით შემოჰყურებდა და აკი თხოვნადაც იღვრებოდა. ტანად მაინც არის მაღალიო... რაც მართალია, მართალია. მის ფიზიკურ სიმაღლეს გალაკტიონიც აღიარებდა, ოღონდ ეგაა, ირაკლი აბაშიძის შემხედვარეს ყოველთვის ის ხალხური ლექსი წამოაგონდებოდა ხოლმე, ბავშვობაშიც გულიანად რომ აცინებდა და ახლა ხომ მთლად გადააფიჩინებდა: ეს ჩვენი მამასახლისი მაღალია ხესავითა, პრისტავი რომ დაიბარებს, მაშინ ნავა თხლესავითაო.

დღიურებშიც ჩაინიშნავდა ამ შთაბეჭდილებას — ვითომ რატომ უნდა დაკარგულიყო ეს შედარება, ასეთი მახვილგონივრული და შთამბეჭდავი, ასეთი მარჯვე და მიზანში ზუსტად მორტყმული. და ოთარ ჩხეიძე შემთხვევით რომ წაწყლომოდა გალაკტიონის ამ ჩანაწერს იმის არქივში, ამჯერად ქართული ლიტერატურის მუზეუმში რომ დაედო ბინა, მისებურად ჩაეცინებოდა: არა, ეს კი ასეა, მაგრამ მე რომელი პრისტავი მნახა, რომელი ცეკას მდივანიო.

უახლოვდებოდა კაცი იგი ან უკვე ოთხმოცს... ოთხმოცდაათისკენაც თამამად გააბიჯებდა.

და ერისკაცად შერაცხვა თვისი ნეტა მართლა რა ფიქრებს აღძრავდა მოხუცის ტვინში?..

მუშრამ ლებანიძეს თავისი პასუხი მოეძვეებოდა, ეპოქის ტრაგიზმისა და აბსურდულობის კიდევ ერთი დამადასტურებელი და... სარკაზმით გაჟღერებული, თუკი რაიმეს უშველიდა სარკაზმი... რაც მთავარია, თუკი ბედი-მდედარი ამჯერადაც თავისას გაიტანდა და პოეტი-აკადემიკოსის მითსაც ნამსხვრევებად აქცევდა — იმ ადგილს მიუჩინდა, რაც დაემსახურებინა, არც არაფერი მოეკლო, ოღონდ არც არაფერი მიემატებინა.

ჩვენ ამას ვერ გავიგებთ, ჩემო ოთარ, მე და შენა... ჩვენ... ჩვენ... ჩვენ სხვა გენები გვაქვს, ვერ გავიგებთ, როგორ დახარბებულან ყველაფერს, ყველაფერს უნდა მოჰხვიონ ხელი, ყველაფერი უნდა შთანთქან, ყველაფერში უნდა ჩაცვივდნენ, ყველაფერი უნდა გადაიყარონ თავზედა... ასეა, ჩემო ოთარ, ჩვენ ამით ვერ გავუგებთ... არა, არ არიან, გენებით არ არიან მზადაო, — მღელვარება, ძალიან მღელვარება და მთელი გზნებით უმტკიცებდა ირაკლი აბაშიძე და სანუგუმებლად ეს მაინც რჩებოდა: ჩვენ სხვანი ვართ, მე და შენ სხვა გენები გვაქვსო!..

...რალაც თვალეები მიჭრელდება, ექიმს უნდა ვეჩვენო აუცილებლადო, — ძალიან განიცდიდა ოთარ ჩხეიძე.

თავი V

ესაინსტიკის პანია შედევი

„განრისხებული ოთარ ჩხეიძე“ — ასე დაასათაურებდა ნიკოლოზ (ბუკა) ჩუბინიძე თავისი სენტიმენტალურ ბარათს, სინამდვილეში კი ლიტერატურულ პორტრეტს.

და თამაზ ნატროშვილი რომ აღტაცდებოდა „ამ პანია შედევი“ („ამ სიტყვის ხმარება არ მერიდება... თავისი სიზუსტით, დახვეწილი გემოვნებით — ჩვენში საკმაოდ გავრცელებული კეკლუცობის გარეშე და, რაც მთავარია, აზროვნებისა და წერის მანერით მკაფიოდ გამოირჩევა ისედაც მდიდარ ქართულ ესეისტიკაში“), სათაურსაც ძალიან მოიწონებდა: ერთ რამედ ღირსო!..

განრისხებულიო?..

ასეთი ოთარ ჩხეიძე არც მინახავს და ვერც წარმოვიდგენდიო, — დასძენდა, — ოღონდ გაკვირვებით კი ნამდვილად არ გამკვირვებიაო.

და მიიჩნევდა, რომ ეს ეპიზოდიც მისი ბიოგრაფიიდან საოცრად უხდებოდა მწერლის პორტრეტს, მისი ცხოვრებისა და, უფრო მეტად, შემოქმედების თავისებურ სიმბოლოდაც კი აღიქმებოდა („თავდაჭერილი ლექტორის უსაზღვრო მოთმინება კადნიერი სტუდენტის წინაშე და მისი უსაზღვრო მრისხანება — კანონზომიერი და მისასალმებელი, რადგანაც თვინიერებით როდი მარცხდება უტიფრობა“).

სად უნახავს განრისხებული ოთარ ჩხეიძეო? — ამ სიტყვებით იხსნებოდა ის პანია შედევი და ავტორს სულაც არ გაუკვირდებოდა ეს შეკითხვა გაცეხებული მკითხველისაგან, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ბატონ ოთარს ახლოს და კარგად იცნობდნენ, მაგრამ თავისას მტკიცედ გაიმეორებდა: მე მინახავსო!..

ისე მაინც რა ჟანრის ტექსტის დანერა განეზრახა?

ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, მაგრამ ეს აზრი კი — ჟანრის დაზუსტებისა — იმიტომ ამოუტივტივდებოდა, რომ როდესაც ოთარ ჩხეიძე პირველ თუ მეორეკურსელს ლექციას უკითხავდა, იქ ხშირად გაისმოდა: ეტიუდი, ჩანახატი, ესეი, ლიტერატურული ჟანრები... იქიდანვე ჩარჩნოდა, იქიდან ახსოვდა დაჟინებული მოთხოვნაც თუ თხოვნაც შესახებ იმისა, რომ ხასიათი გმირისა უნდა გამოიკვეთოს, რადგანაც პროზა ხასიათია, და თუ ხასიათი გამოიკვეთება, ეს უკვე მწერლის წარმატებაა, გამოცდილისა თუ ახალბედისა.

ასეა თუ ისე თავის ტექსტს ნიკოლოზ ჩუბინიძე მაინც სენტიმენტალურ ბარათს დაარქმევდა და დააყოლებდა: ალბათ ასეცააო.

თხრობა კი დაიწყებოდა არა უშუალოდ სტუდენტობისდროინდელი მოგონებით, არამედ ცოტა ხნის წინათ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული, უცხოეთში მცხოვრები რეჟისორის დავით პაპავას ინტერვიუს ფრაგმენტით, რომელშიც საგულისხმო პარალელი გავლებულიყო ქართველებსა და კოლუმბიელებს შორის, ერთმანეთს ძალიან ვგავართო:

— ამიტომ ჩვენთვის მარკესის გაგება, ამოხსნა იოლია. მისი გმირებით არარეალურ, ილუზორულ და ოცნებების სამყაროში ვცხოვრობთ. ვართ პოეტურები და ემოციურები.

ამ ინტერვიუს კიდევ ერთხელ მოიხმობდა ესეის ფინალში და მშვენიერი კომპოზიციური ჩარჩოც ამოხვევოდა, ამჯერად კი დაურთავდა: მართალია, ვერაფერს იტყვი, ნამდვილად ვერ შეედავები ამ მოსაზრებასო.

მაგრამ კარგია ეს თუ ცუდი? ან ეგებ ჩვეულებრივი მოვლენაა — ზოგი ერი ხომ ასეთია, ზოგიც ისეთი?

ეს კითხვები ბევრს გაუჩნდებოდა, მაგრამ ნიკოლოზ ჩუბინიძე კიდევ კარგა ხანს გააგრძელებდა ჩამონათვალს, ერის ხასიათის თავისებურებებს რომ უტრიალებს, და გააგრძელებდა იმიტომ, რომ ყველაზე ძალიან ამ კითხვებზე ოთარ ჩხეიძის უშუალო პასუხები აინტერესებდა. ვარაუდით ივარაუდებდა შესაძლო პასუხებს, როგორც მის მხატვრულ-ესთეტიკურ სამყაროში ღრმად ჩახედული, მაგრამ უშუალო პასუხი მაინც სხვაა და გულდანყვეტილი ამცნობდა მკითხველს, რომ ეს შეკითხვები სათავსატეხოდ რჩებოდა, ბურუსით მოცული, არადა, მათი განმარტება საძნელო არ გახლდათ, თუკი რესპონდენტი ოთარ ჩხეიძე იქნებოდა:

— რატომ იგებენ მარკესს არა მხოლოდ პოეტური და მეოცნებე, არამედ რაციონალისტურად მცხოვრები ქვეყნების მკითხველებიც?

— რატომ არა გვყავს ჩვენც ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი მარკესი?

— რაც მთავარია, როგორ ვიცხოვროთ ჩვენ, ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების ერმა, დემოკრატიულ, მაგრამ არაილუზორულ, რაციონალისტურ და პრაგმატულ, სასტიკ კაპიტალისტურ რეალობაში?

— ჩვენი ევროპისკენ სწრაფვა და „მაშასადამექართველობა“ ხომ სწორედ ამას გულისხმობს. საერთოდ, რამდენად რეალურია და საფუძვლიანი ასეთი მეტამორფოზა?

ყველა ეს კითხვა პასუხგაცემულია ოთარ ჩხეიძის რომანებშიც და პოლიტიკურ ესეისტიკაშიც, მაგრამ სენტიმენტალური ბარათის ავტორმა მოიარებით სწორედ ეს უნდა წარმოაჩინოს, ყველაზე საჭირობოროტო კითხვების ამხსნელად და ორიენტირად ოთარ ჩხეიძე დაუსახოს ამოგებული სახელმწიფოს დასამკვიდრებლად მებრძოლ ერს — თანამედროვეთაც და შთამომავალთაც, დასახოს კაცი, რომლის სიცოცხლეშიც ძალიან სურდა მასზე რაიმეს დანერა, სულერთია რისი, ოღონდ დაენერა კი...

— მიზეზთა და მიზეზთა გამო დიდი ხანია არაფერი გამომიქვეყნებია, და არც დიდად განვიციდი ამას, მაგრამ ის ერთი სურვილი მაშინ ძალიან მანვალებდა... მე მაქვს პრეტენზია, რომ მყავს ჩემი ოთარ ჩხეიძე, რომელსაც არავინ არ იცნობს.

ქაღილი გახლდათ?

ძალიც შესწევდა შესასრულებლად.

80-იანი წლების უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურული სპეცკურსის შესახებ ბევრს თუ სმენია, მისი უშუალო და მუდმივი მონაწილე ოციოდე ადამიანი თუ ვიყავითო, — დაუფარავი სიამაყით ამცნობდა მკითხველს და დასძენდა, თუ როგორი სერიოზულობით მსჯელობდა და ღვრიდა ოფლს ოთარ ჩხეიძე თვითული სტუდენტის ლექსსა თუ მოთხრობაზე. ისე კი დღესაც უკვირდა და ძალზე უცნაურად ეჩვენებო-

და, ვის მოაფიქრდა მაშინ მწერალთა წარმოჩენა ლექტორთა რანგში და ამ სპეცკურსის შემოღება სასწავლო საგნად, მაგრამ ასე მოხდა კი... და გარდა ბატონი ოთარისა, მოიხსენიებდა ნოდარ წულუისკისა და მიხეილ ქვლივიძესაც, რომელნიც ამავე ფუნქციას ასრულებდნენ თუ ითავსებდნენ.

არც იმას დაფარავდა, რომ „თეთრი ტაძრის“ წინ ჩავლილს გახედვაც კი არა სურს ხოლმე იქით, რაკილა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას დაუტოვებდა იქაური მკვდარი აკადემიზმი და გამტკნარებულსახიანი ლექტორები, ლექციაზე საკუთარ ნაშრომებს რომ უკითხავდნენ.

— მარტო ერთი მახსოვს, სპეცკურსის ლექტორი — ოთარ ჩხეიძე.

და ისე მოხდებოდა, რომ სრულიად მოულოდნელად რამდენიმე სტუდენტის მოთხრობა და ლექსი აღმანახ „ლიახვი“ აღმოჩნდებოდა დაბეჭდილი. მოულოდნელად იმიტომ, რომ ოთარ ჩხეიძეს ისინი წინასწარ არ გაუფრთხილებია, მხოლოდ აუკრფავს მათი ნაწერები, როგორც ხშირად ხდებოდა, მაგრამ ამჯერად რამდენიმეს შეარჩევდა და გამოაქვეყნებდა.

ახალგაზრდების ნამიერი სიხარულის შეგრძობა კი თანდათან ამბიციურ განცდად („აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იყოს“) გარდაისახებოდა.

— ძალიან გაგვანებოვრა, მაგრამ ამის გაცნობიერება მაშინ არ მომხდარა... არც სხვა რამისა...

რა სხვა რამის? სულ პირველად ოთარ ჩხეიძის რომანებიდან „ტინის ხიდს“ ნაიკითხავდა, სრულიად შემთხვევით, და ძალიან დაინტერესდებოდა და... დაიბნეოდა კიდევ მისი უჩვეულობით, უცნაურობით, არატრადიციულობით. თუმც ამ განცდას აღარ ჩაუღრმავებოდა — გაუძნელდებოდა და იმიტომ.

სწორედ ამის შემდეგ უნდა გამხდარიყო ოთარ ჩხეიძე მისი ლექტორიც და... რჩეული მწერალიც.

— თუმცა ჩემს აღფრთოვანებას მცირენი იზიარებენ. მიზეზს მაშინ ვერ ჩახვდებოდა.

ამასობაში უნდა გამოსულიყო მწერლის სამტომეული, რომელსაც სულმოუთქმელად ნაიკითხავდა, და დადგებოდა საუნივერსიტეტო დიპლომის თემის არჩევის დროც — 1989 წელს.

ბუნებრივია, აირჩევა თემას, სათაურით „ოთარ ჩხეიძის მოთხრობები“.

ხელმძღვანელი შეეცდებოდა გადაეფიქრებინა, და ჭაბუკს ძალიან გააკვირვებდა, თუმც ჯიუტად დადგებოდა თავისაზე და არ დათმოდა განზრახვას.

აგერ დიპლომის დაცვის დღეც. შესაფერისი მღელვარებაც.

ხუმრობა ხომ არაა — კომისიაში ამდენი პროფესორია, ზოგერთი — მწერალიც.

ჯერ ამის ჯერი არ დამდგარა, სხვანი წარმოაჩენენ თავთავიანთ ნამუშევარს, და ბუკა ერთ უცნაურობას ამჩნევს და ძალიან უკვირს — თითქოს სძინავთ კომისიის წევრებს. „თითქოს“ იმიტომ, რომ ყველას თავი ჩაუქინდრავს და ძნელი გასარჩევი და ძნელი დასაზუსტებელია, მართლა ზმანებებში გახვეულან თუ ყოფით რეალობასთანაც ინარჩუნებენ შემაერთებელ ძაფებს.

და თანდათან დამშვიდდებოდა, მიხვდებოდა, ეს ყველაფერი ფორმალუბაა.

აგერ მისმა უამმაც უნდა მოაწიოს და კათედრასთან დადგეს. ძალზე ჩვეულებრივად, ოღონდ ომახიანად უნდა გამოაცხადოს დიპლომის სათაური, ეგებ მომისმინონ მაინცო.

რას წარმოიდგენდა, რომ ეს სრულიად არა ყოფილა საჭირო. ჩურჩულითაც რომ წარმოეთქვა თურმე — ოთარ ჩხეიძე, ესეც იკმარებდა მათ გამოსაფიზილებლად.

— არ ვაჭარბებო, — ირწმუნებოდა და იმ წუთებს ლაკონიურად და ისე სახიერად აღადგენდა, თამაზ ნატროშვილი საგანგებოდ გამოარჩევდა ამ პასაჟს ოსტატობის ნიმუშად.

ატყდებოდა საოცარი ფუთფუთი, ერთმანეთთან გადალაპარაკება, იგრძნობდა, არც მისმენენ და თან ხელსაც მიშლიან ნაშრომის ჩამთავრებაში. განსაკუთრებით მწერლები იაქტიურებდნენ — რატომ აირჩიეთ ეს მწერალი? დიპლომანტი ჯერ ვერ მიხვდებოდა მათი ალელვებისა და მწყობრიდან გამოსვლის მიზეზს — „ემფატიკური ა? ემფატიკური ა? ემფატიკური ა?“ — ეს „ა“ რალაც გაბმულად გაისმოდა მთელ აუდიტორიაში. პასუხს ვინ აცლიდა, უცნაური ვითარება შეიქმნებოდა, მაგრამ მალევე მიხვდებოდნენ, რომ მთლად ასე არ ივარგებდა — ეს მაინც სტუდენტი გახლდათ და მას რას ემართლებოდნენ?! ამიტომაც წამოიზღაზნებოდნენ სათითაოდ, მძიმედ და ახლა უკვე ასე დაუსვამდნენ შეკითხვებს. ვითარება განიმუხტებოდა.

ნიკოლოზ ჩუბინიძე იმ დღიდან უკვე ბევრ რამეს მიხვდებოდა.

აღარ ჩამოთვლიდა ჩვენი ხასიათის თვისებებს, რაკილა სჯეროდა, ყველა ჭკვიანმა ადამიანმა ეს ისედაც იცისო.

დაბეჯითებით კი ერთს განაცხადებდა:

— ჩვენი არა მარტო უკეთილშობილესი ადამიანები არ უყვართ, არ უყვართ ნამდვილი მწერლობა და ნამდვილი ლიტერატურული აზროვნება.

და შეფარული ირონია თუ... უბრალოდ ცნობისწადილი? — არ ვიცი, ამაში ვგავართ თუ არა კოლუმბიელებს, ვერაფერს ვიტყვი.

ოთარ ჩხეიძის კეთილშობილების დასტურად ერთ თითქოსდა წვრილმან, გარეგნულად სრულიად ჩვეულებრივ ეპიზოდს გაიხსენებდა — შემთხვევით შეხვედრას მწერალთან ქუჩაში. საერთოდ კი, როდესაც ხვდებოდა, ოთარ ჩხეიძე ყოველთვის ეკითხებოდა: რატომ დაიკარგე? არ ჩანხარ, რატომ არ წერ?... ამჯერადაც ასევე. და ბუკას ძალდაუტანებლად ახსენებოდა ხოლმე უნივერსიტეტიდან გამოყოლილი ფრაზა: ადამიანის თვალეზი სულის სარკმლად მიიჩნეოდა და ამიტომაც ხდებოდა ფრესკულ მხატვრობაში მასზე აქცენტირებაო, — და ამჯერადაც წამოუტივტივდებოდა გონებაში, და თითქოს მის ფიქრს აგრძელებსო, შორიახლოს მდგომმა მეუღლემ, მას შემდეგ, რაც მწერალს გამოემშვიდობებოდა, უნდა ჰკითხოს: რა კეთილი კაცი იყო, ვინ... მან კი კითხვა არ დაამთავრებინოს, მაშინვე გაუშვლავნოს ამ არაორდინარული ადამიანის ვინაობა.

ნუგზარ მუზაშვილთან ერთადაც არაერთხელ სტუმრებია ოჯახში.

სახელდახელოდ გაშლილი სუფრა.

პატარა მაგიდაზე ბროლის წვრილი, ლამაზი არყის ჭიქები. ბატონი ოთარი ასეთ ამპლუაშიც უნდა იხილოს.

მასპინძელთან ყველა თემაზე შეიძლება საუბარი.

თუმც... იგი პირველ რიგში მწერალია, — უნიკალური სტილისა და გამოჩენილი აზროვნების, ამასთან, მძლავრი შინაგანი თავისუფლებით დაჯილდოებული, — და მერე თავისუფლად მოაზროვნე რესპონდენტი.

სულმოუთქმელად ნაიკითხვა მისი თხზულებებისა აღმოაჩენინებდა სხვა ოთარ ჩხეიძეს, არა იმას, ვინც მათ, სტუდენტებს ეფერებოდა, არამედ სრულიად სხვას, მეუპოვარს, ლალს, ფანტასტიკური ენობრივი აზროვნების შემოქმედს, რომლის ფენომენის გამოკვლევასაც უზარმაზარი შრომა ესაჭიროებოდა. ვისაც ენება, დაე გამოდავებოდა მის ამ დაკვირვებას, მაგრამ ნიკოლოზ ჩუბინიძე მიიჩნევდა, რომ იგი ამოვარდნილი იყო ეგრეთწოდებული ქართული ლიტერატურული მთლიანობიდან, ცალკე იდგა, მიუხედავად იმისა (რაც უნდა უცნაურად გაისმოედეს), სურდა ოთარ ჩხეიძეს ეს თუ — არა.

— მის ენობრივ არატრადიციულობას და ორიგინალურობას მხოლოდ... მწერლის ენა და სტილი არ ქმნის, მის მთლიან მენტალურ მხატვრულ ფენომენზეა საუბარი.

ამასობაში ქვეყანა უნდა არეულიყო.

— დამოუკიდებლობისთვის — როგორც „კოლუმბიური“ ხასიათის ერს შეეფერება — სწორედ ისე ვინყებთ ბრძოლას.

ცხრა აპრილის წინა დღეებში კვლავ უნდა შეხვედროდა ოთარ ჩხეიძეს — მელიტიჟილის ქუჩით რუსთაველისაკენ ტა- ატიტ მიმავალსა და ძალიან დაძაბულს.

— ასეთი არ მასხოვს, ოღონდ ეს დაძაბულობა შინაგანი, მაინც ვგრძნობ.

თვითონ იგი „კოლუმბიურად“ აღტაცებულიყო, საყოველ- თაოდ ცნობილი ახალგაზრდული მაქსიმალიზმით შეპყრობი- ლი.

და უცებ ოთარ ჩხეიძემ უნდა უთხრას:

— ცუდი ამბებია მოსალოდნელი, ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი.

ნუთუ არ იზიარებდა საყოველთაო სახალხო აღფრთოვა- ნებას?

ეს გაოგნებოდა — ოთარ ჩხეიძისაგან ამას ნამდვილად არ მოელოდა.

სხვა მწერლებს დროები ეჭი- რათ ხელში და სტუდენტებს წინ მიუძღოდნენ, მისი საყვარელი მწე- რალი კი... შეშინებულიყო... და ყო- ფილი სტუდენტი მისი ამ სიტყვე- ბის გამართლებას ამ მოტივით შე- ეცდებოდა: ეტყობა, ასაკის ბრა- ლიაო.

— გაივლის დრო და ჩვენი ქაო- ტური, უპასუხისმგებლო, იმპულ- სური დამოკიდებულება სახელმწი- ფოებრივი აზროვნების მიმართ ბევრ ზიანს მოუტანს საქართვე- ლოს. მაშინ გამახსენდება ოთარ ჩხეიძის სიტყვები და მიგვხედები, რომ ის მართალი იყო.

მრავალმხრივ საგულისხმო ესეიში „ჭირისუფალი“ ნუგზარ მუ- ზაშვილი გაიხსენებდა იმ დამაფიქრებელ დეტალსაც, თუ რო- გორ მიუყვებოდა ოთარ ჩხეიძე სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ რუსთაველის პროსპექტს — ნავკით სავე ბრძოლის ველს, ქვა-ღორღით, დამწვარ-დამტვრეული ავეჯით, ცარიე- ლი მასრებით, ნაძვისა და ჭადრის დამსხვრეული ტოტებით გადავსებულს... პირველი სკოლის გამოსწვრივ გაჭრილ მთა- ვარ ბილიკს აქეთ-იქიდან უერთდებოდა ბილიკები, რომელ- ზეც ხალხი ორივე მხრიდან მოიხვედა.

— ადამიანები სამძიმარზე მოსულელებით ჩამწკრივებუ- ლიყვნენ, რიგი მძიმედ მიიწვედა წინ. მაგრამ ვინ იყო ჭირისუ- ფალი? ჭირისუფალი არ ჩანდა და არც არავინ ეძებდა. შესაერთავს რომ მიუახლოვდებოდა... ოთარ ჩხეიძეს დაი- ნახავდა, მეორე ბილიკს რომ მოჰყვებოდა. გაეხარებოდა, რადგანაც მასთან საუბარი აკი ყოველთვის სიამოვნებდა, მაგრამ უეცრად... თავს ისე უხერხულად იგრძნობდა, ჭირი- სუფალთან შეხვედრისას რომ ემართებოდა — მისთვის ნათქ- ვამი ყოველი სიტყვა ყალბი და უადგილო ეჩვენებოდა და იმი- ტომ.

— ჭირისუფალს მარტოობა უხდება.

მთავარ ბილიკამდე მწერალი მასზე ადრე მიაღწევდა და დინებას გაჰყვებოდა.

ის ვერ შეამჩნევდა და... აღარც ნუგზარი შეეხმიანებოდა. არ იცოდა, რა ეთქვა და თავი როგორ დაეჭირა. ათიოდე კაცის შემდეგ მიჰყვებოდა და მხედველობიდან არა ჰკარგავდა.

— ყურადღებას არავინ აქცევდა. ვერავინ ცნობდა, რითაც ტრადიცია არ დარღვეულა: ჩვენთან ხომ ცნობის ღირსს არა- სოდეს იცნობენ.

და მეტად საგულისხმო დეტალი, თავისთავად რომ გან- ზოგადდებოდა:

— ბორძიკით მიდიოდა, რაც უსწორმასწორო ბილიკს და- ვაბრალებ. აიხედავდა, შეხედავდა დამწვარ-ჩამოქცეულ შენო- ბას, ისევ დახრიდა თავს. ყოველთვის ჭარმაგად გამოიყურე- ბოდა, ასაკს ვერ შეატყობდი, მაგრამ ახლა მომეჩვენა, რომ ძალიან მოტეხილიყო.

მასთან საუბარი ყოველთვის მსიამოვნებდაო...

ჩვენთან არცთუ იშვიათ სტუმრობას გულისხმობს ბუკა ჩუბინიძესთან ერთად, თორემ იმ გახმაურებულ სემინარებზე როგორღაც აცდენოდნენ ერთიმეორეს, არ გაბმულიყო ის სუ- ლიერი სიახლოვე, რაც მოსალოდნელი გახლდათ მათ შორის. თავიდან თითქოს სასიკეთოდ აეწყობოდა ყველაფერი. იმჟა- მად ნუგზარ მუზაშვილს უნივერსიტეტი უკვე დამთავრებუ- ლი ჰქონდა, ამიტომაც ოთარ ჩხეიძეს სემინარზე დასწრების ნებართვას სთხოვდა.

— როგორღაც სადად დამთანხ- მდა.

საერთოდ კი ის რამდენიმე შეხ- ვედრა აღმოჩნდებოდა ერთი იმ უიშვიათეს შემთხვევათაგანი მის ცხოვრებაში, როდესაც მწერლის პირადად გაცნობა იმედს არ გაუტ- რუებდა.

მაშინ პირადად ბევრს არ იც- ნობდა, მაგრამ მწერალთა კავშირ- ში გამართული საღამოებისა თუ განხილვების ხშირი სტუმარი გახ- ლდათ და ამაღლებულთან შესახ- ვედრად გამზადებულს... ყოველთ- ვის თვალში ხვდებოდა უმრავლე- სობისათვის ნიშანდობლივი აგრე- სიული, ძალზე ავთვისებიანი პა- ტივმოყვარეობა, რაც არცთუ იშვი- ათად უხერხულსა და სასაცილო ფორმებს იძენდა.

— მგონი, მას შემდეგ შემჯავრ-

და განხილვებზე სიარული.

ოთარ ჩხეიძესთან ურთიერთობისას უპირველესად მაინც რა დამახსოვრებოდა?

— მისი სისადავე, სიმშვიდე და კეთილგანწყობა. მისთვის სრულიად უცხო იყო სწობიზმი, პოზიორობა, ყოყორობა. იგი ოდნავადაც არ ცდილობდა სტუდენტების მოხიზვლას ან სა- კუთარი თავისა და შემოქმედების რეკლამირებას. თავის თავ- ზე საერთოდ არ ლაპარაკობდა. თუმცა მწერალი იყო, მაგრამ მასში იგრძნობოდა ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელი აუღმვრელობა, რაც ძალზე სერიოზულ ზნეობრივ საფუძ- ველს გულისხმობდა. ამკარა იყო, ეს კაცი ყოველგვარ წვრილმან პატივმოყვარეობაზე მაღლა იდგა.

ეს ის დროა, როდესაც ნუგზარ მუზაშვილი უკვე ოთარ ჩხეიძის გულმოდგინე მკითხველი გახლდათ და მისი შემოქმე- დების მცოდნედაც მოჰქონდა თავი, კაცისა, ვისაც განკერძო- ებულად აღიქვამდა, რაკილა არც ხუთწლედთა მხარდამხარ ამჩატებულ ადამიანთა სულების ინჟინრების გამალებულ ფუსფუსში მონაწილეობდა და არც არავითარ ლიტერატუ- რულ მოდას ასდევდა.

უმთავრესი მაინც რა იყო მისი ლიტერატურულ ნაღვანში, რაც ყველას თვალში ხვდებოდა და იოლად არავის ნებდებო- და?

— რასაკვირველია, მისი სტილი.

ესეისტი შეახსენებდა მკითხველს, რომ პარტიისა და მთავრობისათვის ოთარ ჩხეიძე ორმაგად მიუღებელი იყო, პირველ რიგში როგორც „დიადი სოციალისტური მშენებლო- ბისათვის ჩირქის მომცხები“ და მერე როგორც მავნე ფორმა- ლისტური გატაცებების მქონე მწერალი. ხოლო საზოგადოებ- რივი აზრის შემქმნელი და მოდების კანონმდებელი სწობები



ნიკოლოზ (ბუკა) ჩუბინიძე

უფრო კულისებში შფოთავდნენ — ძველმოდურია, გლეხური სტილი აქვს, ეს ემფატიკური „ა“ ხომ მეტისმეტიაო...

მაგრამ ესეც თვალნათლივი გახლდათ:

— მიუხედავად ამდენი „ნაკლის“ დაძებნისა, ვერც ხელისუფლებასა და ვერც სნობებს მისი გატეხვა მაინც ვერ მოეხერხებინათ, საკუთარი გავლენის ქვეშ მაინც ვერ მოექციათ. მასზე არც მუქარა მოქმედებდა, არც თანამდებობის უქონლობა, არც უპრემიობა, არც მლიქვნელური ფუყე სახობტო ოპუსების არარსებობა... არაფერი.

და მიაკვლევდა ოთარ ჩხეიძისადმი ფარული პატივისცემის ფსიქოლოგიურ სათავეს თვით მათი მხრიდან, გულმოსულნი რომ უპირისპირდებოდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ მისთვის ხელის შეშლას: ეს უჩვეულო თანმიმდევრობა, საკუთარი სტილისა და პოზიციის ასეთი ერთგულება აქცევდა იმგვარ მოვლენად ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, რომ მისი არად ჩაგდება უბრალოდ შეუძლებელი ხდებოდა.

და, ეტყობა, სწორედ ამ გარემოებას ეთამაშა შესაფერისი როლი ამ მწერლის მისანვევად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული შემოქმედების სემინარების ხელმძღვანელად, მიუხედავად იმისა, რომ — ახალგაზრდებსაც ჩინებულად მოეხსენებოდათ — ხელისუფლების ფავორიტი რომ არასოდეს ყოფილა და არც წარჩინებულ (კინალამ წამომცდა: წითელ) პროფესურაში სარგებლობდა პოპულარობით.

„ჭირისუფალში“ გახსენებულია ის ეპიზოდი, რომ მესამე თუ მეოთხე შეხვედრისას ნუგზარ მუზაშვილი ლექტორს შეკითხვას დაუსვამდა.

— ვცდილობდი გასაგებად მელაპარაკა, მაგრამ სანამ დავამთავრებდი, მომეჩვენა, რომ უნებლიეთ ინტიმურ სფეროში ვიჭრებოდი, რაც შეიძლება თავხედობად ჩაეთვალა და ნაწყენი დარჩენილიყო. ეს კი ძალიან არ მინდოდა.

როგორც სჩვეოდა, ყურადღებით მომისმინაო, — გვამცნობს ესეი, — მერე თავი დახარა, გაიღიმა და მცირე პაუზის შემდეგ დაახლოებით ამგვარი რამ მითხრა: ამქვეყნად ყველამ თავისი გზა უნდა მოძებნოს და თავისი ტვირთი ზიდოსო.

ეს იფიქრებდა, ალბათ კიდევ დაამატებს რამესო, მაგრამ მწერალი ამ თემაზე კრინტს აღარ დაძრავდა.

— შესაძლოა, ძველი მწერლებივით ისიც თვლიდა, რომ რაც სათქმელი იყო, თავისი ქმნილებებით უკვე თქვა, ან იქნებ საკუთარ თავზე ლაპარაკი უხერხულად მიიჩნია, ანდა ჩათვალა, რომ ამ აუდიტორიასთან ამ თემაზე ვრცლად საუბარი უადგილო იქნებოდა.

მაშინ კი, იმედგაცრუებული დარჩებოდა ამ მოკლე, მოკვეთილი ფრაზით.

მერე კი გაეცინებოდა თავის გაბუსხვაზე და აღიარებდა, რომ პასუხი ზუსტი იყო და ლაკონიური, ოღონდ თვითონ არ აღმოჩნდა გამგები.

ეს კია, მას მერე სემინარებზე ფეხს აღარ მიადგამდა.

გადავიღიდა რაღაც კრიზისი მის არსებამდე და თვალთა წინაშეც და...

თითქოს ყველაფერი ფერს იცვლიდა ახალგაზრდა კაცის თვალში.

ყველაფერი უკვე სხვა კუთხით გამოჩნდებოდა.

— ყველაფერი და მათ შორის, ცხადია, ბატონ ოთარ ჩხეიძის პასუხიცა და მისი სტოიციზმის მასაზრდოებელი წყაროც. ინანებდა და მწარედაც ინანებდა სემინარებიდან ჩამოშორებას და იმ გაცდენილი დროის ანაზღაურებას იმით შეეცდებოდა, რომ ჩვენი ოჯახის სმირი სტუმარი შეიქნებოდა ბუკასთან ერთად.

და ეს შეხვედრები გადაიქცეოდა თავისებურ ლიტერატურულ სემინარებად, რომლის დროსაც არაერთხელ გახდებოდა მოწმე ოთარ ჩხეიძის საუბრის ხელოვნებისა, მისი ღრმა, მახვილგონივრული მსჯელობებისა, დაუშრეტელი იმპროვიზაციისა, როდესაც ურთულესი, ლამის შეუღწეველი პრობლემები ხელმისაწვდომი შეიქნებოდა ხოლმე და ყოველივე ისე

ბუნებრივად, ისე ლოგიკურად ლაგდებოდა, ფარული კანონ-ზომიერებანი ერთბაშად გადაიხსნებოდა მის თვალწინ და რაღაც გამორჩეულის, რაღაც მნიშვნელოვანის შესაქმნელად აგულიანებდა.

და კიდევ უფრო უმძაფრდებოდა ის შეგრძნება: ჩვენთან ხომ ცნობის ღირსს არასოდეს იცნობენო.

კი მაგრამ... განრისხებული ოთარ ჩხეიძეო?

„ჭირისუფალი“ „ჭირისუფლად“, მაგრამ კვლავ პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, ძალიან ვრცელი ექსპოზიცია ხომ არ გამოსვლოდა სენტიმენტალური ბარათის ავტორს?

მაგრამ არა — ჯერ ხომ ყოველმხრივ უნდა მოემზადებინა ეს ეპიზოდი, რათა მკითხველი უკეთ ჩანვდომოდა მწერლის პიროვნულ ხასიათსაც და თითქოსდა არაფრით გამორჩეული ამბის მთელ სიღრმეს... ზედმეტი გაჭიანურება უკვე აღარ ივარგებდა და... კიდევ ზუსტად შესაფერის დროს ამოჩნდებოდა ის სურათი, თუ როგორ დგას ოთარ ჩხეიძე კათედრასთან და ლაპარაკობს ჩვეულო სიმშვიდითა და რაღაცნაირი კეთილშობილური მანერით. აუდიტორია ყურადღებადაა ქცეული. უეცრად აუდიტორიის კარი უნდა გაიღოს და ვიღაც სტუდენტმა შემოიხედოს. ნასვამია. რაღაც უნდა ეძებოს თუ ვიღაც იკითხოს. ლექტორმა წყნარად, ზრდილობიანად უთხრას უარი. კარი კი გაიხურებოდა, მაგრამ რამდენიმე წუთში იგივე განმეორდებოდა. ახლა უკვე სტუდენტები ახმაურდებოდნენ, შეწუხდებოდნენ. ოთარ ჩხეიძე არაფერს შეიმჩნევდა და კვლავ ზრდილობიანად მიმართავდა. გაივლიდა ცოტა ხანი და აუდიტორიის დიდი, ყავისფრად გალაქული კარი კვლავ აჭრიალდებოდა და...

ამ დროს აზანზარდებოდა კიდევ აუდიტორიის ფანჯრები. სტუდენტები შეხტებოდნენ.

ოთარ ჩხეიძე საშინელი ძალით დაარტყამდა კათედრას ხელს და სახეშეცვლილი ხმამაღლა წარმოთქვამდა.

ნიკოლოზ ჩუბინიძე განსაკუთრებით ჩაუკვირდებოდა ამ დეტალს და დაბეჯითებით გაიმეორებდა: უცნაურია, მაგრამ მის რეაქციას სხვა სახელს ვერ დაარქმევ, ნამდვილად არ უყვირია, სწორედ რომ წარმოთქვაო.

— დატოვეთ ყმანვილო, აუდიტორია.

კარი, ცხადია, აღარ გაიღებოდა.

ყოველთვის, როდესაც მასზე ვფიქრობ, ეს სცენა მახსენდებო, — დასძენდა ლიტერატურული პორტრეტის ავტორი, — რატომღაც ჩემს მეხსიერებაში მისი გახსენება ამ სცენასთან ასოცირდებო.

„რატომღაც“, არა?

ფოკომპოზიცია კიდევ უნდა ამოხვეულიყო.

ფოტოსურათების გადაღება რომ არ უყვარს, ამ გარემოებას იმიტომ აღნიშნავდა, რომ შეეხარებოდა, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მარკესისა და დავით პაპავას ფოტოს რომ დახედავდა.

კოლუმბიელ მწერალს ქართველი რეჟისორის მხარზე შემოეხვია ხელი.

შეხარებოდა, რადგანაც იმ წამსვე გაიფიქრებდა: ხომ შეიძლებოდა, მეც მქონოდა ოთარ ჩხეიძესთან გადაღებული ფოტოსურათიო.

და თვითირონით დააყოლებდა: ისტორიასაც შემოვრჩებოდი, ყოველგვარი შრომისა და გარჯის გარეშე, რა მაგარი იქნებოდა — ოთარ ჩხეიძე ბუკა ჩუბინიძესთან ერთად, და ჩემზე ფრჩხილებში ჩაიწერებოდა: სტუდენტიო.

რა უშავს, ის რამდენიმე წიგნი ხომ მანც შემორჩენოდა, უწვრილესი ასოებით რომ წაწეროდა:

— ნიკას! ოთარ ჩხეიძე.

და... მეტი არაფერი.

ფინალი, ამ „მეტი არაფრით“ დაბოლოებული, მკვეთრი და მძაფრი აღმოჩნდებოდა, ყველაზე ზუსტად დამაგვირგვინებელი ექსპრესიულად წარმართული თხრობისა და ამიტომაც

ვერ შეიკავებდა თავს თამაზ ნატროშვილი: შედეგია, — მაშინვე მიუჩინდა ადგილს უმდიდრესი ქართული ესეისტიკის მალალ თაროზე.

მოგვიანებით აღარც სხვანი დაიშურებდნენ ქებას, განსაკუთრებით კი ნინო ჩხიკვიშვილი მიიჩნევდა თავს მოვალედ, გამოხმაურებოდა ამ პუბლიკაციას ღია ბარათით („რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...“) და სიხარულთან ერთად („...შემძრა და ამაფორიაქა. იგი ნოველასავით იკითხება და გამოცდილი ოსტატის ხელიც ეტყობა“) საყვედურსაც გამოუჩინებდა. როგორც ძველი, სტუდენტობისდროინდელი მეგობარი თავს უფლებას მისცემდა გულში არ ჩაეტოვებინა ის ტკივილი: შენ ბატონი ოთარის ერთ-ერთი გამორჩეული შეგირდი იყავი და არ მეგონა, ასე დაუდევრად თუ მოექცეოდი შენს ნიჭს — სიტყვის, ფრაზის გრძობასა და მწერლობის უნარს, ჩვენმა ძვირფასმა მოძღვარმა რომ აღმოაჩინა შენშიო.

განა სამწუხარო არ იყო, რომ ნიკოლოზ ჩუბინიძეს ქართველი მკითხველი არ იცნობდა როგორც ცნობილსა და პოპულარულ მწერალს, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იცნობდა მის შემოქმედებას, მხოლოდ ისინი, რომელნიც თავის დროზე უნივერსიტეტში მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეცკურსს გადიოდნენ ოთარ ჩხეიძესთან.

— მაშინ 19-20 წლის ყმაწვილებს ჯერ კიდევ ხეირიანად არც კი გვქონდა გაცნობიერებული თუ როგორ გავგაფოფინა ამ მხრივ განგებამ!..

და სინანული: რას იზამ, ყმაწვილური დაუდევრობით გავფლანგეთ სტუდენტური წლები და ახალადა ვხვდები — უფრო მეტი უნდა შემოგვენახა, კიდევ უფრო მეტად უნდა გავფრთხილებოდი იმ ყველაფერს, რაც ოთარ ჩხეიძეს უკავშირდებოდაო.

და გაახსენდებოდა ზოგ-ზოგიერთთა ქილიკური ნათქვამი, სხვა რომ ვერაფერი მოეძებნათ ოთარ ჩხეიძისათვის და ამ სიტყვებით იკლავდნენ ჭიას: ვინა ყოფილა, აგიჟებს ამ პატარა ბავშვებს და მერე მართლა მწერლებად მოაქვთ თავიო.

დრო საპირისპიროს დაანახებდა ყველას:

— შენ, ბუკა, ნიკოლოზ ჩუბინიძე... ისე გამოიკეტე საკუთარ თავში, რომ ახლა წიგნიერ ქართველ საზოგადოებას შენი სახელისა და გვარის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ახალი მოვლენა ჰგონია.

არადა, თვითონ ნინოს რამდენჯერ ეძებნა მისი გვარ-სახელი ახალგაზრდა — უკვე პრემირებულ თუ ჯერაც საკონკურსოდ არჩეულ — ავტორებს შორის და ვერსად რომ ვერ ნაწყდომოდა, გულდანყვეტილს გაეფიქრა: მაგათ, ეტყობა, არ წაუკითხავთ მისი მოთხრობები, თორემ!..

არა, ნამდვილად რომ არ მოაბეზრებდა თავს საზოგადოებას საჯარო გამოსვლებით (ტელევიზიით იქნებოდა თუ პრესით) და არც ჭკუისდამრიგებლისა და მოძღვრის როლს მიისაკუთრებდა, ექვიც არ ეპარებოდა, რადგანაც:

— შენთვის ეს ოთარ ჩხეიძეს არ უსწავლდება.

თვითონ მოძღვარი მუდამ მოკრძალებასა და ჩრდილში დგომას რომ ამჯობინებდა და სტუდენტებისთვისაც ეს შეეგონებინა, ეს კი კარგი იყო, მაგრამ... ბუკას მეტისმეტი რომ მოსვლოდა?!

და ნინო ჩხიკვიშვილს წუთით ძალიან მოუნდებოდა უკან, ძველ დროში დაბრუნება, რათა უნივერსიტეტის ერთ პატარა აუდიტორიაში შეკრებილებს ბატონ ოთართან ერთად წაეკითხათ ეს მხატვრული ტექსტი და მერე ყველას ემსჯელა მის ორგვლივ.

ბუკა, უნდა დაგვიპირდეს, რომ მწერლობას აუცილებლად დაუბრუნდებიო, — უმტიციცბება და უბეჯითებდა, ძველი მეგობრობა და გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი არ მალაპარაკებსო.

თამაზ ნატროშვილი გულითადად გაუმეორებდა ნიკოლოზ ჩუბინიძეს მისი მისამართით ოთარ ჩხეიძის არაერთგზის ნათქვამს: რატომ არ ჩანხარ, რატომ არ წერო?..

და ახლა ნინო ამ ფრაზასაც მოიშველიებდა: თამაზ ნატროშვილს მაინც დაუჯერე, იგი ხომ საერთოდ არ გიცნობს,

აქამდე შენი არცერთი სტრიქონი არ წაეკითხა და ისიც ამასვე გთხოვს. მე თუ სუბიექტური ვარ, მას რალა რჯიდაო?

ალმანახ „ლიახვის“ ის ნომერი, სადაც ნიკოლოზ ჩუბინიძის პირველი ბელეტრისტული ცდები გამოქვეყნებულიყო, უკვე ისტორიად ქცეულიყო, მას კი არ ეპატიებოდა თავისი შემოქმედების ასე მიტოვება.

— ამას არც შენი (და ჩვენი) დიდი მასწავლებლის ხსოვნა არ გაპატიებს!

ამიტომაც უნდა შეეპირებინა, რომ არქივში დაუდევრად მიტოვებულ ძველ და ზოგიერთ ახალ მოთხრობას ერთად შეკრებდა და, წიგნად შეკვრამდე, „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდა.

ასე გადაიქცეოდა ესეი „განრისხებული ოთარ ჩხეიძე“ სანყისად ნიკოლოზ ჩუბინიძის შემობრუნებისა სამწერლო ასპარეზზე, და როგორც მიანიშნებდნენ — წიგნად შეკვრამდე მართლაც ზედხედ გამოაქვეყნებდა რამდენიმე მოთხრობას „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, მათგან კი ერთი მაინც „უგემური საკითხავი“ (წიგნის საერთო სათაურადაც შერჩეული) ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად გამოჩნდებოდა არა მხოლოდ მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არამედ ჩვენს სალიტერატურო პროცესშიც თავისი სიღრმითაც და ორიგინალურად აგებული, ფილიგრანულად დახვეწილი არქიტექტონიკითაც, ჩვენი ყოფის ტრაგინამს ასე ხელშესახებდა რომ განაცდევინებდა მკითხველს და...

თუმც ეს უკვე სხვა თემაა, თემა — მწერლის დაბრუნებისა ლიტერატურულ ცხოვრებაში ხანგრძლივი დუმილის შემდეგ და ერთბაში წარმატებისა, სალიტერატურო კრიტიკის შუაგულში რომ მოექცეოდა და მისი საჯარო განხილვა კი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გადაიქცეოდა ოთარ ჩხეიძის თავისებურ აპოლოგიადაც, კრებულში შესულ იმ ესეისაც ყველა გამომსვლელი რომ გამოარჩევდა.

ეს ერთი მაინც სანიშნოდ, ნინო ვახანიას გამოსვლიდან, მის კრიტიკულ წერილს რომ დაედებოდა საფუძვლად.

„განრისხებული ოთარ ჩხეიძე“ ამ ჟანრის შედეგიაო, — ისიც დაბეჯითებით გაიმეორებდა და მოკლედ და ზუსტად განსაზღვრავდა მის მნიშვნელობას:

— ნერო ოთარ ჩხეიძეზე ისე, რომ არ გადააჭარბო და არც არაფერი დააკლო, დიდი პიროვნების პორტრეტს შეჰმატო ერთი, საინტერესო შტრიხი, თან ისეთ ენობრივ ყალიბში მოაქციო, ისეთი ექსპრესიით დაწერო, რომ მკითხველის გულისყური და ინტერესი ერთი ნუთითაც არ გაანელო, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია და დიდ ოსტატობას მოითხოვს.

და უკვე იმის თქმის უფლებასაც მისცემდა თავს, განეცხადებინა: ეს ესეი დაამშვენებდა მსოფლიოს საუკეთესო ესეების ნებისმიერ კრებულს, რომელიც კი შესაძლოა გამოიცესო.

ნინო ვახანიას სტილისათვის ყოველთვის უცხოა პათეტიკა თუ ჰიპერბოლიზება და ამჯერადაც უთუოდ თავს შეიკავებდა, ერთი ნუთითაც რომ მოჩვენებოდა, გადამეტებული ქება ხომ არ გამომდისო.

თუ ვინმეს არ ესაჭიროება გადამეტებული ქება, მათ შორის ოთარ ჩხეიძესაც, ვინც გარშემომყოფთაც ამ აზრსა და განცდას უნერგავდა: ზედმეტი არაფერი გინდოდეთო, — და სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა ამ ხერხებითა და გზებით სწრაფვა გაუკვდავებისაკენ.

ეს კრიტიკულ-ესთეტიკური თხზულება კი მოხდენილად გვირგვინდებოდა იმ წრფელი აღიარებით, რომ ავტორს ესარბებოდა ნიკოლოზ ჩუბინიძისა, რომელსაც შემორჩენოდა რამდენიმე წიგნი, ზედ უწვრილესი ასოებით რომ ეწერა: ნიკას! ოთარ ჩხეიძე, — და... მეტი არაფერი.

ნიკოლოზ ჩუბინიძეც, თავის საბოლოო სიტყვაში, კარგა ხანს შეყოვნდებოდა ოთარ ჩხეიძის ფენომენსა და სტუდენტობის იმ ბედნიერ დღეებზე...

თუმც... ეს უკვე სხვაო...

ნინო დეკანოიძე

შეძახილი — სინათლისათვის

იმდღევანდელ ლიტერატურულ თავყრილობას უწოდებ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში დაჰყვა კურიოზიც. რასაკვირველია, სახალისო.

ნიგნის — „ძახილი ნისლში“ — განხილვა უნდა დაწყებულიყო უაფთოროდ, ლია კუხიანიძის გარეშე. ელოდებოდნენ მას ქუთაისიდან მომავალს. იდგა შესაფერისი მლელვარებაც, რომ აგვიანებდა, იმიტომ. აქაური წესით ხომ დათქმულ დროს არ გადაუხვევდნენ. გზაზე გამოსულნი კი იტყობინებოდნენ ფიჭური კავშირით — აი, უკვე გამოვცდით მცხეთასაც და ნუთინუთზე მანდ ვიქნებითო... ვილაცხას მოუთმენლობა წამოაძახებინებს დარბაზში — უპატიარძლო ქორწინებაო.

ელგუჯა თავბერიძეს კი ქუთაისიდან სისხამზე თადარიგინად გამოგზავრებულს, დედაქალაქში დაბინავებული შვილების მონახულებაც მოესწრო. ახლა კი სახლიკაცის შემწყნარებლობით, თუმცა მაინც მოზომილი უკმაყოფილებით, ჩაილაპარაკებს: აქ მოსვლა ვერ მოახერხა და მეგობრების ჩაურევლად ნიგნის გამოცემას რომ თავს ვერ მოაბამდა, ხომ ფაქტია?

მაგრამ ფაქტია ის, რაც ფაქტია — მრავალმხრივ საინტერესო ნიგნი, ემოციური, მაგრამ საბუთიანი და ანონილი სიტყვით გაჯერებული ნიჭიერი ლიტერატორისაგან დევს მაგიდაზე განსახილველად. წინდანის ეს ღონისძიებაც მოფიქრებულ-შეკრულია კომპოზიციურად. მოსაკლისებელია მხოლოდ ავტორი, ისევე რომ გზამია და აუცილებლად ჩაეთვლება დაგვიანება საპატიოდ. მიუთმეტეს...

შეფასებს ნაშრომს რუსტომ ჩხეიძე ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად.

— არ დარჩენილა მოვლენა ბოლო წლების საქართველოში, რომელსაც არ გამოხმაურებოდეს ლია კუხიანიძე როგორც ლიტერატორი, როგორც მოღვაწე. „ძახილი ნისლში“ არის ლიტერატურული წერილები, ნარკვევებისა და ესეების კრებული, რომელიც იწერებოდა კარგა ხნის მანძილზე და აერთიანებთ ეროვნული სულისკვეთება, ავტორის დაუმცხრალი მამულიშვილური განცდა და, შესაბამისად, უკომპრომისობა. მაგრამ მაინც, ყველაზე მტკიცეული მისთვის, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგისთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის არის დღევანდელი სკოლის პრობლემა — როგორ ისწავლება ჩვენი კლასიკა ეროვნულ სკოლებში; როგორ წარმოდგება თანამედროვე სამწერლო პროცესი და... აი ამ რაკურსითაა დანახული ჩვენი სალიტერატურო კრიტიკაც.

ძალზე სანდოა მისი ანალიზი, მისი დასკვნები — მასშტაბური. ყველაფერს დეტალური სიზუსტით მიმოიხილავს, ხელოვნურად არაფერს მოიხმობს: არცერთ ციტატას, არცერთ ავტორს. მის ნებისმიერ პუბლიკაციაში ძალიან კარგად ჩანს ქალბატონი ლიას ერუდიცია.

ერთი სიტყვით, ნიგნი, რის გამოც აქ შევიკრიბეთ, არის გამორჩეული ქმნილება და ლია კუხიანიძის წერილებსაც ისევე სჭირდება შეფასება, ანალიზი, როგორც თვითონ აანალიზებს სხვათა შემოქმედებას. და რაც საგულისხმოა, ის მიეკუთვნება ლიტერატორთა იმ წრეს, რომელთათვის მთავარია არა მხოლოდ ის, რას ამბობენ, არამედ — როგორ ამბობენ. მოგეხსენებათ, კრიტიკოსიც მწერალია და მასაც მოეთხოვება სტილის გრძობა; ეს თვითკურადაც იყოს მომხიბლავი. ეს ნიგნი მრავალმხრივი მსჯელობის საგანია თავისი პრობლემატიკით, თემატიკით, გნებავთ, არქიტექტონიკის თვალსაზრისით.

მოხსენებას ელგუჯა თავბერიძე ნაიკითხავს, ერთ-ერთი საუკეთესო კრიტიკოსი და გულისხმიერი პიროვნება, ვისი წვლილიც დიდია ამ კრებული გაშრობაში. ლია ის ადამიანია, უფრო სხვებზე რომ ზრუნავს, ვიდრე თავის თავზე. და ეს ნიგნიც გამოუცემელი დარჩებოდა, მიმოფანტული ქართულ პერიოდიკაში, რომ არა ელგუჯა თავბერიძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, დააძალა — საქმე ბოლომდე მიყვანა. მოეხმარა სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირად დაბეჭდილ-განხილულ წერილებს მოძიებამოკრებაში ამიტომაც მივიჩნიეთ, ბარემ, მასვე შეეფასებინა ლია კუხიანიძის კრებული „ძახილი ნისლში“.

ელგუჯა თავბერიძე: „ვიდრე უშუალოდ ნიგნზე ვისაუბრებ, ლია კუხიანიძეზე მინდა გითხრათ და, ცხადია, მოგონებით დავინწყებ. ერთი თაობის სტუდენტები ვართ და კერძოდ, იმ წლებს გავისხენებ, როცა იგი ლიტერატურაში შემოვიდა ჩანახატებით, მინიატურებით, ნოველებით, ორიოდ საყურადღებო მოთხრობაც გამოაქვეყნა. ერთი სიტყვით, დასაწყისი ჰქონდა საინტერესო, გამორჩეული და ყველგან, სახელოვნებო წრეებში თუ შეხვედრებზე, მოიაზრებდნენ იმედისმომცემ პროზაიკოსად. მერე კრიტიკამ გადასძალა, ზედიზედ დაბეჭდა ლიტერატურული წერილები. ნაშრომი ბლომდაც დაუგროვდა და მოვიწოდებთ გამოგვეცა მისი ნიგნი. რედაქტორია ბატონი როსტომი, და როგორც თვითონ ბრძანა, ნათლია მე ვიყავი. როცა სახელწოდებაზე მიდგა საქმე და სათადარიგო ვარიანტებიც მოინიშნა, ლიამ ჩემი რჩევა გაიზიარა. კერძოდ, კრებულში არის მაკა ჯოხაძის ერთ-ერთ მშვენიერ მოთხრობაზე წერილი „გულა-ძახილი ნისლში“. ამ ფრაზაზე უკეთესს რას მოძებნი-მეთქი და კიდევ განზოგადდა ნიგნის სახელწოდებად: „ძახილი ნისლში“.

ნიგნი მრავალფეროვანი გამოვიდა. თავმოყრილია ისეთი პუბლიკაციები, 20-25 წლის წინათ დაწერილიც ჯერ უწონდა „განთიადში“ რომ ქვეყნდებოდა და მერე თანდათან სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში და ეხმაურებოდა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, როგორც ქუთაისში, ისე თბილისსა და მთელ საქართველოში.

მომხსენებელმა ერთ-ერთი ადრინდელი წერილის დაწერის საბაბიც გაიხსენა, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ სწორად ნაკითხვის ხელოვნებას რომ ეძღვნება და ლამის 40 წლის წინათ დაწერილი ეს პუბლიკაცია დღესაც აქტუალურად მიიჩნია სიახლის ხიბლით.

— მთელი სისრულით წარმოგვიჩენს პრობლემას, ასურათხატებს შექმნილ ვითარებას და დაუფარავად გვიმხელს ავტორის სათქმელს — შუშანიკი არაა მარტო სარწმუნოებისთვის მებრძოლი, იგი ქვეყნის მთლიანობისა და ეროვნულობის შეგნებისთვის თავდადებული დედოფალი და დედაა.

ელგუჯა თავბერიძემ, ვიდრე საგანგებოდ ისაუბრებდა იმ პუბლიკაციაზე, „არსენა მარაბდელის“ სასკოლო პროგრამიდან ამოღების მიზეზებს რომ ამხელს, დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ლია კუხიანიძე არის სანიმუშო პედაგოგი, აღმზრდელი; რომ მართალია საკუთარი შვილი არა ჰყავს, სამაგიეროდ ჰყავს ძალიან ბევრი მოსწავლე, რომელნიც უკვე ნამონაფარ-დაფრთიანებულნი, არ ივიწყებენ და უყვართ როგორც მასწავლებელი, როგორც დედა.

და თითქოს საგანგებოდ შეერჩიოს მომხსენებელს ამ სიტყვებისთვის შესაფერისი წუთები და თითქოს მოლაპარაკებულნიც ყოფილიყვნენ, ერთბაშად აახმაურა დარბაზი ლია კარში შემოჭრილმა ახალგაზრდების გუნდმა, მხარი რომ დაემშვენიებინათ თავიანთი მასწავლებლისათვის, ვინც მორიდებული, მაგრამ ბედნიერი მოუძლოდა მათ.

ასეა, ვერ წაართმევთ ქუთაისელებს ყოფითობის მომხიბლობისთვის ნიჭს, არტისტიზმით გაჯერებული სიცოცხლით ტკობას, ლაზათსა და სიმარჯვეს. და ეს ის წუთები გახლდათ, შემოსწრებულთა გამო მასპინძელს რომ თავი ეწონებოდა და დაგვიანებას, რალა თქმა უნდა, აღარავინ ჩიოდა.

დარბაზის დაცხრომისთანავე ელგუჯა თავბერიძე აგრძელებს ნიგნზე საუბარს, უფრო სწორად „არსენა მარაბდელის“ შესახებ.

ლია წერილი თავიდან ბოლომდე არის მართლაც ის საბუთი და დოკუმენტი, რატომაც უნდა ისწავლებოდეს „არსენა მარაბდელი“ სკოლებში, და იქვე იმ საგულისხმო ვარაუდებსაც ამხელს, რატომ დასჭირდათ ამ ჩინებული ნაწარმოების სასკოლო პროგრამიდან ამოღება...

ელგუჯა თავბერიძემ ის წერილებიც დაახასიათა, თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და მიმდინარე პროცესებს რომ ეხმიანება. კერძოდ, **ლაშა იმედაშვილის** პოსტმოდერნისტული პროზაული ნიმუშის „**მათვის, ვისაც არ**

უომია“ — დედააზრი ძალიან კარგადაა გახსნილი. აგრეთვე, მაკა ჯოხაძის ორი მოთხრობის — „გულა“ და „უდაბნოს ქალი“ — მართლაც შედეგებდა აღიარებულების, ლიტერატურული ანალიზი ხაზგასმით გამოჰყო. და განმარტა: — „გულა — ძახილი ნისლში“ „ნუ გათათრდები“ მსგავსი შეძახილია, იმის დადასტურებაა, რომ ამ შეძახილებმაც თითქოს ძალა დაკარგა, ტონი დაუკნინდა. ამიტომაცაა ნისლში დღევანდელი ქართველობა: ესმის და... არც ესმის.

ხოლო კრიტიკოსის წერილების იმ ციკლზე ქართული პროზის კლასიკოსის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას რომ ეძღვნება, დასძინა: — ლია არის ერთ-ერთი თაოსანი, რომ ოთარ ჩხეიძე იცოდეს ძალიან ბევრმა მკითხველმა სიღრმისეულად.

პირველი წიგნი „მწერალი და საზოგადოება“ სწორედ ამ მწერლის შემოქმედებას უძღვნა. ის მუდმივად დასტრიალებს ოთარ ჩხეიძის ფენომენს — ანტიტერესებს იგი, როგორც მწერალი, როგორც პოლიტიკოსი, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი. ლია კუხიანიძის წერილი „ბორიაყზე“ ბევრ საგულისხმო დეტალზე დააკვირვებს მკითხველს, უფრო ღრმად ჩაახედებს მწერლის ნააზრევში, საბოლოოდ დაარწმუნებს, რაოდენ ახლოს იცნობს კრიტიკოსი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, არა მარტო „მატიანე ქართლისას“ ციკლის რომანებს, არამედ ნებისმიერ პუბლიკაციას — ნოველებს, პიესებს, პუბლიცისტიკას, ესეისტიკას“.

მომხსენებელი იმ წერილსაც გამოჰყოფს, სადაც კრიტიკოსი ენათმეცნიერ გიორგი გოგოლაშვილს ეხმაურება ჭირისუფლის პასუხისმგებლობით — „ვინ შეაჩერებს ჟორდანიებს ანუ რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს“ და მრავალი ფაქტითა თუ არგუმენტით ასაბუთებს, რატომ არ უნდა ზოგიერთ ვაიქართველს იაკობ გოგებაშვილის სახელი იყოს ფარზე აზიდული.

საგულდაგულოდ დახასიათებულ წერილებს შორის, მომხსენებელმა კრებულში თავმოყრილ რეპორტაჟებზეც გაამახვილა ყურადღება, კერძოდ „ნაპოლეონი ხარისთვალაზე“, როსტომ ჩხეიძის მიერ ნაკითხული ლექცია ამ დიდ მხედართმთავარზე, სწორედ ხარისთვალაზე, შაორის ტბის ნაპირას რომ მოისმინეს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა. აი, ამ ამბავს, რეპორტაჟად მოწოდებულს ელგუჯა თავბერიძე მიიჩნევს ესეიდ ავტორის ხატოვანი, სხარტი სტილის გამო.

მეტად მრავალფეროვანი მოხსენება დასრულდა ოპტიმისტურად: რომ ლია კუხიანიძე თავისი ცხოვრების წესით არის ნამდვილი მოღვაწე — მონოდებით მასწავლებელი. უნერგავს ახალგაზრდა თაობას სახელოვანი წარსულის პატივისცემას და უღვივებს რწმენას, რომ ზვალინდელი საქართველო უნდა იყოს უკეთესი და ეს საქართველო მათ უნდა ააშენონ.

ვიდრე მორიგ გამომსვლელს მოიწვევდეს, როსტომ ჩხეიძე გაახმაურებს, რომ ლია კუხიანიძე არის სული და გული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურული საღამოების გამართვა არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოშიც, რომ მას შეს-

წევს უნარი, ყოველი ასეთი შეხვედრა გახადოს სამახსოვრო, თავის მონაფებთან ერთად, ორიგინალური ჩანაფიქრით.

ლია კუხიანიძის „გუნდის“ მიერ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზის გადაცემამ ქუთაისის უნივერსიტეტში გამართული ერთ-ერთი ლიტერატურული შეხვედრაც გაახსენა როსტომ ჩხეიძეს. იქაც „გუნდური პრინციპით“ რომ შეჭრილა თავისი შევირდებით, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, გია ხოფერიას, საყვედური აღარ დაუფარავს: რა იცის ამ ლიამ, თავისი გუნდის გარეშე რომ არ დაიარება და გვიჩაგრავს ჩვენს სტუდენტებს, საპარლამენტო არჩევნები ხომ არ ჰგონიაო.

მერე კი თვითონ განავრცობს ახლანდელი მასპინძელი: ნეტა მართლა მონანილეობდნენ საპარლამენტო არჩევნებში ლია და მისი ღირსების ადამიანები, ჩვენი ქვეყნის საქმე მაშინ ხომ უკეთესად იქნებოდაო...

სიტყვით გამოსვლა კი სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს **სალომე კაპანაძეს** სთხოვა:

— მწერლობას უდავოდ აქვს ერის ცნობიერების მაორგანიზებელი თვისება. ლია კუხიანიძის „ძახილი ნისლში“ ამ შეგრძნებით იკითხება. მკითხველმა კიდეც ერთხელ აღმოაჩინა თავისი ლია კუხიანიძე, რომელიც არასოდეს ლალატობს იმ „ძველმოდურობას“, რომელიც განსაკუთრებით გვიბლავს მასში. როგორც როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, „ლია კუხიანიძე განაგრძობს არსებობას ნამდვილი სულიერი ღირებულებებით“. როცა კოსმოპოლიტი მუტანტები ირონიულად მიუთითებენ ამ იდეების მოძველებულ ხიბლზე, ლია კუხიანიძის თითოეულ წერილს ტრადიციულად ქვეყნის ფეხზე დამოგომის, ღირსების აღდგენისა და ერის გამოფხიზლების მარადიული სატიკივარი მსჭვალავს.

არ შემიძლია არ შევეხო მის მიერ განცდილ აფხაზურ თემატიკას. ლამა იმედაშვილის მოთხრობის „მათთვის, ვისაც არ უომია“, მისივე თქმით, „ყელში ბურთივით გაჩრილ ტკივილს“. მოთხრობის ერთ ეპიზოდში გაელვებული შაოსანი ქაღალე ქართლის დედასავით ნამოიანთება ჩვენ თვალწინ და ლია კუხიანიძის ეს რეფლექსია თითქოს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მოთხრობას. ამ სიმბოლურ სახეში მან მოულოდნელად მოაქცია მთავარი სათქმელი და ჩვენი ყოფიერების ამ დაუსაბამო სივრცეში უფრო მძაფრად დაგვანახა ომის, როგორც კაცობრიობის სიგიჟის, სახე.

როდესაც გურამ ოდიშარიას „პრეზიდენტის კატაზე“ წერს, ასე მგონია, ლია კუხიანიძეც სოხუმში დაიბადა, იქ გაიზარდა, ჩემთან ერთად იყო და ჩემსავით უყვარდა „ჩემი აკრძალული ქალაქი“. შეუძლებელია ეს განცდა ხელოვნურად შეუქმნა მკითხველს, თუ მართლაც „ერთი ჩვენგანი“ არა ხარ. როგორი მყარი, როგორი არგუმენტირებულია ლია კუხიანიძის მოსაზრებანი განათლებასთან დაკავშირებით. მშობლიურ ავტორიტეტთან დისტანცირების აპოკალიფსურ შიშს იგი ებრძვის სიტყვითა და საქმით. ამიტომაც ვხედავთ ასე ხშირად ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლაში როსტომ ჩხეიძეს, რომელიც „სამშობლოს სიყვარულის კურსს უტარებს“ ახალგაზრდებს. ამიტომაც ეგულება მარად ცოცხალ მესაიდუმლედ ქართული მწერლობის კლასიკოსი ოთარ ჩხეიძე. ამიტომაც გრძნობს და განიცდის ასე მაკა ჯოხაძის



ლია კუხიანიძე და ელგუჯა თავბერიძე

მწერლურ ფენომენს და ხატოვნად ამბობს: უბედო ბედის მქონე მწერალი ქალებიო.

მართლაც, დღეს სიცოცხლე მართო იმიტომ უნდა გიხაროდეს, გქონდეს მომავლის იმედი, რომ ქართულ მწერლობას არ ტოვებენ ღია კუხიანიძის სიფხიზლისა და ერთგულეზის, ქვეყნის მოზარეობის მტვირთველი, ფიქრიანი, „სამშობლოს სულში ჩამტყვი“ ადამიანები“.

ჩვეული ზუსტი აქცენტებით და ინტონაციებით შეაზავა სიტყვა დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პროფესორმა, პუბლიცისტიმა **იოსებ ქუმბურიძემ**:

„დღეს ღია კუხიანიძის წერილია „ახალ საქართველოში“. განხილვაზეც კარგად გამოვიდა. ყველას გამორჩეული მოეწონა გამოსვლა იმისი. მითუმეტეს ასე რო წარადგინეს, — სტუმარი ქუთაისიდანაო. ნიჭიერი ქალია. კარგადა ლაპარაკობს, კეთილსინდისიერია. შეზღუდულობას არ აჰყვება (1995, 25 ნოემბერი).“

ეს ოთარ ჩხეიძის დღიურის ჩანაწერია.

რამდენი ინტერბედა ასეთ ჩანაწერს.

ღია კუხიანიძე უდავოდ ბედნიერია.

ამ ჩანაწერიდან განსაკუთრებით ორი სიტყვა მშურს — ორი შეფასება:

1. კეთილსინდისიერია;

2. კარგადა წერს.

კარგად ბევრი ლაპარაკობს.

კეთილსინდისიერი კი ცოტაა.

კიდევ უფრო ცოტა წერს კარგად.

დიდ მხატვარს რომ ჰკითხეს, — მთავარი რა არის — რა თუ როგორ? პასუხი ასეთი მიიღეს — **ვინ!**

ნაწერში ძალიან კარგად ჩანს **ვინ**.

არაერთხელ მითქვამს როსტომისთვის, რა ბედნიერებაა, რომ თელავში არსებობენ როინ ჭიკაძე და მაცყალა მიქელაძე (არსებობდა განუმეორებელი ლილა შალვაშვილიც), ზუგდიდში — ზურაბ ცხონდია, ქუთაისში — ელგუჯა თავბერიძე და ღია კუხიანიძე — სხვაც არაერთი.

მართო დედაქალაქი ვერაფერს გახდებოდა, გულის ძგერა სრულიად საქართველოდან თუ არ მოისმის.

წინასიტყვაობა, რომელიც ღია კუხიანიძის წიგნს დაერთო, როსტომმა ასე დაასათაურა: „გულის ძგერასთან გათანაბრებული“.

გულის ძგერა ნაწერიდან უნდა ისმოდეს.

ნებისმიერი პიროვნების ნაწერში მის საკუთარ ფრაზას ვეძებ. თუ ვერ ვიპოვნი, ინტერესს ვკარგავ. ღია კუხიანიძის ნაწერში შეუძლებელია, მის ფრაზას ვერ მიაგნო. მისი ფრაზა გულის ფეთქვასავითაა — მღელვარე და სიღრმიდან ნამოსული.

აი, მისი ფრაზა:

„უოღო უიტმენმა, აბრაამ ლინკოლნმა, ზვიად გამსახურდიამ „მოულოდნელი ქექა-ქუხილივით“ (ზ.გ.) შეაკრთეს თავიანთი სამშობლოები. გაღვიძებულნი ბრძოლის ფინით ალავესეს, გასაღვიძებულნი — გააღვიძეს, გასაბრაზებულნი — გააბრაზეს და მათგან დარღვეული სიმშვიდით შეწუხებულნი — აღაშფოთეს“.

ღია კუხიანიძის არსებობა მიხარია და იმედით მავსებს სწორედ იმიტომ, რომ მას შეუძლია, გასაღვიძებულნი — გააღვიძოს, გაღვიძებულნი კი ბრძოლის ფინით ალავესოს.

მე მიყვარს ღია კუხიანიძე“.

დარინა ყურუა — ახალგაზრდა ლიტერატორი საგანგებოდ ჩამოვიდა ქუთაისიდან, რათა ღია კუხიანიძის წიგნი თბილისში შეეფასებინა. გულწრფელობით, პროფესიული ცოდნითა და ანალიზით განიხილა რა კრებული, მსმენელის მოხიბვლაც შეძლო.

ენათმეცნიერს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **გიორგი გოგოლაშვილს** ვიდრე სიტყვას შეასახელებს ლონისძიების თაოსანი, კიდევ ერთხელ გაახმაურებს სავალალო ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, დიდია საზოგადოების მონა-

დინება **იაკობ გოგებაშვილი** შეირაცხოს წმინდანად, ერთ-ორი ხელისშემშლელის დაჟინებით, ეს საქმე საეჭვოდ ბრკოლდება. და რახან გიორგი გოგოლაშვილი აქტიურადაა ჩაბმული, როგორც მხილებელი და შეუწყნარებელი მოკამათე, საინტერესოდ მიიჩნია აუდიტორიას მოესმინა მისთვის. მითუმეტეს, ღია კუხიანიძემ მხარდაჭერაც დაუდასტურა, საფუძვლიანი და არგუმენტირებულად მწვავე იმ პუბლიკაციით, ახალ წიგნშიც რომ ჰპოვა ადგილი.

გიორგი გოგოლაშვილი: — მაძლობა მინდა გითხრათ უპირველესად იმ პოზიციისთვის, რაც გამოხატეთ ლიტერატურულსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ არ ვართ განებივრებულნი იმით, რომ პრაქტიკოსი პედაგოგი იყოს კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე. არადა, ეს რომ საჭიროა, იმ წერილებიდან ჩანს, რაზეც იყო საუბარი ახლახან. „შუშანიკის ნაშევა“ ახსენეს აქ და აგრეთვე „არსენა მარაბდელი“.

სიტყვით გამომსვლელმა მოიგონა მთელი რიგი ბატალიები, რაც 80-იანი წლებიდან მოყოლებული გრძელდებოდა მხოლოდ იმისათვის, ესწავლებინათ თუ არა „არსენა მარაბდელი“ სკოლაში. მცდარი შეხედულებების, მაგრამ პოზიციაცამყარებულ ფუნქციონერებთან ვერაფერი გაანყო თითო-ოროლა მართლის მთქმელმა. ერთი სიტყვით, არ გამოუჩნდნენ ჯავახიშვილს სათანადო დამცველები. არადა, ღიას წერილში სწორედ იმაზე გამახვილებული ყურადღება, რის გამოც ეს ნაწარმოები უნდა ისწავლებოდეს, უსწავლელობამ კი ძალიან დააზარალა სკოლაო.

— რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილის ღვანლს, მოგეხსენებათ, ოცდახუთი წლისამ დაწერა პირველი სახელმძღვანელო, ოცდარვა წლისამ — „ბუნების კარი“, ოცდათექვსმეტისამ — „დედა ენა“... და ამის შემდეგ სულ ებრძოდნენ და ებრძვიან დღესაც. მართალია, ჰყავდა მხარდამჭერები სიცოცხლეშივე, მაგრამ მაინც თვითონ უწევდა პასუხი გაეცა შინაური თუ გარეშე მტრისათვისო.

სამწუხარო ისაა, აგერ XXI საუკუნის დასაწყისშიც რომ აგორდა კვლავ ბინძური ტალღა, იქამდეც კი მივიდნენ, რომ იაკობ გოგებაშვილი არათუ წმინდანად შეირაცხოს, ანათემას გადაეცეს როგორც არამართლმადიდებელი, ქართველების მტერი, უგულვებლმყოფელი ყოველივე ქართულისა. რა თქმა უნდა, ამან ალაშფოთა სწორედ ქ-ნი ღია და ამაზეა მისი წერილი: „ვინ შეაჩერებს ჟორდანიებს, ანუ რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს“. ეს ჟორდანიები, როგორც ჩანს, ეპოქებში დროდადრო ჩნდებიან ხოლმე, ამიტომაცაა მათი მხილება საჭირო.

შემდეგ სიტყვით გამომსვლელმა სადღეისო მრავალ საჭირობოტო საკითხავზე გაამახვილა ყურადღება. ის შეუწყნარებელი ლაფსუსები გამოკვეთა, რისგანაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაა გასაწმენდი. ბოლოს კი დასძინა: ღია კუხიანიძე რასაც აკეთებს თავისი მოღვაწეობით, თავისი წერილებით, გნებავთ თავისი არსებობით, ეს ძალიან სჭირდება საქართველოს, ქართულ ენასა და ლიტერატურასო.

რახან სიტყვამ მოიტანა, როსტომ ჩხეიძემ იმდღევანდელი მსჯელობის საგნად მოიხსენია ღია კუხიანიძის მიერ თარგმნილი წიგნი **„სამის შემდეგ უკვე გვიანია“** იაპონელი ავტორისა, პიროვნულად აღზრდის აუცილებლობას უკვე ჩვილობიდან რომ ასაბუთებს და ამბობს: სამი წლის ასაკიდან ყოველგვარი ძალისხმევა დაგვიანებული იქნებაო.

არც ტყუილად და არც გადაჭარბებით შეურქმევია როსტომ ჩხეიძეს სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგთა ერთ-ერთი გუნდისთვის „ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთა“. ერთ ფრაზად განმტკიცებული ოთხი არცთუ იშვიათი სიტყვა მაინც სხვანაირად ხშიანობს და ბუნებრივად გულისხმობს პროფესიულ სანდოობას, სანატრელ ადამიანურ ერთგულებას და მკაფიობს ნატვრას — აფხაზეთამდე არც ისე შორია.

იმდღევანდელ ღონისძიებაზე სალომე კაპანაძის დარად მოუხმინეს **წიწი ვახანას**:

— ნიგნში შესულ წერილთა უმრავლესობას მკითხველი პერიოდულად ეცნობოდა ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“, თუმცა ასე ერთად თავმოყრილმა უფრო ხელშესახებად, თვალნათლად ცხადყო — ავტორი და მისი პერსონაჟები ერთ საქმეს ემსახურებიან. ლიტერატურა მათთვის საშუალებაა, რომლითაც ქვეყნის მაჯისცემას აყურადებენ...

ალბათ ყველა ადამიანს ჰყავს თავისი საყვარელი მწერალი.

ლია კუხიანიძეს ჰყავს „თავისი“, „მშობლიური“ მწერალი (რომელიც ამავე დროს მთელი საქართველოს „საკუთრებაცაა“), ვისთანაც აღსარების სათქმელად სწორედ მაშინ მიდის, როცა გული ძალიან სტიკივა, როცა მთელი ძალით შეასკდება ხოლმე რაღაც დიდ და გადაუღებავ დაბრკოლებას... იცის, რომ ცხოვრების არსის შემცნობი, სულის მკურნალი მწერალი ყოველთვის კეთილგანწყობით შეხვდება და მარადიული ქვეყნიდანაც მის (მკითხველის, ქართველი ერის) ინტერესებს დაიცავს.

ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ რამდენიმე წლის წინათ ქალბატონმა ლიამ სადისერტაციო თემად ოთარ ჩხეიძის შემოქმედება აირჩია (და წარმატებით დაიცვა კიდეც) და ამ ნიგნშიც ყველაზე მეტი (ექვსი) წერილი ოთარ ჩხეიძესა და მის შემოქმედებას ეძღვნება.

ლია კუხიანიძეს, როგორც კრიტიკოსს, ვფიქრობ, სავსებით შეეფერება ეპითეტი „მამაცი“. მისი სიტყვა ხშირ შემთხვევაში მკაცრია. არ შეუძლია შეეგუოს სიყალბეს და ცხოვრება ჩვეულებრივად განაგრძოს. თავს ვალდებულად მიიჩნევს, გამოესარჩლოს „შუშანიკის ნამებასა“ და მის ავტორს, „არსენა მარაბდელსა“ და მის ავტორს, „ბორიასა“ და მის ავტორს. საქმე ისაა, რომ ქალბატონი ლია სულიერ ღირებულებათა გაუფერულების, დამახინჯების ცდას ალუდგება ხოლმე წინ და მაშინ უკან არ დაიხევს, კაჟის ქვასავით მაგარი ხდება. ზემოთქმულის თვალსაჩინო დასტურია წერილები: „კიდევ ერთხელ „შუშანიკის ნამების“ შესახებ“, „ვითომ მოძველდა „არსენა მარაბდელი?!“, „ვინ შეაჩერებს ჟორდანიებს ანუ რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს“ და სხვა. მოვლენათა ღრმად წვდომას, დაფარულის შეცნობას და სიმართლის სამზოვნე გამოტანას ნიჭთან ერთად უთუოდ გამბედაობაც სჭირდება.

ამ ნიგნში შეგხვდებათ ნაზი ლირიზმით გამსჭვალული წერილებიც, როცა კრიტიკოსი მაკა ჯოხაძის დახვეწილი პროზის შესახებ წერს, მისი სიტყვაც თითქოს უფრო მგრძობიარე ხდება, ოღონდ ისე, რომ სიმბავილეს, ცხადია, არ კარგავს. ვერსად ამოიკითხავთ უსაგნო, უმიზნო მსჯელობას. ყოველფრაზას თავისი განსაზღვრული ტევადი სათქმელი და დანიშნულება აქვს.

როცა ამ ნიგნს კითხულობ, თითქოს წინაპრების ხმაც გესმის, უძველესი და ვაჟკაცური ღაღადისი საუკუნეთა სიღრმიდან. იქვე წარმოსახვა მომავალსაც გიხატავს. კრიტიკოსი მარტო გონებით კი არა, გრძობითაც წერს. რასაც კალმით შეეხება, ყველაფერს სულს შთაბერავს, გააცოცხლებს, ცდილობს ბოლომდე შეიცნოს მოვლენის არსი და, რა გინდ მძიმე თემაზე მსჯელობდეს, მკითხველს სასონარკვეთილებისაგან იხსნის და სამყაროს სხვა ჰორიზონტს გადაუშლის. იგი ერთ-ერთი იმთავანია, ვინც დაძარღვეულ ფესვებზე სასურველ მომავალს ამინებს.

კარგა ხანი გავიდა „ბორიას“ დაწერიდან. სამწუხაროდ, ქვეყანა კვლავ მტერის კორიანტელში, კვლავ ნისლშია ჩაძირული. ჟამიჟამი მოისმის ხოლმე ამ ნისლში მართალ ქვეყნისთვის თავდადებულ კაცთა ძახილი. ნიგნის პერსონაჟებიცა და ავტორიც ნისლის გასაფანტად და ნათელი დღის მოსახლოებლად (დასამკვიდრებლად) არ გახლავან მოწოდებულნი...

რახან შეხვედრავს ვერ მოუხერხდა მოსვლა, **ნანა კუციას** მიერ გამოგზავნილი სიტყვა **თამარ ყალიჩავამ** ნაიკითხა:

„ლია კუხიანიძის „ძახილი ნისლში“ სათაურითვე განგვანწყობს დარდიანი, მაღალი ფიქრისთვის:

ერთი მხრივ, ვაჟასაგან „მთათა ფიქრად, კაცობის გვირგვინად“ ნახმობი ნისლი, მეორე მხრივ, ძახილი — უდაბნოში მლაღადებლის ხმის ასოციაციათა გამომხმობი — იმთავითვე ქმნის მისტიკურ ველს, ნიგნში (თუ ნიგნად) რომ განივრცობა.

ასეთი დახვეწილი, ღრმა კრებულთ მკითხველის წინაშე წარმოჩნდება არა მხოლოდ გონით, უპირველესად გულით მოაზროვნე ქართველი, რომლისთვისაც დროის სამივე ჰიპოსტაზი მთლიანობს, სამყაროს ერთიან ტილოს ქმნის.

გამორჩეულ ავტორთა ნაწარმოებებს უღრმავდება მკვლევარი — კრძალვით, პატივისცემით მიეახლება მხატვრულ ტექსტს. მხოლოდ ჩამონათვალზე კი შესწავლილი თხზულებებისა კრიტიკოსისადმი პატივისცემით განგვანწყობს — იაკობ ცურტაველის, მიხეილ ჯავახიშვილის, ოთარ ჩხეიძის, ჯემალ ქარჩხაძის, როსტომ ჩხეიძის, მაკა ჯოხაძის, გურამ ოდიშარის, ლაშა იმედაშვილის ერთდროულად ტრაგიკული და მზიური ნაწარმოებები შეუგულებია კვლევის საგნად.

ცურტაველის ჟამიდან ჯავახიშვილის წინასწარმეტყველურ პროზამდის, თუ უახლეს ქართული ლიტერატურის უკეთეს ნიმუშებამდე ამოახვევს ფიქრის გორგალს ნიჭიერი და ზნეობრივი მკვლევარი, მეათასედ რომ გაცნობიერდეს — წარმავალი რომაა სოფელი, „მოსწრაფებით [რომ] ირღვევა“ და „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“.

უკეთურს, უკეთურობას ვერ ნაუყრუებს ქართველი კრიტიკოსი, დიდ ნიგნებში ჩამყუდროებული, დიდი ავტორების მაღალი საფიქრალით გულგასენილი.

უოლტ უიტმენის, აბრაამ ლინკოლნის, ზვიად გამსახურდიას წმინდა აჩრდილებს როსტომ ჩხეიძის ტექსტიდან ესეიში იმისთვის გამოიხმობს, „ყოველთა დამამხოველი სანუთროს“ ამოვებაში ზნეობის მარადი კატეგორიის არსსა და რაობას ჩაუღრმავდეს; „ბორიასის“ ციტატას, გურანდუხტ არჯვენელის ამონაკვეთს უკომენტაროდ დაუდასტურებს (ან რა კომენტარს იგუებს ტრაგიკულის წინასწარმეტყველება თუ სულაც — კონსტატირება?!): „ფუჭი იმედი სასონარკვეთაზე უარესია. რილას იმედით... უამრავი თესლი მიმოხნეულა ერთ ციცქნა მინა-წყალზედა. მინასა ჰფიტავს თესლი უამრავი, კეთილ თესლს ველარ შეენევა მწირი ნიადაგი და ველურის თესლი გაიდგამს ფესვსა. გადაშენდება იფქლი იგი და ძირმწარე მოედება იქაობასა. თუ გადაშენდა — ეგ კიდევ არაფერი. გადაჯიშდება იფქლი იგი, ძირმწარედ იქცევა იფქლიცა“.

ციტატა ნიგნის მთავარ ტკივილს იმარხავს. ასეთი ამონარიდებით სავსე ნიგნია „ძახილი ნისლში“, ლია კუხიანიძე კი მკვლევართა იმ დასისაა, გამოგონილი, რიოში „იზმების“ ლაბირინთებში კი არა, სულის იდუმალ ნიაღში რომ ახეტიალებს მკითხველს — სიტყვა-ლოგოსის მსახური“.

რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა აუდიტორიას მოესმინა მწერალ **მაკა ჯოხაძისათვის**, ვისი მშვენიერი პროზა მოუხსენიებელი არცერთ სიტყვით გამომსვლელს არ დარჩენია:

— მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. ამ რანგის ნიგნზე საუბრისას, მოგესხენებათ, შესაფერისი მომზადებაა საჭირო. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე შტრიხით შემოვიფარგლები. მით უფრო, რომ — ამ სოლიდური ნიგნის თითქმის მეოთხედი ნაწილი ჩემს მოთხრობებზე დაწერილ წერილებს ეხება.

ლია კუხიანიძე როგორც ადამიანი და როგორც პროფესიონალი ჩემი ცხოვრების გვიანი, მაგრამ უძვირფასესი შენაძენია. მე მის ყოველ აზრს, ზოგადად ლიტერატურაზე, ძალიან ვუფრთხილდები. იგი უნიჭიერესი ლიტერატორია, მაგრამ ამაზე მთავარი ისაა, რომ ძლიერი პიროვნებაა. საოცრად მეიმედება ამ ორი რამის თანხვედრა. მეიმედება ისიც, რომ ასე კარგად ესმის პირადად ჩემი. ეს იშვიათი და უაღრესად სასურველი რამ გახლავთ მწერლისათვის. მასხოვს ერთხელ მის ლექსებზე დაწერილი ერთი თხზულების გამო ცოტათი შემცბარმა და გაკვირვებულმა ანა კალანდაძემ გამიმხილა: გაგიჟდება კაცი, ისეთ რამეს დაგაბრალებენ, სულ რომ არ გიგულისხმია.

ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ პირადად ჩემთვის კრიტიკა, ესეი, წერილი შემოქმედების სფეროა, ასე რომ, მარტო პროფესიონალიზმი არაფერს ნიშნავს, თუ შემოქმედებითი ნატურაც არაა ადამიანი.

როდესაც „უდაბნოს ქალზე“ ლია კუხიანიძის წერილი წავკითხე, ეს ჭკვიანი ქალბატონი თავიდან აღმოვაჩინე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მართალია ლია კუხიანიძე დიდი მწერლებს უღრმეს შრეებშიც არაჩვეულებრივად იკვლევს გზას და ამ ფაქტით არაერთგზის აღფრთოვანებულვარ, მაგრამ, დამეთანხმეთ, მაინც სხვა სიხარული და გაოცებაა, როცა ალტერატივი შენს მხატვრულ წარმოსახვებს, ტროპებს, მეტაფორებს, შენს კონცეფციას, მსოფლალქმას, სამყაროსთან დამოკიდებულებას ასეთი სიზუსტით იგებს. კითხვის პროცესში აღმოვაჩინე, რომ ჩემი გულით, სულით, ჩემი მზერით ხსნიდა და კითხულობდა ჩემსაკვე სამყაროს... მის მახვილ მზერას და ინტუიციას არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი.

საერთოდ, ლია კუხიანიძის შემოქმედებაში განსახილველი ტექსტის მხატვრული ქსოვილისადმი მიდგომა არაჩვეულებრივი, ვიტყვი, არასტანდარტული ზრუნვითა და სიფაქიზით გამოირჩევა. რადგან მან ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს ამ მთლიანობის დარღვევა, გამოშინება, დანაწევრება. ეს ერთგვარ ოპერაციას ჰგავს, ნეიროქირურგის მიერ ჩატარებულს. ლია, მხატვრულ ქსოვილთან მიმართებაში მაღალი რანგის ქირურგია.

ახლა ორიოდ სიტყვით მის პიროვნულ თვისებებზეც — მოგესვენებათ, ისტორიულად მუდმივად და საუბარი ქართველი ქალის ფენომენზე. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტად მძაფრდება ჩვენს სინამდვილეში, როცა ამდენი მიზანმიმართული თუ სპონტანური პრობლემა გაჩენილი და თითქოს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქალი ქალს არა ჰგავდეს და კაცი — კაცს. რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირი დარტყმაა ოჯახის ინსტიტუტზე.

ოდითგან ქართველი ქალისათვის, კაცის შეფასების დროს, უმთავრეს კრიტერიუმს როგორც პიროვნული, ისე ეროვნული ღირსების დაცვა წარმოადგენდა.

ლია ისე ცხოვრობს და ისე იღვნის, რომ კაცის შეფასებისას საუკუნეებამოვლილად ეს კრიტერიუმი მისთვის არასოდეს შეცვლილა და გაფრთხილებულია. აქედან — მისი მყისიერი რეაქციები საჭირობოროტო საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ასე არბევს და არყვეს ჩვენ ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც გზას უხსნის სკეფსისს, ნიჰილიზმს და ათას ბოროტებას. ამის ბოლოდროინდელი მაგალითია თუნდაც ის წერილი, რითაც იგი იაკობ გოგებაშვილის სახელთან მიმართებაში ატეხილ მოულოდნელ ე.წ. „შეფასებებს“ გამოეხმაურა და გიორგი გოგელაშვილთან, იოსებ ჭუმბურიძესთან, როსტომ ჩხეიძესა და სხვებთან ერთად თავისი მკვეთრი პოზიცია გამოხატა ამ საშიში ტენდენციისადმი.

ალარავინ და ალარაფერი რჩებათ ხელშეუხებელი, და მაინც საოცრად მტკივნეული და, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მოულოდნელი იყო იაკობ გოგებაშვილის „ხელყოფა“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „აი იას“ გრაფიკული მოხაზულობა, რითაც მშობლიური ანბანის სწავლება იწყება ქართულ ენაში, ნამდვილი გასხვივება, ღვთიური მადლით დანახული ხატია და უფაქიზესი ჩვენება ყვავილთან ჩაჩოქილი ბავშვისა სამუდამოდ იბეჭდება ჩვენს მესხიერებაში.

იაკობ გოგებაშვილის ხელყოფა პირდაპირ ენის ხელყოფად აღიქმება ჩვენს მსოფლგანცდაში. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ენის უდიდესი სპეციალისტი და მეცნიერი ჰუმბოლტი პირდაპირ კრძალავდა უცხო ენის შესწავლას გარკვეულ ასაკამდე, მანამ, სანამ პატარა საკუთარ, მშობლიურ ენას არ შეითვისებდა. ჰუმბოლტი ამბობდა, რომ ენა გალაქტიკაა და ორი ენის შეჯახებისას ეს გალაქტიკები იმსხვრევა (უიშვიათესი გამონაკლისის გარდა). ეს მსხვრევა განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვისაა საგანგაშო, რომლებიც სიტყვიერი ხე-

ლოვნების ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. ამ დროს ზიანდება, ფერხდება შემოქმედებითი პროცესი.

ამ თეორიას ჩვენს სინამდვილეში — ბოლომდე იზიარებდა ბატონი **გურამ რამიშვილი**, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შექმნა თბილისში გერმანული სკოლა. ისიც უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ, რომ გურამ რამიშვილმა დისერტაცია სწორედ ჰუმბოლტზე დაიცვა საბჭოურ პერიოდში, და თანაც გდრ-ში კი არა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ლიტერატურული სამყაროსათვის ცნობილია ლიას დიდი ცოდნა და სიყვარული ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისადმი. პერიფრაზით აღვნიშნავ ლიას სიტყვებს: ბევრი მწერალი მიყვარდა, მაგრამ ბოლოს მაინც შინ, ოთარ ჩხეიძესთან დავბრუნდი.

არაჩვეულებრივია სახლში დაბრუნება და ამ სიყვარულში ნამითაც არავის შეეპარება ეჭვი. მით უფრო მაშინ, როცა დიდი განსაცდელის ჟამს ლია კუხიანიძე ლია წერილს კი არ სწერს ვინმეს და პრესაში კი არ აქვეყნებს, არამედ ისევ იმქვეყნად ნასულ მწერალს ესაუბრება. ისევ იგი ეგულება მშველელად და საყრდენად.

ამ ამბავმა 90-იან წლებში ე.წ. თბილისის ომის დროს დანგრეულ და გადაბუგულ რუსთაველზე ტყვიებს გადარჩენილი ილიას და აკაკის ძეგლი გამახსენა. ისეთი განცდა მქონდა, რომ ისევ ესენი რჩებოდნენ ქვეყნის პატრონებად, ისევ ესენი, ამდენ მკვდარში ორი ცოცხალი.

საერთოდ ცალკე დიდი თემაა ლიას სიყვარული თავისი მოსწავლეებისადმი. ეს სიყვარული ორმხრივია და, ასე მგონია, ლია კუხიანიძესავით ახალგაზრდებისა არავის ესმის.

ვაუთავებლად შემიძლია ამ ლამაზ, ჭკვიან ქალბატონზე საუბარი, მაგრამ აღარ გადავლით, ვგრძნობ, რამდენს უნდა, რომ მიულოცოს და მიეფეროს.

იგი ღირსია ამ სიყვარულისა, უფლის ყველაზე უანგარო საჩუქრისა ამ ქვეყანაზე.

გახანგრძლივებულ, მაგრამ უკვე დასასრულისკენ მიდრეკილ ღონისძიებაზე ლია კუხიანიძეს შემოქმედებითი წარმატებები უსურვებს და შეზავებულად მის პიროვნულ ღირსებებზე ისაუბრებს ქუთაისელმა პედაგოგებმა, როგორც მეგობრებმა და კოლეგებმა, **ლალი მიქაძემ და ივლიანე ნაჭყებია**.

და როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვანაირი სადღესო და საჭირობოროტო საკითხებიც გახმოვანდა. თბილისელმა პედაგოგმა, ანუ როგორც თვითონ იხუმრა, მეორე **ლალი მიქაძემ**, არქიტექტორმა **შოთა ბოსტანაშვილმა**, ჟურნალისტიმა **ვახტანგ ბახტაძემ** ისეთი თემები გამოაცალკევებს სადისკუსიოდ, გულგრილობის საბაზს რომ არ იძლევა, მითუმეტეს, მიზნურობის: კერძოდ, ჩინების ჩამოსახლების საბედისწერო ამბავი, ქართული ინიცების გასხვივების ტრაგედია და ე.წ. რესტავრაცია ბაგრატიის ტაძრისა, გადარჩენა ისტორიული წარსულისა თუ ნაშლა, რიტორიკული შეკითხვების ავტორები, მართალია პასუხებს თვითონვე ვერ ფარავდნენ, მაგრამ იყო აშკარა — დარბაზის მხარდაჭერას უფრო ელოდნენ.

როსტომ ჩხეიძე განავრცობს: დღეს 9 აპრილია, სიმბოლური დღე. და ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ოფიციალურად გამოცხადება დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილი. რამდენიმე წერილი მაქვს ამის თაობაზე დანერგილი და მიზეზიც ახსნილი, თუ რატომ სურდათ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებებს ამ დღის მიყრუება და მის ნაცვლად 26 მაისის წამოწევა — ეგებ როგორმე მიეჩვენათებინათ ზვიად გამსახურდიას ღვანლი და ნოე ჟორდანიას შემოეჩხირათ საზოგადოების თვალთახედვაში. კი მაგრამ, აღარ უნდა დასრულდეს ეს პოლიტიკური ოინბაზობა?! ჯერჯერობით რალაც ვერ ვაწყობთ. რა — კვლავაც ნისლში უნდა დავბორი-ალებდეთ და იქიდან ვანვდენდეთ ხმას ერთმანეთს?!

ეკა ბუჯიაშვილი

ცოტა მეტი ფერი და... ცოტა მეტი თავისუფლება

ხდება ზოგჯერ ასეთი რამეებიც: ბავშვობის ოცნებები რეალობად რომ ექცევათ ხოლმე.

ჯერ კიდევ პატარებმა, სამყაროში თვალის გახელას რომ იწყებენ, მაშინვე რომ იციან, დიდობაში რას უნდა დაუკავშირონ ცხოვრება.

თამთა სოსელიამაც 3-4 წლიდან იცოდა, რომ „მოდა გამოვიდოდა“. ზუსტად არ იცოდა, ეს „მოდა“ რა იყო, მაგრამ მხატვრების ოჯახში დაბადებული ბავშვისათვის პალიტრაცა და ეს უჩვეულო სამყაროც თავიდანვე ახლობელი ხდება ხოლმე და ისიც თავის დასთან, დეასთან, ერთად ჩუმად ეპარებოდა ხოლმე მშობლების ფუნჯებსა და საღებავებს, ბაბუასთან ნავიდოდა სახელოსნოში, ნახატები ხვდებოდა, ბებიას თავისი ნამუშევრები ჰქონდა, თითოეული თავისებურად ხატავდა, ერთმანეთს არ ჰგავდნენ და ყველა ერთნაირად მოსწონდა, თუმცა... მამა ძველი თბილისის თემაზე რომ ქმნიდა ტილოებს და ქუჩებში ქვაფენილს „აგებდა“, განსაკუთრებულად იტაცებდა და ცდილობდა, თვითონაც დაეხატა იგივე.

მე-5-6 კლასში მტკიცედ გადაწყვიტა, რომ აკადემიაში ჩააბარებდა და „მოდა“ კი არა, დიზაინერი გამოვიდოდა.

მას შემდეგ აზრი არ შეცვლია.

დასახულ მიზანს კიდევ შეასრულებს:

აკადემიასაც დაამთავრებს დიზაინის განხრით და ორ კოლექციასაც მოამზადებს, არადა...

— ბავშვობაში ბარბებისათვის რომ ვკერავდი კაბებს, მშობლები ფიქრობდნენ, რომ ჩვეულებრივი, პატარა გოგოს გატაცება იყო. მერე, როცა მიხვდნენ, რომ ამას სერიოზულად ვუყურებდი, სიხარულით არ შეხვედრიან. მეც და ჩემს დასაც გვირჩევენ, ისეთ პროფესიას დავუფლებოდით, საიდანაც სტაბილური შემოსავალი გვექნებოდა, მაგრამ...

მხატვრების ოჯახში რომ არ დაბადებულიყო, ასე ჰგონია, ისტორიკოსი იქნებოდა და ბავშვებს ქართულ ისტორიას ასწავლიდა, მაგრამ გამოვიდა დიდი ხნის ოცნების ასრულება და მთელი არსებითაც ჩაეფლო ამ საქმეში.

აკადემიაში სწავლისას ორი კოლექცია შექმნა — სადილო მოდო, სადაც ხუთი კაბა გაერთიანდა, და თბილისის მოდის კვირეულისათვის, დამწყები დიზაინერები რომ მონაწილეობდნენ. ტანსაცმელში თბილისური სახლების არქიტექ-



თამთა სოსელია

ტურული ელემენტები გამოიყენა, აი, მაგალითად, კრამიტი, აქსესუარებში — ასომთავრული ანბანი. ბევრი რამ ხელით უნდა დაემუშავებინა, ამიტომ ამ ათი კოსტიუმის შექმნას ექვსი თვე დასჭირდა. ახლა ტყავსა და ზამშზე მუშაობს. თარგი გამზადებული აქვს, ფერები და ორნამენტები კი მუშაობისას იკვეთება.

სამაგიეროდ, ტანსაცმლისათვის ჯერ წინასწარ იქმნება ჩანახატები, კონცეფცია მუშავდება და მერე ამ ყველაფრის შედეგი ერთიანად წარდგება ხოლმე მნახველების წინაშე.

ფერწერა კი... ერთგვარი ჰობია, თუმცა ალბათ ჰობზე ცოტა მეტიც, რადგან საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა გამოფენაში სწორედ ფერწერული ტილოებით მონაწილეობს, და როცა უცხოელები თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ, როცა მისი ნახატები იყიდება კიდევ, ეს ისეთი სტიმულია, ისეთი... ახალი ენერჯით ბრუნდება სამშობლოში და ახალი შთაბეჭდილებებით იწყებს მუშაობას — ფერწერაშიც და დიზაინშიც.

— ეს ორნამენტი სად შეიძინეთ ან ვის გააკეთებინეთ? — ეკითხებიან ხშირად უცხოელები, გაოცებულნი რომ ათვალთვლებენ ამ უჩვეულო ხვეულებსა და ფერებს, და როცა პასუხობს, რომ თავისია, საკუთარი ვარიაციებია — ძირითადად ხევესურულ ორნამენტებზე — გათანამედროვეებული ფერებით, რალაცნაირი სიამაყის გრძნობა იპყრობს მათი გაკვირვებული სახეების დანახვაზე.


— ჩემთვის ტანსაცმელიც ფერწერაა, რადგან კონცეფცია სწორედ ფერებზეა აგებული. ხშირად ასეც ხდება — ფერწერაში მუშაობისას ის ყველაფერი მერე ტანსაცმელზე აისახება ხოლმე.

ოღონდ ფერწერა ძირითადად ჩემი ემოციებია, ჩემი განწყობილება, ტანსაცმელი კი ცოტა სხვა რამაა, თუმცა ორივე ერთად მავსებს.

განწყობა როგორ მოდის?

შესაძლოა, ჩემი მეგობრის სევდა თუ სიხარული გადმომედოს, ხშირად ბუნებაში გავდივარ და იქ ყველა დეტალი, ბალახი იქნება თუ კენჭი, უცხო ადამიანი — შემთხვევითი გამვლელიც კი — განწყობას მიქმნის.

ამ განწყობით იბადება ფერწერული ტილოები, რომ-



ლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ საფრანგეთში, ჩეხეთსა და გერმანიის რამდენიმე ქალაქში წარადგინა გამოფენებზე, სამშობლოში კი სხვადასხვა სტუდენტურ ექსპოზიციაშიც მონაწილეობდა. საზოგადოებას ქართული ლიტერატურის მუზეუმში გამართულ გამოფენაზე — ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიური საგა — უკვე ცნობილი თუ დამწყები მხატვრების უამრავ საინტერესო ილუსტრაციას შორის თამთა სოსელიას ნახატებიც ახსოვს.

მოდის სახლი კი ალბათ ადრე თუ გვიან აუცილებლად ექნება.

ამაში თუნდაც მისი ხელნაკეთი აქსესუარების ნახვით დარწმუნდებით, უკვე რომ მოასწრო მნახველის მოხიბვლაცა და პოპულარობის მოპოვებაც.

მას თუ ჰკითხავთ, ცოტა რთულია, თორემ სიამოვნებით ექნებოდა მოდის სახლი.

რთული კი ეს ყველაფერი ამიტომაცაა: გარდა იმისა, რომ დიდი ფინანსები სჭირდება, მისი ტანსაცმელი ძალიან სპეციფიკურია — მასაზე არ არის გათვლილი და შეიძლება მოენონოთ მათ, ვისაც განსხვავებული ჩაცმის სტილი აქვს — იდეებზე მუშაობა ხომ სხვა რამაა, მოდის ტენდენციებზე კი — სხვა. ამიტომაც ასეთი ნიმუშების რეალიზება რთულია.

საერთოდაც, მიიჩნევს, რომ ქართული მოდის სფეროში დღეს ქაოსია.

— პირველ რიგში, მოდის კრიტიკოსები არ გვყავს, რომლებიც მოდის კვირეულებზე შეგვაფასებენ, მოგვიწონებენ რამეს ან სამართლიანად გაგვაკრიტიკებენ. სწორედ ამიტომაც ჯერ კიდევ ბევრი დრო გვჭირდება იმისათვის, რომ მაღალ მოდას მივუახლოვდეთ.

თვითონ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, როგორც დიზაინერს, თავი ჯერ არ წარუდგენია, თუმცა ახლახან 40 აქსესუარი კულტურის სამინისტრომ შეიძინა და სტრასბურგში წაიღო ქართულ დღეებზე.

— ჯერ არც ფერმწერი ვარ და დიზაინერადაც ბოლომდე არ ჩამოვყალიბებულვარ. ეს უფრო ძიების პროცესია. ხელიც არ მაქვს განაფული და თემებიც მაინცდამაინც არ არის გამოკვეთილი...

აი, ფერებიდან კი გამორჩეულად მომწვანო-ფირუზისფერი მოსწონს, შავი მის ნახატებში მგონი საერთოდაც არ არის. ფორმებში აბსტრაქცია სჭარბობს, ეს ყველაფერი უფრო ექსპრესიულია, ემოციური და მთლიანად მის განწყობილებებზე აგებული.

— მომწონს აბსტრაქცია, ფიგურატიული ნახატებიც მომწონს, ბევრი მიმდინარეობა მიტაცებს, მაგრამ ამ ეტაპზე ექსპრესიონიზმი უფრო ახლოსაა ჩემთან.

აკადემიაში სწავლის დროიდან მახსოვს, რომ ჯერ უნდა ააშენო და მერე დაანგრიო. ამიტომ მეც სწორედ ამ სწავლებით დავინყე და ახლაც ხშირად ვიყენებ ხოლმე.

საერთოდაც, ვცდილობ, ყველა ჟანრში ვიმუშაო.

ახლა ბევრნაირი სტილია ფერწერაში, ერთი კონკრეტული მიმდინარეობა არც არსებობს. მგონი საერთოდ ხელოვნებაშია ძიების, დუღილის პროცესი და რამდენიმე წელიწადში გამოიკვეთება ღირებულებები და გადასაფასებელიც. ამ ეტაპზე კი შედარებით წინ წამოინია პერფორმანსმა და პოპ-არტმა.

ხელოვნებამ შეძლო გაეღწია ჩარჩოებისგან, დაეგრია კლასიკური ფორმები, დაერღვია დოგმები და ახალი სიტყვა მოეტანა, მაგრამ... კლასიკური დეტალები ყოველთვის იჩენდა ხოლმე თავს ნებისმიერ ფორმაში, ხაზში, სილუეტში... და როგორც უნდა უარყო ეს ყველაფერი, კლასიკა ყოველთვის დარჩება, რადგან ხელოვნება სწორედ მასზე დგას.

როცა ხელოვნებასთან ზიარება ოჯახურ ტრადიციად მოგყვება, ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ გზა გაკვალულია და შედარებით იოლად შეიძლება დაიმკვიდრო თავი ამ ასპარეზზე, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. ის, რაც ბებიამ, ბაბუამ, დედამ და მამამ შექმნეს, იმათი გზა იყო, შენ რომ დაიმკვიდრო თავი, საკუთარი გზა გჭირდება.

— კი, როგორ არა, რალაც ეტაპამდე ალბათ ასეც არის — გეხმარებიან, გირჩევენ, შენიშვნებს გაძღევენ, გამოცდილებას გიზიარებენ, მაგრამ მერე... ხელოვნებაში ასე ხდება — თუ ინდივიდუალიზმი არ გაქვს, თუ შენსას, ყველასგან გამორჩეულს არ ქმნი, თავს ვერ დაიმკვიდრებ, როგორი გაკვალული გზებითაც უნდა იარო.

კიდევ იმას ამბობს, რომ ხელოვანი ადამიანების მიმართ საზოგადოებისაგან ცოტა, როგორ გითხრათ, ფრთხილ დამოკიდებულებას გრძნობს — როცა გხედავენ, რომ სხვანაირად გამოიყურები, ყველას არ ჰგაფხარ, ფერადი სამოსითა თუ განსხვავებული გარეგნობით იქცეე ყურადღებას, ჰგონიათ, რომ აგრესიული ან ზედმეტად თამამიც ხარ. არადა, სინამდვილეში ასე არ არის, უბრალოდ განსხვავებული სამყარო გაქვს, რომელშიც ცოტა მეტი ფერია...

და ცოტა მეტი თავისუფლებაც.

ხანდახან მაინც განვიციდი იმას, რომ — ჩემი მეგობრებივით — დილით არ გავდივარ სადმე, კეთილმოწყობილ ოფისში, და საღამოს არ ვბრუნდები შინ, ყოველთვის არ ველოდები სტაბილურ ხელფასს, შესაბამისად, ვერც სხვებივით ვგეგმავ ჩემს ცხოვრებას — თუმცა კი არც მიყვარს წინასწარ საუბარი ჩემს გეგმებზე, რადგან ლაპარაკი ბევრ რამეზე შეიძლება, მთავარია, რას განახორციელებ. მეც მირჩევნია, მერე ვისაუბრო, უკვე გაკეთებულზე, მაგალითად, როცა შევისრულებ მიზანს და მაგისტრატურას დიზაინის განხრით ვეროპის რომელიმე სამოდლო სკოლაში გავივლი. ახალი პროექტიც მზადდება თემაზე „ჩემი ფუნქციონირი“, სადაც ასევე ვაპირებ მონაწილეობას ფერწერული ტილოებით, მაგრამ ეს ჯერ გასაკეთებელია, ისევე როგორც ბევრი რამ, რაზეც ვფიქრობ.

ჯერ ვცდილობ, განუწყვეტლივ ვიმუშაო.

მერე გასხენდება, რომ მოგწონს ეს შენი თავისუფლება — როცა არ გაქვს ყოველდღიური ვალდებულებანი და პასუხისმგებლობანი, დილით სამსახურში არ გაგვიანდება, როცა მოგესურვება, მაშინ ადგები და იმუშავებ, თუ გინდა, კვირიდან კვირამდე გადაიხვენი სადმე, კარავში გაათევ ღამეს და დაელოდები განწყობას საკუთარ პალიტრასთან განსამართლებლად... და აღმოაჩენ, რომ ბედნიერი ადამიანი ხარ...

უბედნიერესიც კი.

და გიხარია, რომ შენი ყოფითი ცხოვრება სხვებისას არ ჰგავს.



ვივი ალხაზიშვილი

დღიური

7 სექტემბერი

წყანრი ოკეანის რუსული ფლოტის ოთხი სამხედრო ხომალდი მიემართება ვენესუელისკენ.

რუსები შეურაცხყოფილი არიან ნატოს ამერიკული გემების შავ ზღვაში ყოფნით, საეჭვო ჰუმანიტარული დახმარებით, როგორც თვითონ თვლიან. გაღიზიანებას ვერ მალავენ და საქართველო რომ ამჟამადაც თავისი ჰგონიათ აშკარად ჩანს მათ საქციელში. ანიოკებული და დაბომბილი ქვეყნის დახმარება ალაშფოთებით და სურვილი აქვთ ყველამ ზურგი გვაქციოს და საჯიჯგნად ოკუპანტებს შეგვატოვონ.

უგო ჩავესი სიხარულს ვერ მალავს რუსული ფლოტის სტუმრობის მოლოდინში და იმედს გამოთქვამს, რომ რუსების სამხედრო თვითმფრინავებიც შეისვენებენ ხოლმე ვენესუელის აეროდრომებზე და გაინავარდებენ მის ლაჟვარდოვან ცაში.

კუშნერი იმედოვნებს რომ რუსეთი უფლებას მისცემს ევროკავშირს, რათა ეუთოს ეგიდით განათავსონ სამხედრო დამკვირვებლები საქართველოში იმ ტერიტორიებზე, რომელსაც რუსები აკონტროლებენ. არავის არ დაუსვამს კითხვა – რა უფლებით აკონტროლებენ და ასე ლოლიავ-ლოლიავით, ფერებ-ფერებით უნდათ ჩაანაცვლონ მათი სალდათები.

8 სექტემბერი

სარკოზი ჩადის მოსკოვში, მერე კი თბილისში ჩამოვა. ისევ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე იქნება საუბარი და ეუთოს დამკვირვებლებზე. რუსეთის არცერთი სიტყვის არ მჯერა.. დარწმუნებული ვარ ისევ ჭირვეულობას დაინყებს და ახალ მოთხოვნებს წამოაყენებს. შავ ზღვაში შემოსულ გემებს მოიმიზეზებს ან ემბარგოს მოითხოვს ანდა შემოტანილი ტვირთის შემოწმებას. თითქოს თვითონ სრული უფლება აქვს ჩვენი ტერიტორიების მიტაცების და იქ უზარმაზარი შეიარაღების და ცოცხალი ძალის განლაგებისა. აი, რატომ მოიგონეს ბუფერი და რატომ დათარეშობენ საქართველოს კუთხეებში. გაღმა შეგვედავება. აბა, რა უშლიდა ხელს დღემდე რომ არ შეასრულა არსებული ხელშეკრულება და ჩატოვა მშვიდი ჯარისკაცები ფოთთან, სამეგრელოში და შიდა ქართლში?! დღეს ვნახოთ რა გამოვა რისგან.

ამ დღითაც გავალე ფანჯარა და ეზოში, მაგიდასთან თავშეყრილ ხალხს გავძახე, როგორც თავადმა მაჩაბელმა 1801 წელს: ნავიდაა რუსიი? გაკვირვებულებმა გამომხედეს და არაფერი მიპასუხეს. რაც უნდა გასაკვირი იყოს, თავშეყრილთა ნაწილი რუსებს მხსნელებივით ელიან. მე კი ჯიუტად ვკითხულობ: ნავიდაა რუსიი?

დღევანდელი შეხვედრაც ჩაფლავდა. ასეც ვფიქრობდი. არავითარი საპოლიციო ნაწილები ეუთოს ეგიდით ბუფერულ ზონებში არ განლაგდება. როგორც გაირკვა ექვსპუნქტიანი დოკუმენტი არასწორად უთარგმნიათ რუსულად, თუმცა აქამდე ყველაფერს ზუსტად ვასრულებდითო. რუსები კი არ ვაჭრობენ, საქართველოს სრული ოკუპაცია აქვთ განზრახული. ეს უკვე ვაჭრობა აღარ არის. დაიკიდეს ყველა საერთაშორისო ნორმა, კანონი და მთელი ევროკავშირი. აბა, ერთი გაბედეთ და სანქციები დაგვიწესეთ?! რუსეთი ევროკავშირის წევრებზე და გაზომარაგებაზე თამაშობს და პუტინის მითითებებს ასრულებს.

* დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9, 10

დამშეული ჯარისკაცები, ჩვენს ტერიტორიებზე რომ ჩატოვებს, ადვილი შესაძლებელია პროვოკატორებად იქცნენ, მათივე ხელმძღვანელობის დავალებით.

კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს ძალადობა. შემოგეჭრა სახლში და აღარ მიდის. ხელს ახლებ და დივიზიებს შემორეკავს. მსოფლიო თანამეგობრობა სუსტი აღმოჩნდა თავზეხელაღებული რუსეთის წინაშე. თუ ახლაც არ მოჰყვა სერიოზული სანქციები, ვფიქრობ რუსეთი მთლიანად დაიპყრობს ჩვენს ქვეყანას და იურიდიულ საბუთად ორასი წლის წინანდელ ტრაქტატს დაასახელებს. ჭკუა დაუშლის თუ რა? ხომ ხედავთ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება ვერ გააგებინა მთელმა ევროპამ, როგორც ხოში აქვს ისე კითხულობს.

— ნავიდაა რუსიი?

— არაააააა!

რუსებმა ერთი თვე მოითხოვეს საქართველოდან გასასვლელად. შესაძლოა, ეს საპროვოკაციო დრო იყოს. არ მჯერა რუსის, მეტადრე მაშინ, როცა პუტინის ბრძანებას ასრულებს. უკეთეს შემთხვევაში ამ დროსა და სივრცეს სამაროდ იოროდ წარმატებით გამოიყენებენ შიდა ქართლის ბუფერულ ზონაში მათი სალდათები და ოსები, იგივე მოხდება სამეგრელოშიც, სადაც ოსების ნაცვლად აბხაზები იქნებიან რუსებთან ერთად.

9 სექტემბერი

ვერ მონიტორები უნდა შემოვიდნენ, არუგვიანეს 1 ოქტომბრისა და ჩაანაცვლონ ოკუპანტები. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს 10 დღე. ვიდრე ეს პროცესი არ დასრულდება, არაფრის მჯერა. როდის იყო, რომ რუსი სიტყვას ასრულებდა და ყოველ შეთანხმებას მისებურად არ კითხულობდა?!

გრძელდება მაროდიორობა და ყაჩაღობა სამეგრელოში. გაიგეს თუ არა, რომ მალე უნდა გავიდნენ, უფრო გათავხედნენ. იტაცებენ ყველაფერს, რისი გატაცებაც შეუძლიათ, ძარცვავენ მშვიდობიან მოსახლეობას, დაძრწიან მთვრალეები და ხალხი შიშით ვერ გამოსულა გარეთ. ვნახოთ, როდის ჩაენაცვლებიან ევროპელი დამკვირვებლები ამ ფორმიან ყაჩაღებს?!

მიჭირს ამ ტიპის მოსმენა, მიდებ-მოედება. დღეს განაცხადა, რომ ომი ქართულ მხარეს არ დაუნყია და რომ მერაბიშვილს აქვს ამის დოკუმენტები, რომ საქართველო თავს იცავდა და მან გადაარჩინა დანარჩენი საქართველო და თბილისი. ყველასთვის ცნობილია ევროკავშირის როლი თბილისის გადარჩენაში, ეს კი ყველაფერს თავისთავზე მიიწერს. ძალიან მრცხვენია მის უკონტროლო საუბარს რომ ვუსმენ, თან ახლადგამოგონილი ტყუილებით გაჯერებულს.

თითქოს მას არ ეყვიროს ტელევიზიით: თბილისში შემოდიან! და პანიკაში არ ჩაეგდოს მთელი ქალაქი. აღარ ჩამოვთვლი მის დაუკვირვებელ სატელევიზიო განცხადებებს, მხოლოდ ერთს ვიტყვი, როცა პირველი ამერიკული ხომალდი შემოვიდა ბათუმის პორტში, გამობრძანდა ჩვენი პრეზიდენტი ტელევიზიით და განაცხადა, რომ სტრატეგიულ შენობებს და ობიექტებს ახლა ამერიკელები დაცავენ და ნურაფრის შეგვეშინდებათო. რამდენიმე ხანში ამერიკულმა მხარემ უარყო პრეზიდენტის განცხადება და აღნიშნა, რომ ისინი პორტში იდგებიან და არავითარ სტრატეგიულ ობიექტებს, მათ შორის, არც აეროდრომს არ დაიცავენ. ვინ იცრუა?? აქ უკვე სიცრუეზე აღარ არის საუბარი. თუ პრეზიდენტს სამხედრო საიდუმლოების შენახვა არ შეუძლია და ყველაფერი ტელევიზიით უნდა თქვას, ნამდვილად არ ყოფილა და არც არის ჩვენი საშველი მისი გადამკიდე. გუშინდელ ბრიფინგზეც თავი უნდა შეეკავებინა და არ უნდა ეთქვა რომ “რუსები საქართ-

ველოს ტერიტორიიდან მალე წაეთრევიან”. ეს შეიძლება ვთქვა მე, მწერალმა და მეტსაც ვიტყვი, მაგრამ პრეზიდენტმა უნდა შეინარჩუნოს დიპლომატიური ენა, მაშინაც კი, როცა მისი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია მოძალადისგან. გაცილებით უარესის თქმა შეიძლება დელიკატურად, თუნდაც ისე, როგორც სარკოზიმ უთხრა მედვედევს, როცა იგი საფრანგეთის მხარეს ჩაენაცვლა და ალაქლაქდა.. — საფრანგეთის პრეს-სპიკერობას ითავსებთ, მე კი ვერ შევიტავსებდი რუსეთის პრეს-სპიკერობასო. აი, ეს დედის გინებაზე მეტია კულტურულ სამყაროში, მაგრამ დახვეწილი ირონიას და სარკაზმს/სარკოზიმს/ სხვაგვარი ნიჭი ჭირდება. ასე, ბაზრის დედაკაცივით რატრატი და უთვალავი სიცრუე ამომივიდა ყელში და სასტიკად მომბეზრდა. ისე, სხვას რას უნდა ველოდე დეფის, ლექსენის, კაკალაშვილის და წურწუმიას ფანი-საგან?!

1949-50 წლებში მამაჩემი გაამწესეს ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში სკოლის დირექტორად. ბუნდოვნად მახსოვს, თან ფრაგმენტულად ის დრო.

პირველი კადრი: ბერეკობა, ათობით ნიღბიანი და უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდა და ზურგზე გადაჭერილი მათრახი, რომელმაც დააგვირგვინა შეძახილი: დირექტორის შვილოო!

მეორე კადრი ან იქნებ ეპიზოდი, კადრებისგან რომ შედგება. მე და ჩემი ძმა მშობლებმა დღენახევარი დავგვტოვეს სახლში, სკოლის დამლაგებელი დაგვიყენეს მეთვალყურედ, თვითონ კი თელავში წავიდნენ საქმეზე. დღენახევარი გვაშიმშილა დამლაგებელმა და როგორც მშობლების დაბრუნების მერე გაირკვა, დამლაგებელს ყველაფერი მოეპარა, რისი მოპარვაც შეიძლებოდა. ძირითადად პროდუქტის მარაგი, რაც კი დედაჩემს ჰქონდა — ფქვილი, მაკარონი ერბო და ა.შ.

ალარაფერი იყო სახლში და თან ტანსაცმელიც მიეყოლებინა. რა ექნა მამაჩემს, სამსახურიდან გაათავისუფლა. დამლაგებელი ქურდობას — მე და ჩემ ძმას, 5 და 3 წლის ბავშვებს გვაბრალებდა. ალბათ ჩემს აქ არყოფნაში ვინმე შემოუშვეს სახლში და გაატანეს ყველაფერიო. არადა თვითონ გაზიდა ყველაფერი, მახსოვს, თავზე რო წავადექი პროდუქტის ქურდობისას და დედაჩემს ვუამბე კიდევ.

სამუდამოდ დამამახსოვრდა დღენახევრიანი შიმშილი და დამლაგებლის ტყუილი. არ ვიცი დღეს რატომ წამომიტივტივდა ეს უმნიშვნელო დეტალი ან რამდენიმე წლის წინათ რატომ ჩავედი საბუეში ჩემს ბიძაშვილთან ერთად, იმ სკოლის სანახავად, სადაც მცირე დროით ვცხოვრობდით კიდევ, და იმ უზარმაზარი კაკლის ხის სანახავად, ბევრად იმაზე პატარა რომ აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. როგორც ჩანს, კაკლის ხე წარმოსახვაში უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე სინამდვილეში.

როცა დღიურს მოვრჩები, მხოლოდ მერე დავიბრუნებ სრულ თავისუფლებას. ისე ვგრძნობ თავს, თითქოს სახლში შემომივარდა უამრავი ბოგანო, მიმინგრ-მომინგრია ყველაფერი, გამძარცვა, გამანადგურა და ახლა, მეზობლების ჩარევის შემდეგ, მევაჭრება, როდის და როგორ გავა ჩემი სახლიდან და რა დამიჯდება მისი ტყვეობიდან თავდახსნა.

დავით გამყრელიძემ მოუწოდა სააკაშვილს გადადგეს პრეზიდენტობიდან და პასუხი აგოს იმ გაუაზრებელ ქმედებებზე, რასაც მოჰყვა ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგები და იმ ტერიტორიების დაკარგვა, რასაც ადრე ვაკონტროლებით. გამყრელიძემ კონსულტაციები შესთავაზა სხვა პოლიტიკურ ძალებს, რათა მიიღონ ერთიანი გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე.

10 სექტემბერი

გუშინ, პირველად გაისმა სენატში სააკაშვილის კრიტიკა. პენტაგონის მალაჩინოსანმა —ერიკ ედელმანმა / თავდაცვის მდივნის მოადგილე/ განაცხადა, რომ პერმანენტული პროვოკაციები ყოველთვის იყო სუპარატისტების მხრიდან, მაგრამ ქართული მხარე არ უნდა წამოგებოდა ამ პროვოკაციას. პენტაგონის წარმომადგენელმა მწუხარება გამოთქვა რუსი სამშვიდობოებისა და ცხინვალის დაბომბვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არ მიესალმება და მწუხარებას გამოთქვამს ამ ქმედების გამო. აღნიშნეს ისიც, რომ სააკაშვილი მრავაგზის იყო გაფრთხილებული არ აპყლოდა სუპარატისტების პროვოკაციას. თითქმის იგივე გაიმეორა დენიელ ფრიდმა.

ეს ინფორმაცია ბევრს ნიშნავს და ღია ტექსტით კარნახობს ქართულ საზოგადოებას, იმას, რასაც იგი მოითხოვს. უცნაურია, მაგრამ ამათ ისე უჭირავთ თავი, თითქოს არაფერი მომხდარა.

სამწუხაროდ ქართულ ტელეარხებზე ეს ინფორმაცია დამალეს, არ გადმოსცეს, თითქოს ინტერნეტში ვერ წავიკითხავდით სინამდვილეს. ინფორმაციული ვაკუუმი და რუსთაყი 2-ის და სხვა არხების დანაშაულებრივი პროპაგანდა ისევე გაკოტრდა, როგორც მათი პატრონები.

რუსეთის თავდაცვის მინისტრს საყვედურობენ, ადანაშაულებენ კიდევ იმაში, რომ თბილისი არ აიღო და არ გააუქმა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ახლა ერთი წამით წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება ამხელა სიძულვილის მეზობლობა, ასეთი მეზობელი ხომ მარადიული სასჯელია. თუ არ ემონები და მის ჭკუაზე არ დადიხარ, გასანადგურებლად ემეტები.

რუსი დეპუტატების ფაშისტური გამოსვლები ეგრევე აიტაცეს ჩვენმა ნაციონალებმა და მოსალოდნელ ინტერვენციაზე დანიწყეს საუბარი, მხოლოდ ერთადერთი მიზნით, რომ საქართველოში იგივე პრეზიდენტი და ხელისუფლება შეინარჩუნონ.

ეუთოს ნაწილები განლაგდება საქართველოში 1 ოქტომბრამდე.

10 ოქტომბრიდან რუსები აღარ უნდა იდგნენ არსებულ ბუფერებსა და ბლოკ-საგუშაგოებზე. ყველა სატელევიზიო არხის წამყვანმა უკუღმა გამოაცხადა რუსების გასვლის გრაფიკი. როგორც ჩანს ვერ გაიგეს და ვერც ხელმძღვანელობამ აუხსნა. იძახეს: 15 სექტემბრიდან გავა ყველა რუსი სალდათი...

ნეტავ ვინმეს აეხსნა ამ ბავშვებისთვის საქმის რეალური ვითარება.

საკაშვილმა, დღეს, გორში გამართულ თათბირზე ირიბად და პირდაპირაც აღიარა, რომ იგია პასუხისმგებელი ვითარებაზე, რაც საქართველოშია და აგრეთვე თვითონვეა პასუხისმგებელი ყოველივეს აღდგენასა და ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. როგორც ჩანს, პასუხისმგებლობა მას პასუხისგება არ ჰგონია. თქვა და გაიარა.

ისახება პოლიტიკური დაპირისპირებები. ღმერთო, როგორ მომბეზრდა ყოველივე! არადა ამის ყურებაც ძალიან მიჭირს. ამდენი ტყუილი, ამდენი პროფანაცია...

11 სექტემბერი

მოსკოვური გამონათქვამები საქართველოს პრეზიდენტისა ხელისუფლების მისამართით აგრესიულია და ქვეტექსტი დაუფარავ ბილნსიტყვაობას შეიცავს, ანუ იმას, რასაც მიზეზთა გამო ხმამაღლა ვერ ამბობენ და ასე თარგმნიან: “პოლიტიკური გვამი”, “დამპალი რეჟიმი”.

ვიდრე რუსები ასე გააგრძელებენ, მე ამ ხელისუფლების მხარდამჭერი ვიქნები ძალაუფლებურად. არ მგონია რუსებმა ეს

არ იცოდნენ და შეგნებულად ლანძღავენ სააკაშვილს, მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენ საპირისპიროდ ვიფიქროთ. ჩემთვის გაუგებარია პოლიტიკური თამაშები და არც თავს ვდებ, თითქოს ვიცი ბინძური თამაშები და გარიგებები, მაგრამ ერთი რამ კი გამოიკვეთა დღეს: როგორც ოფიციალურად განაცხადა ამერიკულმა მხარემ, მზადდება შეხვედრა ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის.

იქ შესაძლოა დადგინდეს, გაირკვეს გავლენის სფეროები და შესაბამისად ქვეყანა დამშვიდდება, მაგრამ რამდენი ხნით, არავინ იცის.

დღეს პუტინმა უარყო, იმპერიული ამბიციები არ გაგვაჩინიაო. ორი კვირის წინათ კი, აგვისტოს მიწურულს, განაცხადა რომ ვერავის მივცემთ თავდაუსხმელობის გარანტიას, შეეცადონ, რომ ჩვენ მოქალაქეებს არ დაესხან თავს. პუტინს არ დაეინყებია იმპერიული ზრახვები, პუტინი შეაკრთო რეალობამ და მოსალოდნელმა ეკონომიკურმა კრიზისმა.

ახლა ყველაფერი დასავლეთზეა დამოკიდებული, როგორ გააგრძელებს რუსეთთან პარტნიორობას. ჩვენს გამო არავინ თავს არ მოიკლავს, მაგრამ მას მერე, რაც საქართველოში რუსმა ჩაიდინა და ორი ავტონომია მიითვალა, როგორც ნადავლი, რომლებსაც დამოუკიდებელი რესპუბლიკები უნოდა, დასავლეთი ამ ფაქტმა ღრმად ჩააფიქრა. ენერგორესურსების დივერსიპიკაციაზე დაიწყეს ზრუნვა და პუტინი მიხვდა მოსალოდნელ კრახს, ამიტომაც ჩაუნია ფითილს. რუსეთი საბჭოთა კავშირის მემკვიდრედ თვლის თავს და აგრესიას ამითაც ამართლებს. ებრალება აფხაზები და ოსები, თუმცა მშვენივრად იცის რამდენი ასეულათასი გამოდევნა თვითონ იმ ტერიტორიებიდან, სადაც გამალებით ჩამოარია რუსული პასპორტები, ახლაც რომ არიგებს ახალგორის რაიონში.

ალბათ, იქიდანაც გამოდევნიან ქართველებს და გააგრძელებენ დაუსჯელ ეთნონმენდას.

გუშინ ახალგაზრდა პოლიციელი მოკლეს კარაღით. დამიხვნივთ ესროლეს თავში, რუსების კონტროლირებადი ტერიტორიიდან. არავინ იცის რა მოხდება ბუფერულ ზონებში, სადაც ბანდები დათარეშობენ. ძალიან მემიჩნია პროვოკაციები.

გული მიკვდება უსამართლობის შემყურეს. ვიღაც ლულულებს, რომ გაიმარჯვა ისტორიულმა სიმართლემ და მალე სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი გამთლიანდება, ხელოვნურად რომ გაყვეს ოდესღაც. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, აღარც კი მინდა ისტორიული არგუმენტების მოხმობა. უნდა ითქვას მხოლოდ ერთი: სამხრეთ ოსეთი ბოლშევიკებმა მოიგონეს და არასოდეს არსებობდა. ოსები ცხინვალის რეგიონში ბოლშევიკებმა ჩამოასახლეს ინტენსიურად.

როგორც ჩანს, დემოგრაფიულად აუთვისებელი რეგიონები, მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს და ახლა მაინც იფიქრონ ნაციონალ-უკლონისტებმა დარჩენილი ქვეყნის ბედზე.

რუსი სადაც კი შეძლებს თავის პასპორტების დარიგებას, ეგრევე აგვიჯანყებს იმ ხალხს, როგორც თავის მოქალაქეებს და შემოშლივინდება ტანკებით და ბომბდამშენებით და მისი აგრესია ლეგიტიმური იქნება. ისლა დამრჩენია ვთქვა, რომ ფამისტური მეთოდოლოგია, აქტიურად რომ იყენებს რუსი, უკან დაუბრუნდება ოდესმე. ეს ჩვენთვის დიდი ნუგეში არ არის და მეშინია ტყავი არ გაგვადროს, სანამ პეტრა მოვა.

დარჩენილ ქვეყანას მაინც მივხედოთ და დარჩენილ ხალხს. ხომ არ შეიძლება განუწყვეტილად განვიცდიდეთ სიბრძნის და გონიერების დეფიციტს.

მაპის მიღების დრო ახლოვდებოდა და რუსი პროვოკაციას ამზადებდა შეგნებულად, რომ ხელი შეეშალა ჩვენთვის. პროვოკაციაზე აყოლა რა იყო თუ არა იმპულსურობა და წინდაუხედაობა. თავისმართლება, მაინც შემოვიდოდნენ, მე

არაფერს მეუბნება. ჯერჯერობით სახეზეა დაკარგული კოდორი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, სამხრეთ ოსეთის აო მთლიანად და აოხრებულია გორის რაიონის სოფლები, აღსადგენია ქალაქი გორი და ა. შ. აი, რა მოგვიტანა პროვოკაციაზე სულელურმა წამოკიდებამ?!

12 სექტემბერი

დღეს “ჩვენი მწერლობის” მორიგი ნომერი გამოდის, სადაც იბეჭდება ჩემი “ავტობიოგრაფიული რომანის” მორიგი თავი. როგორც მეუბნებიან ამ პუბლიკაციის პირველმა ნაწილმა უკვე გამოიწვია აჟიოტაჟი მკითხველთა ფართო წრეში. დღევანდელი მონაკვეთი კიდევ უფრო გაამძაფრებს განაწყენებას ზოგიერთებში.

დღეს ილიას მკვლელობის დღეა. საგურამოდან აჩვენეს სიუჟეტი. თვალი მოვკარი გამომსვლელებს: მაყვალა გონამვილი, ჟანსულ ჩარკვიანი და საგურამოში ილიას მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე.

სამეგრელოს დაბალი ზონიდანაც გადიან რუსები – სენაკი, ფოთის მიმდებარე ტერიტორია და ა. შ. უსირცხვილოდ ეზიდებიან ნაძარცვსა და ნაყაჩაღს. “ტრაფიკი”, გენერალიც აღნიშნავდა, ნადავლი გამარჯვებულებს ეკუთვნით! გარეგანათების ბოძები რა სახეობის ნადავლია, არ მესმის?! არა მგონია ჯარისკაცს რამეში გამოადგეს. ეს, ალბათ, მეთაურების დავალებაა, რადგან ახალი დისლოკაციის ადგილას გარეგანათება მოიწყონ.

შენ რა იცი რუსეთის ისტორია, უხამსად მიუმართავს მილიბენდისთვის ლავროვს.

ერთი ამბავია ატეხილი ბრიტანულ პრესაში ლავროვის ბილნსიტყვაობაზე.

ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ უნუნებს ლავროვი კოლეგას რუსეთის ისტორიის ცოდნას. ლავროვი, როგორც მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, თვლის რომ საქართველო მათია ისტორიულად და თუ მთლიანად ვერ დაიბრუნა, ნაწილებს მაინც დაიბრუნებს. აი, ისტორიის ცოდნაც ამას ჰქვია!

13 სექტემბერი

ჩვენი ტელეარხები კვირაობით უქმობენ. ახალ ამბებსაც არ გადმოსცემენ. არ მესმის ტელეკომპანიათა მეპატრონეების მსგავს ვითარებაში შეიძლება ინფორმაციის დეფიციტი?!

ინტერნეტთან ვიგებ, რომ რუსის სალდათებმა დატოვეს ფოთში უკანონოდ გახსნილი საგუშაგო და წავიდნენ აფხაზეთისკენ ნაძარცვით გატენილი მანქანებით.

სარკოზის ხელშეკრულება იმიტომ “ვერ გაიგეს” რუსებმა და ბუფერები შექმნეს შიგ საქართველოში, რომ ჩვენი ყურადღება აქეთ გადმოეტანათ, “ბუფერების” გამოთხოვნა დაბრუნება გამხდარიყო მთავარი მიზანი და ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე აღარ გვეფიქრა. ეს ყოფილა ჩვენი ისტორიული ხვედრი – უკვე რამდენი საუკუნეა ვკარგავთ მტაცებელი მეზობლებისა და ქართველი ბოლშევიკი შემწეობით.

ნუ გაგვიცინებათ თუ ვიტყვი, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ახლანდელ დაკარგვაში ჩვენებური სტალინის ხელი ურევია.

14 სექტემბერი

დასავლეთი ცივილიზებულად ირჯება, რუსები დასწრებაზე არიან და სამართლებივი ნორმების საკუთარი წაკითხვა გააჩნიათ. დღეს გავიგე რომ აშხაბადში სროლებია, თურმე უცნობი შეიარაღებული ჯგუფი თავს დასხმია წყლის გადამა-

მუშავებელ ქარხანას. არ მინდა ვიქვიანო, რომ ვილაც ცდილობს ხელისუფლების შეცვლას თურქმენეთში, გაზისა და ნავთობის საბადოში, და იქ დესტაბილიზაციის გამონგვევას, რათა ხელი შეუშალოს "ნაბოკოს" პროექტს, რითაც ევროპა შეეცდებოდა რუსული ენერჯორესურსების დივერსიფიკაციას. დავუცდი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ აშკარაა თურქმენეთის პრეზიდენტზე შეუნიღბავი ძალადობრივი ზემოქმედება.

დელიკატური და ცივილიზებული ურთიერთობა არ გამოადგება დასავლეთს რუსეთთან.

რუსეთთან საერთაშორისო ნორმებით ურთიერთობა შეუძლებელია. ხომ გითხარით, ომის ზღვარზე თამაშობს, იმის იმედით, რომ დასავლეთი ომს არ წამოიწყებს და მას კი ყველაფერი ეპატიება.

დარჩა ერთადერთი ეფექტური გზა – ფინანსური იზოლაცია, მაგრამ მაშინაც ბირთვული ომით დაემუქრება დანარჩენ მსოფლიოს. აი, ბოროტების იმპერიის მემკვიდრე, რომლის რეაბილირებასაც ლამობენ კგბ-ეს ნაოფიცრალი.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაციის ორი ვერსია. ოფიციალური თურქმენეთი იუწყება რომ ნარკომანების ბანდასთან მოუხდათ შეტაკება, ხოლო ავსტრიიდან ანონიმური თურქმენული წყარო იუწყება, რომ აშხაბადში მოხდა შეტაკება რუსულ "სპეცმასსა" თურქმენულ სამთავრობო შენაერთებს შორის. ასე ჩაიფარცხა ეს ამბავი და ვერც ველარავინ გაიგებს. მოკლედ, შემოგვთავაზეს ავირჩიოთ ამ ორიდან ერთი ინფორმაცია.

15 სექტემბერი

დღეს თბილისში ჩამოდიან ნატოს წევრი ქვეყნების ელჩები. სამიტს ნატოს გენერალური მდივანიც დაესწრება. ორი დღე ითათბირებენ. გაკეთდა წინასწარი განცხადებები რაზე ისაუბრებენ. ძირითადი მიზანია საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა, სხვას არაფერს ამბობენ და არც იტყვიან.

როგორც ჩანს თავშეკავებული საუბარი საქართველოს ნატოში მიღებასთან დაკავშირებით და ამ საკითხის ერთგვარი წყურბუბა, მოწმობს იმას, რომ ევროკავშირის ქვეყნები სხვადასხვაგვარად უყურებენ აგვისტოს დასაწყისის მოვლენებს და შემთხვევით არ გაისმის მოთხოვნები ევროპიდან და თბილისური ოპოზიციიდან, რათა გამოიკვლიონ ვინ დაინყო კონფლიქტი.

ამასთან ერთად ალიანსის ზოგიერთი ქვეყანა საუბრობს საქართველოში არასაკმარის დემოკრატიაზე და საქართველოს პრეზიდენტის მცდელობაზე ნაკიდოს ერთმანეთს დასავლეთი და რუსეთი. სწორედ ეს ქვეყნები ეწინააღმდეგებიან, სავარაუდოდ, საქართველოს ნატოში სრულ ინტეგრაციას. არსებობს სხვა ვარაუდიც: დასავლეთი ერიდება რუსეთთან კონფლიქტის გაღრმავებას მანამდე, ვიდრე ენერჯორესურსების დივერსიფიკაციას არ შეძლებს. სხვა მომწოდებლის პოვნას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ იყო გაუმართლებელი ჩვენი რისკები და დანარჩენი მსოფლიოს იმედზე ყოფნა.

რა გამოვიდა, დასავლეთმა გადაგვარჩინა რუსულ აგრესიას, ჩაგვიყენა ევროპელი დამკვირვებლები, შეგვეწია რამდენიმე მილიარდი დოლარით. ჯერჯერობით, ალბათ, თავს მტად აღარ აიტიკებს. თუმცა, შეუძლებელია დასავლეთმა უარი თქვას ამიერკავკასიური დერეფნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, თუნდაც იმ მილსადენების გამო, რომელიც არის და რომელიც იქნება მომავალში/თუ რუსეთმა არ მოახერხა თურქმენეთის დაშინება. თუ რუსეთმა ეს მოახერხა, მაშინ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობა

აღარ იქნება ისეთი მიმზიდველი, როგორც ადრე. შესაბამისად, შესაძლოა ჩვენი ქვეყნის მომავალიც წარმოვიდგინოთ. ვხედავ, არასასურველი კლიმატი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის პირველ პირებთან დაკავშირებით ისევე იმ ქვეყნებში, რომელთა იმედებიც ვერ გავამართლეთ. საქართველოში უზურპირე-

ბულ ძალაუფლებას დაემატა აშშ-ს განუსაზღვრელი მხარდაჭერა ნებისმიერ ვითარებაში და ეს, დარწმუნებული ვარ, აღარ მოსწონს არც ამერიკას და არც ევროპულ პარტნიორებს. ძალიან ვმიშობ ყმანვილმა მორიგი სისულელე არ ჩაიდინოს. არ ვიცი რა ხასიათის იქნება

სისულელე, მაგრამ ვილოცოთ რომ ქართველი ხალხის გადასატანი არ იყოს და ისევე ჩვენი ქვეყანა არ ჩავარდეს შავ დღეში.

16 სექტემბერი

უკვე გაისმა მოწოდებები პრეზიდენტის აუცილებელ გადადგომაზე. ლიბორისტებმა დაასწრეს ყველას. მერე გამყრელიძემ განაცხადა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის შესახებ. გუშინ რესპუბლიკელებმა მოითხოვეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაივლის ის კომპარი, რომელიც გადავიტანეთ. ბურჯანაძე მოითხოვეს, შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის ცხინვალის რეგიონში მომხდარ მოვლენებს. უბრალოდ რომ ვთქვათ – ვინ დაინყო უთანასწორო ომი და ვინ წამოიგო სეპარატისტების პროვოკაციას?!

მთელი ეს უსამართლობა, რაც რუსეთმა ჩაიდინა, იმ პროვოკაციის ბრალია, რომელსაც იმპულსურად წამოიგო ქართული მხარე. მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად, შეუძლებელია ასეთ უთანასწორო ომში გახვიო საკუთარი ხალხი. ახლა, იმაზე საუბარი, რომ რუსები მაინც შემოიჭრებოდნენ, არ არის სერიოზული, იმიტომ კი არა, რომ ვერ გაბედავენ, არამედ უაზრობაა ალბათობით ვისაუბროთ იმაზე, რაც არ მომხდარა და გვერდ აღუვაროთ იმას, რაც მოხდა.

ამ დილით დამავინწყდა ფანჯრიდან დამეძახა დომინოს სათამაშოდ შეკრებილი ხალხისთვის:

— ნავიდა რუსიიი?

10 ოქტომბრამდე შეუძლიათ ითარეშონ ბუფერულ ზონებში, რათა შემოუშვან ოსი ბანდიტები და თუ რამე დარჩა გასაქურდი და წასართმევი, თუ ვინმე დარჩა მოსაკლავი, სახლი დასანგავი, საქონელი ცხინვალისკენ გადასარეკი, ყველაფერი მოასწრონ.

დღეს პარლამენტში სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი. უნდა ყოფილიყო ტრადიციული გამოსვლა პარლამენტის წინაშე. ყველაზე შემაშფოთებელი ის კი არ იყო, რომ პრეზიდენტმა, უკვე მერამდენედ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ომამდელ და ომისშემდგომ ვითარებაზე, არამედ ის რომ დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით აწყვეტინებდნენ ემოციით გადავსებულ პატრიოტულ შეძახილებს, რასაც ისევ წამოეგება ამომრჩეველი და მეტის ღირსი არც ვართ.

...ჩვენ ყოველთვის სასტიკ ომს გავუმართავთ აგრესორს თუ კიდევ გაბედა და თავს დაგვესხა!... დაახლოებით ასეთი რამ თქვა პრეზიდენტმა და დაინგრა ტაშით დარბაზი.

რუსები ვინც არიან ვიცი კარგად და ერთი მაგათი, მაგრამ ჩვენ ვინ ვართ და როგორ ვუძლებთ გამუდმებულ ფიქციას? ისინიც რომ აქტიურად უჭერენ მხარს?! ჩვენ რა დავაშავეთ პათოლოგიურ სიყალბეში რომ გვაცხოვრებენ?

17 სექტემბერი

საბრალო დევნილები, მესმის მათი და არ განვიკითხავ, ანდა რა არის განსაკითხი?! (ცხოვრობენ საბავშვო ბაღებში. ნაწილი ადგილზე რჩება, ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად, სხვები ბუფერულ ზონაში შედიან ტყე-ტყე, შემოვლითი გზებით, საკუთარი ბაღებისკენ ეშურებიან. საკუთარ სახლკარს დახედავენ, ხელს შეავლებენ თუ რაიმეს გაკეთებაა აუცილებელი და თუ სახლი განადგურებული აქვს, რაც სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ამბავია, მაშინ ბაღებში შედიან და იწყებენ ხილის კრეფას, რათა ქალაქში ჩამოიტანონ და გროშები იშოვონ. ვილაც ნაეჩხუბა კიდევ, ამას წინათ, ერთ-ერთ მათგანს, იმან ხალხურ კილოზე ძარღვიანად შეუკურთხა.

გამოიკვეთა გარკვეული გაუგებრობა ბალების თანამშრომლებსა და ბალებში შესახლებულ დევნილებს შორის. თავი იჩინა ჩვეულებრივმა ყოფითმა კონფლიქტებმა და "ახლებთან" შეუგუებლობამ, რადგან ამათაც არ სურთ შევიწროება და თავის ზედმეტად შეწუხება.

თუმცა ბალების გამოგები გააფრთხილეს, რომ სამსახურიდან დაითხოვენ მაშინვე, როგორც კი რომელიმე დევნილი გამოთქვამს რაიმე პრეტენზიას, ბალების თანამშრომლების ქმედებაზე. ბალის თანამშრომლებს დაპირდნენ, რომ წლის მანძილზე ხელფასს შეუნარჩუნებენ. სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები საგონებელში ჩავარდნენ, არ იციან სად წაიყვანონ ბავშვები. ბევრ მათგანს, უსახსრობის გამო, არ შეუძლია კერძო ბალებში მიაბაროს შვილები, ვერც ის წარმოუდგენიათ სადატოვონ პატარები, როცა სამსახურში წავლენ.

აღბათ, ამ საკითხებს თანდათან ეშველება, მაგრამ რა ეშველება ცხინვალის რეგიონში განადგურებულ ქართულ სოფლებს და მიტაცებულ, წართმეულ ტერიტორიებს?! რა ეშველება დალის ხეობას, იგივე კოდორის ხეობას, ზემო აფხაზეთად რომ მონათლეს ბიჭებმა. რა ეშველება სამურზაყანოს და მთელ აფხაზეთს, საიდანაც უმრავლესობა განდევნეს და უმცირესობას გაამარჯვებინეს რუსებმა.

დღეს აშშ-მ ისევ განაცხადა რომ აუდიო მასალის გამოკვლევების შედეგად დადგინდა რუსული საჯარისო ნაწილების შეჭრის ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე და რომ საქართველო არ იყო კონფლიქტის დამწყები მხარე.

ასევე, მოუწონდა რუსეთს პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გაიყვანოს საჯარისო ნაწილები საქართველოს მთელი ტერიტორიიდან, სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით.

ამ განცხადებიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აშშ ისევ მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილს / ყველას გასაგონად, იგულისხმება ოპოზიცია სახლში და რუსეთის ხელისუფლება - კრემლში/ და ჩვენ, შინაურებმა ისევ იმავე პრეზიდენტზე უნდა ავლეთ სწორება, მოგვწონს ეს თუ არა, ხოლო რუსეთი უნდა შეეგუოს საქართველოს სუვერენიტეტს და მის ამჟამინდელ პრეზიდენტს. როგორც ჩანს რუსეთმა საქართველოს სუვერენიტეტი სააკაშვილისადმი ანტიპატივი აურიო, ეს ორი, გასხვავებული ღირებულება - ოკუპაციის პერიოდში გამთლიანდა, მაგრამ ოკუპაციის მერე, არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. სააკაშვილსაც ეგონა, რომ ცოცხალი ჯაჭვი მის გამო გააკეთა ქართველმა ხალხმა. ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდა ოკუპანტების საწინააღმდეგოდ, როცა საქართველოს სუვერენიტეტი და პრეზიდენტი გამთლიანდა ჩვენთვის და უარი ვუთხარით ოკუპანტს თავს მოეხვია ჩვენთვის, ძალადურად შეგვეცვალა პრეზიდენტი და ხელისუფლება. სამწუხაროდ ამ თემით სპეკულირება ისევ გრძელდება და არავის ვურჩევ პირადად მიიწეროს თავის მხარდამჭერად ის მილიონახევარი ადამიანი, ვინც ცოცხალ ჯაჭვში ჩადგა იმ დღეს.

ამერიკული მხარდაჭერა, კვლავაც რადიკალურად ცვლის მომავალ პოლიტიკურ ბატალიებს და ქართველი ხალხის არჩევანი მხოლოდ სამომავლოდ უნდა შეიცვალოს ან დადგინდეს. ახლა არაო, თქვეს იქ.

18 სექტემბერი

გავიარე პეტრინის ქუჩისკენ, განვლე მშვენიერი ხეივანი, სადაც ძალიან მიყვარს სეირნობა და ქუჩის ჩასახვევში წავადექი მიკროავტობუსს. მძლოლი იქვე იდგა და ქვაფენილზე ჩაემწკრივებინა ხილით და ბოსტნეულით სავსე ხის ყუთები. სადაურობა გამოვკითხე, ქინწისელი გამოდგა. ვკითხე, როგორ ახერხებდა თბილისისკენ გამოღწევას. შემოვლითი გზებით, ხელთუბაზე დავეხვიე. აბა, კარალეთზე ვინ გამოატარებდა?! გაჭირვებაგამოვლილი კაცი ჩანდა და პროდუქტის ფასზეც ასახულიყო მისი გასაჭირი, შემოვლითი გზები და ამ გზებზე ქურდულად გადაადგილება სოფლიდან სოფლამდე, რისკი, მოსალოდნელი ხიფათი, რისი დაძლევაც უწევდა ქინწისელ გლეხს.



გოჩას თუ იცნობ-მეთქი — ქობლიანიძეს? როგორ არა, მაგარი ბიჭიაო? მერე უცებ მითხრა, რომ რახან გოჩას მეგობარი ვიყავი ოც თეთრს დამიკლვდა ვაშლის ღირებულებაზე. ვიუარე, არაფრის ყიდვას არ ვაპირებ მეთქი და დავემშვიდობე.

გოჩა ქობლიანიძე, მართლაც მაგარი ბიჭია. წლების მანძილზე მუშაობდა ხელმწიფის მალაზიაში/ნიგნებში/ რუსთაველზე. იქიდან რომ წავიდა მშვენიერი საკანცელარო ნივთების მალაზია გახსნა ფოსტის შენობის პირველ სართულზე. სამწუხაროდ, დიდი ხანია არ მიწახავს. ტელეფონს თუ მივაგენი შევეხმიანები. იმასაც მივახარებ, რომ მისი ხათრით ვაშლი

ოცი თეთრით გამიიფა მისმა სოფელმა.

გამიხარდა, ასე მაინც თუ ახერხებენ იქაურები თავის კარმიდამოში შეღწევას და ხილისა და ბოსტნეულის გამოტანას გასაყიდად. საკუთარ გულუბრყვილობას ფიქრშივე დავცინე: რა გიხარია, ბრრიყვო, საკუთარ სოფელში რომ შეიპარება გლეხი და მერე დატვირთული გამოიპარება შემოვლითი გზებით, თან სულ იმის შიში — ე მანდ რუსმა არ დამინახოს და არ დამაპატიმრონო?! მაგათი ბუფერის დედაც! იგინება ხმადაბლა, ქინწისელი გლეხი.

ქინწისელმა მიაბმო: ექვსი საათის შემდეგ, როგორც კი შემოლამდება, ოსები დაძრწიან ქართულ სოფლებში. სადაც კი პირუტყვს გადაანყდებიან იქითკენ მიერეკებიან და რაც შეიძლება ხელს გააყოლონ, თან მიაქვთ ყველაფერი. ეს ბუფერები ჩვენს გასაჩანაგებლად მოიგონეს. აქ რომ აღარ დაგვედგომებოდეს. ჩვენს პოლიციას არ უშვებენ აქეთ, ოსები კი დაუსჯელად დათარეშობენ, რუსები მათ სათარეშო დროსა და სივრცეს იცავენ.

ისევ და ისევ გაისმის ლავროვის განცხადება, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობისას, რუსეთი არ დაელაპარაკება მას და რომ ქართველი ხალხი გარკვეული დროის მერე აირჩევს ღირსეულ პრეზიდენტს. ასეთი განცხადებების შემდეგ, მიჩნდება სურვილი საპირისპირო გავაკეთო და შევიწარჩუნო ის პრეზიდენტი, ასე რომ სძულს კრემლს. არც იმას გამოვრიცხავ, სრულიად შეგნებულად განგვანყობდნენ სააკაშვილის სასარგებლოდ, მაგრამ ვერ ვიგებ მიზეზს - რატომ?

ამ გაუგებრობაში, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შევიწარჩუნოთ სიმშვიდე და დამნაშავე არ ვეძებოთ, ერთხანს მაინც.

ეუთოს მოთხოვნას, განახორციელოს მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სასტიკად ეწინააღმდეგე-

ბიან სეპარატისტები, ცხადია, რუსეთიც. აფხაზეთმა ლტოლვილების დაბრუნებაზეც უარი თქვა. არავინ იცის როდემდე გაგრძელდება ეს აფსურდი.

კონდოლიზა რაისის დღევანდელი სიტყვა, მარშალის ცენტრში რომ წარმოთქვა, უალრესად მნიშვნელოვანია. გამოიკვეთა პოზიცია, რომლის გატარებასაც ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს უახლოეს მომავალში. ფაქტობრივად აშშ-მ გააფრთხილა რუსეთი, რომ ზედმეტს იღებს თავისთავზე, ანუ იმდენს, რისი აწევაც არ შეუძლია და რომ მის რეალურ შესაძლებლობას – აგრესიული რიტორიკა აღემატება. ამ განცხადების შემდეგ, ინვესტორები უფრო აერიდებიან რუსეთის ბაზარს, რაც უკვე შესამჩნევია და პუტინის პოლიტიკონომიკის პროფანული ცოდნის შედეგია. უთხრეს რომ შეუძლებელია ერთდროულად არსებობდეს რუსეთი დროის ორ განზომილებაში – მეცხრამეტე საუკუნეში და ოცდამეერთეში. პარანოიდული ამბიციები და იმპერიული ზრახვები... იყო მსგავსი გამონათქვამები. იყო მინიმუმ მოძველებულ თვითმფრინავებზე და ჟანგიან გემებზე, უფო ჩავეის ქვეყანას რომ ესტუმრნენ და კუნთები აათამაშეს.

დარწმუნებული ვარ, ამას მოჰყვება რუსეთის არაადეკვატური პასუხი და იგი გათვლილი იქნება შიდა ბაზრისთვის, სინამდვილეში კი მოუწევს ჩაფიქრება, აჰყვეს აშშ-ს და ევროპას გამალებულ შეიარაღებასა და ცივ ომში აღმოჩნდეს, რამც დაანგრია სსრკ თუ ახალი გზა ეძებოს?! ახალ გზას კვბ-ეს "სტაბში ოპერი ვერ იპოვის".

განუზომელი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა აღუთქვა სახელმწიფო მდივანმა საქართველოს, ისიც კი ითქვა, რომ ჩვენ დავიცავთ საქართველოს.

ნამსვლეელი ხელისუფლება ლაპარაკობდა ორივე სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატის და ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის სახელით, რადგან საგარეო კურსი, როგორც წესი იქ მკვეთრად არ მერყეობს.

19 სექტემბერი

ვიდრე ნიუიორკში გაფრინდებოდა, პრეზიდენტმა ისაუბრა ხელვაჩაურში მომხდარ სტიქიურ უბედურებაზე, ბრძანა რომ სახელმწიფომ გაიღოს ყველა ხარჯი და ჩატარდეს პრევენციული სამუშაოები, რათა პროგნოზირებადი გახდეს მენყერი, ზვავი და ა. შ.

ამ სიუჟეტს მიება პრეზიდენტის განმარტება, ვინ არის ბრაიან ადამსი და როდენ მნიშვნელოვანია მისი მხარდაჭერა ქართველი ხალხისთვის.

ჩაიშალა ევროკომისის სხდომა რუსეთის ინიციატივით. მიზეზი ის არის რომ რუსეთი კრძალავს ეუთოს დამკვირვებელთა შეშვებას აფხაზეთისა და სო-ს ტერიტორიებზე. მიზეზი ერთია: არ უნდათ აფხაზებს და ოსებს, რუსების გარდა არავინ და ვერ შეგიშვებთო.

დღეს გამოქვეყნდა რუსეთის საიდუმლო გეგმის ერთი ნაწილი, კერძოდ კი ის, როგორ ემზადებიან ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩაასახლონ იმდენივე რუსი, რამდენი ქართველიც განდევნეს აფხაზეთიდან. ესეც გადარჩენილი აფხაზური ეთნოსი. ვულოცავ, ჩემს აფხაზ კოლეგებს დამოუკიდებლობას, ისინი, ალბათ, უკვე ხვდებიან, რომ უახლოეს მომავალში დამოუკიდებლად, ეროვნებით აფხაზი პრეზიდენტის არჩევაც არ შეეძლება და დაწყებით კლასებშიც ვეღარ ისწავლიან აფხაზურ ენას. ეს მათი არჩევანია. იქნებ, ახლა მაინც მიხვდნენ, რატომ და რისთვის სჭირდება რუსეთს აფხაზეთი? ჯერ კიდევ კოლონიზატორია რუსეთი და მეცხრამეტე საუკუნის გეგმებით მოქმედებს და არც ერიდება ასე ჩამორჩენილი და სამარცხვინო რომ არის.

20 სექტემბერი

ევროპელების ორჭოფული დამოკიდებულება საქართველოს ნატოში განევრინებაზე, ფრიად დამაფიქრებელი და შემაფოთებელია. აშშ მოითხოვს ალიანსში საქართველოს და უკრაინის მიღებას, მაგრამ ევროპული ქვეყნების ნაწილი, როგორც წერენ დასავლეთში, ეწინააღმდეგება.

ვერ ვიპოვებ რა იქნებოდა, პროვოკაციას რომ არ აჰყოლოდა საქართველო. შესაძლოა ნაკლები ზარალი და ოკუპაციის ნაკლები მასშტაბი, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია:

რუსეთი არ თაკილობს არანაირ აკრძალულ ხერხსა თუ საშუალებას, რათა საქართველოს ნატოში განევრინებას ხელი შეუშალოს.

ნაკლებად აინტერესებს ქართულ გლეხს "ნაბოკოს" პროექტი, ენერგორესურსების დერეფანი, გეოპოლიტიკური ინტერესები. მშვიდობა მოენატრა და წყევლის ეთნოკომფლიქტის მომგონს, უკვირს კიდევ, აღმოსავლეთ საქართველოში არაერთი ოსური სოფელია და იქ არავინ ერჩის ოსებს, აქაც ასეა, მაგრამ ისტორიული მიწა-წყლის ნაღება მოისურვეს რუსულპას-პორტიანებმა, ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთება გადაწყვიტეს. იმას აკეთებენ, რასაც რუსების სპეცსამსახურები ჩაუჩურჩულებენ. ახლა, რომ ადგნენ კახეთსა და ქართლში კომპაქტურად ჩასახლებული ოსები და, იმ მიწებიანად, რომლებზეც ცხოვრობენ, და რუსეთს შეუერთდნენ?! გაუმძღვრობა სიგიჟეში გადაეზარდა რუსეთს, ხოლო ოსების სეპარატიზმი რუსეთის ერთგულების ჩვეულებრივი, ისტორიული ფუნქციაა კავკასიაში.

სომხები და ოსები, აი, ეს ორი ეთნოსი იყო ყოველთვის რუსების საყრდენი კავკასიაში, ერთნი ჩრდილოეთ კავკასიაში, მეორენი ამიერკავკასიაში. რუსებმა მიატაცებინეს ჩრდილო ოსებს ინგუშეთის ისტორიული ტერიტორიები, რაზეც ნაუყრუა მსოფლიომ, სომხებს ჩააბარეს აზერბაიჯანის ნაწილი – მთიანი ყარაბაღი, ახლა კი სამხრეთ ოსეთი დააჯილდოვეს რუსული დამოუკიდებლობით და უბოძეს შიდა ქართლის ისტორიული კუთხე, თავის ეკლესიებით, ეპარქიით, ტოპონიმებით, სასაფლაოებით, გზებით და მდინარეებით, ტყეებით და ბაღებით, სახნავ-სათესი მიწებით, ქართველების იქიდან გამოდევნის შემდეგ.

ცხინვალსა და ჯავაში სამხედრო ბაზები უნდა ააშენონ რუსებმა და ამიტომ ზრუნავენ ოსური ეთნოსის გადასარჩენად. აფხაზეთში კი რუსები უნდა ჩაასახლონ იმდენივე, რამდენიც ქართული მოსახლეობა განდევნეს და ეს თურმე იმიტომ ხდება, რომ აფხაზური ეთნოსის გადარჩენა უნდა რუსს. სამხედრო ბაზებსაც მათ გადასარჩენად აშენებენ გუდაუთასა და ოჩამჩირეში.

მთელი ეს ომი და საშინელება, დაჯიჯვნილი ქვეყანა, რაც შემოგვრჩა, დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა შეჯახების ადგილია. არ ვიცი, როდის მოვესწრებით მშვიდ ყოფას და როდის დაისადგურებს სიმშვიდე ჩვენში?!

21 სექტემბერი

სამეგრელოში მთვრალი ჯარისკაცები დაეხეტებიან. მოსახლეობა ერიდება ბავშვების გარეთ გაშვებას, ქალები შორს იჭერენ თავს, ცდილობენ არ გადაეყარონ. სახლებში უფარდებიან და არაყს ითხოვენ, მისაყოლებლესაც. ზუგდიდშიც აღმოაჩინეს გალემილი სალდათები, ეძებდნენ სასმელს. პოლიციამ დაურეკა მათ მეთაურებს და ტანკებით მოაკითხეს, ძლივს წაიყვანეს დისლოკაციის ადგილზე. არავინ იცის როგორ გაივლის დარჩენილი დრო და როდის მოაღწევს 15 ოქტომბერი. ვეჭვობ, კიდევ რაიმე არ დარჩეს სადაო.

ახლა, რომ ვისხენებ, ვერ გამირკვევია, რატომ პასიურობდა ის ორი დღე რუსული მხარე ან რას ნიშნავდა დროებითი გამარჯვების ცრუ ეიფორია?

დღეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საფრანგეთსა და რუსეთს შორის არსებული და გაღრმავებული ურთიერთშეთანხმებები და მოლაპარაკება იმაზე, რომ ისინი უახლოეს ხანში მოილაპარაკებენ, ხელშეკრულებას დადებენ: მაღალი ტექნოლოგიები, ენერგეტიკა, კოსმიური კვლევები, გაზის საბადოების დამუშავება და ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც კოსმიური ხომალდის "სოიუზის" გაშვება ფრანგული სასტარტო მოედნიდან უნდა განხორციელდეს.

საკავშირის იმედი, რომ მე დავინყებ ომს და ისინი დამეხმარებიან, მარცხით დამთავრდა. ისინი დაგვეხმარნენ, მაგრამ მას მერე, როცა მანამდე დაკარგული ორი რეგიონი რუსებმა გადაიფორმეს და დანარჩენი მსოფლიოც დაიკიდეს. ევროპელებისგან მოულოდნელი იყო ის დახმარებაც, რაც ამ ჯერზე მივიღეთ და დავგრჩა მხოლოდ ერთი ძლიერი მხარდამჭერი – აშშ, მაგრამ როდემდე გვეერთგულებს არავინ იცის.. რომ არა მათი დახმარება, ალბათ, საერთოდ გაგვაუთოებდნენ რუსები. ჩვენს წამოწყებულ ომში რომ არავინ ჩაერთვებოდა, მგონი უნდა სცოდნოდა ჭკვათამყოფელს. მომავალში რა იქნება, გაურკვეველია.

არავინ იცის თუ აზერბაიჯანი დაიყოლიეს, ცდუნდა და ნაბოკოს პროექტმა სომხეთზე გაიარა და არა საქართველოზე, მაშინ ჩვენი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საგრძნობლად შესუსტდება.

დღეს პუტინმა განაცხადა რომ სო-ში და აფხაზეთში ბაზებს ააშენებს და რვა ათას ჯარისკაცს ჩატოვებს ორივე რეგიონში. ეს საკითხი რუსეთის და ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკების გასარკვევიაო. გაფრთხილებლით, როცა კოსოვო აღიარეთ და არ დაგვიჯერეთ, ახალი ამ რეალობას უნდა შეეგუონ დასავლეთში, რადგან პანდორას ყუთს თვითონ გახსნეს.

ისიც განაცხადა, რომ რუსეთისთვის დასავლეთთან ურთიერთობაში საქართველოს საკითხი არ იქნება ხელისშემშლელი. ეს, ისედაც ცხადი იყო მრავალი ექსპერტისთვის. საფრანგეთთან, გერმანიასთან და იტალიასთან რუსეთის ურთიერთობა იგივე დარჩება.

ერთი რამ, რაც მაფიქრებს, არის ის, რომ საქართველოს ტერიტორია ფაქტობრივად დაუცველია და ჩვენს უშუალო მეზობელს, ნებისმიერ დროს შეუძლიათ იგივე პროვოკაციის გათამაშება. ნატოში შესვლა, როგორც ჩანს გადაიდება. ვეიტსმა განაცხადა კიდევ, ამ ომმა ვერ დააჩქარა საქართველოს ნატოში გაწევრიანება. შემდგომში რაისის ცნობილ გამოცხადებულ ნაწილში, რომ შეიძლებოდა საქართველო სხვაგვარად მოქცეულიყო.

იტქვა, ნატოს ბაზაზე სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების მობილური კონტიგენტის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც დაიცავს ნატოს არანევერ ქვეყნებს რუსეთის აგრესიისგან. ეს ინიციატივა ბუმს ეკუთნის და ნატოს ფორმატით განხორციელდება. დასავლეთმა მკაფიოდ დაინახა რუსეთის თავზეხელაღებული და ტერორისტული ხასიათის ქმედებები, საკუთარ საკანონდებლო ჩარჩოში რომ მოაქცია. რუსეთს, რადგან მიწით ვერ გაძღა, მთელი დედამიწის მიწა მიეყრება ერთ მშვენიერ დღეს. რუსეთი დღემდე რჩება იყოს ერთა საპყრობილე, საიდანაც ოდესმე თავდახსნას დაიწყებენ დაპატიმრებული ერები. პუტინისტური ნაციონალიზმი, სულ მალე არასაკმარისი იქნება რუსი

ხალხისთვის და ისინი მეტს მოითხოვენ. შეასრულებს თუ არა პუტინი მათ შემდგომ მოთხოვნას არავინ იცის, რადგან ნაციონალისტური თამაშები ასე იოლად არ მთავრდება.

პ.ს. თავი დაგვანებონ და ჩვენ ჩვენს ქვეყანას მივხედოთ, რუსთან რა გვესაქმებ?!

22 სექტემბერი

პოლიტიკას მივეჯაჭვე, დამოკიდებული ვარ პოლიტიკურ ინსინუაციებზე, რადგან ვერ გაიგებს კაცი როგორია ზნეობრივი პოლიტიკა ან თუ გააჩნია ზნეობა პოლიტიკას, რომელსაც ესა თუ ის სამართლიანი ინტერესები შეუძლია გასრისოს საიმისოდ, რომ საკუთარი აგრესია - თანამზრახველი ეთნოსების გადარჩენის მცდელობით გაამართლოს. შევეცდები პოლიტიკას გვერდი ავუარო და ადამიანების, ქვეყნის ბედზე ვისაუბრო. ყველანი შევიცვალეთ, ჩვენ გადავსხვაფერდით და ისეთები ვერასოდეს გავხდებით როგორებიც ვიყავით. ახლა გულით უნდა ვატაროთ გაურკვეველი შეგრძნება, დროდადრო რომ ტკივილად იქცევა, როგორც კი ჩვეულებრივ ტოპონიმებს კი არა, დაკარგულ კუთხეებს გავიხსენებთ.

*

ევროკავშირის დამკვირვებელთა მისი ხელმძღვანელმა ხანსიორგ ხაბერმა დღეს თბილისში განაცხადა, რომ მონიტორები განთავსდებიან გორში, ზუგდიდში, ფოთში, თბილისში. ევროკავშირმა გადაწყვიტა დაპირებული ორასი დამკვირვებლის ოდენობა გაზარდოს სამასამდე. ხაბერმა აცნობა საქართველოს პრემიერ მინისტრს ლადო გურგენიძეს, რომ დამკვირვებელთა ძირითადი კონტიგენტი საქართველოში ჩამოვა სამშაბათს და ოთხშაბათს.

დამკვირვებელთა ჩამოსვლის მერე, რუსებმა უნდა გააუქმონ საგუშაგოები ე.წ. ბუფერულ ზონებში სამეგრელოსა და შიდა ქართლში. მოვლენებს არ დავასწრებ. ამჟამად ნებისმიერი ქართული სოფლის გამოხსნა მკვდარი ბუფერიდან და მისი რეაბილიტაცია უაღრესად მნიშვნელოვანია, ნებისმიერი ქართველისთვის. ტყე-ტყე და შემოვლითი გზებით მაინც არ მოუწევთ ქურდულად სიარული, რათა ქალაქში ხილი ჩამოიტანონ თავიანთი ბალებიდან. იქნებ ამ სოფლებს მაინც დაუბრუნდნენ მოსახლეობა და გარკვეული თანადგომის შემდეგ შეძლონ ხელახლა დამკვიდრება მამა-პაპეულ მიწაზე. დამთავრდება, ალბათ, სამეგრელოს სოფლების ანიოკება და რუსული ეკზიკუცია.

მერე რა უნდა ვქნათ, გამორჩევა საშველი, ჯერ მშვიდობამ მოიცვას რუსებისგან დაქუცმაცებული ქვეყანა.

23 სექტემბერი

ფხვენისელ გლეხებს ვესაუბრე, მითხრეს შედარებითი სიმშვიდეა, მაგრამ არაფრისგან დაზღვეული არ ვართო. რაც მოსაპარი იყო მოიპარეს – ოსებმა, კაზაკებმა, რუსებმა, ათასი ჯურის ბოგანომ. დავაიმედე: მონიტორები გავლენ და ბუფერულ ზონებში განლაგდებიან, უკეთესობა იქნება. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, როცა გავლენ, მერე ვნახოთ. ახალგაზრდა ბიჭი ისე მძიმედ და თავდაჯერებულად მესაუბრებოდა, თავი უმცროსად ვიგრძენი. მისი სიღინჯე — ჭირგამოვლილი ადამიანის სიღინჯე იყო და არ გამკვირვებია. ადრე დაკაცებულა წვერმე-ლინდლული ყმანვილი. გული მეტკინა.

კვხველი და-ძმა გავიცანი, მეშვიდე და მეცხრე კლასელები, გვარად ბლიაძეები. მამა პოლიციელი ჰყოლიათ და გვიანო-



ბამდე არ გამოსულა სოფლიდან, ბავშვები 7 აგვისტოს გამოუყვანიათ და თბილისში ჩამოსულან, ხოლო ბებია — ძმას გამოუყვანია ტყე-ტყე და ძლივს გამოუღწევია სამშვიდობოს. უამრავი ანენილი და გაუბედურებული ოჯახი ვნახე. მიჭირს რაიმეს თქმა.

აქამდე თავს ვიკავებდი, ახლა კი უნდა ვთქვა, რომ რუსთავი 2-ის საინფორმაციო გადაცემები დამთრგუნველია. რატომღაც გადაუმონმებელ ცნობებს ისე გადმოსცემენ, როგორც ერთადერთ სიმართლეს. დაგვმოკავენ, დაგვზაფრავენ და წავლენ. ჩვენ კი ნერვებაშლილები კედლებს ვაწყდებით. ვერ ვიგებ, რატომ უნდათ ისედაც აფორიაქებული ხალხის კიდევ უფრო დათრგუნვა?! დღეს, კიდევ ერთხელ დაგვაიმედეს, რომ ბორჯომ-ბაკურიანის წართმევას ოსები აპირებენ, ხოლო ჩხორონყუ — წაღენჯიხაზე კი აფხაზებს უჭირავთ თვალი. იქვე მოაყოლეს, ეს "რესპუბლიკები" თვითონ იმოქმედებენ და რუსი არ გამოჩნდება, მას რომ არ დაბრალდეს ვითარების გამწვავება. დამამშვიდეს, იმდენად დამამშვიდეს, რომ ველარ დავიძინე...

მათი საქმეა ინფორმაციის მოპოვება და გადმოცემა, მაგრამ რატომ მაჩვენებენ მოსკოვიდან ერთსა და იმავე ოდიოზურ რესპოდენტებს? თუ ეს ადრე ჩვეულებრივი სატელევიზიო კლიიშე იყო, ამჟამად, ნორმალური ტელემედიკური კლინიკიდან გამოჰყავს ამ ტიპების ცინიკურ და ზიზიან გამოსვლებს.

24 სექტემბერი

საკაპშვილის განზრახვა, დასავლეთი აეკოლიებიან ამ ომში, ჩაიფუშა. დასავლეთმა რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ გამოიღო ხელი. ნატოს ეგიდით აშშ-ს საბრძოლო ხომალდები შემოვიდა ბათუმსა და ფოთში, სააკოშიმ — ევროკავშირის თავმჯდომარემ იკისრა შუამავლობა რუსეთ-საქართველოს შორის. შედეგებიც სახეზეა: რუსეთმა ისე წაიკითხა და გაიგო ექვსპუნქტიანი ხელშეკრულება, როგორც თვითონ უნდოდა, ვერც ვერავინ გააგებინა რა ეწერა შავით თეთრზე, მაინც ისე გაიგო როგორც თვითონ უნდოდა.

ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ეს იყო სააკაპშვილის თავგანწირული და ამავე დროს საბედისწერო, იმპულსური ნაბიჯი, რასაც არ აპყვებოდა პრაგმატული დასავლეთი და არც აპყვავა. თუ დასავლეთის აეკოლიებს არ ელოდა, სააკაპშვილს, მაშინ უთანასწორო ბრძოლაში ჩაუბნა საქართველო და რომ არა დასავლეთი, გაცილებით უარეს დღეში ჩავვარდებოდით.

ნებისმიერ შემთხვევაში სააკაპშვილს დაშვებული აქვს მძიმე შეცდომა, მაგრამ იმასაც ვერ იტყვის ვერავინ, ეს შეცდომა რომ არ დაეშვა სააკაპშვილს, თითქოს რუსეთი თავს არ დაგვესხმოდა და რაიმე ხრიკს არ მოიგონებდა. ალბათობის მიხედვით ძნელია საუბარი და კონკრეტულ შედეგამდე ვერ მივალთ. რუსეთი ამ ომის შემდეგაც, ალბათ, ეცდება, ხელი შეუშალოს საქართველოს სავარაუდო განვითარებას ნატოში, საამისოდ ახალი პროვოკაციების მოწყობაც რომ დასჭირდეს. ახლა ხელფეხი გახსნილი აქვს, სეპარატისტული რეგიონების ფსევდოალიარებით რუსეთმა მათ ოფიციალურად მიანიჭა პროვოკაციების მომწყობის ფუნქცია, რომელთა მეშვეობითაც შეეცდებიან საქართველოს ნატოსკენ მისწრაფების ჩაფუშვას.

გუშინ სააკაპშვილმა თქვა: სამასჯერ დიდია რუსეთი საქართველოზე. ლოგიკური კითხვა გაუჩნდა ერთ ჩემ გურულ მეზობელს: იმ ღამეს პროვოკაციას რომ აყვარ, არ გახსენებია მიშას, რუსეთი რომ სამასჯერ კი არა მრავალჯერ დიდია საქართველოზე?!

აი, კიდევ ერთი ფრაზა: ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რომ ვართ. არშემდგარი შოუმენი პოლიტიკურ სცენაზე საშიშ დადგმებს ახორციელებს.

დასასრული შემდეგ ნომერში

ანდრე მორუა

ოთხშაბათის იეზი

— ო, შენი, დარჩით რა!

შენი სორბიე მთელი სადილის განმავლობაში განსაკუთრებული ენამზებობით წარმოჩინდა. როგორც იტყვიან, თვალისმომჭრელი, მეტიც, დამაბრმავებელი გახლდათ. სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა: ამბებისა და ანექლოტების კორიანტელი დააყენა და, რაც მთავარია, მსახიობის უზადო ნიჭით დაჯილდოებული, ქეშმარიტი მწერლის შთაგონებითა და ენთუზიაზმით ყვებოდა. ლეონ ლორანის აღფრთოვანებულ, მოჯადოებულ და დატყვევებულ სტუმრებს სრული განცდა დაეუფლათ, რომ სუფრასთან გატარებული დრო მხოლოდ ერთი ჯადოსნური გაელვება გაგრძელდა.

— ო, არა, ველარ დავრჩები, უკვე თითქმის ოთხი საათია, თან ოთხშაბათი. ლეონ, ალბათ, გახსოვთ, რომ ეს ის დღეა, როცა ჩემს მიჯნურს იეზი უნდა მივართვა.

— ფრად დასანანია! — შეეპასუხა ლეონი თავისი განუმეორებელი წყვეტილი ხმით, რომლითაც მაყურებელს ასე დაამახსოვრა თავი და მის სასცენო დიდებას განსაკუთრებული ელფერი შესძინა, — მე თქვენი ერთგულების შესახებ კარგად მომეხსენება, ვერ მივცემ თავს უფლებას, მეტხანს შეგაყოვნოთ.

შენი ყველა დამსწრე ქალბატონს სათითაოდ გადაეხვია. მამაკაცები თავის მხრივ მოწინებით ხელზე ეამბორნენ. გამომშვიდობების ცერემონიის მიწურულს მსახიობმა სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. როგორც კი მის ზურგს უკან კარი მიიხურა, სტუმრები აგუგუნდნენ, აღფრთოვანებულებმა საექებარი სიტყვები ძალუმად აფრქვიეს.

— ის მართლაც არაჩვეულებრივია, რამდენი წლისა იქნება, ლეონ?

— ცოტაც და ოთხმოცს მიუკაკუნებს. ბავშვობაში დედაჩემს „კომედი ფრანსეზის“ დილის სპექტაკლებზე დავყავდი, შენის სელიმენზე უკვე ლეგენდები ითხზებოდა, აღარც მე ვარ, როგორც ხედავთ, ნორჩი.

— ნიჭი უბერებელია, — წარმოთქვა კლერ მენტრიემ, — ლეონ, ხომ არ გვაზიარებთ იებთან დაკავშირებულ ამბავს, ჩემთვის ის სრულიად უცნობია.

— ო ო ო, ეს მთელი რომანი გახლავთ... ერთ მშვენიერ დღეს არ დაიზარა და თვითონ მომიყვა... თუმცა მისი დანერა და გამოქვეყნება არასდროს უცდია... ვშიშობ, შენის შემდეგ ჩემი, როგორც მთხრობელის ნიჭით, ვერ მოგიხილავთ. შედარება შეიძლება ჩემთვის სულაც საშიში გამოდგეს.

— შედარება ზოგადად ყოველთვის სარისკოა, მაგრამ ერთი გარემოება გამსუბუქებთ მდგომარეობას, ჩვენ ხომ თქვენი სტუმრები ვართ, არა? თქვენი მოვალეობა კი ჩვენი გართობაა. შენიმ, როგორც ხედავთ, დაგვტოვა, ახლა თქვენ გამართებთ, ჩაენაცვლოთ.

— კეთილი, რა გაენყობა. ვეცდები ოთხშაბათის იეზის ამბავი მოგიტოვოთ. ოლონდ ვშიშობ, ჩვენი დროისთვის ზედმეტად სენტიმენტალური არ აღმოჩნდეს...

— დარდნი ნუ გექნებათ, ლეონ, — შეეპასუხა ბერტრან შმიტი. — ჩვენს ეპოქას მოსწყურდა გრძნობები. ცინიზმის ნიღაბს მხოლოდ იმიტომ ირგებს, ქეშმარიტი ვნებათაღელვას მონატრებული სითბო და სიყვარული მიჩქმალოს.

— თქვენ ასე ფიქრობთ? კეთილი, ბატონებო და ქალბატონებო, თუ ნამდვილად ასეა, ვეცდები ეს წყურვილი ზოგი-

ერთებს მოვუკლა. თქვენ, აქ მყოფნი მეტად ახალგაზრდები ბრძანდებით და, ბუნებრივია, არ გახსოვთ, როგორი იყო დიდების მწვერვალზე საკმაოდ დიდხანს მყოფი ჟენის ბრწყინვალეობა. ნითლად მოელვარე ჰაეროვანი კულულები მომაჯადოებელ მხრებზე ნაკადულებად ეღვრებოდა, ცბიერი თვალების ირიბი ჭრილი განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა, ხმა უღერადი, შეიძლება ითქვას, მჭახე ჰქონდა, რომელიც მოულოდნელად ღრმა მგრძნობიარობით იჟლინებოდა. ეს ყველაფერი მის სუნთქვისშემკვერელ დიდებულ სილამაზეს განსაკუთრებულად წარმოაჩენდა.

— მჭევრმეტყველებას ადამიანი ვერ დაგინუნებთ, ლეონ. შესანიშნავი ტირადა კი გამოგივიდათ.

— ვფიქრობ, ჩემს მჭევრმეტყველებას ცოტა არ იყოს ძველმოდურობის ელფერი გადაკრავს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ მადლობას... ჟენიმ თავის პირველ პრემიას 1895 წელს კონსერვატორიის დასრულებისას გამოკრა ხელი, დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, „კომედი ფრანსეზმა“ უმაღლეს ფორმა ანგაჟემენტი. საკუთარ გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ამ აღიარებული თეატრის სცენაზე დამწერისთვის პირველი ნაბიჯების გადადგმა უკიდურესად ძნელია. რეპერტუარი ზედმინივნი-თაა განწერილი. ყოველი კონტრაქტის უკან საკუთარ, თუნდაც უმნიშვნელო როლში უზომოდ შეყვარებული ექვანი პრესტიჟული მსახიობი უნდა მოიაზროთ. ყველაზე თვალწარმტაცი სუბრეტიცი კი მზადაა, ათი წელი იცადოს, ოღონდ მარგოს ან მოლიერის პიესაში ღირსეული როლი ერგოს. მომწესხველი ჟენი სცენის არაერთ გავლენიან და უძველეს ქალბატონს შეჯახებია. ნებისმიერი სხვა ბედ-ილბაღს დამორჩილდებოდა ან ორი წლის თავზე მადლენის ბულვარზე რომელიმე თეატრში დამინაცვლებდა. ჩვენი ჟენი ასეთი ნამდვილად არ გახლდათ, ის უმაღლეს რაება სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა: მსახიობობის უზაღო ნიჭი და, რასაკვირველია, ბრწყინვალე განათლება და ხიბლი, არაფერს ვამბობ მის ცეცხლოვან თმაზე.

სულ მალე ჟენი დანიშნაურდა და თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობის ადგილს დაეპატრონა. დირექტორი მისით მოინუსხა, ცივი ნიავს არ აკარებდა. დრამატურგები ახალ პიესებს თხზავდნენ და მთავარ, შესასრულებლად ძნელ როლებზე მხოლოდ მას მოიაზრებდნენ. მხოლოდ ჟენის ძალუძს ნაწარმოების სულისკვეთებისა და სათქმელის მაყურებელამდე მიტანაო, გაიძახოდნენ. კრიტიკაც მის მიმართ დაუჯერებლად გულმონყალე აღმოჩნდა. კარგა ხანს მღეროდა ამოჩემებულ დითირამებს. თვით უღმობელმა სარსემაც, აი, რა დანერა: „საკმარისია თავის ერთი მიმოხვრა, ერთი გამოხედვა, ხმის გაჟღერება, ნიანგიც კი მოიხიბლება.“

მამაჩემი, რომელიც მას იმხანად კარგად იცნობდა, ყვებოდა, რომ ჟენის გატაცებით უყვარდა თავისი ხელობა, გონივრულად მსჯელობდა მის შესახებ და დაუღალავად ეძებდა გარდასახვის ახალ, დღემდე გამოუყენებელ ხერხებს. დრამატული ხელოვნება იმხანად საკმაოდ მიამიტური შინაარსის რეალიზმით იყო გატაცებული. თუ ჟენის რომელიმე პიესაში სანამლავით სიკვდილი ეწერა, იგი თავს მოვალედ მიიჩნევდა, საავადმყოფოს სწევოდა და საკუთარი თვალთ ეხილა მონამვლის შედეგად ტანჯული ადამიანები. გრძნობების გადმოცემას საკუთარ თავზე სწავლობდა. თუ სცენაზე ზედმეტად წესიერი და ფაქიზი ბუნების მქონე ადამიანი უნდა გამოეძერწა, ჟენი პირდაპირ დიდ ბალზაკს ემსგავსებოდა, როცა მწერალი ზოგიერთ თავის რომანში გმირს საკუთარი თუ საყვარელი ქალის გატაცებებსა და გრძნობებს უზიარებდა.

თქვენ, ალბათ, ხვდებით, რომ 22 წლის ყმანვილქალს, დაუჯერებლად მოკლე ხანში დიდების მწვერვალზე რომ აღმოჩნდა, აუარება თავყვანისმცემელი გამოუჩნდა: ნაცნობ— მე-

გობრები, დრამატურგები, ბანკირები და ვინ მოსთვლის კიდევ რომელი ერთი არ ცდილობდა მისი კეთილგანწყობის მოპოვებას. სანადელს მხოლოდ ბანკირი ანრი სტალი ენია: ის ჟენის ფავორიტი გახდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არა იმის გამო, რომ მდიდარი იყო, — ჟენი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა და მატერიალურ სიდუჭირეს ნამდვილად არ უჩიოდა, — არამედ იმიტომ, რომ ანრი, მის დარად, იშვიათი ხიბლით დაეჯილდოებინა ღმერთს და, რაც მთავარია, კანონიერ ქორწინებას სთავაზობდა. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ეს ალიანსი შედგა, მაგრამ ბევრად უფრო მოგვიანებით. და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სტალის მშობლები თანხმობისგან თავს იკავებდნენ. ანრი და ჟენი ვაცნობიდან სამი წლის თავზე დაქორწინდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მალევე განქორწინდნენ. ჟენის დამოუკიდებელი ხასიათი ვერა და ვერ შეეგუა ტრადიციული ცოლქმრული ცხოვრებისათვის ნიშნულ იძულებებს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ამბავი გახლავთ. მოდით, ისევ „კომედი ფრანსეზში“ ჟენის დებიუტსა და... იებს დავუბრუნდეთ.

წარმოიდგინეთ მსახიობთა ფოიე. იმ საღამოს, როცა მაცურებელმა ისევ იხილა ჟენი დიუმა— შვილის „ბაღდადელი პრინცესას“ განახლებულ ვერსიაში. ვერ ვიტყვი, რომ ხსენებული პიესა უნაკლოა. პირადად ჩემში, აღფრთოვანებას რომ ვერ ვმალავ ისეთი ძარღვიანი და მტკიცედ შეკრული დაღმების მიმართ, როგორიცაა „სამყაროს ნახევარი“, „ქალთა მეგობარი“, „ფრანსიონი“, დიუმას ექსცესები „უცხო ქალსა“ და „ბაღდადელ პრინცესაში“ მხოლოდ ღიმილს თუ იწვევს. მიუხედავად ყველაფრისა, ყველა, ვინც ჟენი მთავარ როლში იხილა, ერთხმად წერდა, რომ მისი გარდასახვა წარმოუდგენლად დამაჯერებელი და სანდო იყო. ამ სასცენო სახეს მასთან პირად საუბრებში არაერთხელ მივბრუნებოვარ: საოცარი ის გახლავთ, რომ ჟენის მართლა სწამდა, რასაც სცენაზე განასახიერებდა. „მაშინ სრულიად ყრმა ვიყავი და, ბუნებრივია, ზუსტად ისევე ვფიქრობდი და ვმსჯელობდი, როგორც დიუმა-შვილის რომელიმე პერსონაჟი, — გამომიტყვა ერთხელ, — ვერ წარმოიდგენ რა უცნაური განცდა მეუფლებოდა, როცა პროჟექტორებით გაჩანჩახებულ სცენაზე ვთამაშობდი იმას, რაც ჩემში, ჩემი სულის სიღრმეებში მნიფდებოდა“. მე კიდევ ერთ დეტალს დავძენდი. როლმა ჟენის საშუალება მისცა, გაშლილი თმისა და მოშიშვლებული მხრების ეფექტისთვის ძალუძმად გაენია ექსპლუატაცია. მოკლედ, ჟენი ამ როლში შეუდარებელი იყო.

...ხანგრძლივი ოვაციების შემდეგ, ანტრაქტის ყამს ჟენიმ ფოიეს მიაშურა. თვალის დახამხამებაში მის გარშემო უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ჟენი გრძელ სკამზე ანრი სტალის გვერდით ჩამოჯდა. გამარჯვებით აღგზნებული სხაპასხუპით ლაპარაკობდა.

— უუფ, ჩემო ძვირფასო ანრი, ისევ წყლის ზედაპირზე ამოვტივტივდი. ახლა უკვე შემიძლია, ღრმად ვისუნთქო. თავად ნახეთ, როგორ ვთამაშობდი სულ რაღაც სამი დღის წინათ... არაფრად არ ვვარგოდი. ფუუუ! ისეთი განცდა დამეუფლა, რომ ჭაობის ფსკერზე ჩავვმები, საიდანაც ამოდრომა აღარ მენერა... ვიხრჩობოდი. და, აი, დღეს, როგორც იქნა, თავისუფლად ამოვისუნთქე, მომეშვა... ძლიერი ნახტომი და ისევე ზედაპირზე აღმოვჩნდი. წარმომიდგენია, რა დატრიალდება, ბოლო აქტისას ისევ რომ ჩავფლავდე? ძალა აღარ მეყოს და ფონს ვერ გავიდე... ო, ღმერთო, ღმერთო...



ამ დროს კაპელდინერი შემოვიდა და ჟენის ყვავილები მიაწოდა.

— ვისგან? აა, სენ-ლუსგან... თქვენი მეტოქისგან, ანრი... თაიგული ჩემს საგრიმიროში შეიტანეთ.

— წერილიცაა მადმუაზელ, — დასძინა კაპელდინერმა.

როგორც კი გახსნა, ჟენის ხმამაღალი სიცილი აუტყდა:

— არა, ეს წერილი აშკარად ლიცეუმელმა გამომიგზავნა. მწერს, ლიცეუმში ჟენის თავყვანისმცემელთა კლუბი ჩამოვაცალიბეთ.

— მიწა გაუნყოფთ, ჟენი, რომ ჟოკეისტა კლუბიც არსებითად თქვენს ფანთა კლუბად გარდაიქმნა.

— ლიცეუმელთა თავგამოდება, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ბევრად უფრო ამაღლებელია, — შეეპასუხა ჟენი, — სხვათა შორის, გზავნილი ლექსით მთავრდება. ყური მიგდეთ, ძვირფასო:

**მომიტვეთ, მე თქვენ მიყვარხართ,
შიშით და კრძალვით
გიძღვნით ამ სიტყვებს,
ნუ დამიდრახავთ რითმას
ნურც მე და ნურც ჩემს სიყვარულს გაკილავთ,
ნურც განმსჯით და ნურც ხელს მკრავთ,
გემუდარებით,
ნურც დირექტორთან დამაბუზღებთ.**

— განა ეს არაჩვეულებრივი არ არის?

— უპასუხებთ ?

— რა თქმა უნდა, არა. დღეში ათეულობით მსგავს წერილს ვიღებ. ყველას რომ ვუპასუხო, დავიღუპები, ყველაფერი გვერდზე დამრჩება... ისე, უნდა ვაღიარო, რომ წერილები შვევას მგვრის. ეს 18 წლის თავყვანისმცემლები კიდეც დიდხანს იქნებიან ჩემი ერთგულები.

— ძნელია ამის დაბეჯითებით მტკიცება; ოცდაათი წლისანი ისინი უკვე ნოტარიუსები იქნებიან.

— მთხოვეს, ესეც გადმოგცეთ, მადმუაზელ, — გაისმა ისევე კაპელდინერის ხმა.

ჟენის ორ სუდ ღირებული იების კონა გადასცა.

— ო, რა სასიამოვნოა. ო, ანრი, შეხედეთ... ბარათი არ მოჰყვება?

— არა, მადმუაზელ... კონსიერჟმა მითხრა, თაიგული პოლიტექნიკური სასწავლებლის უნიფორმაში ჩაცმულმა ყმანვილმა დამიტოვაო.

— ჩემო ძვირფასო, — თქვა ანრი სტალმა, — მომილოცავს. ჩემგან გულწრფელ ქათინაურებს იმსახურებ... ამ იქს — იგრეკებისთვის გულის აჩუყება ნამდვილად არ არის ადვილი საქმე.

ჟენიმ იების სურნელი ღრმად შეიყნოსა.

— რა საამო სურნელს აფრქევს... მსგავსი ყურადღება ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია. არ მიყვარს მონიფული პუბლიკა, ყველაფერი რომ მოყირჭებია, ჩემს საცქერად შუალამისას მოსვლას რომ არ იზარებს და არც შუადღისას სურს, პალე — როიალთან ქვემეხის ტრადიციად ქცეულ ყოველდღიურ გასროლას დააკლდეს.

— მაყურებლები სადისტები არიან, — თქვა სტალმა, — ასეთები იყვნენ ყოველთვის. გაიხსენეთ ანტიკური ეპოქა... გლადიატორთა ორთაბრძოლები... წარმოიდგინე, როგორი წარმატებული იქნებოდა მსახიობი, რომელიც ნემსების მთელი კოლექციის გადაყლაპვას გადაწყვეტდა.

ჟენიმ გულიანი ხარხარით უპასუხა.

— და ის, ვინც საკერავ მანქანას გადაუძახებდა მუცელში, ხომ საერთოდ. მისი დიდება აპოგეას მიაღწევდა.

გაისმა ყვირილი. „სცენაზე, სასწრაფოდ სცენაზე.“ ჟენი ფეხზე წამოდგა.

— აბა, დროებით. მე კიდეც ნავალ და ჩემს წილ 100 ნემსს გადაეყლაპავ.

აი, ასე და ამგვარად დაიწყო ჟენის მონათხრობის მიხედვით თავგადასავალი.

შემდეგ ოთხშაბათს, ბოლო ანტრაქტის დროს, სახეზე ლიმილგადაკრულმა კაპელდინერმა ჟენის ისევე მიათვია იების მოკრძალებული კონა.

— დაუჯერებელია! — შესძახა ჟენიმ. არ მითხრათ, რომ თაიგული ისევე იმ ყმანვილმა დატოვა, პოლიტექნიკური სასწავლებლიდან.

— დიახ, მადმუაზელ.

— როგორ გამოიყურება?

— ვერ გეტყვით, მადმუაზელ. შვეიცარს უნდა ვკითხოთ.

— თუმცა ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

შემდეგ ოთხშაბათს სპექტაკლი არ შემდგარა, მაგრამ ჟენი მაინც გამოცხადდა თეატრში რეპეტიციაზე. იების თაიგული, მართალია, ამჯერად ოდნავ შემჭკნარი, საგრიმიროში დახვდა. ვიდრე თეატრის შენობას დატოვებდა, ჟენიმ შვეიცართან შეიარა.

— მითხარით, ბერნარ, იები ისევე იმ ახალგაზრდა მამაკაცმა მომართვა?

— დიახ, მადმუაზელ... უკვე მესამედ.

— და ვერ მეტყვით, როგორ გამოიყურება ის სტუდენტი?

— თავაზიანი ჩანს... თანაც ძალიან... ცოტათი გამხდარი და ლოყებჩაცვენილი. სევდიანი თვალებით, პატარა შავი ულვაშებითა და ლორწებით... დიახ, ლორწებით და გვერდზე დაკიდებული მახვილით. სასაცილო კი ჩანს. გულწრფელად რომ გითხრათ, ძალიან შეყვარებული მეჩვენება. მოვა, გამომინოდებს იების თაიგულს და იტყვის: „ეს მადმუაზელ ჟენი სორბიეს გადაეცით.“ ამ სიტყვების წარმოთქმისას სახეზე ალმური მოეკიდება ხოლმე.

— და რატომ მობრძანდება მაინც და მაინც ოთხშაბათს?

— მადმუაზელმა არ იცის? ოთხშაბათს პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტები არ სწავლობენ, გამოსასვლელი დღე აქვთ. თეატრში პარტერსა და გალერეებზე მათგან ტევა აღარ არის. ვაჟბატონები მოწონებული ქალიშვილების თანხლებით მობრძანდებიან.

— და ჩემსას ჰყავს გოგონა?

— დიახ, მადმუაზელ, მაგრამ ეს მისი დაა. ისე ჰგვანან ერთმანეთს, გაიჭება შეიძლება.

— საწყალი ბიჭუნა. გულიანი ადამიანი რომ ვიყო, უთუოდ გთხოვდით, ერთხელ მაინც ფოიეში შესვლის უფლება მიგეცათ, რათა პირადად გადმოეცა ჩემთვის ეს მშვენიერი იები.

— პირადად მე მსგავსი ჟესტის ჩადენას, ნამდვილად, არ გირჩევდით, მადმუაზელ. არა, არა... რას ბრძანებთ. თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა მხრიდან, სანამ უყურადღებოდ რჩებიან, საფრთხეს არ უნდა ელოდოთ. ისინი შორიდან ეთაყვანებიან მსახიობებს, ტკებებიან სცენაზე მათი თამაშით და ამით სრულ კმაყოფილებას განიცდიან. მათ მართ იოტისოდენა ყურადღებასაც თუ გამოიჩინებ, აღარ მოგეშვებიან, ჩაგებლაუჭებიან... მოსვენებას არ მოგცემენ... ეს საშინელებაა, მადმუაზელ. გაუნვდენ ცერა თითს, მტევანს მოგთხოვენ, დაუთმობ მტევანს, მარჯვენაში ჩაგაფრინდებიან. მერწმუნეთ, მადმუაზელ, თქვენ გეცინებათ, მაგრამ მე მხოლოდ გამოცდილება მაღაპარაკებს... ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ ვმუშაობ და ვიცი, რასაც ვამბობ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შეყვარებული გოგონა მინახავს ამ ჯიხურიდან... ჭკუიდან შემოილი ყმანვილებიც... სიბერის ჟამს სიყვარულის სენით შეპყრობილი ბებრეკი ბატონებიც. ყვავილები გადაცემაზე ყოველთვის ვიყავი ყაბულს, არც წერილებზე მითქვამს უარი, მაგრამ ზემოთ აშვებას კატეგორიულად ვუარობდი. რაც დაუშვებელია, დაუშვებელია.

— მართალს ბრძანებთ, ბერნარ... რა გაეწყობა, მაშ ვი-
ყოთ გულცივნი, წინდახედულნი და სასტიკნი.

— მე მსგავს დამოკიდებულებას სისასტიკედ კი არა, ნა-
თელგონიერებად მოვნათლავდი.

რამდენიმე კვირამ ჩაიარა. გადიოდა დრო. ოთხშაბათო-
ბით ჟენი განუწყვეტლივ იღებდა იების მოკრძალებულ კონას.
თეატრში უცნობი ყმანვილის გატაცების შესახებ ყველამ შე-
იტყო. ერთხელაც ერთ-ერთმა მსახიობმა ჟენის გაანდო.

— ვნახე შენი პოლიტექნიკოსელი თაყვანისმცემელი... ძა-
ლიან მომხიბვლელი ვინმეა... ისეთი რომანტიკული იერ-სახე
აქვს... რეჟისორი რომ ვიყო, დაუფიქრებლად ვათამაშებდი
„შანდალსა“ და „სიყვარულს არ ეხუმრებიან“. ის ახალგაზრ-
და პირდაპირ ამ როლებისთვისაა დაბადებული.

— საიდან მიხვდი, რომ ჩემი პოლიტექნიკოსელია?

— სრულიად შემთხვევით აღმოვ-
ჩნდი შვეიცართან იმ დროს, როცა
იგი იების თაიგულით გამოცხადდა.
მოვისმინე სიმორცხვით და რიდი
წარმოთქმული სიტყვებიც: „მადმუა-
ზელ ჟენის გადაეცით, გეთაყვა...“
სცენა ამაღელვებლად მივიჩნიე. მას-
ში გონიერი ახალგაზრდა დავინახე,
რომელიც ყველანაირად ცდილობს
სასაცილო მდგომარეობაში არ აღ-
მოჩნდეს. ისე, ვერ მოერია საკუთარ
თავს, ცოტათი მღელვარებამ სძლია.
სულ რაღაც ერთი წამით მხოლოდ.
ვინანე, ჩემს სანახავად რომ არ იყო
მოსული; პირადად მე მადლობას მო-
ვახსენებდი... დავამშვიდებდი... უც-
ნაური ის არის, რომ არაფერს
ითხოვს. შენი ნახვის სურვილი არც
გამოუთქვამს; შენს ადგილას რომ
ვიყო...

— მიიღებდი?

— რა თქმა უნდა... რამდენიმე
წუთს მაინც დავეუბნებდი... უკვე
რამდენიმე კვირაა, რაც ეს ამბავი
გრძელდება. სულ მალე არდადეგე-
ბიც დაიწყება. შენც გაემგზავრები.
იმედია, უწინდებურად აქ აღარ და-
ერჭობა და ვნებათაღელვაც დაუცხ-
რება.

— მართალი ხარ, — თქვა ჟენიმ, — ნამდვილი უგუნურე-
ბაა თაყვანისმცემელთა უგულებელყოფა, ვიდრე ისინი სრუ-
ლიად ახალგაზრდანი, თანაც ურიცხვნი არიან. ოცდაათი
წლის შემდეგ კუდში უნდა სდიო კანტიკუნტად შემორჩენი-
ლებსა და გამელოტებულებს...

იმ საღამოს თეატრიდან გასვლისას ჟენიმ შვეიცარს
უთხრა:

— ბერნარ, ოთხშაბათს, როცა ის ყმანვილი გამოცხადდე-
ბა, გადაეცით, რომ ამოვიდეს და მესამე აქტის მიწურულს პი-
რადად გადმომცეს იების თაიგული. მე „მიზანტროპში“ ვთა-
მამობ. მხოლოდ ერთხელ მიწვევს კოსტუმის გამოცვლა. ჩემ-
თან ვიქნები, საგრიმიოროში და იქ მივიღებ... არა! არა! დერე-
ფანში დაველოდები, კიბესთან... იქნებ ფოიეში აჯობებს?

— კეთილი, მადმუაზელ, ნუ შეგეშინდებათ, რომ...

— და რისი უნდა მეშინოდეს? ათ დღეში ტურნე მენწყება.
ის სტუდენტი კიდევ თავის სასწავლებელსაა მიჯაჭვული.

— კეთილი, მადმუაზელ. როგორც გენებოთ, მაგრამ მე
მაინც მგონია, რომ...

ნათქვამის მიუხედავად, ჟენი შემდგომ ოთხშაბათს უც-
ნობი ყმანვილისთვის სცენაზე სელიმენას განასახიერებდა;

მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: ძალიან მოსწო-
ნებოდა ერთგულ თაყვანისმცემელს. ანტრაქტის დროს გზად
საგრიმიოროსკენ უცნაური განცდა დაეუფლა; მიხვდა, რომ
მის გონებაში ინტერესმა და მღელვარებამ, მეტიც, შიშმა და-
იბუდა. ჟენი ფოიეში შეყოვნდა. სავარძელში მოკალათდა. მის
გარშემო არაერთი უპირობო თაყვანისმცემელი ტრიალებდა.
აი, დირექტორიც... მის დაუძინებელ მტერთან — ბლანშ პირ-
სონთან აუქაფავს ენა. შაფუნიფორმიანი ყმანვილი კი არსად
ჩანს.

ჟენის ნერვიულობამ და მოუთმენლობამ სძლია. ფეხზე
წამოდგა. თვალებით კაპელდინერს დაუნყო ძებნა.

— ხომ არავის ვუკითხვარ?

— დღეს ოთხშაბათი დღეა. ჩემი იები კი არსად ჩანს. იქნებ
ბერნარს ამოტანა დაავიწყდა? ან რამე გაუგებრობა მოხდა?

— გაუგებრობა? რას ბრძანებთ,
მადმუაზელ. რა გაუგებრობა შეიძ-
ლებოდა მომხდარიყო? გნებავთ, ახ-
ლავი შევალ და ყველაფერს გავარკ-
ვევ შვეიცართან?

— ძალიან დამავალბთ, მესიო.
თუმცა არა, ნამდვილად არ ღირს.
წასვლისას პირადად ვნახავ ბერ-
ნარს.

ჟენიმ საკუთარ თავს დასცინა:
„ეს რა უცნაური არსებანი ვართ მსა-
ხიობები. ექვსი თვეა, ცხვირს ვიბზუ-
ებდი და ამ ყმანვილის მოკრძალებ-
ულ ერთგულებას ვერც კი ვამჩნე-
ვდი. ახლა კი ეს ჩვეული ყურადღე-
ბა როგორც კი დამაკლდა, ავფორიაქ-
დი, გეგონება, საყვარელი პაემანზე
მოსვლას აგვიანებს და ამის გამო
ვღელავ... აჰ, სელიმენ, როგორ ძლი-
ერ ინანებ ალცესტს, როცა გაუსაძ-
ლისი დარდითა და ჭმუნვით შეპყ-
რობილი დაგტოვებს!“

სპექტაკლი დასრულდა თუ არა,
ჟენიმ სასწრაფოდ ბერნარის ჯი-
ხურს მიაშურა.

— რას მეტყვით, ბერნარ?
ვატყობ, ჩემი მიჯნურის ზემოთ
ამოშვება არ ისურვეთ.

— მადმუაზელ, არ დაიჯერებთ, მაგრამ მაინც და მაინც
დღეს არ გამოცხადდა. პირველად ექვსი თვის მანძილზე თე-
ატრში არ მოვიდა. და ისიც იმ დღეს, როდესაც მადმუაზელი
დათანხმდა მის მიღებას.

— უცნაურია. იქნებ ვინმემ გააფრთხილა და ყმანვილი
მომავალმა შეხვედრამ დააფრთხო.

— არა, თავს დავდებ მოსაჭრელად, რომ არა. ამის შესა-
ხებ გამორიცხულია ვინმეს სცოდნოდ. მხოლოდ მე და
თქვენ ვიცოდით. მადმუაზელმა ვინმეს უთხრა? არა? მაშინ
გეტყვით, რომ მეც პირში წყალი მქონდა ჩაგუბებული; არც
მეუღლესთან დამცდენია სიტყვა.

— მაშინ თქვენ როგორ ახსნით მომხდარს?

— ვერაფერს აგისნით, მადმუაზელ. შესაძლოა ეს უბრა-
ლო დამთხვევაა. იქნებ სტუდენტს სულაც მოებზრდა აქ სია-
რული? უბრალოდ დაიღალა. იქნებ ავადმყოფობამ შეუშალა
ხელი? მოდით, მომავალ ოთხშაბათს დაველოდოთ. ვნახოთ,
რა მოხდება.

მომავალ ოთხშაბათსაც არ გამოცხადებულა სტუდენტი
და არც იები მოუთმევეია ჟენისთვის ვინმეს.

— როგორ მოვიქცეთ, ბერნარ. იქნებ მისი მეგობრები ჩავ-
რთოთ საქმეში. არ გამოვრიცხავ, რომ მათი უშუალო დახმა-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

რებით მივავნოთ სტუდენტის ასავალ-დასავალს; იქნებ აჯობებდა პირდაპირ სკოლის დირექტორისთვის მიგვემართა?

— და როგორ ფიქრობთ ამის გაკეთებას. ჩვენ მისი სახელიც კი არ ვიცით.

— მართალია, ბერნარ, მაგრამ რა სამწუხაროა ეს ყოველივე. არა, ბერნარ, ყველაფერი ჩაფლავდა. ნამდვილად არ მწყალობს ბედი.

— რას ბრძანებთ, მადმუაზელ. როგორ თუ ყველაფერი ჩაფლავდა: თქვენ საოცრად ნარმატიული ნელინადი გამოიარეთ, წინ მორიგი ტურნე გელოდებოდათ, რომელიც კიდევ უფრო თავბრუდამხვევი იქნება. დიდი ცოდვაა იმის თქმა, რომ ყველაფერი ჩააფლავეთ, ან ბედმა გიმუხტლათ.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბერნარ. ეს მე ვარ უმადური ადამიანი... უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ძალიან შევეჩვიე ოთხშაბათის იებს.

მეორე დღეს შენიმ პარიზი დატოვა. ანრი სტალი მისი თანმხლები გახლდათ ამ მოგზაურობისას.

— დიდ მადლობას მოგასხენებთ, მადმუაზელ, გულისხმიერება რომ გამოიჩინეთ და ჩემს მიღებაზე დათანხმდით. ჩემი აქ მოსვლის მიზეზის ახსნა წერილში გაცილებით გამიჭირდებოდა. თავს უფლება მივეცი და პაემანი გთხოვეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ ნაბიჯის გადადგმისკენ მამაკაცურმა ნადილმა და სიამაყემ როდი მიბიძგა, არამედ მამობრივმა გრძობამ. თქვენ, ალბათ შეამჩნიეთ, რომ შავ სამოსს ვატარებ... პირდაპირ გეტყვით, მადმუაზელ, მე საკუთარ ვაჟიშვილს, ლეიტენანტ ანდრე დე შენევიერს ვგლოვობ, რომელიც ორი თვის წინათ მადაგასკარზე მომიკლეს.

უცნობი მამაკაცის ნათქვამს შენის უნებლიე მოძრაობა მოყვა, თითქოსდა სურდა ეთქვა: ვიზიარებ თქვენს მწუხარებას მთელი ჩემი სულით და გულით, მაგრამ...

— თქვენ არ იცნობთ ჩემს ვაჟს, მადმუაზელ... ჩემთვის ეს ცნობილია... სამაგიეროდ, ის გიცნობდათ და გეთაყვანებოდით... შესაძლოა, რასაც ახლა მოგიყვებით, სრულიად დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ, დამიჯერეთ, ეს წმინდა წყლის სიმართლეა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ანდრეს დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტად უყვარდა და აღმერთებდა, თქვენ იყავით...

— ვფიქრობ, შესანიშნავად მესმის, რასაც ბრძანებთ. თვითონ მოგიყვით საკუთარი გატაცების შესახებ?

— მე? არა, საკუთარ დას, მადმუაზელ, რომელიც მის საიდუმლოს იყო ნაზიარები. ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, როცა და — ძმა „სიყვარულისა და შემთხვევითობის“ სანახავად თეატრში წავიდა. შინ თქვენით აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ. „მისი თამაში ისეთი ღრმაა, ისეთი სინატიფით, სისუფთავითა და პოეზიითაა გაჟღერებული...“ ამას გარდა ათას სხვა რამეს გაიძახოდნენ, რომელთა ჭეშმარიტებაში ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი. და მაინც, მე ყველაფერს ახალგაზრდებისათვის ნიშნულ მგზნებარებასა და აღმაფრენას მივანერ, დიახ, მათ მარად სწრაფვას იდეალებისკენ... ჩემი სანყალი ბიჭუნა მეოცნებე და რომანტიკოსი გახლდათ.

— ღმერთო ჩემო, — შეჰყვირა შენიმ, — გამოდის, რომ ეს ის ახალგაზრდა იყო, რომელიც...

— დიახ, მადმუაზელ. პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, მთელი წლის მანძილზე ყოველ ოთხშაბათს თქვენთვის იების თაიგული რომ მოჰქონდა, ჩემი ვაჟიშვილი ანდრე გახლდათ... ესეც ჩემი ქალიშვილისგან გავიგე... იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი ბავშვური საქციელი, რომელიც მხოლოდ თქვენდამი პატივისცემისა და მონივნების გამოხატვას ისახავდა მიზნად, თქვენთვის უსიამოვნო და გამაღიზიანებელი არ ყოფილა... მას ხომ ისე ძლიერ უყვარდით: შესაძლოა ის ხატება საკუთარ წარმოსახვაში თქვენზე რომ შეიქმნა... მისი ოთახის კედლები თქვენი პორტრეტებით იყო დაფარული...

რამდენი ძალისხმევა და ხვეწნა-მუდარა უწევდა ფოტოგრაფებთან ჩემს ქალიშვილს, ძმა თქვენი ახალი ფოტოთი რომ გაეხარებინა. სასწავლებელში ამხანაგები მის გატაცებას დასცინოდნენ: „ადექი და ყველაფერი მისწერე“, — უკიჟინებდნენ მეგობრები.

— სამწუხაროა, რომ ანდრემ მეგობრების რჩევა ყურად არ იღო...

— რა თქმა უნდა, ყურად იღო, მადმუაზელ. ამის დასტური წერილების დასტაა, რომელიც მოგიტანეთ. მათი ადრესატისთვის გადაგზავნა ვერ გაეხდებოდა...სრულიად შემთხვევით ვიპოვეთ მისი გარდაცვალების შემდეგ.

პოლკოვნიკმა დასტა ჯიბიდან ამოიღო და შენის გადასცა.

ერთ მშვენიერ დღეს შენიმ თვითონ მაჩვენა ეს წერილები... სწრაფი, აგზნებული, ნატიფი ხელით დაწერილი.. ხელწერა მათემატიკოსისა, სამაგიეროდ, სტილი ჭეშმარიტი მგოსნისა.

— დაიტოვეთ ეს წერილები, მადმუაზელ. ისინი თქვენ გეკუთვნით... მომიტევეთ ეს უცნაური ვიზიტი. უბრალოდ მსურდა, ჩემი ვაჟიშვილის ხსოვნისთვის მიმეგო პატივი. გრძობები, თქვენ რომ მასში აღძარით, ვფიქრობ, ძალიან შორსაა უპატივცემლობისა და თავქარიანობისაგან... ის თქვენ სილამაზის, დახვეწილობისა და სრულყოფილების განსახიერებად მიგიჩნევდათ. და გარწმუნებთ, ანდრე ღირსი იყო დიდი სიყვარულისა.

— რატომ არ ისურვა ჩემი ნახვა? რატომ პირადად მე არ ვცადე მასთან შეხვედრა? ღმერთო, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მძულს საკუთარი თავი ამის გამო.

— ნუ შეგანუხებთ სინდისის ქენჯნა, მადმუაზელ. ნუ საყვედურობთ ნურაფერს საკუთარ თავს. თქვენ ხომ ვერ მიუხვდებოდით გულისნადებს... როგორც კი დაამთავრა პოლიტექნიკური სასწავლებელი, მთხოვა მადაგასკარზე გამგზავრების ნება დამერთო. ახლა ვხვდები, რომ ეს თქვენს გამო იყო. თურმე დისთვის არაერთხელ უთქვამს: განშორება ან განმკურნავს ამ უიმედო სიყვარულისგან, ან საგმირო საქმეებს ჩამადენინებს. აი, მაშინ...

— ვფიქრობ, გამგზავრებამდე უკვე ჰქონდა დიდი გმირობა ჩადენილი, მის ერთგულებას, მიზანდასახულობას, მოკრძალებასა და კეთილგანწყობილებას განა შეიძლება სხვა სახელი დაერქვას? — ღრმად ამოიოხრა შენიმ.

როცა დაინახა, პოლკოვნიკი წასვლას რომ აპირებდა, შენი ხელებში ჩააფრინდა.

— ვფიქრობ, ცუდი არაფერი ჩამიდენია... — თქვა შენიმ, — და მაინც ვფიქრობ, რომ მეც ვარ მოვალე მიცვალებულის წინაშე, ცხოვრების სილამაზით ტკობა რომ ვერ მოასწრო. ყური მიგდეთ, პოლკოვნიკო, მითხარით, სად არის თქვენი ვაჟი დაკრძალული... გეფიცებით, ვიდრე პირში სული მიდგას, ყოველ ოთხშაბათ დღეს მის საფლავს იების თაიგულით შევამკობ.

— მიხვდით, ალბათ, — დაასრულა თხრობა ლეონ ლორანმა, — თუ რატომ ტოვებს ჩვენი შენი, მავანნი და მავანნი სკეპტიკურ, იმედგაცრუებულ, მეტიც ცინიკურ ქალბატონად რომ მიიჩნევს, ყოველ ოთხშაბათ დღეს მეგობრებს, სამუშაოსა და ხშირად საყვარელ ადამიანსაც კი, რათა მონპარნასის სასაფლაოზე უცნობი ლეიტენანტის საფლავი მოინახულოს... ალბათ, იმასაც მიხვდით, რომ მე სიმართლეს მოგასხენებდით. ეს ამბავი მეტისმეტად სენტიმენტალურია ჩვენი დროისთვის.

სალონი გაირინდა. სიჩუმე ბერტრან შმიტმა დაარღვია.

— ამქვეყნად მარად იარსებებს რომანტიკა იმათთვის, ვინც ამას ღირსეულად იმსახურებს.

ფრანგულიდან თარგმნა
მერაბ ფიფია

* * *

თედო სახოკია XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გამოსცემდა რუსულ-ქართულ ლექსიკონს.

გალაკტიონს არამარტო დაამახსოვრებოდა, არამედ დღე-ღამეც ჩაინიშნა და ერთი ძველი თავადის ქალის ნათქვამს:

— მე ვსწავლობდი ფრანგულ პანსიონში ტფილისში, მეცა და ჩემი მეგობარი ქალებიც დაინტერესებულნი ვიყავით ქართული ენით. ხელთ გვქონდა სახოკიას ლექსიკონი ასეთი სიტყვებით:

ЛИМОН — მუავე კვერცხი. **СКВОЗНОЙ ВЕТЕР** — გახვერცილი ქარი (**СКВОЗЬ**).

იქ იცინებდნენ ამ გახსენებაზე, ოღონდ გალაკტიონისათვის ამგვარი ლექსიკონის არსებობა იმ წუთას იმიტომ გახდებოდა დამაფიქრებელი, რომ ცოტა ხნის წინათ თედო სახოკიას მიერ თარგმნილ ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონს“ გამოსცემდა სახელგამო და „კომუნისტი“ შეაქებდა მთარგმნელის ენას.

— აი, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანი გულმოდგინედ მუშაობს.

ესეც შეჯამება იმ ჩანაწერის.

თედო სახოკიას თუ უნებურად გამოუვიდოდა რუსულ-ქართული იუმორისტული ლექსიკონი, გრიგოლ ცეცხლაძე შეგნებულად შეადგენდა ამ ყაიდის ფელეტონს და დიდ გამოხმაურებასაც გამოიწვევდა „ლიტერატურული გაზეთის“ „კურობების ქრონიკაში“ გამოქვეყნებისას.

ამ ფელეტონის შეთხზვის მიზეზი აღმოჩნდებოდა მისი წალაპარაკება პაოლო იაშვილთან 1930 წელს — ალექსანდრე პუშკინის თარგმანის გამო.

პუშკინის პოემის — „ევგენი ონეგინი“ — თარგმნა დაწყებული ჰქონდა გრიგოლ ცეცხლაძეს და ცალკეული თავებიც უკვე დაბეჭდილი ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე, და ახლა აპირებდა სახელმწიფო გამომცემლობასთან ხელშეკრულების გაფორმებას.

პუშკინს თარგმნიდა პაოლოც, ვისაც გაცილებით დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე გრიგოლს, და, ცხადია, მოახერხებდა ჩაეშალა „ევგენი ონეგინის“ გამოცემა.

ეს შეიტყობდა ხელშეკრულების „გადადების“ მიზეზს და პაოლოს დაემდურებოდა. თანაც, სამაგიეროს გადახდის უნტი არ მოასვენებდა.

თუმც პაოლოს თარგმანები საერთოდ მოსწონდა, მაგრამ უნაკლოდ არ მიაჩნდა, და სწორედ ამ ნაკლს წამოსწევდა წინ, რადგანაც მასზე გაბრაზებული იყო.

იმ ფელეტონში, ხელმოუწერლად რომ დაიბეჭდებოდა, ასე აიგდებდა მასხრად პაოლოს თარგმანებს:

თითქოსდა ერთი ენათმეცნიერი ადგენდა ახალ რუსულ-ქართულ ლექსიკონს, რომელსაც საფუძვლად ედო პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინის ლექსებიდან ამოკრებილი სიტყვები. ეს ლექსიკონი საოცრად განირჩეოდა დღემდე არსებული ყველა ლექსიკონისაგან და რედაქცია მიტომაც ესწრაფოდა მიეწოდებინა მკითხველისათვის რამდენიმე მაგალითი.

- Орёл — ქორი
- Вал — შხეფი
- Призрак — ჩერო
- Рев — მრევი
- Мгла — გლოვა
- Струит — სტვირი

Дети — ცეტი

Клаве — გკლავენ

შეიძლებოდა მეტი მაგალითების მოყვანაცო, — დასძენდა ფელეტონისტი, — მაგრამ, ვგონებთ, ამ ამონაწერებიდანაც ცხადია, თუ რა დიდ გარდატეხასთან გვაქვს საქმე. მართო ის რად ღირს, თუ ფეოდალური სიტყვა „არწივი“, რომელიც მოგვაგონებდა თვითმპყრობელობის ღერბს, დღეიდან სამუდამოდ უქმდება და მის ადგილს იჭერს შედარებით დემოკრატიული „ქორიო“.

და ახლა შემოდოდა მსჯელობაში ის მთავარი, ფელეტონის ირონიულ, მეტიც, სარკასტულ ძარღვს რომ ქმნიდა და პაოლოს ყველაზე მწარე დარტყმას მიაყენებდა:

თითქოსდა პატივცემულ ენათმეცნიერს პაოლო იაშვილის თარგმანებიდან ამოკრებილი სიტყვების გარდა, ამავე მეთოდის საფუძველზე, თავის ლექსიკონში შეეტანა სიტყვები:

Мудрец — მუდრეგი

Арбуз — ბუზი

Кубок — კუბო

და ფელეტონის ფინალური აკორდი: განსაკუთრებით მოსწონთ ეს ლექსიკონი იმათ, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რუსული სიტყვები არცერთ ენაზე არაა თარგმნილი ფონეტიკის ასეთი ზუსტი დაცვითო.

რაკილა პაოლო იაშვილს ყველა იცნობდა, გაზეთი ხელიდან ხელში გადავიდოდა. ბევრი მკითხველი ვერც იმას მიხვდებოდა, რომ: **Мудрец** — მუდრეგი, **Арбуз** — ბუზი და **Кубок** — კუბო მის თარგმანში არ იყო. ფელეტონში ხომ გარკვევით ეწერა: ენათმეცნიერმა იაშვილის მეთოდის საფუძველზე თვითონ შეადგინა და შეიტანა ლექსიკონში ეს სიტყვებიო. თუმც როდესაც მითქმამოთქმის შუაგულში მოექცევი, ვილა დაგიდევს, რა წერია სინამდვილეში.

და გასაკვირი აღარ არის, რომ პაოლოსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდნენ უსაქმური ადამიანები და სიცილ-ხარხარით ეკითხებოდნენ: **Мудрец** მუდრეგად რამ გათარგმნინაო.

გრიგოლ ცეცხლაძის მემუარული ჩანაწერები გვამცნობს ამ ამბის გაგრძელებასაც, თავისთავად საგულისხმოს ლიტერატურული კულუარების აღსადგენად, თუ როგორ გაიხსნებოდა ფელეტონისტი ვინაობა, თუმც ამჯერად ამ სიუჟეტური ხაზის გაყოლა შორს წაგვიყვანს, რადგანაც სცილდება იუმორისტული ლექსიკონის შედგენილობას.

ერთი შეხედვით რაოდენ უცნაურიც უნდა მოჩანდეს, ამგვარი „ლექსიკონის“ სათავეში... ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას თავისი იმ მაკვარანცხული სიტყვათთამაშით, რომლის შუაგულშიც პლატონ იოსელიანი მოჰყვებოდა.

ეს მახვილსიტყვაობა არაერთხელ გაგვიხსენებია, ოღონდ ყოველთვის სხვა კუთხით, ამჯერად კი სწორედ ამ თვალთახედვით დავუკვირდეთ, რუსოფილი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი... ვირების ღმერთია არსებობა-არარსებობის მცოდნედ რომ გამოცხადდებოდა მხოლოდ იმიტომ, **Богослов** — ღვთისმეტყველი, ვირების ღმერთადაც რომ შეიძლება ითარგმნოს, თუკი ამ სიტყვას ჩვენს ნებაზე დავატრიალებთ ანუ ერთიან გამოთქმას უადგილოდ გავხლიჩავთ: **Бог ослов**.

ერთი მაგალითია, ერთადერთი, მაგრამ თამაშის პრინციპი მიგნებულია, და ის სიცილ-ხარხარი, რაც იმ წუთს ნიკო-



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

ლოზ ბარათაშვილის გარშემო ატყდებოდა, იუმორისტულ ლექსიკონთა ახალ-ახალ ნიმუშებსაც თან გამოჰყვებოდა.

ვინ იცის, რამდენი ამისთანა ნიმუში მოეფიქრებინა მის მახვილ გონებას, მაგრამ ისევე განქარებულა, როგორც სხვა არაერთი ხუმრობა თუ მხიარული ოინები.

რაც უნდა იყოს, ამ ყაიდის ლექსიკონთა დამწყები მაინც იგია, უნებლიე გამგრძელებელი — თედო სახოკია, გრიგოლ ცეცხლაძე კი იმ მოქალაქეობის მომპოვებელი ამგვარი იუმორისტული თამაშისა, ბევრი რომ მოინდომებდა სიტყვებით

* * *

რეპრესირებულ მხატვართა გამოჩენა თავიდან, ცხადია, სულ სხვაგვარად გვქონდა განზრახული.

ნინო ზაალიშვილმა მონაწილეთა სია შეადგინა, კარლო ფაჩულიამ მოიძია, და-აზუსტა და მფლობელებთანაც შეათანხმა ნახატებიც და მცირე ქანდაკებებიც.

„ომეგას“ დარბაზის ეს გამოფენა უნდა ყოფილიყო პირველი ასეთი ყაიდისა საქართველოში, თავისებურად სენსაციურიც, ახლებურად რომ უნდა წარმოეჩინა არაერთი რამ, თანაც მთლიანობაში, და „ომეგა ჯგუფი“ ამჯერადაც გადანყვებდა კატალოგის გამოცემას — მეზუთე ასეთ ნიმუშს, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას რომ იწვევდა ხელოვნების დამფასებელთა შორის.

მაგრამ პროკურატურის უკანონო შეჭრა „ომეგა ჯგუფის“ საწარმოებში და, მათ შორის, სტამბაში „ომეგა თეგი“, ამ განზრახვასაც ჰაერში გამოკიდებდა.

არამცთუ კატალოგის გამოცემა, მოსაწვევ ბარათებსა და პლაკატებსაც ვეღარ დაებეჭდავდით, ვეღარც ცნობას გამოვაქვეყნებდით „ახალი ეპოქის“ ფურცლებზე...

რეპრესირებულ მხატვართა გამოფენა მაინც გაიმართებოდა, მაგრამ უკვე არა როგორც სახელოვნო-ესთეტიკური მოვლენა, არამედ — პოლიტიკური აქცია, პროტესტი უკანონობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ:

ნაცვლად ნახატებისა ცარიელ ჩარჩოებს გამოვფენდით.

რეპრესიები ხომ მარტო წარსულში არ დარჩენილიყო, ის სიავე კვლავაც გამოჰყოლოდა ჩვენს რეალობას და გამოფენის

* * *

1988 წელს გამოცემლობა „ნაკადული“ გამოსცემდა ნანა ჭურღულიას მიერ ლამაზად დასურათებულ გურამ პეტრიაშვილის საბავშვო წიგნს „პატარა ქალაქის ზღაპრები“.

ტირიაშვილი ახლანდელი გადასახედიდან სრულიად ფანტასტიკური — 40 000 ეგზემპლარი — იყო.

წიგნი მკითხველის ყურადღებას მიიპყრობდა და უცებ გაქრებოდა დახლებიდან.

დაახლოებით ერთი ათეული წლის შემდეგ მის ერთ ეგზემპლარს ნინო ზაალიშვილი ბუკინისტურ მაღაზიაში წააწყდებოდა.

ამ დროს საქართველოში კუპონის წყალობით „გამილიონერებელი“ მოქალაქეებიც ცხოვრობდნენ და მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე გურამ პეტრიაშვილის წიგნში 500 000 კუპონს გადაიხდიდა.

2013 წელს მფლობელი შემთხვევით დახვდავდა წიგნის ნომინალურ ღირებულებას — ჯერ კიდევ საბჭოთა ფასს, რომელიც 1 მანეთი აღმოჩნდებოდა. ამდენი ნულით გაზრდილი ფასი, მგონი, სოთხის აუქციონზე გატანილ უნიკალურ გამოცემებსაც იშვიათად ჰქონიათ.

შეიტანენ თუ არა ამ ფაქტს გინესის რეკორდების წიგნში, უცნობია, მაგრამ გურამ პეტრიაშვილის ლიტერატურული ზღაპრების ეს გამოცემა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ბოლოდროინდელი ისტორიის საგულისხმო დოკუმენტად.

ასეთივე გახალისებას და, მათ შორის, ნოდარ დუმბაძეც, ვისი დაუშრეტელი იუმორიც რუსულ-ქართულ „ლექსიკონთა“ შედგენაშიც ჰპოვებდა ასპარეზს. ვილაც როგორ არ დაინტერესდება მთელი ამ მასალის თავმოყრითა და ცალკე გამოცემით, ამჯერად კი მეტს ვეღარ გამოვედევნებთ, ისედაც საგრძნობლად მოვარღვიე ნაკვეთის ჟანრობრივი ჩარჩო.

ამისთანა რღვევა სხვაც არაერთია ამ ციკლში, თამაშ-თამაშში კვლევის ელემენტებიც რომ ჩნდება, თუმცა ელემენტებმა მთლად მონოგრაფიული ნაშრომისაკენ არ უნდა გაიწიონ.



ნის მეშვეობითაც ამასვე ვადასტურებდით კიდევ ერთხელ:

რეპრესირებული „ომეგა ჯგუფი“.

რეპრესირებული ფაბრიკა, სტამბა, „ომეგა მოტორის“, ჟურნალი „ომეგა“, გაზეთები „ახალი ეპოქა“ და „ჩვენი მწერლობა“... უსულგულოდ გამოძევებული უამრავი თანამშრომელი, შეჩერებული უმნიშვნელოვანესი წარმოება...

გამოფენის გახსნა რომ მოთავდებდა და დამთავლიერებლები წავლენ-წამოვლენ, ერთი დარბაზი და სანდომიანი ქალბატონი შემოაღებს „ომეგას“ გალერეას, მიუახლოვდება კედელს და... ვერაფერს ხედავს ცარიელი ჩარჩოების გარდა. იფიქრებს, ეტყობა, შორიდან უნდა აღქმარ, მოცილდება კედელს და ახლა შორიდან აკვირდება... ვახ!.. კვლავ ცარიელი ჩარჩოები.

ნელ-ნელა უახლოვდება.

მერე ისევ ნელ-ნელა დაშორდება.

ვერა და ვერ პოულობს შესაფერის ნერტილს.

როგორი წარმოსადგენია, რომ ცარიელი ჩარჩოების გამოფენაა — ტრაგიკული და საგანგამო.

ვილაც მიუხედავად, თუ რატომ მიდი-მოდის ეს ქალბატონი, გაცოცხლებულს ისიც რომ ვეღარ მოუფიქრებია იკითხოს, რა ხდება.

...იმას კი აუხსნიან და მოუბოდიშებენ კიდევ, უნებლიეთ რომ გაანვალებს, მაგრამ ეს ცარიელი ჩარჩოები „ომეგა ჯგუფის“ საწარმოების ამუშავებამდე დარჩება კედლებზე.

უკეთესი სიმბოლო რაღა უნდა ყოფილიყო.

უკეთესი პროტესტი!..



ერთი კაცის გუნებაზე

ჯონ სტაინბეკი ამერიკაშიც უყვარდათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირშიც. მისი რომანი „რისხვის მტევნები“ 1939 წელს, გამოცემისთანავე, დაჯილდოებულ იქნა პულიცერის პრემიით (ვაგლახ, ამერიკელებს ნობელი არ ეკითხებოდათ, თორემ უსათუოდ მიანიჭებდნენ), ხოლო საბჭოეთში, მომდევნო წელს ოპერატიულად გამოსცეს აღნიშნული რომანის რუსული თარგმანი, მაგრამ მანამდე... მანამდე კი მოხდა უპრეცედენტო რამ: ფრაგმენტები სტაინბეკის რომანიდან გამოქვეყნდა კომუნისტური პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე (1939 წლის 19 და 23 აგვისტოს). დიახ, დიახ, იმ დღეებში მზადდებოდა ე.წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერა და სტალინ-ჰიტლერის მორიგება-გარიგების ამსახველი რეპორტაჟის პარალელურად იბეჭდებოდა თავისუფლების სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენლის — ამერიკელი მწერლის ნანარმოები (სტაინბეკისთვის სცხელოდათ?!).

გამოხდა ხანი და 1947 წელს ჯონ სტაინბეკი (არანაკლებ თვალსაჩინო ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად) სტუმრად ეწვია ომგადახდილ საბჭოთა კავშირს, სადაც სიხარულით მიიღეს, სჯეროდათ — ხოტბას შეგვასხამსო. მოატარეს მოსკოვი და სტალინგრადი, უკრაინა და საქართველო.

ელოლიავებოდნენ ძვირფას სტუმარს, მარა რას ელოლიავებოდნენ!

ოლონდ სტაინბეკის ხათრით საბჭოთა წყობასა და ადათ-ნესებს, ცხადია, არ მოშლიდნენ, ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, შესისხლხორცებული, გათავისებული, თითქოსდა უხსოვარ დროთაგან მოსდგამდათ. ქვემოურნი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ზემოურთა ნებას და ხეაშიადს. სუფევდა სრული ჰარმონია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

მაგრამ სტაინბეკი რის სტაინბეკი იქნებოდა, ვარდისფერი სათვალე რომ მორგებოდა ცხვირზე. სამშობლოში არა სჩვეოდა თვალის დახუჭვა თუ თავის მოტყუება და უცხო ქვეყანაში რატომ უღალატებდა თავის მრწამსსა და სულისკვეთებას? კარგაც კარგად ხედავდა, ბეჯითად აღნუსხავდა და ავიც არ გამოეპარებოდა (ამიტომ იყო, რომ მისი საბჭოური შთაბეჭდილებანი არც შეერთებულ შტატებში ეამათ და არც საბჭოეთში, სადაც ორმოცი წლის შემდეგდა გამოსცეს).

სტაინბეკი თავის „რუსულ დღიურში“ მოგვითხრობს შემდეგს:

ჩინოვნიკი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ვისთანაც საქმიანი შეხვედრა გნადიათ, ხან უქეიფოდ არის, ხან ადგილზე არ იმყოფება, ხან საავადმყოფოში გაუმწესებიათ, ხანაც კუთვნილი შევებულებით სარგებლობს. და ამგვარი მიმიკრია შეიძლება წლობით გაგრძელდეს. თუ სხვა პერსონაზე გადაერთვებით, ისიც არ აღმოჩნდება ქალაქში, ან საავადმყოფოში მოხვედბა ანდა სასწრაფოდ გავა შევებულებაში. უნგრელთა რომელიღაც კომისია სამი თვის მანძილზე ცდილობდა რაღაც პეტიციის ჩაბარებას, რომელსაც მოსკოვში აღმაცურად უყურებდნენ. ერთი ამერიკელი პროფესორი რამდენიმე კვირა ყურყუტებდა მაღალ მისაღებებში თავისი იდეით სტუდენტური გაცვლა-გამოცვლის თაობაზე, მაგრამ ამაოდ დაშვარა. „რუსული გამბიტი“ — ასეთი მეტსახელი შეარქვა სტაინბეკმა მისთვის გაუგებარ და აუხსნელ ფენომენს. ამ გამბიტს წინ ვერაფერი აღუდგებო, მოგება იშვიათად თუ უნერია ვინმეს, მისგან თავს ვერაფრით დაიცავ, ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ მოეშვა და დაწყნარდეთ.



ჯონ სტაინბეკი

გამოჩენილი ამერიკელი მწერალი იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილის კიდევ ერთ საინტერესო თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას.

თურმე სტაინბეკს სულ რაღაც ორი-სამი კვირა დასჭირდა იმის დასადგენად, რომ მოსკოვში შუადღემდე არავინ ცხადებოდა სამსახურში. არავინ! დაწესებულებანი უბრალოდ დაკეტული იყო შუადღემდე. იღებოდა შუადღისას და მუშაობა შუადღემდე გრძელდებოდა. დილის საათებს სამუშაოდ არ იყენებენო, გაცვებას ვერ მალავს სტაინბეკი. შესაძლოა, არსებობს ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც დილიდანვე მუშაობენ, მაგრამ ისინი, ვისთანაც ჩვენ საქმე გვქონია, სწორედ ზემოთქმულ განაწესს ემორჩილებოდნენო.

სტაინბეკს, სამწუხაროდ, წაკითხული არ ჰქონდა თავისი რუსი კოლეგის (ასევე — მომავალი ნობელიანტის) ალექსანდრ სოლჟენიცინის რომანი „გარსი პირველი“ ანკი როგორ წაკითხავდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა და მთელი მოსკოვი აენრიალებინა, როდესაც სოლჟენიცინს ეს რომანი ჯერ არც კი დაენერა. არქიპელაგ გულაგის ტერიტორიაზე იტანჯებოდა და იმხანად არავითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ გულაგის უუფლებო და უმწეო ტუსალი ოდესმე კალამს აიღებდა ხელში და ლეგალურად თუ არალეგალურად შეუდგებოდა თავისი საწუკვარი ოცნების აღსრულებას — არქიპელაგ გულაგის მემატინანდ მოვლენოდა მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას.

დიახ, პასუხი სტაინბეკის „რუსულ დღიურში“ დასმულ კითხვაზე მოიპოვება სოლჟენიცინის ზემოხსენებულ რომანში.

აი, ერთი ფრაგმენტი ამ ნანარმოებიდან, რომელიც დააკმაყოფილებდა სტაინბეკის ცნობისმოყვარეობას (მოქმედების ადგილი — მოსკოვი, მოქმედების დრო — 1949 წლის დეკემბერი):

„დღის ხუთი საათი სამუშაო დღის დასასრულს როდი ნიშნავდა, არამედ — მის უფრო მცირე ნაწილს. ახლა ყველანი შინ გაეშურებიან, ისადილებენ, ცოტას ნაუძინებენ, ხოლო საღამოს 10 საათიდან ისევ განათდება 45 სრულიად საკავშირო და 20 რესპუბლიკური სამინისტროს ათასობით და ათასობით ფანჯარა. ერთ, ერთადერთ კაცს, ციხე-სიმაგრის [ე.ი. კრემლის] კედლებს მიღმა რომ ცხოვრობს, ღამით ძილი არ ეკარება და მთელი ჩინოვნიკური მოსკოვი მიაჩვია იმას, რომ მასთან ერთად იფხიზლოს ღამის სამ-ოთხ საათამდე. იციან რა მბრძანებლის ჩვევანი, სამოცზე მეტი მინისტრი, სკოლის მონაფეხივით ფხიზლობს გამოძახების მოლოდინში. ძილი რომ არ მოერიოთ, თავიანთ მოადგილეებს იხმობენ, მოადგილეები კი ანჯღრევენ სტოლონაჩალინიკებს, რეგისტრატორები კიბით აფოფხდებიან კარტოთეკის გადასაქოთებლად, საქმის მწარმოებელნი დაჯირითობენ ტალანებში, სტენოგრაფისტ ქალებს ფანქრები უცვდებთ და ემტვრევთ“.

სოლჟენიცინი არაფერს ამბობს დილაობით სამსახურში გამოუცხადებლობაზე, მაგრამ ბუნებრივია, რომ საბჭოთა მოსამსახურენი, რომლებიც ღამის სამ-ოთხ საათამდე ფხიზლობდნენ თავიანთ პოსტებზე, დილის ცხრა საათზე ვერასდიდებით ვერ გამოცხადდებოდნენ სამსახურში.

მოსკოვის მოსახლეობის ელიტური ნაწილი ანუ პარტიულ-სახელმწიფოებრივი ნაღები, თავის ხელქვეითებიანად, ცხოვრობდა ერთი კაცის გუნებაზე!

ამ კაცს ზოგნი აკაცს უწოდებენ, ზოგ-ზოგნიც კიდევ — ზეკაცს. სიმართლე, ალბათ, მარტოოდენ უფალმა უწყის...

პარსკვლავიანსა ჟამსა

პიეტრო დელა ვალეს სახელი განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოსთან, თუმცა მას ფეხიც არ დაუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. იტალიელმა მოგზაურმა ირანში გაიცნო იქ გადახვეწილი თუ გადასახლებული ქართველები, მათგან მოისმინა და ჩაინერგა საქართველოს ამბები, გულთან ახლოს მიიტანა მათი ბედი თუ უბედობა, ხოლო შემდგომში უანგარო სამსახური გაუწია იმ ქვეყანას, რომელმაც თავისი შვილების წყალობით შორიდან შეაყვარა თავი.

დელა ვალეს განსაკუთრებული სიმპათია საქართველოსა და ქართველების მიმართ, ამკარად რომ გამოსჭვივის მისი სახელგანთქმული თხზულების („მოგზაურობანი...“) ფურცლებზე, ვინ იცის, ეგებ გადაჭარბებდა, გაზვიადებდა მოეჩვენოს ანგარიშიან დასავლელ მკითხველს და ტენდენციურობა მიაწეროს ავტორის კალამს.

ამის მაგალითიც უკვე სახეზეა. თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი ვერა მორინი შენიშნავს: „იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე უამრავ გულითად სიტყვას ამბობს ქართველების შესახებ, აღფრთოვანებულია მათი ძალმოსილებით, ღრმა ქრისტიანული რწმენით, განათლებითა და სილამაზით. მიუხედავად იმისა, რომ იგი წესაძლოა საკმაოდ მიკერძოებული მოამბე იყოს თავისი ცოლის წარმოშობის გამო, საფუძველი არ გაგვანჩია, დავეჭვდეთ მისი აღწერილობის საერთო სიზუსტეში“.

მთლიანობაში წიგნს არაფერს ერჩის, ეჭოჭმანება მარტოდენ „ქება ქართველთა“ (ცოლი ქართველი ჰყავდა და აბა რას იზამდა?). თხრობა საქართველოსა და ქართველთა შესახებ დელა ვალეს თხზულების საერთო მოცულობის, ალბათ, ერთი მეასედიც არ იქნება და ამერიკელი მეცნიერის დაუფიქრებელი შენიშვნა გამოიყურება, როგორც ნახევარი კოვზი კუპრი ვეება თაფლის ქილაში. მისი ყურით მოთრეული დასკვნის გაბათილება სრულიადაც არ მოითხოვს მიმდევრობის არგუმენტთა დახვეწებას. ერთადერთი, ეჭვმიუტანელი ფაქტიც საკმარისია, რომ ზემოთ დამონშებულმა ციტატამ დაკარგოს თავისი ფასი და აბსურდულ ნააზრევად მივიჩნიოთ.

საქმე ის გახლავთ, რომ პიეტრო ვერ იქნებოდა მიკერძოებული მოამბე თავისი ცოლის ქართული წარმოშობის გამო, ვინაიდან მისი წერილები, სადაც მოთხრობილია საქართველოსა და ქართველთა ამბავი, იწერებოდა 1617-1622 წლებში, ირანში ყოფნისას, იგზავნებოდა რომში, პიეტროს მეგობრის მარიო სკიპანოს სახელზე და უცვლელი სახით გამოქვეყნდა პიეტროს წიგნის ფურცლებზე; ხოლო ქართველი ქალი თინათინი (მოფერებით მარიუჩას რომ ეძახდნენ) პიეტრომ ცოლად შეირთო 1629 წელს — სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ასე რომ, ამერიკელ მეცნიერს ის ნახევარი კოვზი კუპრიც ნაცარში ჩაუფარდა.

და თუკი სხვა ვინმეს, ამერიკელი იქნება თუ არაამერიკელი, მაინც მოეჩვენება მიკერძოება (პიეტროს ცოლის ქართული წარმოშობისგან დამოუკიდებლად), უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიკერძოებას გამოიწვევდა ის უბედურებანი საქართველოსი, რომელთა

მოწმე და, არცთუ იშვიათად, თვითმხილველიც გამხდარა იტალიელი მოგზაური.

პატარა ქრისტიანული ქვეყნის ტრაგედიით აღძრული თანაგრძობა და იმავე ქვეყნის შესაშური ბრძოლით წარმოქმნილი აღფრთოვანება, ალბათ, ნერვოზად ზემოთ აღნიშნულ მიკერძოებას, რაც დელა ვალეს თხზულების ლუპით ჩხრეკისას შეიძლება თვალში მოხვდეს „მიკერძოებულ მკითხველს“.

იტალიელი მოგზაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველებმა შეინარჩუნეს თავისი რჯული, თუმცა „ურჯული“ მტრებით გარშემორტყმულნი არიანო. ირანისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის მარტოდმარტო დარჩენილი თავდაუზოგავად იცავდნენ თავს და სასონარკვეთას არ ეძლეოდნენ. დელა ვალეს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ ამის გამო ქართველები ქებას იმსახურებენ, მაგრამ იგი მეტსაც ამბობს: ქრისტიანული ეკლესია დავალებულია მათგან, რადგანაც ქართველები მეზობელ ავრესორებთან ბრძოლაში გაუგონარ მხეობას ავლენენო.

თანამედროვე იტალიელი მკვლევარი ფრანჩესკო ანდრეუ ნერს: „გულწრფელი კათოლიკე პიეტრო დელა ვალე არ უგულვებელყოფდა რელიგიური პრობლემების შესწავლას იმ ქვეყნებში, რომლებიც მოინახულა. იგი განსაკუთრებით ააღელვა ქართველების მწარე ხვედრმა, რომელთაც იმისთანად თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გადამწყვეტი წუთი დასდგომოდა“.

დელა ვალეს თხზულებაში შესაშინი „ქება ქართველთა“, ალბათ, იმიტაც არის განპირობებული, რომ ავტორი შეესწრო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გმირულ პერიოდს, ბრწყინვალე ფურცელს ქართველი ხალხის სასახლო საქმეთა ფრიად ვრცელ ნუსხაში, როდესაც არყოფნასთან ჭიდილში საკუთარი ყოფნის დასამკვიდრებლად, საკუთარი მეობის გადასარჩენად, გამოვლენილ იქნა იშვიათი შეუპოვრობა და თავგანწირვა. დიას, მისდა და ჩვენდა საბედნიეროდ, პიეტრო შეესწრო საქართველოს ცხოვრების „ვარსკვლავიანსა ჟამსა“.

მაგრამ დელა ვალეს კალამი ქართველთა შესახებ არა მარტო გულითად სიტყვებს ხარჯავს, არამედ გულსატკენსაც, რადგან მისი სიყვარული საქართველოსა და ქართველებისადმი არა ყოფილა ბრმა სიყვარული, რომელიც ვერ ხედავს ხინჯს ან თვალს ხუჭავს მასზე. იტალიელი მოგზაური ვარდისფერი სათვალთ როდი ყოფილა შეიარაღებული. კარგაც კარგად ხედავდა და ავიც არ გამოჩინია. ქებას არ იშურებდა, როცა საქებარი ხედებოდა, მაგრამ ფიზიკური დაკვირვებანი ზოგჯერ გაკილვასა და ძრახვასაც შეიცავს ხოლმე.

პიეტრო დელა ვალეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართველი მკითხველის ცნობიერებაში. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ევროპელ ავტორთა ქართველოლოგიური ნაშრომებიდან ყველაზე ადრე ითარგმნა ქართულად და გამოქვეყნდა სწორედ დელა ვალეს „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (ჟურნალი „ივერია“, 1879, 3). მას შემდეგ, იტალიელი მოგზაურის ცნობები არაერთხელ დაუმომბებიათ ქართველ მეცნიერებს XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში უმასპინძლა სამეცნიერო ჟურნალის „ქართული ემიგრაცია“ (რედაქტორი — პროფესორი ოთარ ჯანელიძე) პრეზენტაციას.

ეს ჟურნალი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიის, გეოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და გიორგი მაჩაბლის ფონდის ერთობლივი პროექტია.

გამოცემა 2011 წელს კრებულის სახით დაფუძნდა, 2013 წელს კი ჟურნალად გარდაიქმნა. ამჯერად სახეცვლელი და განახლებული ფორმატის სახით გამოდის. გაიზარდა მისი მოცულობა და ნაწილობრივ შეიცვალა პროფილიც. ჟურნალი აშუქებს ქართული ემიგრაციის წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის საკითხებს. წარმოდგენილია საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულეთა კვლევითი ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან, დაბეჭდილია ქართული ემიგრაციის ისტორიასთან დაკავშირებული მემორიული ხასიათისა და დოკუმენტური მასალა. სარედაქციო კოლეგია ჟურნალის წელიწადში ორჯერ გამოცემას აპირებს.



ჟურნალს აქვს რუბრიკები: „ქართული ემიგრაციის ისტორია“, „ქართული ემიგრაციის გეოგრაფია“, „ქართველ ემიგრანტთა ნაშრომები“, „ქართული ემიგრანტთა დოკუმენტები“, „ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე“, „ქრონიკა“.

პირველი ნომრის ავტორები არიან: რუსუდან დაუშვილი, მანანა დარჩაშვილი, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, ელდარ მამისთვალისვილი, შორენა მურუსიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე, იოსებ ჟორდანია, ბადრი ქუთელია, ზაზა შათირიშვილი, ოთარ ჯანელიძე.

პრეზენტაციას უძღვებოდა ჟურნალის რედაქტორი ოთარ ჯანელიძე. სიტყვით გამოვიდნენ: პაატა ნაცვლიძე, მალხაზ მაცაბერიძე, ლაშა ზაქარაძე, რუსუდან დაუშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე, პაატა სურგულაძე, ქართველი ემიგრანტი სტრასბურგიდან ლევან ნიკოლეიშვილი, მინისტრის მოადგილე დიასპორას საკითხებში — ზაალ სარაჯიშვილი, გიორგი ლობჯინიძე. სტუმრებს მიესალმა პრორექტორი, პროფესორი ნინო ქემერტელიძე.

დასასრულს აღნიშნეს, რომ ჟურნალი ერთადერთია ამ ტიპის გამოცემათაგან და საჩუქრად გადასცეს დამსწრე საზოგადოებას.